უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი და კანონმდებლობა

Journal DOI: https://doi.org/10.52340/bal

N1. 2023

N1. 2023

www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge

ISSN 2960-9801 (online)

Business & Law

ბიზნესი და კანონმდებლობა

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar

რეცენზირებადი და
რეფერირებადია 2008 წლიდან

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

Business & Law

INTERNATIONAL SCIENTIFIC-ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the Google schoral international search system

Recensented and
Referenced since 2008

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

გამომცემელი

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საბჭო

ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა, დავით ჯალაღონია, ირმა დიხამინჯია, ილონა ადამია

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

აბულაძე კოტე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ბედიანაშვილი გივი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **გახოკიძე ჯემალ** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **დიხამინჯია ირმა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ელიავა ლია** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **თაკალანძე ლარისა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კაკალაშვილი ნატო** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კვარაცხელია დემნა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **კვაშილავა კახა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ლიპარტია ზურაბ** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მამუკა თავხელიძე** - გრიგოლ რობაძიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მესხიშვილი ანზორ** - უძრავის ქონების ექსპერტი, საქართველო; **მექვაბიშვილი ელგუჯა** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპავა ვლადიმერ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპასქუა იური** - მთავარი რედაქტორი, საქართელოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **სილაგაძე ავთანდილ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ფუტკარაძე სულიკო** - წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო; **ღავთაძე გიორგი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **შონია ნანა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჩიხლაძე ნიკოლოზ** - ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო; **ცინარიძე რამინ** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭითანავა ნოდარ** - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭიჭინაძე ბორის** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ხომერიკი თემურ** - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისია, საქრთველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯალაღონია დავით** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯიბუტი მიხეილ** - თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, საქართველო.

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ალერზევი ალი - ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი; **გრიგოროი ლილია** - მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვეთი; **დიომედა ფედერიკო** - ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ბრიუსელი, ბელგია; **დნესი ვ. ანტონი** - ნორტცენტრალის უნივერსიტეტი, არიზონა, აშშ; **ზიგლერი ბერნარდ** - ბერლინის უნივერსიტეტი, გერმანია; **იარვერსი რობინ** - ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია, დიდი ბრიტანეთი; **კარმანსკა ანნა** - ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლა, პოლონეთი; **ლანგი მარი** - ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ბრიუსელი, ბელგია; **მაკგი ვ. რობერტ** - აშშ ფაეტეევილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ; **ფიშერი იოჰან** - ბონის უნივერსიტეტი, გერმანია; **ჯონსონი რ. ვინსეტ** - სანტ-მარის უნივერსიტეტი, აშშ;

PUBLISHER

The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia

ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE COUNCIL

Zaur Nachkibia, Yuri Papasqua, Davit Jalaghonia, Irma Dikhaminjia, Ilona Adamia

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Abuladze Kote - Technical University of Georgia, Georgia; **Bedianashvili Givi** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Ghakhokidze Jemal** - Technical University of Georgia, Georgia; **Dikhaminjia Irma** - Sukhumi State University, Georgia; **Eliava Lia** - National University of Georgia, Georgia; **Takalandze Larisa** - Sukhumi State University, Georgia; **Kakalashvili Nato** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Kvaratskhelia Demna** - Technical University of Georgia, Georgia; **Kvashilava Kakha** - Sukhumi State University, Georgia; **Lipartia Zurab** - Sukhumi State University, Georgia; **Mamuka Tavkhelidze** - Grigol Robadzidze State University, Georgia; **Meskhisvili Anzor** - real estate expert, Georgia; **Mekvabishvili Elguja** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Yuri Papasqua** - Editor-in-Chief, Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Sakartelo, Sukhumi State University, Georgia; **Silagadze Avtandil** National Academy of Sciences of Georgia, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Putkaradze Suliko** - St. Tbel Abuseridze University of Education, Georgia; **Ghavtadze Giorgi** - National University of Georgia, Georgia; **Shonia Nana** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Chikhladze Nikoloz** - Kutaisi University, Georgia; **Tsinaridze Ramin** - Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; **Chitanava Nodar** - Georgian Academy of Agriculture, Technical University of Georgia, Georgia; **Chichinadze Boris** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Khomeriki Temur** - Energy and Water Supply Commission of Georgia, National University of Georgia, Georgia; **Jalaghonia Davit** - Sokhumi State University; **Djibouti Mikheil** - Chairman, National Academy of Sciences of Georgia, Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia.

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Diomeda Federico - European Federation of Accountants and Auditors, Brussels, Belgium; **Dnesi V. Anthony** - Northcentral University, Arizona, USA; **Ziegler Bernard** - University of Berlin, Germany; **Yarvers Robin** - Association of Chartered Accountants of England and Wales, Great Britain; **Karmanska Anna** -Warsaw School of Commerce, Poland; **Lange Marie** - Federation of European Accountants and Auditors, Brussels, Belgium; **Mcgee v. Robert** - USA Fayetteville State University, USA; **Fischer Johann** - Bonn University, Germany; **Johnson R. Vincent** - Sainte-Marie University, USA.

შინაარსი CONTENT

ზურაბ ლიპარტია, დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა, ბესიკ შერაზადიშვილი
საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა
და აუდიტის რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები ---------- 7

Zurab Lipartia, David Jalagonia, Iuri Papaskua, Besik Sherazadishvili
PRIORITIES FOR IMPROVING ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING REGULATION IN GEORGIA --- 7

ნოდარ გრძელიშვილი, ლაურა კვარაცხელია
რეკრეაციული რესურსების რაციონალურად გამოყენების პერსპექტივა საქართველოში -- 13

Nodar Grdzelishvili, Laura Kvaratskhelia
PERSPECTIVES OF RATIONAL USE OF RECREATIONAL RESOURCES IN GEORGIA ---------- 13

გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე
პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია და
თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება ---------- 71

Guram Abesadze, Nodar Abesadze
DEMOCRATIC TRANSITION OF THE POLITICAL SYSTEM
AND FORMATION OF MODERN GEORGIAN NATIONAL IDENTITY---------- 71

ნოდარ დარსანია
პოლიტიკური ელიტის რეკრუტირებისა და
ცირკულაციის თავისებურებანი საქართველოში ---------- 80

Nodar Darsania
PARTICULARITIES OF RECRUITMENT AND CIRCULATION OF THE POLITICAL ELITE IN GEORGIA ------ 80

ირმა დიხამინჯია, თამარ ადეიშვილი
ლიდერობის როლური დიფერენციაცია და რისკისადმი მზაობა სტუდენტურ ჯგუფებში ---- 87

Irma Dikhaminjia, Tamar Adeishvili
LEADERSHIP ROLE DIFFERENTIATION AND RISK-TAKING IN STUDENT GROUPS ---------- 87

გიორგი ცაავა, ანზორ აბრალავა, ლევან გრიგალაშვილი, რატი ბურდიაშვილი, ვალერი მოსიაშვილი
პირდაპირი და ირიბი გადასახადების საგადასახადო
ტვირთის სამართლიანად გადანაწილების შესახებ ---------- 94

Giorgi Tsaava, Anzor Abralava, Levan Grigalashvili, Rati Burdiashvili, Valery Mosiashvili
"TAX" OF DIRECT AND INDIRECT TAXES ABOUT THE FAIR DISTRIBUTION OF THE BURDEN---------- 94

ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე
აგროდაზღვევა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები ---------- 103

Nato Kakakshvili, Khatuna Barbakadze
AGRO-INSURANCE IN GEORGIA: CHALLENGES AND PROSPECTS ---------- 103

დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე, დიანა უგლავა
სოფლის მოსახლეობის დასაქმების აქტუალური საკითხები ---------- 108

Dezdemona Maghlakelidze, Natela Vashakidze, Diana Uglava
CURRENT ISSUES OF RURAL EMPLOYMENT ---------- 108

ნათია კახნიაშვილი
ინკლუზიური ბიზნეს მოდელები და ქართული რეალობა ---------- 113

Natia Kakhniashvili
INCLUSIVE BUSINESS MODELS AND GEORGIAN REALITY ---------- 113

ბორის ჭიჭინაძე
რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები ---------- 118

Boris Tchitchinadze
TRENDS IN THE DEVELOPMENT OF THE NATIONAL ECONOMY OF GEORGIA AGAINST THE BACKGROUND OF THE ONGOING HOSTILITIES BETWEEN RUSSIA AND UKRAINE ---------- 118

დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე, დიანა უგლავა
მოგება და რენტაბელობა, როგორც წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლები ---------- 124

Dezdemona Maghlakelidze, Natela Vashakidze, Diana Uglava
PROFIT AND PROFITABILITY, AS INDICATORS OF ECONOMIC EFFICIENCY OF PRODUCTION ---------- 124

თინათინ ჭარხალაშვილი
სოციალურ-ემოციური განვითარება მოზარდობის ასაკში ---------- 130

Tinatin Tcharkhalashvili
SOCIAL-EMOTIONAL DEVELOPMENT IN ADOLESCENCE ---------- 130

კობა ბასილაია, ლაშა-გიორგი სიმონიშვილი-ჯაყელი
გადაზღვევის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში ---------- 135

Koba Basilaya, Lasha-Giorgi Simonishvili-Jakeli
DEVELOPMENT OF REINSURANCE MARKET IN GEORGIA ---------- 135

ლანა სულაკაძე
დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი ენერგეტიკაში ---------- 137

Lana Sulakadze
REGULATORY COST AUDIT RULES IN ENERGY SECTOR ---------- 137

იური პაპასქუა
ზურაბ ლიპარტიას „სტრატეგიული მენეჯმენტი“ - ახალი ტიპის სახელმძღვანელო სტუდენტებისა და მოქმედებებისთვის ---------- 142

სიახლე აუდიტორულ ბაზარზე: ქუდოსის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის საერთაშორისო ქსელი www.kudos-international.com ---------- 144

ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ! ---------- 145

ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS! ---------- 146

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები

ზურაბ ლიპარტია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსუ პროფესორი
https://orcid.org/ 0009-0003-2126-5673
Email: zlipartia@yahoo.com

იური პაპასქუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი
https://orcid.org/0000-0002-7849-2426
Email: papaskuaiuri@gmail.com

დავით ჯალაღონია
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-2022-8101
Email: dato.jalagonia@gmail.com

ბესიკ შერაზადიშვილი
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი, სტუ ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/ 0009-0007-9784-569X
Email: besik_geo@yahoo.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.01

რეზიუმე

ნაშრომი ეხება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეგულირების განვითარებას - ამ სფეროში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის პერსპექტივას.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ გარემოებებზე, რომლებიც თან სდევდა ფორმაციულ ცვლილებებთან დაკავშირებულ დარგში განხორციელებულ რეფორმებს. მათი აზრით, საბჭოური სისტემიდან მეურნეობრიობის მკვეთრად განსხვავებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, სირთულისა და გამოუცდელობის გამო, ხარვეზებიც გამოჰყვა. ახალი რეგულაციების მიღებიდან დაგროვილმა გამოცდილებამ გამოკვეთა მიმართულებები, რომლებიც შემდგომ დახვეწასა და დროის შესაბამის ახლებურ გადაწყვეტილებებს საჭიროებენ. რეფორმის განხორციელების წარმატებული სტარტის აშკარად დადებითი ტენდენციების მიუხედავად, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მართვის მოქმედი სისტემა, სერტიფიცირების დამკვიდრებული ნორმები და ზედამხედველობის სამსახურის სტატუსი უკვე არ იძლევა შემდგომი განვითარების შესაძლებლობას და შესაცვლელია.

სტატიაში წარმოდგენილია შესაბამისი არგუმენტები და მათგან გამომდინარე საყურადღებო მოსაზრებები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეგულირების შემდგომი სრულყოფის მიმართულებებზე.

საკვანძო სიტყვები: აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მართვის სისტემა, სერტიფიცირება, ზედამხედველობის სამსახურის სტატუსი.

ციტირებისთვის: ლიპარტია ზ., ჯალაღონია დ., პაპასქუა ი., შერაზადაშვილი ბ., საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 7-12.

PRIORITIES FOR IMPROVING ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING REGULATION IN GEORGIA

Zurab Lipartia
Doctor of Economic Sciences, Professor of Sukhumi State University
https://orcid.org/ 0009-0003-2126-5673
Email: zlipartia@yahoo.com

Iuri Papaskua
Academic Doctor of Economic Sciences, Professor of Sukhumi State University
https://orcid.org/0000-0002-7849-2426
Email: papaskuaiuri@gmail.com

David Jalagonia
Academic Doctor of Economic Sciences, Professor of Sukhumi State University
https://orcid.org/0000-0003-2022-8101
Email: dato.jalagonia@gmail.com

Besik Sherazadishvili
Academic Doctor of Public Administration, Georgia Technical University, Associate Professor
https://orcid.org/ 0009-0007-9784-569X
Email: besik_geo@yahoo.com

RESUME

The paper deals with the development of accounting, reporting and auditing regulation in Georgia - the problems in this field and the perspective of their solution.

The authors focus on the circumstances that followed the reforms in the field related to formative changes. According to them, the transition from the Soviet system to the sharply different market relations of farming, due to the complexity and inexperience, also resulted in shortcomings. The accumulated experience since the adoption of the new regulations

has highlighted directions that require further refinement and new solutions appropriate to the time. Despite the clearly positive trends of the successful start of the reform implementation, the current system of quality management of audit activity, the established norms of certification and the status of the supervision service no longer provide the opportunity for further development and need to be changed.

The article presents the relevant arguments and the important considerations arising from them on the directions of further improvement of accounting, reporting and audit regulation in Georgia.

Key words: audit activity quality management system, certification, status of supervision service.

For citation: Lipartia Z., Jalaghonia D., Papaskva I., Sherazadashvili B., Priorities of perfecting the regulation of accounting, reporting and auditing in Georgia, Journal "Business and Legislation", No. 1, 2023 p. 7-12,

ძირითადი ტექსტი

კერძო საკუთრებით ურთიერთობებზე ბუღალტრული აღრისხვისა და ანგარიშგების სისტემის გადაწყობა, აგრეთვე აუდიტური საქმიანობის დამკვიდრება გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში, საბჭოური მმართველობის ტრანსფორმაციული პროცესების დასაწყისს უკავშირდება.

თავისუფლების დეკლარირების პირველსავე დღიდან ეკონომიკურ ურთიერთობებში გაჩნდა სხვადასხვა სახის რისკები და სოციალისტური მეურნეობრიობისთვის უჩვეულო ისეთი ახალი მოვლენები, როგორიცაა პროდუქციის რეალიზაციის შეფერხებები, ფასების მერყეობა, ინფლაციური ზიგზაგები, სავალუტო ოპერაციები, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებები, ფასიანი ქაღალდები, ინვესტიციები, მოძრავი და უძრავი ქონების ბაზარზე საქმიანი გარიგებები, საწარმოთა საქმიანობის საბოლოო შედეგებით მესაკუთრეთა ინტერესები და ა.შ. ბიუჯეტურ დაფინანსებასა და სახელმწიფო დაკრედიტებას ჩაენაცვლა საწარმოს ფინანსური რესურსების სხვა წყაროები. მოთხოვნადი გახდა ინფორმაციის სანდოობა, სისრულე და გამჭვირვალობა.

სახალხო საკუთრების სოციალისტური სახელმწიფო მმართვლობის მოთხოვნებზე სრულად მორგებული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა იმდენად განსხვავდებოდა საბაზრო ურთიერთობებთან თავსებადი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტური საქმიანობის დასავლური მოდელისგან, რომ ერთიდან მეორეზე გადასვლა რთული და წინააღმდეგობებით სავსე აღმოჩნდა. ამასთან, პროცესს თან სდევდა გამოუცდელობა, ხარვეზები და შეცდომები.

სირთულეები და სავალალო შედეგები განაპირობა ეგრეთ წოდებულმა „შოკურმა თერაპიამ" - წინამორბედი წყობის ნორმატიული ბაზის გამოყენებაზე ხელაღებით უარის თქმამ, ჩასანაცვლებელი შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და პრაქტიკის წინასწარი მომზადების გარეშე, პირდაპირ ახალი მოთხოვნების დაწესებამ.

ამ პროცესის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევაც გაიწელა - „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" პირველი კანონი საქართველომ 1995 წლის 7 თებერვალს მიიღო [1], ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" კანონი კი - 1999 წლის 5 თებერვალს [2].

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონით განისაზღვრა საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განხორციელების სამართებლივი საფუძვლები და აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების წესები.

აუდიტორული საქმიანობის რეგულირება დაეკისრა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" კანონი მიზნად ისახავდა: საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას; ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირებისა და თვითღირებულების სფეროების განსაზღვრას; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას; ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შექმნას.

ამ კანონმა კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება თვითრეგულირებას დაუქვემდებარა და მის განვითარებაზე პასუხისმგებლობა კერძო სამართლის სუბიექტს, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრ პროფესიულ ორგანიზაციას, საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (ბაფ-ს) დააკისრა. კანონმა სავალდებულო სახელმძღვანელოდ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები აღიარა - ყველა საწარმო, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის და მოცულობის მიუხედავად, ვალდებული იყო აღრიცხვა-ანგარიშგება ამ სტანდარტის შესაბამისად ეწარმოებინა.

ორივე კანონის მიზნებისთვის, საქმიანობის წარმართვა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით უნდა განხორციელებულიყო, თუმცა ქართულ ენაზე თარგმნილი და სამოქმედოდ მიღებული ასეთი სტანდარტები, აგრეთვე სხვა საცნობარო დოკუმენტები თუ ინსტრუმენტები, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

ცხადია, რომ აუდიტორული საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების საკანონმდებლო ბაზაში მოქცევა წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ორივე დარგში ახალი ფორმაციული მოდელის შესაბამისი წესრიგის დამყარებას ემსახურებოდა. მაგრამ რეგულირების გაცხადებული სფეროდან და მიზნებიდანაც ჩანს, მუხლობრივი ანალიზიდან კი ნებისმიერი საქმისმცოდნე დაინტერესებული პირი შენიშნავს, რომ ამ კანონებს არ შეეძლო კერძო საკუთრებით ურთიერთობზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის დასავლეთში აღიარებული პრინციპების შესაბამისად რეგულირება, მით უფრო, ინფორმაციის შესადარისობის, სანდოობის, სისრულის, გამჭვირვალობის მიმართ მომხმარებლების მუდმივად მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მიღებული კანონები, მანამდე

განხორციელებული ღონისძიებები და გარდამავალი გადაწყვეტილებები არ ითვალისწინებდნენ დარგის ფუნქციონირებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი ხარისხის ან მომსმარებელთა სხვა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ელემენტებს.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ აღიარება და ფაქტობრივად, მისი გამოცხადება ეროვნულ სტანდარტებად, რაციონალური გადაწყვეტილება იყო. მაგრამ საერთაშორისო სტანდარტები, თავისი ზოგადი დებულებების გამო, გაუცნობიერებელ მომხმარებელს არ უქმნის მათი პირდაპირ გამოყენების კომფორტს. სტანდარტებთან ერთად, აუცილებელი ხდება სამოქალაქო, საგადასახადო, საბანკო, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ნორმატიულ აქტებთან თავსებადი, დახვეწილი ინსტრუქციულ-მეთოდური მასალების შექმნა და დანერგვა. სამწუხაროდ, ასეთი ინსტრუქციულ-მეთოდური დოკუმენტების დეფიციტი ახლაც სახეზეა, მით უფრო, ფორმაციული გარდაქმნების საწყის ეტაპზე, მათ შექმნაზე არავის უზრუნვია. ამიტომაც, ნაჩქარევი, მოუმზადებელი, არაშესაფერისი რეგულაციების დაწესების გამო, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული საქმიანობა ვერ ასრულებდა არსობრივ დანიშნულებას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველომ 1995 წლიდან შემოიღო საგადასახადო კოდექსი. ამ აქტმა საგადასახადო მიზნებისთვის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის ავტონომიური ნორმები დააწესა. ამასთან, გადასახადების ადმინისტრება უკიდურესად გაამკაცრა. გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე დაწესებული მკაცრი პასუხისმგებლობის (ჯარიმები, სანქციები, ქონებაზე ყადაღის დადება, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა) შიშის გამო, ეკონომიკური სუბიექტები საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას ანიჭებდნენ უპირატესობას, რამაც ერთობლიობაში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, ფაქტიურად, გამოუყენებელი გახადა [3]. მათ მიმართ ინფორმაციის გარე და შიდა მომხმარებლებიც უნდობლობას ავლენდნენ.

ეკონომიკის ინტეგრაციული განვითარებისა და გლობალიზაციის გარდაუვალობა მოითხოვდა შესაბამის გარდაქმნებს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირების ახალი ინსტიტუციური მოწყობის შემოღებას.

2000-იანი წლების დასაწყისში რევოლუცირ ტალღაზე მოსულმა ხელისუფლებამ სცადა თავისი მმართველობის ხელწერისთვის დაექვემდებარებინა სააღრიცხვო და აუდიტორული საქმიანობაც.

რამდენიმე პროექტი, რომელიც საქმიანი წრეებისთვის მხარდასაჭერად იყო შეთავაზებული, კერძო ინტერესების გავლენებს გამოხატავდა, მონოპოლიურ და კონკრეტული კერძო სამართლის სუბიექტისთვის ხელოვნურად ხელშეწყობის ნიშნებს შეიცავდა, რამაც პროექტის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება და სპეციალისტთა შორის დაპირისპირება გამოიწვია. პროფესიაში მოღვაწე აქტორების არგუმენტირებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დაინტერესებულმა წრემ პროექტი მაინც გაიტანა და 2012 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ბოლო სასესიო სხდომაზე დაჩქარებული წესით მიიღო საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ [4]. ამ აქტის მიღებით, გაუქმდა წინამორბედი კანონები, აგრეთვე ადრემოქმედი ყველა სხვა ინსტიტუციური იერარქია, ერთ რეგულაციაში მოექცა ეს ორი მიმართულება და ორივე სფერო თვითრეგულირებას (ბაფ-ის განმგებლობას) დაექვემდებარა.

კერძო სექტორში არსობრივად განსხვავებული ამ ორი სფეროს, ერთი რეგულაციის ქვეშ მოქცევამ და თვითრეგულირებაზე გადაყვანამ, უარყოფითი უკურეაქცია და სახიფათო გვერდითი მოვლენები წარმოშვა. კანონმა გაუმართაობის, წინააღმდეგობრივი დებულებებისა და მასში არსებული ხარვეზების გამო, ვერ იმუშავა. მეტიც, მან განვითარების, ან ამ პროცესისადმი თუნდაც ხელშეწყობის ნაცვლად, ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტურ საქმიანობაში სრული განუკითხაობა, განვითარებაში, სულ ცოტა, 3-წლიანი შეფერხება გამოიწვია [5, 6].

აკადემიურ და პროფესიონალთა წრეებში იმთავითვე აცნობიერებდნენ, რომ ეს კანონი წარუმატებელი იქნებოდა თუნდაც იმის გამო, რომ წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივებთანაც.

მოგვიანებით, მას აქეთ, რაც საქრთველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას [7] მოეწერა ხელი, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თაობაზე აღებულმა ვალდებულებებმა, აგრეთვე პროფესიის განვითარებით დაინტერესებული პირთა წრის მეცადინეობით, შესაძლებელი გახდა დარგში რეფორმებისთვის უფრო კონსტრუქციული, განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულების მიკუთვნება, რაც, საბოლოოდ, 2016 წლის ივნისის დასაწყისში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ [8] ახალი კანონის მიღებით აღინიშნა.

ბევრ სხვა სიახლეთა შორის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონმა განსაზღვრა საწარმოთა ზომითი კატეგორიები, დაადგინა მათთვის სავალდებულოდ გამოსაყენებელი სტანდარტები, შესაბამისი ანგარიშგებების მომზადების, წარდგენისა და გამოქვეყნების წესები, მათ შორის, აუდიტის ჩატარების ვალდებულება; შემოიღო აუდიტორთა ერთიანი რეესტრი, განისაზღვრა რეგისტრაციის სერტიფიცირების, განგრძობითი სწავლების, ხარისხის მონიტორინგის ჩატარების ნორმები; აუდიტორთა კერძო სექტორში თვითდინებაზე მიშვებული დარგის სამართლებრივი რეგულირება და აღსრულებაზე ზედამხედველობაც სახელმწიფომ იტვირთა. დაადგინა პროფესიული ორგანიზაციების სტატუსი და მათი კომპეტენციის ფარგლები; შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რაც იმ ეტაპზე, ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობის, დაფინანსების საკითხების რაციონალური გადაწყვეტისთვის, სწორი გადაწყვეტილება იყო. საქართველოშიც, ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ პა-

რტნიორობის სხვადასხვა ქვეყნებში (ალბანეთი, სერბეთი, მონტენეგრო, ხორვატია, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, და სხვა), ზედამხედველობის ფუნქცია, ფინანსური მართვისა და კონტროლის, მენეჯერული ანგარიშვალდებულებისა და შიდა აუდიტის განვითარება/შეფასებაზე პასუხისმგებლობა ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა.

ცალკეული ხარვეზებისა და ჯერ კიდევ დასახვეწი დებულებების მიუხედავად, აღნიშნული კანონის მიღება ძველი პრაქტიკის დაგმობა და მენტალურად განსხვავებული რეფორმების ახალი ტალღის დასაწყისი იყო. მასში ასახული მარეგულირებელი დებულებები ძირითადად შეესაბამებოდა ევროკავშირის მოდელს. ამ მხრივ, საქართველომ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებს გაუსწრო და სანიმუშო შედეგებს მიაღწია. თუმცა შემდგომ, კანონის პარქტიკასთან ადაპტირებამ, ცნობადობის ამაღლებამ, დაგროვილმა გამოცდილებამ და განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, რომ რეგულაციით მოცული ცალკეული დებულება დახვეწას მოითხოვს, რამდენიმე საკითხი, ვითარების შესაბამისად, ახლებურ აღქმას საჭიროებს. მათ შორის, სავალდებულო აუდიტისა და აუდიტორების საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემის, სერთიფიცირების პრაქტიკისა და ზედამხედველობის სამსახურის სტატუსის სრულყოფაზე აქტიური მოქმედებები დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. გამოწვევები, რომლებიც დროის გამოცდამ ამ მიმართულებებით გამოკვეთა, დაძლევადია და გადაწყვეტას ექვემდებარება [9].

„ხარისხის კონტროლის სისტემაში იგულისხმება **გარე მონიტორინგი,** რომელსაც ზედამხედველი ორგანო ახორციელებს და **ხარისხის მართვა ფირმის დონეზე** - აუდიტორული კომპანიის ფარგლებში. ისინი ერთიანი სისტემის ურთიერთგანმაპირობებელი ნაწილები არიან. თუმცა გარე მონიტორინგის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრაქტიკა უკვე არსებობს და ხორციელდება, ხოლო საქართველოს მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის მართვა, როგორც აუდიტორული მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნების უზრუნველყოფის მთავარი საწინდარი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპს გადის. ამიტომაც შედეგები სასურველზე დაბალია. კომპანიაში ხარისხის მართვის დამკვიდრების პროცესის ხანგრძლიობას ორგანიზაციული და გამოცდილებითი რესურსების ნაკლებობა განაპირობებს“ [10].

სავალდებულო აუდიტისა და აუდიტორების საქმიანობის ხარისხის მნიშვნელობის ვრცელი არგუმენტირება საჭირო არაა - მომხმარებლებისთვის უკვე ისედაც ცნობილია მისი აუცილებლობა და ზოგადეკონომიკური სარგებელი. დროის გამოცდამ ნათელი გახადა ისიც, რომ მომხმარებლის ნდომის ამაღლების მთავარი პროდუქტი იქმნება არა სხვაგან, არამედ აუდიტორულ კომპანიაში და მიღწევადია მხოლოდ გარიგების გუნდის მიერ აუდიტორული მომსახურების კვალიფიციურად ჩატარებისა და ამ პროცესზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ეფექტიანი ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობის შემთხვევაში.

ქართულ აუდიტორულ ბაზარზე დომინანტი როლი (85 %) დიდი ოთხეულისა და საერთაშორისო ქსელის კომპანიებს უჭირავს. მათთან ხარისხის კონტროლის სისტემა მრავალწლიანი გამოცდილების, სათავო ოფისებიდან მიღებული დირექტივებისა და ინსტრუქციების, ხარისხის კონტროლის სტრუქტურისა და მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინის მეშვეობით, ერთობლიობაში, მეტ-ნაკლებად გამართულია. ქართულ მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში კი ხარისხის მართვა, როგორც აუდიტორული მომსახურების მომხმარებელთა ნდობის ამაღლების გარანტი, ახლა ჩამოყალიბების ეტაპს გადის და დასაქმებულთა მცირე რაოდენობის, კვალიფიციური კადრების დეფიციტის, მწირი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების, დაბალი ანაზღაურების, აგრეთვე მრავალწახნაგა სხვა ფაქტორების გამო, ჯერ კიდევ დაბალია. თავის მხრივ, ასეთი ვითარება განპირობებულია სტანდარტების ზოგადი ხასიათით. მათში არ ჩანს კონკრეტიკა, თუ რა ფორმით ან რა სახით უნდა მართოს კომპანიამ აუდიტორული მომსახურების ხარისხი. მცირე აუდიტორულ კომპანიებს სანიმუშო სახელმძღვანელოები არ გააჩნიათ.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, რომელსაც ზედამხედველი ორგანო ახორციელებს, მცირე აუდიტორულ კომპანიებშიც ისეთივე მოთხოვნებით ტარდება, როგორც ეს დომინანტ კომპანიებში. ყურადღება მახვილდება და ხარვეზებად ფიქსირდება ჩატარებულ პროცედურებზე დოკუმენტების გაფორმებითი (მსჯელობებზე საოქმო ჩანაწერების არ გაკეთების და სხვა ამგვარი) ხასიათის შენიშვნები, რომელიც ხარისხის შემადგენელია, თუმცა არაპროდუქტიული, ფორმალისტური ხასიათისა და აუდიტორის საბოლოო მოსაზრების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. აქედან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგები ზომაზე მკაცრია. ასეთი მიდგომების გამო, ქართულ აუდიტორულ კომპანიებს ისედაც შეზღუდული ბაზრიდან გარიყვის საფრთხე ემუქრებათ. არაა გამორიცხული, აქ ბაზარზე მოქმედ აქტორთა ჩამოშორების ფარული ინტერესებიც მოქმედებდეს, რაც ერთიანობაში ეკონომიკის განვითარების პერსპექტივისა და ადგილობრივი კადრების დასაქმების მიზნებისთვის არ არის გამართლებული. ამიტომ ქართული აუდიტორული კომპანიების შენარჩუნება-ხელშეწყობა სახელმწიფოსა და პროფესიული ორგანიზაციების ერთობლივი ზრუნვის პრიორიტეტად უნდა იქცეს. უპირველესად კი, მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული კომპანიებისათვის ხარისხის შემოწმებაზე პროპორციული მოთხოვნა უნდა დაწესდეს და მათთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური მეთოდოლგია. ჩამოყალიბებული რთული სიტუაციიდან გამოსავლია აგრეთვე: აუდიტორული კომპანიებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის კონტროლის საკუთარი კონცეფციის შესაქმნელი და საქმიანობაში გამოსაყენებელი უფრო დეტალური გზამკვლევისა და სიტუაციური მითითებების მიწოდება; განმარტებებისა და კომენტარების მომზადება; სწავლებებისა და სემინარების ორგანიზება; აგრეთვე ახალ გამოწვევასთან დაკავშირებული კვალიფიციური კვლევების ჩატარება, შრომებისა და სტატიების გამოქვეყნება [11].

აუდიტორთა სერტიფიცირების შემოღება დარგში

განხორციელებული რეფორმის აქტუალური შემადგენელია. მისი აუცილებლობის მნიშვნელობა თაობათა ცვლის გარდაუვალობას, მომავლის პერსპექტივას უკავშირდება. კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ზედამხედველობის სამსახურმა 2017 წლის 25 სექტემბრის №6-16 ბრძანებით დაამტკიცა „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესი“ [12], რომლის თანახმადაც პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია და ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებულია შესაბამისი პროგრამები. მაგრამ აღნიშნული თარიღიდან გასული დროის მიუხედავად, აუდიტორთა კორპუსს სერტიფიცირების დამტკიცებული პროგრამის გავლით არ შემატებია არც ერთი აუდიტორი. მათ რიგებს კი გარდაცვალების, სამსახურეობრივი პოზიციის შეცვლის, მონიტორინგის შედეგებით კატეგორიის არ მინიჭების და სხვა პატივსადები მიზეზების გამო, უკვე ბევრი გამოაკლდა. მათი შევსება და ან ახლით ჩანაცვლება არ ხდება და კვალიფიციურ აუდიტორთა დეფიციტი უკვე აშკარად შესამჩნევ პრობლემად ყალიბდება. ზედაპირული ანალიზითაც კი მისახვედრია, რომ სერთიფიცირების პროგრამა გამართულად ვერ მუშაობს, რაც საგამოცდო პროცესის სირთულის, საკითხის არარაციონალური გადაწყვეტის, მოტივაციის დაბალი დონითაც და ფაქტორთა ერთობლიობითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, მიზედშედეგობრივი კავშირის ყველა ეს ვერსია გულდასმით გადამოწმებას საჭიროებს და შედეგების შესაბამისად სერტიფიცირების მოქმედი რეგულაცია გადასინჯვას უნდა დაექვემდებაროს.

აღნიშნული და ახალი რეგულაციების შემოღების შემდგომ გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის გაჭიანურების მიზეზები კონცენტრირდება ზედამხედველობის სამსახურის სტატუსთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას და მისი შენახვის ხარჯები მთლიანად ფინანსირდება ბიუჯეტიდან. სამსახური პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე. სამსახურთან არსებობს საბჭო, რომელიც არის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო. საბჭო შედგება 7 წევრისაგან. აქედან, ოთხი ნომენკლატურული წევრია, თითო წევრი პროფესიული ორგანიზაციებიდან, ბიზნესასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან. სამსახურს აქვს ვრცელი უფლებები - იღებს და გამოსცემს კანონქვემდებარე აქტებს, თუმცა მასში გამოკვეთილი არ არის. მარეგულირებელი ფუნქცია. მარეგულირებლად მოიაზრება სახელმწიფო შესაბამისი ინსტიტუტებით. სამსახურს უპირატესად ზედამხედველობის ვალდებულება აკისრია.

ზედამხედველობის სამსახურის ყველაზე სუსტი შემადგენელი ეს საბჭოა. მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები შეზღუდულია. ზედამხედველობის სამსახურის აღმასრულებელი ნაწილი უფრო აქტიურად მოქმედებს, ხოლო საბჭოს, მისი უპირატესად ნომენკლატურული შემადგენლობის გამო, მორჩილი შემსრულებლის ფორმალური დატვირთვა აქვს. ამიტომაც ზედამხედველობის სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალიან დაბალია.

ცნობილია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა წევრ სახელმწიფოს ჩამოაყალიბონ აუდიტის საჯარო ზედამხედველობის დამოუკიდებელი სისტემები. საქართველოც, როგორც ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მხარე და ევროგაერთიანებაში გაწევრიანების პერსპექტივის მქონე ქვეყანა, ვალდებულია მოახდინოს კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია, დაიცვას დირექტივები და თამაშის საერთო წესები. მსოფლიო მასშტაბით აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში რეგულირების იდენტურობის ასეთი მოთხოვნილება ობიექტური გარემოებებითაა განპირობებული, დიდი ხნის წინ დაიწყო და დღესაც აქტუალურია.

ზედამხედველობის სამსაზურის მოქმედი სტატუსი - სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, სრულად არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ კურსს, რამდენადაც იერარქიული მორჩილების მკაცრ სახელისუფლებო სტრუქტურაში დამოუკიდებლობის სათანადო დოზის შენარჩუნება ისედაც ვერ ხერხდება. მით უფრო, ზედამხედველობის სამსახურის სტრუქტურული მოწყობაც არ იძლევა დამოუკიდებელი მოქმედებების შესაძლებლობას. ამასთან, თითქმის შვიდწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ეს ორგანო მთლიანად დამოკიდებულია სახელისუფლებო გუნდის გადაწყვეტილებებზე, იზღუდება ინიციატივებსა და ოპერატიულობაში, რაც აჩენს მის მიმართ დაინტერესებული მხარეების არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის ამოქმედების პირველ წლებში ზედამხედველობის სამსახურის სამთავრობო სტრუქტურაში ინტეგრირება გამართლებული თუ იყო, დღევანდელ ვითარებაში მისი სტატუსი უკვე ვერ პასუხობს მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიღების დროის შესაფერის მოთხოვნებს.

საქვეუწყებო დაწესებულებიდან დამოუკიდებლობისკენ განვითარების პერსპექტივა წარსულის გამოცდილებითაა მოტივირებული. წლების განმავლობაში აუდიტის პროფესია ძირითადად თვითრეგულირებადი იყო. თუმცა მსხვილი კორპორაციების არაერთმა გახმაურებულმა გაკოტრებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გარე აუდიტის მნიშვნელობა, აუდიტის პროცესის მიუკერძოებლობა და თვითრეგულირების პრაქტიკის ეფექტიანობა. საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად და კორპორატიული ფინანსური ანგარიშგებისადმი ნდობის აღდგენის მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო აუდიტორული საქმიანობის დამოუკიდებელი ზედამხედველობა და კონტინენტურ ევროპაშიც სწრაფად გავრცელდა, რაც დღეს უკვე შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და მოლოდინებს.

სხვადასხვა ქვეყნაში (კანადის, საფრანგეთის, ფინეთის, გერმანიის იაპონიის, ნიდერლანდების, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის, ინდონეზიის, პოლონეთის, სინგაპურის, სლოვენიის ბრიტანეთის, ამერიკის

შეერთებული შტატების) საჯარო ზედამხედველობის ორგანოების ფუნქციონირების ანალიზიდან [13] ირკვევა, რომ მათში ზედამხედველობითი ფუნქციას ასრულებენ, როგორც სახელმწიფო ორგანოები, ასევე პროფესიული ორგანიზაციები. ადგილი აქვს ცალკეულ საკითხებში სახელმწიფო ფუნქციის დელეგირებას ან ხორციელდება შერეული ტიპის რეგულირება. განსხვავებას იწვევს ეკონომიკის განვითარების დონე, სხვა ქვეყნების გავლენა, დამკვიდრებული ტრადიციები, პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა. აბსოლუტური იდენტურობის მიღწევა შეუძლებელია. მაგრამ ამ ქვეყნებში საერთო ისაა, რომ მარეგულირებელ-ზედამხედველი ორგანოები მთლიანად დაცულნი არიან გარე ჩარევებისა და სახელმწიფო ორგანოების გავლენისაგან. მათ აინტერესებთ პროფესიის განვითარება და სიახლეები.

საქართველოს რეალობისთვის მისაღებია სამთავრობო უწყებიდან გავიდეს და **„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ"** კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის ინსტიტუტის სახით ჩამოყალიბდეს მარეგულირებელ-ზედამხედველის ფუნქციის მატარებელი სტრუქტურა, რომელსაც არ ეყოლება სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო და დამოუკიდებელი იქნება სახელმწიფო ორგანოებისგან. ასეთი სტრუქტურის ჩამოყალიბება რთულია და სავარაუდოდ, დროში გაიწელება. ამიტომ შუალედური ვარიანტად შესაძლებელია, არსებული დაქვემდებარების ფარგლებში, საბჭოს შეეცვალოს ფუნქციები, განთავისუფლდეს ნომენკლატურული წევრებისგან და აღიჭურვოს რეალური უფლებებით.

განსახორციელებელ ცვლილებებზე პროფესიულმა საზოგადოებამ მოსაზრებები უნდა შეაჯეროს და განთავისუფლდეს უწყებრივი მორჩილებისგან.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, გვაქვს საფუძველი შევჯერდეთ მასზედ, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში რეფორმები უნდა გაგრძელდეს. განვითარების პერსპექტივა მოითხოვს, რომ წარმატებული სტარტის შემდეგ გამოვლენილი ხარვეზები დაექვემდებაროს გამოსწორებას, ცალკეული საკვანძო საკითხები კი დროის მოთხოვნათა შესაბამისად ახალებურად გადაწყდეს. მრავალთა შორის, აუდიდის წარმოების ხარისხზე რეაგირება, აუდიტორთა სერტიფიცირების, აგრეთვე საკუთრივ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სტატუსი საჭიროებს გადასინჯვას.

ზედამხედველობის სამსახურის ახალი სტატუსისთვის დაფინანსების, ანგარიშვალდებულების, სტრუქტურისა და ფუნქციონირების სხვა აქტუალურ საკითხებზე არსებობს საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილება, რომლისგან საქრთველოსთვის მისაღები რეგულაციების გადმოღებაზე პროფესიულ წრეებში მსჯელობები აქედანვე უნდა დაიწყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ", თბილისი, 1995 წლის 7 თებერვალი, №623_IIს;

2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ", თბილისი, 1999 წლის 5 თებერვალი, №1796-IIს;

3. ანა ოსიყმაშვილი, ხარისხის კონტროლის პრაქტიკა და პრობლემები მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2022 წლის №1, გვ. 73-78;

4. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის" შესახებ, თბილისი, 2012 წლის 29 ივნისი, №6598-რს;

5. იური პაპასქუა, აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება საქართველოში - გაუნაწილებელი გავლენის სფერო თუ შეგნებული არაკომპეტენტურობა, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2015 წ. იანვარ-მარტი, No1, გვ. 8-18, b-k.ge;

6. იური პაპასქუა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თვითრეგულირება - კანონის მონოპოლიური მეტასტაზები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2013 წლის ივნისი, გვ.30-36, b-k.ge;

7. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის";

8. საქართველოს კანონი „ბუღლტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ", 8 ივნისი 2016 წ. N5386-I;

9. Jalagonia D., Papasqua I., Giorgidze B., Osikmishvili A., Organizational challenges of new quality management regulations in auditing companies and the perspective of overcoming them, Materials of the VIII International scientific-practical conference "Prospects for the development of modern science", Goyang, South Korea, March 8-10, 2023 Volume I pp. 37-46;

10. ოსიყმიშვილი ა., ხარისხის კონტროლის პრაქტიკა და პრობლემები მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2022 წ. ივნისი-დეკემბერი, №2, გვ.73-78, b-k.ge;

11. დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა, ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირების ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციაში, ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, 2017 წ. №4, სექტემბერ-დეკემბერი, გვ. 5-10, b-k.ge;

12. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის No6-16 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესი";

13. Всемирный банк: Системы общественного надзора и обеспечения качества, Международный опыт и ключевые соображения для Казахстана, Институциональная структура, функции, кадри и финансирование, Казахстан, 2020 г.

რეკრეაციული რესურსების რაციონალურად გამოყენების პერსპექტივა საქართველოში

ნოდარ გრძელიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
https://orcid.org/0000-0002-2263-4472
E-mail: regioni.ge@yahoo.com

ლაურა კვარაცხელია
ქიმიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
https://orcid.org/0000-0002-9373-2790
E-mail: kvaratskhelia1942@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.02

რეზიუმე

ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ საბაზო რესურსებს, რომელთა გამოყენება შეიძლება საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საწარმოო ძალების განვითარების გარკვეული დონის არსებობის პირობებში.

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია შეიცავს მიწის, ნიადაგის, კლიმატურ, მინერალურ, წყლის, ტყის, რეკრეაციულ ჯგუფებს. ბუნებრივი რესურსები აღდგენისა და ხარჯვის შესაძლებლობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: მინერალური ნედლეულის ამოწურვადი არაგანახლებადი ნედლეული, ამოწურვადი განახლებადი ბიოლოგიური რესურსები და ამოუწურავი.

რესურსების სამეურნეო კლასიფიკაციის მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას წარმოადგენს მათი ერთმიზნობრივად და მრავალმიზნობრივად გამოყენება.

იმისათვის, რომ გაიზარდოს რესურსული ბაზის გამოყენების ეფექტიანობა, აუცილებელია არსებული ბუნებრივი რესურსების მარაგების ობიექტური შეფასება, მათი მზოგავი და რაციონალური ხარჯვა, ნაკლებად მოთხოვნადი და დაბალეფექტიანი გამოყენბის რესურსების გამოვლენა, ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლა.

საქართველო ფლობს მნიშვნელოვან ტურისტულ პოტენციალს. თუმცა ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ტერიტორიების განვითარების ისტორიული წინაპირობები, მათი ინდუსტრიული განვითარების დონე, ტურიზმის განვითარების პოტენციალი და რეგიონების ტურისტული სპეციალიზაცია განსხვავებულია.

ტურიზმი ხელს უწყობს ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას, მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების შექმნას და შენარჩუნებას, სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაციული რესურსები, ტურიზმი, კურორტების კლასიფიკაცია, კომპლექსური შეფასების მეთოდიკა.

ციტირებისთვის: გრძელიშვილი ნ., კვარაცხელია ლ., რეკრეაციული რესურსების რაციონალურად გამოყენების პერსპექტივა საქართველოში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 13-70.

PERSPECTIVES OF RATIONAL USE OF RECREATIONAL RESOURCES IN GEORGIA

Grdzelishvili Nodar
Doctor of economics,
Georgian Technical University The Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia-main Researcher;
https://orcid.org/0000-0002-2263-4472
E-mail: regioni.ge@yahoo.com

Kvaratskhelia Laura
Doctor of chemistry,
Georgian Technical University The Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia-main Researcher.
https://orcid.org/0000-0002-9373-2790
E-mail: kvaratskhelia1942@gmail.com

RESUME

Natural resources are basic resources that can be used to meet the needs of society, provided there is a certain level of development of productive forces.

Classification of natural resources includes land, soil, climatic, mineral, water, forest, recreational groups. Natural resources are divided into three groups according to the possibility of restoration and consumption: mineral raw materials exhaustible non-renewable raw materials, exhaustible renewable biological resources and inexhaustible.

An important feature of the economic classification of resources is their use, both single-purpose and multi-purpose.

In order to increase the efficiency of the use of the resource base, it is necessary to objectively assess the available natural resources, their economical and rational use. It is necessary to identify the resources that are used less and less effectively, and to switch to alternative use of resources as much as possible.

Georgia has significant tourism potential. However, different natural and climatic conditions, historical prerequisites for the development of territories and their level of industrial development, tourism development potential and tourism specialization of regions are different.

Tourism contributes to increasing the effectiveness of the existing material and technical base of the tourist-recreational complex, creating and maintaining jobs in the service sector, and increasing state and local budget revenues.

Key words: recreational resources, tourism, classification of resorts, complex assessment methodology.

For citation: Grdzelishvili N., Kvaratskhelia L., Perspectives of rational use of recreational resources in Georgia, Journal - "Business and Legislation", No. 1, 2023. p. 13-70.

1. რეკრეაციული რესურსების არსი, სახეობები და თავისებურებები

1.1 ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია

ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ საბაზო რესურსებს, რომელთა გამოყენება შეიძლება საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საწარმოო ძალების განვითარების გარკვეული დონის არსებობის პირობებში.

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია შეიცავს მიწის, ნიადაგის, კლიმატურ, მინერალურ, წყლის, ტყის, რეკრეაციულ ჯგუფებს. ბუნებრივი რესურსები აღდგენისა და ხარჯვის შესაძლებლობის მიხედვით იყოფა შემდეგ სამ ჯგუფად:

- **მინერალური ნედლეულის ამოწურვადი არაგანახლებადი ნედლეული.** მიწის ქერქში მრავალი მილიონი წლის განმავლობაში წარმოქმნილი რესურსების მარაგები მოიპოვება და იხარჯება წარმოებაში ათწლეულების პერიოდში;
- **ამოწურვადი განახლებადი ბიოლოგიური რესურსები -** მაგალითად: ტყის, თევზის. მათ გააჩნიათ თვითაღდგენის უნარი, ადამიანის დახმარებით შესაძლებელია კვლავწარმოება, თუმცა, გადამეტებული ექსპლუატაციის შედეგად, ამოწურვადი რესურსები შეიძლება გამოილიოს და მთლიანად გაქრეს;
- **ამოუწურავი** - წყალი, ჰაერი, ნიადაგი. გაჭუჭყიანების შედეგად მათ შეიძლება დაკარგონ ბუნებრივი თვისებები და დაბინძურდნენ.

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური კლასიფიკაცია ემყარება მათ გამოყენებას სამეურნეო სფეროებსა და დარგებში. ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფენ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო რესურსებს და არასაწარმოო სფეროს რესურსებს (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია ეროვნული მეურნეობის დარგებში გამოყენების მიხედვით

ეროვნული მეურნეობის დარგები	**რესურსების სახეობები**
სამრეწველო	- საწვავის; - ენერგეტიკული; - მეტალური (ლითონური); - აგროქიმიური; - სამშენებლო; - წყლის; - ტყის ნედლეულის და სხვ.
სასოფლო-სამეურნეო	- ნიადაგობრივი - მიწის, მათ შორის სახნავები და საძოვრები; - სარწყავი წყლები; - ვეგეტაციის პერიოდის ნალექებისა და ტემპერატურების ჯამური რაოდენობა; - სარეწაო ცხოველები და სხვ.
არასაწარმოო სფეროს რესურსები	- წყალსატევები და მათი გამოყენება მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; - ტყეები ქალაქების ირგვლივ და ბუნებისდაცვითი; - რესურსები ადამიანების დასვენებისა და გაჯანსაღებისთვის; - რესურსები სპორტული ნადირობისა და მეთევზეობის და სხვ.

რესურსების სამეურნეო კლასიფიკაციის მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას წარმოადგენს მათი გამოყენება, როგორც ერთმიზნობრივად, ასევე მრავალმიზნობრივად. **ერთმიზნობრივი** გამოყენების რესურსებს მიეკუთვნება მინერალური წიაღისეული - მადნები, ენერგიის წყაროები, რომლებიც საჭიროა სამრეწველო ნედლეულის, საწვავის, სითბური და ელექტრო ენერგიის საწარმოებლად; **მრავალმიზნობრივი** გამოყენების რესურსებს განეკუთვნება ტყის, სასოფლო-სამეურნეო, რეკრეაციული სავარგულების ფართობები, სამრეწველო და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, წყალსატევები, რომლებიც ითვალისწინებს მათი გამოყენების მრავალ საშუალებას და მიმართულებას (ზოგჯერ ამ ჯგუფში გაერთიანებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსები).

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

- **მშპ**-ს აბსოლუტური სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე, ამ მაჩვენებლების ცვლილებათა დინამიკა;
- მოსახლეობის შემოსავლების დონე და მათი დიფერენციაციის ხარისხი;
- სიცოცხლის ხანგრძლივობა, ადამიანების ჯანმრთელობის დონე;
- მატერიალური კეთილდღეობისა და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის, საცხოვრებლის და სხვა მომსახურების მოხმარების დონე, საოჯახო მეურნეობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი მოხმარების საქონლით;
- განათლების დონე;
- ჯანდაცვის დონე - პოლიკლინიკებით, აფთიაქებით, საავადმყოფოებით, დიაგნოსტიკური ცენტრებით და გადაუდებელი დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფა, შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- მცირე ბიზნესის განვითარება;
- გარემოს მდგომარეობა;
- კულტურული ცხოვრების განვითარების დონე.

იმისათვის, რომ გაიზარდოს რესურსული ბაზის გამოყენების ეფექტიანობა, აუცილებელია არსებული **ბუნებრივი რესურსების** მარაგების ობიექტური შეფასება, მათი მზოგავი და რაციონალური გამოყენება. აუცილებელია ნაკლებად გამოყენებადი და დაბალი ეფექტიანობით გამოყენებული რესურსების გამოვლენა, შეძლებისდაგვარად რესურსების ალტერნატიულ გამოყენებაზე გადასვლა.

ტურიზმი ხელს უწყობს ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას, მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების შექმნას და შენარჩუნებას, სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

ტურისტული დარგის განვითარებას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკას შეუქმნას აუცილებელი „ზრდის წერტილები". ტურიზმი ასევე შესაძლებელს გახდის ხანგრძლივი სოციალური ეფექტის მიღებას ადგილობრივი მოსახლეობის გაჯანსაღებისა და დასვენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით.

საქართველო ფლობს მნიშვნელოვან **ტურისტულ პოტენციალს.** თუმცა, განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ტერიტორიების განვითარების ისტორიული წინაპირობები და მათი ინდუსტრიული განვითარების დონე, ტურიზმის განვითარების პოტენციალი და რეგიონების ტურისტული სპეციალიზაცია, განსხვავებულია.

ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს სამრეწველო წარმოების ალტერნატივას, რადგან ის არ მოითხოვს **ბუნებრივი რესურსების** პირდაპირ ხარჯვას, პირიქით, მიმართულია რესურსული პოტენციალის კვლავწარმოებაზე და მზოგავ გამოყენებაზე, ასევე უკუგების მიღების საშუალებას იძლევა რესურსული პოტენციალის შემადგენელი ნაწილებიდან - როგორიცაა, ინოვაციური, შრომის, საინვესტიციო და სხვ.

დღესდღეობით **ტურიზმი** არის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება. იგი განაპირობებს ქვეყნის **ბუნებრივი რესურსული პოტენციალის** ეფექტიან გამოყენებას, ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრას და დამატებითი სახსრების მოზიდვას ეკონომიკაში. ამასთანავე, **ტურიზმის** განვითარება ადგილობრივი მოსახლეობის დასვენების ორგანიზების, მათი კულტურული დასვენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

1.2 რეკრეაციის და ტურიზმის არსი - მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

ტურიზმში რესურსები აუცილებელია ტურიზმის ცალკეული მომსახურებისთვის და კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად. **ტურისტული რესურსები** ტურისტული საქმიანობის საფუძველია და წარმოადგენს ტურისტული ინტერესის ობიექტებს, აქვთ პოტენციური უნარი დააკმაყოფილონ ადამიანების ტურისტული მოთხოვნილებები. იქ, სადაც არ არსებობს აუცილებელი **ტურისტული რესურსები,** როგორც წესი, ტურიზმი ვერ ვითარდება. ცალკეული **ტურისტული რესურსის** არსებობა ითვალისწინებს მხოლოდ შეზღუდული მასშტაბის ტურიზმს.

„ტურიზმის, როგორც ბუნებათსარგებლობის მრავალდარგოვანი სახეობა, რომელიც აკმაყოფილებს განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მოთხოვნებს, ბუნებრივ კომპლექსებს ყველაზე მრავალფეროვან მოთხოვნებს უყენებს".

იმისათვის, რომ გავიგოთ **ტურისტული რესურსების არსი** და განვსაზღვროთ **რეკრეაციული რესურსებისგან მათი განსხვავება,** შევადაროთ ცნებები - **„ტურიზმი"** და **„რეკრეაცია"**. აღსანიშნავია, რომ ეს ცნებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, თუმცა, მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავებები. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოცემული დეფინიციის განსაზღვრებისა და გამოყენების ტერმინოლოგიური პრობლემები.

ცნობილია, რომ **ტურიზმი** - არის ადამიანების მიერ საცხოვრებელი ადგილის დროებით დატოვება დასვენების, გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი ან პროფესიულ-საქმიანი მიზნით, დროებითი ყოფნის ადგილზე საქმიანობის ანაზღაურების გარეშე, არაუმეტეს ერთი წლის პერიოდში.

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - United Nations Organization) ტურიზმს განსაზღვრავს როგორც მიგრაციას, რომელიც არაა დაკავშირებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, - ანუ ტურისტის მოძრაობა მოგზაურობის საწყის ადგილზე დაბრუნებით მთავრდება.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (**მტო**) გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული

„ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსის“ (სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი) თანახმად, **ტურიზმი** არის:

- ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორი;

- მდგრადი განვითარების ფაქტორი;

- სფერო, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;

- საქმიანობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისთვის.

საქართველოს 1997 წლის 6 მარტის „ტურიზმისა და კურორტების შესახებ» კანონით ტერმინი „ტურიზმი» განმარტებულია როგორც ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და / ან სხვა მიზნით 24 საათზე მეტი დროით.

ტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, გარკვეულ გავლენას ახდენს არამხოლოდ ქვეყანასა და რეგიონზე, რომელშიც ვითარდება, არამედ ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სფეროებზეც. როგორც ეკონომიკური მოვლენა, ტურიზმი დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობასთან, წარმოებასა და მომსახურების გაწევასთან; როგორც სოციალური მოვლენა - ტურიზმი განუყოფელია მომსახურებაზე მოთხოვნისგან, უკავშირდება ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ დასვენებას, შემოსავლებს, ცხოვრების წესს და ა. შ.

ტურიზმი რთული, მრავალწახნაგოვანი ცნებაა, წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული დარგების მთელ ინდუსტრიას. ტურიზმი - ეს არის ეროვნული ეკონომიკის დარგი, ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი მიმართულება. ტურიზმი წარმოადგენს საქმიანობის საკმაოდ რთულ სახეობას, რომელიც პირდაპირ შეხებაშია როგორც საზოგადოების, ისე ეკონომიკის სხვადასხვა დარგთან. ტურიზმი დასვენების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, ხოლო დასვენება ობიექტურად აუცილებელი მოთხოვნილებაა შრომაში დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღსადგენად.

„ტურიზმის მთავარი მიზნებია: დასვენება, შემეცნება, მკურნალობა, საქმიანი მოგზაურობა, სპორტი და რელიგია. ტურიზმი, შემადგენელი მომსახურების სახეობებისა და მათი ტურისტებისათვის წარდგენის ადგილის მიხედვით, იყოფა შიდა და საერთაშორისო ტურიზმად. შიდა ტურიზმი (domestic or internal tourism) – არის საქმიანობა, დაკავშირებული მოცემული ქვეყნის მაცხოვრებლების ტერიტორიაზე ადგილობრივი ტურისტებით ტურიზმის განხორციელებასთან. საერთაშორისო ტურიზმი (international tourism) – საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია ერთი ქვეყნის მაცხოვრებლების მიერ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ტურიზმის განხორციელებასთან. ასეთი ტურისტები უცხოელ ტურისტთა კატეგორიას განეკუთვნებიან. საქმიანობას, რომელიც მოცემული ქვეყნის ტურისტებისთვის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების გაწევას ისახავს მიზნად, ეწოდება გამყვანი ტურიზმი – (outbound tourism). ხოლო საქმიანობას, რომელიც უცხოელი ტურისტებისთვის მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების მიწოდებას ითვალისწინებს, ეწოდება შემომყვანი ტურიზმი – (inbound tourism), ზოგჯერ იხმარება ტერმინები „outgoing tourism“ და, შესაბამისად, „Incoming tourism“.

ტურიზმის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან იგი წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის რეგულირებისა და განვითარებისათვის თეორიულ პრინციპებს.

რეკრეაცია (ლათინური RECREATION - აღდგენა) - ეს არის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, აქტივობების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯანმრთელი, მაგრამ გადაღლილი ადამიანის ნორმალური გუნება-განწყობის და შრომისუნარიანობის აღდგენის მიზნით.

რეკრეაცია ჩვეულებრივ განიხილება როგორც დასვენება და შრომის პროცესში დახარჯული ადამიანის ძალების აღდგენა და დასვენება. **ცნება „რეკრეაცია“** მოიცავს დასვენების ყველა სახეობას - სანატორიულ-საკურორტო მკურნალობას, ტურიზმს და სხვ. ემოციური და ფსიქოლოგიური ძალების, ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა ხორციელდება ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მიღმა დასვენების გზით.

რეკრეაციული საქმიანობა არის ადამიანის ის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება თავისუფალი დროის მანძილზე ფიზიკური ძალების აღდგენისა და ყოველმხრივი განვითარებისთვის.

რეკრეაციისთვის სპეციალიზებულ ადგილებად ითვლება სანატორიუმები, პანსიონატები, საკურორტო კომპლექსები და სხვ. აღსანიშნავია, რომ რეკრეაციის საზღვრები ძალიან ფართოა. ის მოიცავს მოკლე დროით რეკრეაციულ აქტივობას სამუშაოზე შესვენებისას და ხანგრძლივ რეკრეაციულ საქმიანობას ყოველწლიური შვებულებისა და არდადეგების დროს, ასევე ყოველკვირეულ დასვენებას. პირველ შემთხვევაში რეკრეაცია არ სცილდება ყოველდღიურობას, ადამიანის საწარმოო საქმიანობას, მეორე შემთხვევაში - იგულისხმება ჩვეულებრივი ცხოვრების წესის ხანგრძლივი შეცვლა. რეკრეაციის როგორც პირველი, ისე მეორე სახეობა აუცილებელია ადამიანის ნორმალური ცხოვრებისთვის, განურჩევლად მისი სოციალური სტატუსისა.

ტურიზმი და რეკრეაცია განსხვავდება ცნების მოცულობით. რეკრეაცია მოიცავს ხანმოკლე რეკრეაციულ აქტივობას ყოველდღიურობის ფარგლებში. ტურიზმი პირიქით - უარყოფს უფერულობის, ყოველდღიურობის, რუტინულობის ყოველგვარ გამოვლინებას. მის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრების წესის, შედარებით ხანგრძლივი დროით გარემოს შეცვლა.

ამის საფუძველზე მოკლევადიანი გამაჯანსაღებელი, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი და სხვა საქმიანობა, - რომელიც მოტივაციურად ტურისტული საქმიანობის მსგავსია, მაგრამ ხორციელდება ადამიანების ჩვეულებრივი გარემოს პირობებში, - ხვდება ტურიზმის ფარგლებს გარეთ.

განხილული ცნებების მოცულობა განსხვავებულია იმითაც, რომ სამსახურებრივი მიზნით მოგზაურობები მივლინების ადგილზე ანაზღაურების გარეშე, წარმოადგენს **ტურიზმის** განუყოფელ ნაწილს მაშინ, როცა **რეკრეაცია** არ მოიცავს ადამიანის საქმიანობის პროფესიულ სახეობებს.

ამრიგად, **ტურისტული საქმიანობა ყოველთვის არ არის რეკრეაციული, ხოლო რეკრეაციული - ტურისტული.** დასავლეთის ლიტერატურაში გამოყოფილია ცნებები **„სუფთა“ ტურიზმი** (საქმიანი, საგანმანათლებლო), **„სუფთა“ რეკრეაცია** (მოკლევადიანი რეკრეაციული საქმიანობა ყოველდღიურობის ფარგლებში) და **გარდამავალი ფორმა - რეკრეაციული ან სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი და ტურიზმის მოსაზღვრე სახეობები.** ზოგ მათგანს (მაგ.,კულტურულ-შემეცნებითი, სპორტული, რელიგიური) უკავია შუალედური მდგომარეობა „სუფთა“ და რეკრეაციულ ტურიზმს შორის, სხვებს (მაგ., აგარაკზე გამგზავრება), - უკავია ადგილი რეკრეაციულ ტურიზმსა და „სუფთა“ რეკრეაციას შორის საზღვარზე.

თუ **რეკრეაცია შეიძლება მიეკუთვნოს ადამიანის საქმიანობის სოციალურ მდგენელს,** მაშინ **ტურიზმი არის ეკონომიკური ბუნების.** შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმს განეკუთვნება საქმიანობის სახეობები, რომლებიც რეკრეაციის საზღვრებს გარეთაა (მიღმაა), ხოლო რეკრეაციას - საქმიანობის სახეობები, რომლებიც თავისი არსით არ წარმოადგენს ტურიზმს.

დეფინიციების **- „ტურიზმი“ და „რეკრეაცია“ - შედარების პროცესში გამოვლენილია მათ შორის მთავარი განსხვავება - სოციალური (სოციალურ-ეკონომიკური) და ბიოლოგიური მდგენელების სხვადასხვა თანაფარდობა.** ამიტომ არასწორია „ტურისტული“ და „რეკრეაციული“ რესურსების ცნებების გაიგივება. ამავდროულად, რეკრეაციული რესურსები შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურიზმის ორგანიზებისთვის, ხოლო ტურიზმი შეიძლება იყოს რეკრეაციის ერთ-ერთი ფორმა.

აღნიშნული განსხვავებების მიუხედავად, ტურისტული საქმიანობის ორგანიზების, რეგიონთმცოდნეობისა და სხვა მეცნიერებების სამეცნიერო ლიტერატურაში **„ტურისტული“** და **„რეკრეაციული“ რესურსები,** ასევე ცნება **„ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“**, გამოიყენება როგორც სინონიმები.

„ტურისტულ“ და **„რეკრეაციულ“ რესურსებს** შორის ტოლობის ნიშანი არ უნდა დაისვას - ცნება **„ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“** გამოყენებული იქნეს მხოლოდ მისთვის შესაბამისი მნიშვნელობით: **რესურსები, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმისთვის.**

ტურისტულ რესურსებს განეკუთვნება ბუნებრივი გარემოს სპეციფიკური თვისებები, ასევე მათი შერწყმა, შეხამება ადამიანის საქმიანობასთან; ბუნებრივი, ისტორიული, სოციალურ-კულტურული ობიექტები - რომლებიც წარმოადგენს ტურისტების ინტერესის საგანს, უბიძგებს მათ მოგზაურობისკენ, გააჩნია უნარი დააკმაყოფილოს მათი ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური ძალების აღდგენისა და განვითარების მოთხოვნილებები.

რეკრეაციული გეოგრაფიის თვალსაზრისით **ტურისტულ რესურსებს** განეკუთვნება ბუნებრივი და ანთროპოგენური გეოსისტემები, არტეფაქტები - რომელთაც რეკრეაციული საქმიანობისთვის გააჩნია კომფორტული თვისებები და სახმარი ღირებულება, რაც გამოყენებადია გარკვეული კონტინგენტის

ადამიანების დასვენებისა და გაჯანსაღების ორგანიზებისთვის ფიქსირებულ დროში, არსებული მატერიალური შესაძლებლობებისა და გარკვეული ტექნოლოგიის საშუალებით.

ტურისტული რესურსების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წარმოადგენს საფუძველს ტურპროდუქტის ფორმირებისთვის. **ტურისტულ რესურსებად ითვლება ყველაფერი, რისი გამოყენებაც შეიძლება ტურისტული საქმიანობის ორგანიზებისთვის და ტურისტების მოსაზიდად გარკვეულ ტერიტორიაზე.**

ტურისტული რესურსები ეფექტიანად გამოიყენება, თუ ისინი მიმზიდველია და ხელმისაწვდომი, ასევე უსაფრთხო. ატრაქციულობა ვლინდება ტურისტებისთვის მიმზიდველობის ხარისხით. ტერიტორიის ხელმისაწვდომობა მიღწევა ტურისტების მიყვანის შესაძლებლობით დასვენების ადგილამდე (აეროპორტები, საზღვაო და სამდინარო პორტები, რკინიგზის სადგურები, გზები). საინფორმაციო ხელმისაწვდომობა განისაზღვრება საკმარისი ინფორმაციის არსებობით დასვენების ადგილების შესახებ - სტატიები ენციკლოპედიურ ლექსიკონებში, ჟურნალებში, გაზეთებში; ბეჭდური სარეკლამო პროდუქცია; შენიშვნები, ჩანაწერები, ბუკლეტები, ცნობები ინტერნეტის ქსელში, ტურფირმების საიტებზე და ა.შ.

საქართველოს კანონში „ტურიზმის და კურორტების შესახებ“, **ტურისტული რესურსები** განსაზღვრულია როგორც „ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს“ .

ნახ.1.



კლასიფიკაცია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საქმიანობის სახეობების მიხედვით

ტურისტული რესურსების ძირითად თვისებებს განეკუთვნება:

- ატრაქციულობა (მიმზიდველობა);
- ხელმისაწვდომობა;
- შესწავლის ხარისხი;
- სანახაობრიობა;

• ლანდშაფტის პეიზაჟური მახასიათებლები;
• სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები;
• პოტენციური მარაგი;
• გამოყენების საშუალებები.

ტურისტული რესურსების სპეციფიკურ თვისებებს წარმოადგენს: მთლიანობა, ტევადობა, საიმედოობა, უნიკალურობა, შემეცნებითი და რეკრეაციული ღირებულება, ცნობადობა, ეგზოტიკურობა, გამომხატველობა, დაცულობა, უსაფრთხოება და სხვ..

მთლიანობაში იგულისხმება ტურისტული რესურსებისა და მათი ელემენტების განუყოფლობა, მათი არსებობა გარკვეულ ურთიერთკავშირში.

ტევადობა განისაზღვრება ტურისტების რაოდენობით, რომლის მიღება შეუძლია ტერიტორიას, რომელზეც განთავსებულია ტურისტული რესურსები.

საიმედოობა ტურისტული რესურსების ის თვისებაა, რომელიც განისაზღვრება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მთელი კომპლექსის მდგრადობით ტურისტული ტერიტორიების ჩარჩოებში.

უნიკალურობა ტურისტული რესურსების განისაზღვრება მათი იშვიათობით და განსაკუთრებული მიმზიდველობით დედამიწის ნებისმიერი კუთხიდან ჩამოსული ტურისტებისთვის.

შემეცნებითი ღირებულება - ობიექტის კავშირი კონკრეტულ ისტორიულ ობიექტთან, ცნობილი ადამიანების ცხოვრებასა და შემოქმედებასთან.

რეკრეაციული ღირებულება - ობიექტის გამოყენების შესაძლებლობა ტურისტების დასვენებისა და გაჯანსაღების ორგანიზებისთვის.

ცნობადობა - ამა თუ იმ ტურისტული ობიექტისა და კომპლექსის პოპულარობა ტურისტებს შორის.

ეგზოტიკურობა - ობიექტების კონტრასტულობის ხარისხი ტურისტების მუდმივი საცხოვრებელი ადგილის პირობებთან შედარებით, ობიექტების განსაკუთრებულობა.

გამომსახველობა - ობიექტის ურთიერთქმედების ხარისხი გარემოსთან, ნაგებობებთან, ბუნებასთან.

დაცულობა - ობიექტის მუდმივი მზადყოფნა უცვლელად ხარისხიან მდგომარეობაში ტურისტების ორგანიზებული მიღებისთვის.

უსაფრთხოება - ტურისტული რესურსების თვისება, რომელიც გამოიხატება ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მათი გამოყენებისას შესაძლო ნეგატიური შედეგების არსებობაში.

1.3 ტურისტული რესურსების მახასიათებლები

ტურისტული რესურსების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია:

• **მარაგების მოცულობა** (მინერალური რესურსების წყაროების დებეტი; ტურისტული ტერიტორიების ფართობი; ტურისტული ცენტრების საექსკურსიო პოტენციალი), რომელიც აუცილებელია ტურისტული კომპლექსების პოტენციური ტევადობის ათვისების დონის, დატვირთვების ოპტიმიზაციის განსასაზღვრად;

• **რესურსების გავრცელების ფართობი** (წყალშემცველი ჰორიზონტების, პლაჟების ზომები; გატყიანება ან წყლის რესურსების ტერიტორიები; მდგრადი თოვლის საფარის საზღვრები), რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პოტენციური ტურისტული ტერიტორიები, დადგინდეს სანიტარიული დაცვის ზონები;

• **შესაძლო ექსპლუატაციის პერიოდი** (სასარგებლო კლიმატური პერიოდის, საბანაო სეზონის, მდგრადი თოვლის საფარის ხანგრძლივობა), რომელიც განსაზღვრავს ტურიზმის სეზონურობას, ტურისტული ნაკადების რიტმულობას;

• **ტერიტორიული უძრაობა რესურსების უმეტესობა სახეობების,** რაც ტურისტული ინფრასტრუქტურის მიზიდულობას განაპირობებს მათი კონცენტრაციის ადგილებში;

• **შედარებით დაბალი კაპიტალტევადობა და საექსპლუატაციო ხარჯების დაბალი ღირებულება,** რაც ინფრასტრუქტურის შედარებით სწრაფად შექმნისა და სოციალური და ეკონომიკური ეფექტების მიღების, ასევე რესურსების ცალკეული სახეობების დამოუკიდებლად გამოყენების საშუალებას იძლევა;

• **მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა,** რაციონალური ბუნებათსარგებლობის ნორმების დაცვითა და რეკულტივაციისა და კეთილმოწყობის აუცილებელი ღონისძიებების გატარების გზით.

ამრიგად, **ტურისტული რესურსების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია:** რეკრეაციული რესურსების მარაგების მოცულობა, რესურსების გავრცელების ფართობები, შესაძლო ექსპლუატაციის პერიოდი, შედარებით დაბალი კაპიტალტევადობა და საექსპლუატაციო ხარჯების დაბალი ღირებულება, მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა და ეკოლოგიურობა (იხ. ცხრ. 2.). **ტურისტული რესურსების** ხარისხი ჩვეულებრივ განისაზღვრება მათი ატრაქციულობით (ტურისტებისთვის მიმზიდველობით და სატრანსპორტო და ინფორმაციული ხელმისაწვდომობით).

ცხრილი 2
ტურისტული რესურსების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები

მახასიათებელი	**შეფასების, რესურსების გამოყენების შეზღუდვის პარამეტრები**
ბუნებრივი რეკრეაციული რესურსურსების მარაგების მოცულობა	- მინერალური რესურსების წყაროების დებეტი; - ტურისტული რესურსების ფართობი; - ტურისტული ცენტრების საექსკურსიო პოტენციალი. ბუნებრივი რესურსების მარაგების შესახებ ინფორმაცია აუცილებელია ტურისტული კომპლექსების პოტენციური მოცულობის, ათვისების დონის, დატვირთვების ოპტიმიზაციის (სამკურნალო ტალახები, მინერალური წყლები და სხვ.) დასადგენად.
რესურსების გავრცელების ფართობი	- წყალშემცველი ჰორიზონტების, პლაჟების ზომები; - ტერიტორიის გატყიანება და წყლის რესურსები; - მდგრადი თოვლის საფარის საზღვრები. დახასიათება საშუალებას იძლევა განისაზღვროს პოტენციური ტერიტორიები ტურიზმის განვითარებისთვის, დადგინდეს სანიტარიული დაცვის საზღვრები.
შესაძლო ექსპლუატაციის პერიოდი	- კეთილსასურველი კლიმატური პერიოდის, საცურაო სეზონის ხანგრძლივობა; - მტკიცე თოვლის საფარის არსებობის პერიოდი. ექსპლუატაციის პერიოდი განსაზღვრავს ტურიზმის სეზონურობას, ტურისტული ნაკადების რიტმულობას.
რესურსების ტერიტორიული უძრაობა	- ტერიტორიული უძრაობა განაპირობებს ტურისტული ინფრასტრუქტურის მიზიდულობას ტურიზმის განვითარების რესურსების კონცენტრაციის ადგილებზე (ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ძეგლები, განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიები და სხვ.).
ეკონომიურობა	- შედარებით დაბალი კაპიტალტევადობა; - საექსპლუატაციო ხარჯების დაბალი ღირებულება; - დანახარჯების სწრაფი ანაზღაურება. საშუალებას იძლევა საკმაოდ სწრაფად შეიქმნას ინფრასტრუქტურა და მიღებული იქნეს სოციალური და ეკონომიკური ეფექტები, ასევე დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული ტურიზმის განვითარების რესურსების ცალკეული სახეობები.
ატრაქციულობა	- ტურისტებში პოპულარობის ხარისხი. განსაზღვრავს მდგრად მოთხოვნას ტურისტული ობიექტების მონახულებაზე.

ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	- მყარსაფარიანი გზების არსებობა; -სიახლოვე საერთაშორისო აეროპორტებთან, საზღვაო და სამდინარეო პორტებთან, რკინიგზის სადგურებთან. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას.
ინფორმაციული ხელმისაწვდომობა	- ინფორმაციის არსებობა ტურისტულ ცნობარებში, ენციკლოპედიებში; - რეგიონების წარდგენა დარგობრივ საერთაშორისო და რეგიონულ გამოფენებსა და ბაზრობებზე; - გეოინფორმაციული სისტემები, ტურისტული ვებგვერდები, გეოპორტალები; - რეგიონული ტურიზმის წინწაწევა **მის**-ის, ინტერნეტის ქსელის მეშვეობით. ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ტურიზმის განვითარების რესურსების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს ბაზრის სუბიექტებს, წინწაიწიოს რეგიონული ტურპროდუქტი, ამაღლდეს ტერიტორიის ტურისტული მიმზიდველობა.
მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა	მრავალჯერადი გამოყენება შესაძლებელია რაციონალური ბუნებათსარგებლობის ნორმების დაცვით და ბუნებრივი რესურსების რეკულტივაციისა და აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებით, იმავდროულად ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვით და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებით.
ეკოლოგიურობა	- გარემოს დაბინძურების ხარისხი; -არასანქცირებული ნაგავსაყრელების არსებობა ტურისტული ობიექტების სიახლოვეს და მათკენ მიმავალ გზაზე; - სამრეწველო საწარმოების სიახლოვე. ეკოლოგიურ ფაქტორს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ტურიზმის განვითარების რესურსების მიმზიდველობა.

მომხმარებლები ტურისტულ რესურსებს უყენებენ შემდეგ მოთხოვნებს:

• ბუნებრივი ღირებულებების გამოყენება - ბუნების ღირსშესანიშნაობების, ნაკრძალი ტერიტორიების პეიზაჟების მონახულება და სხვ.;

• კულტურული ღირებულებების შეთვისება - კულტურის გაცნობა, ისტორიის ძეგლების, არქიტექტურის, მუზეუმების, გამოფენების, თეატრების მონახულება და ა.შ.;

• სპორტით დაკავების შესაძლებლობა - საფეხმავლო, საწყლოსნო, სათხილამურო, ველოსპორტი, ავტო და მოტომოგზაურობა, სეირნობა, სპორტული თამაშები და ა.შ.;

• სამოყვარულო თევზაობა, ნადირობა.

რესურსები ტურიზმის განვითარების მთავარი ფაქტორია, თუმცა ტურიზმის ყველა მიმართულება არ არის რესურსორიენტირებული - ანუ მრავალფეროვანი რესურსების არსებობას არ მოითხოვს. განვსაზღვროთ ტურიზმის ის სახეობები, რომლებსაც აქვთ მკაფიოდ გამოხატული რესურსული ორიენტაცია.

გამომდინარე მოტივებიდან, რომლებიც ადამიანს განაწყობენ სამოგზაუროდ, შეიძლება გამოვყოთ ტურიზმის შემდეგი სახეობები;

ტურიზმი დასვენების მიზნით მდგომარეობს მოკლევადიან ან უფრო ხანგრძლივ დასვენებაში ორგანიზმის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური აღდგენის მიზნით. ამ ჯგუფს განეკუთვნება კურორტული დასვენებაც, რომლის დროსაც ძალების აღსადგენად ან სამკურნალოდ გამოიყენება ტერიტორიის ლანდშაფტურ-კლიმატური და ბალნეოლოგიური რესურსები.

რეკრეაციული ტურიზმი ყველაზე გავრცელებული ტურიზმის სახეობაა და ხორციელდება დასვენების, გაჯანსაღების, ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ძალების აღდგენისა და განვითარების მიზნით. ტურიზმის ეს სახეობა გამოირჩევა საქმიანობის სახეობების დიდი მრავალფეროვნებით და შეიძლება მოიცავდეს სანახაობრივ და კულტურულ-გასართობ პროგრამებს, ვარჯიშებს ინტერესების შესაბამისად, სპორტით დაკავებას, სპორტულ ღონისძიებებზე დასწრებას და ა.შ.

სამკურნალო ტურიზმი - დაკავშირებულია ადამიანის დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სამკურნალო მომსახურების მოთხოვნილებასთან, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც კურორტების ფარგლებში ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებით, ასევე სპეციალიზებული კლინიკებისა და სამედიცინო ცენტრების ჩარჩოებში, ყველაზე თანამედროვე აპარატურისა და უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს განაპირობებს **სამკურნალო ტურიზმის ორი ძირითადი - სამკურნალო კლინიკური და სამკურნალო კურორტული** ფორმის გამოყოფას. გამოყენებული ტურისტული რესურსების ძირითად სახეობას წარმოადგენს **ბუნებრივი სამკურნალო რესურსები.** ბუნებრივი სამკურნალო რესურსების საფუძველს (რომლებსაც ხშირად **კურორტულ ფაქტორებს** უწოდებენ) შეადგენენ **ჰიდრომინერალური რესურსები - მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახები.** განსაკუთრებული რესურსია **ლანდშაფტურ-კლიმატური პირობები.**

კულტურული ტურიზმი - ორიენტირებულია კულტურის ობიექტებისა და მოვლენების შემეცნებაზე და იყოფა **შემეცნებით და მომლოცველ სახეობებად. შემეცნებითი ტურიზმი** მოიცავს ისტორიული, კულტურული ან გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების მონახულებას. შემეცნებითი მიზნით მოგზაური ტურისტები ინტერესდებიან მათ მიერ მონახულებული რეგიონების სოციალური და ეკონომიკური მოვლენებით. შემეცნებითი ტურიზმი დაფუძნებულია ჯერ ერთი, - რეგიონის ან ქვეყნის ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების, მუზეუმების, თეატრების, ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებული ცხოვრების წესისა და ტრადიციების გაცნობაზე, და მეორე, - ტურისტებისთვის მრავალფეროვანი საექსკურსიო პროგრამის გაცნობაზე. მთელ რიგ შემთხვევებში **შემეცნებითი ტურიზმი** შეიძლება შერწყმული იყოს **რელიგიურ ტურიზმთან.**

რელიგიური ტურიზმი - რელიგიური დღესასწაულები, მომლოცველობა და რელიგიური მსვლელობები ყოველთვის უბიძგებდა ადამიანებს მოგზაურობისკენ. მომლოცველობა, რომელიც წარმოადგენს წმინდა ადგილების მონახულებას მკაფიოდ განსაზღვრული საკულტო მიზნებით, მიღებულია ყველა რელიგიასა და წარმართულ კულტებში. დღეისათვის მომლოცველები ფართოდ სარგებლობენ ტურისტული ინდუსტრიის მომსახურებით, შექმნილია ასეთი ტურების მომწყობი სპეციალური ტურისტული ფირმები. მომლოცველობითი ტურები, შემეცნებითი კულტურულ-ისტორიული ტურებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებენ არა მხოლოდ შემეცნებით მიზნებს, არამედ განსაზღვრული რიტუალის ჩატარებას რწმენის მიხედვით. იგი ეფუძნება სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების რელიგიურ მოთხოვნილებებს და გულისხმობს მოგზაურობას წმინდა ადგილებში. ბევრი ავტორი გამოყოფს **რელიგიური ტურიზმის სამ მიმართულებას: სამომლოცველო, შემეცნებით და სამეცნიეროს.** ამასთან, რელიგიური ტურიზმი უნდა განვასხვავოთ სამომლოცველო (პილიგრიმული) ტურიზმისგან. **რელიგიური ტურიზმი** შეიძლება შემოიაზღვროს საკულტო არქიტექტურის ობიექტების დათვალიერებით და არ ითვალისწინებს, თუ რომელი სარწმუნოების მიმდევარია ადამიანი. **სამომლოცველო ტურიზმის** მიზანს კი წარმოადგენს იმ ადგილების მონახულება, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული რელიგიური მნიშვნელობა. სამომლოცველო ტურიზმი გულისხმობს მორწმუნე მომლოცველების რელიგიური კულტის ყველა ელემენტის შესრულებას.

საზოგადოებრივი ტურიზმი დაკავშირებულია მოგზაურობასთან ნათესავების, ნაცნობების, მეგობრების მონახულების მიზნით. საზოგადოებრივ ტურიზმს ასევე განეკუთვნება **კლუბური ტურიზმი,** რომლისთვისაც დამახასიათებელია მოგზაურების შეგნებული გაერთიანება ჯგუფებად გარკვეული ინტერესების მიხედვით.

ბიზნეს ტურიზმი - პროფესიული და კომერციული მიზნით განხორციელებული მოგზაურობა: საფონდო ბირჟების გამოფენების, ბაზრობების მონახულება.

საკონგრესო (MICE) ტურიზმი - მოიცავს **დიპლომატიურ ტურიზმს,** კონგრესებში მონაწილეობას, ასევე ტურიზმს, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა ღონისძიებებს.

ეკოლოგიური ტურიზმი - ეკოტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი მიმართულებაა. სპეციალისტებში ტურიზმის სახეობებიდან არც ერთი იწვევს ისეთ ინტერესსა და მწვავე კამათს, როგორც ეკოტურიზმი. **ეკოტურიზმი** უმეტესწილად **ორიენტირებულია ბუნებრივ რესურსებზე** და ნაკლებად - კულტურულ-ისტორიულ რესურსებზე. ეკოტურიზმი გულისხმობს მოგზაურობას ადამიანის მიერ ნაკლებად შესწავლილ ტერიტორიებზე, რომლებიც ხშირად ხვდებიან განსაკუთრებულ დაცულ ტერიტორიათა კატეგორიაში.

ეკოლოგიური ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყნის და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარე-

ბას, იძლევა ეკონომიკური ზრდისა და ბუნების დაცვის შეთავსების საშუალებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც მეურნეობის გაძღოლის ტრადიციული მეთოდები ნაკლებ ეფექტიანია და რესურსების მნიშვნელოვან დეგრადაციას იწვევს.

ეკოლოგიური ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად **ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის აუცილებლობა.** ეკოლოგიური ტურიზმი მათთვის არამარტო შემოსავლების, არამედ ბუნების დაცვის მთავარი გარანტი უნდა იყოს.

ეკოლოგიური ტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა **აგროტურიზმი, სოფლის ტურიზმი.** ეკოლოგიური ტურიზმის ეს სახეობა წარმოადგენს ტურისტული ბაზრის მნიშვნელოვან სეგმენტს და სრული უფლება აქვს იყოს დამოუკიდებელი, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სოფლების მრავალფეროვან აგროგარემოს.

აგროტურიზმს განეკუთვნება ცალკეული ტურისტებისა და ორგანიზებული ჯგუფების ბუნებრივი და სპეციალურად მოწყობილი მოგზაურობა სოფლებში დასვენების, სოფლის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების, მეურნეობის მართვის სისტემისა და ბუნებათსარგებლობის შემეცნების მიზნით.

სპორტული ტურიზმი მოიცავს ტურისტი-ინდივიდების ან ტურისტების ორგანიზებული ჯგუფების გამგზავრებას სპორტული საქმიანობის ან დიდ სპორტულ ღონისძიებებზე დასწრების მიზნით - შეჯიბრებები, ჩემპიონატები, ოლიმპიადები. როგორც წესი, სპორტული ტურიზმი ითვალისწინებს, რომ ამგვარი მომსახურების პოტენციური მომხმარებლები იქნებიან არაპროფესიონალი სპორტსმენები, რომლებიც ასეთი მოგზაურობების ორგანიზებას აკისრებენ სპეციალიზებულ ტურისტულ ფირმებს, კლუბებს ან ორგანიზაციებს.

სპორტული ტურიზმი შეიძლება განხორციელდეს ორი ძირითადი ფორმით - **აქტიური და პასიური.** აქტიური ფორმა ითვალისწინებს ტურისტის უშუალო მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში, ლაშქრობებსა და შეჯიბრებებში. პასიური ფორმა (რომლის გამოყოფას და სპორტული ტურიზმისთვის მიკუთვნებას ყველა სპეციალისტი არ ეთანხმება) ითვალისწინებს ტურისტების მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში მაყურებლისა და გულშემატკივრის სახით.

ტურიზმის სათავგადასავლო და ექსტრემალური სახეობები წარმოადგენენ ტურისტული საქმიანობის ორ საკმაოდ ახლომდგომ მიმართულებას.

სათავგადასავლო ტურიზმი - დასვენების სპეციფიკური სახეობაა, რომლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი კავშირი ეგზოტიკური ადგილების მონახულებასა და საქმიანობის უჩვეულო სახეობებით დაკავებას შორის (მდინარეებზე ხე-ტყის დაშვება, დაივინგი, საფარი, საჰაერო ბურთებით მოგზაურობა). სათავგადასავლო ტურიზმი ხშირად უკავშირდება რისკის მაღალ ხარისხს, მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვებს; გაურკვევლობის, მოგზაურობისას მოულოდნელობის ელემენტების არსებობას, რაც ტურისტებში იწვევს დიდ აზარტს, თუმცა მათგან მოითხოვს გამბედაობას, ამტანობას, სპეციფიკურ ცოდნას და გამოცდილებას. ბოლო პერიოდში მსოფლიოში გაჩნდა სპეციალური ინფრასტრუქტურა **სათავგადასავლო ტურიზმის** მიზნებისთვის. სათავგადასავლო ტურიზმის ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაგ., სათავგადასავლო პარკები.

ექსტრემალური ტურიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა. სათავგადასავლო ტურიზმისგან განსხვავებით ექსტრემალური ტურიზმის ორგანიზება ხშირად ხდება ტურისტების მხრიდან დამოუკიდებლად და მნიშვნელოვანი რისკის შემცველია ტურისტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის.

თვითშემოქმედებითი ტურიზმი - მოგზაურობა გადაადგილების აქტიური საშუალებების გამოყენებით. ტურისტების მიერ დამოუკიდებლად, მაგრამ გამოცდილი ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით, ორგანიზებული. სწორედ ინსტრუქტორის არსებობა და გადაადგილების აქტიური ბუნებაა დამახასიათებელი თვითშემოქმედებითი ტურიზმისთვის.

თვითშემოქმედებით ტურიზმს განეკუთვნება მისი შემდეგი მიმართულებები: საფეხმავლო, საწყლოსნო, სამთო, სათხილამურო, სპელეოტურიზმი, ავტოტურიზმი, ველოტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, მოტოტურიზმი.

თვითშემოქმედებითი ტურიზმი ხორციელდება რამდენიმე ფორმით. ყველაზე პოპულარულია ტურისტული ლაშქრობები, ტურისტული ექსპედიციები ნაკლებად ცნობილ და მიმზიდველ ადგილებში, ტურისტული შეკრებები და ტურისტულ-სპორტული შეჯიბრებები.

თვითშემოქმედებითი ტურიზმი ემყარება ინდივიდების, მცირე ტურისტული ჯგუფების, ნებაყოფლობითი ტურისტული გაერთიანებების, კავშირებისა და ტურისტული კლუბების საქმიანობას.

სოციალური ტურიზმი – წმინდა ეკონომიკური კატეგორიაა და ტურიზმის ნებისმიერი სახეობის სახესხვაობას წარმოადგენს. მისი სუბსიდირება ხდება სოციალურ საჭიროებებზე გამოყოფილი სახსრებით, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების, ახალგაზრდობის, პენსიონერების, ინვალიდებისა და სხვა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის მოგზაურობის პირობების შექმნისათვის, მათი დასვენების უფლებების გამოყენებით (სახსრებს გამოყოფენ სამთავრობო, არასამთავრობო, საქველმოქმედო და ა.შ. ფონდები).

1.4. ტურიზმის განვითარების რესურსების კლასიფიკაცია

ტურისტული ბიზნესის განვითარება ხორციელდება შემდეგი ძირითადი მდგენელების არსებობისას, როგორიცაა: კაპიტალი, ტექნოლოგია, შრომითი, ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსები. თუმცა ტურიზმში ბიზნესის განვითარებისთვის კაპიტალის, ტექნოლოგიის, მაღალპროფესიული კადრების ფლობასთან ერთად ასევე აუცილებელია ადგილის შერჩევა, სადაც არსებობს **ტურიზმის განვითარებისთვის რესურსები** (შემდგომში - **ტურისტული რესურსები).** თუ რომელიმე ტერიტორიის საზღვრებში არ არის **ტურისტული რესურსები,** მაშინ ადამიანს შესწევს უნარი შექმნას ისინი. ბოლო წლების პრაქტიკამ აჩვენა **ხელოვნური ტურისტული რესურსების** (მსხვილი თემატური პარკები, ტურისტული კომპლექსები, ატრაქციონები) შექმნის შესაძლებლობა.

სწორედ **ტურისტული რესურსების** არსებობა განაპირობებს ტურისტული ბიზნესის ფორმირებას ამა თუ იმ რეგიონში. **ტურისტული რესურსები** განსაზღვრავს რეგიონში ტურიზმის განვითარების სპეციფიკას, საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების ფორმირებას. ტურისტული რესურსების არსებობისა და მრავალფეროვნების საფუძველზე იგეგმება და იხსნება ახალი ტურისტული მარშრუტები.

ტურიზმის სფეროში დაკავებულ ადამიანებს აუცილებელია წარმოდგენა ჰქონდეთ რეგიონული ტურიზმის განვითარებაში **ტურისტული რესურსების არსის, სტრუქტურისა და როლის შესახებ,** ფლობდნენ ტურისტული რესურსების განვითარების შეფასებისა და გარემოს დაცვის მეთოდებს.

ტურისტული რესურსების კლასიფიკაციის განსაზღვრისას გამოიყენება რამდენიმე მიდგომა. ტურისტული რესურსების ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციებია, რომლებიც პოლონელი ეკონომისტის მ.ტრუასის (1963წ.) და ფრანგი ეკონომისტის პ.დეფერის (1972წ.) მიერაა შემოთავაზებული.

მ. ტრუასის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ტურისტული რესურსების დაყოფა ადამიანის შრომით შექმნილ და ადამიანის შრომით არშექმნილ რესურსებად. მ.ტრუასი ტურისტულ რესურსებს ჰყოფს შემდეგ სამ ჯგუფად:

- **ბუნებრივი ტურისტული რესურსები,** რომლებიც განისაზღვრება როგორც „პოტენციური ტურისტული კაპიტალი“, რომელსაც განეკუთვნება კლიმატი, ჰაერი, პეიზაჟი, ზღვები, ტბები, მდინარეები, მთები, ტყეები და სხვ.;
- **ტურისტული რესურსები, ადამიანის შრომით შექმნილი** - ანუ არქიტექტურული ნაგებობები, ძეგლები, ხელოვნების ნაწარმოებები და სხვ. ეს არის საჩვენებელი ან საექსკურსიო ობიექტები;
- **„დამატებითი“ ტურისტული რესურსები**, რომლებიც იქმნება ადამიანის შრომით გაწეული სამსახურით და მოიცავენ რეგიონის ინფრასტრუქტურას და ტურისტების მიღებისა და მომსახურების ყველა საწარმოს. ასეთ რესურსებს ასევე შეიძლება ეწოდოს „მოგზაურობის ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობები“ და ამგვარად შეფასდეს მომსახურების სფეროს განვითარების დონე ტურისტების მიღებისა და მომსახურებისთვის.
- მ. ტრუასისგან განსხვავებით პ.დეფერი არ მიაკუთვნებს ტურისტების მიმღებ და მომსახურების საწარმოებს ტურისტულ რესურსებს. ყველა ტურისტულ რესურსს პ.დეფერი ჰყოფს შემდეგ ჯგუფებად: **ჰიდრომი, ფიტომი, ლიტომი და ანთროპომი.** ყოველი ჯგუფი ფლობს გარკვეულ ელემენტებს.

ნახ.2.

ტურისტული რესურსების ურთიერთკავშირი



ჰიდრომი - ტურისტული რესურსები, რომელთა აუცილებელი მდგენელი წყალია. ამ ჯგუფის ელემენტებია: ტბები, მდინარეები, ზღვების სანაპიროები, თოვლიანი მთები და მყინვარები, მინერალური წყლების წყაროები, ჩანჩქერები და ა.შ.

ფიტომი - ბუნებრივი ტურისტული რესურსები, რომელთა შემადგენლობაში შედის მიწა. ფიტომის ელემენტები შეიძლება იყოს ორი ტიპის:

1. თვით ბუნების მიერ შექმნილი (ტყეები, მთები, კლდეები, ვულკანები, ლამაზი პანორამები).
2. ადამიანის შრომის შედეგად შექმნილი (ეროვნული პარკები, ბაღები).

ლითომი - ყველაფერი, რაც ადამიანის შრომით არის შექმნილი და იწვევს ტურისტების ინტერესს ან თავად (უშუალოდ თვითონ), ან თავისი დანიშნულებით. ლიტომის ელემენტებს მიეკუთვნება:

- არქიტექტურისა და წინანდელი ცივილიზაციების ძეგლები;
- უბრალო საცხოვრებლები, ადამიანების ცხოვრებისა და ადათ-წესების დამახასიათებელი, მაგ., ეთნოგრაფიული სოფლები ან მუზეუმები ღია ცის ქვეშ;
- თანამედროვე ნაგებობები: ხიდები, აეროპორტები, სამთავრობო შენობები, სპორტული ნაგებობები, უნივერსიტეტები, თანამედროვე საქმიანი ან საცხოვრებელი კვარტლები, აკვარიუმები და ა.შ.

ანთროპომი - ტურისტული რესურსები რომლებიც მოიცავენ ტურისტების ინტერესის გამომწვევ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სახეობას გარემო მდგომარეობისგან დამოუკიდებლად. ანთროპომის ელემენტებს განეკუთვნება:

- თვითონ ადამიანი, მისი ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები და ადათ-წესები;
- ადამიანის საქმიანობის უძველესი სახეობები, რომლებიც ქრება, ან გაქრობის ზღვარზეა, ისეთი, როგორიცაა ხალხური რეწვა, ეროვნული სახალხო დღესასწაულები, ფოლკლორი, ეროვნული კოსტუმები და ეროვნული მუსიკა;

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებები, ასევე სასწავლო დაწესებულებები და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ტურისტული რესურსების ელემენტები ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ჯგუფს ეკუთვნოდეს. **გამოყენების ხასიათის მიხედვით** ისინი შეიძლება დაიყოს პირდაპირ და ირიბ რესურსებად, რომელსაც მიეკუთვნება ათვისებისა და გამოსაყენებლად მიმზიდველი პირდაპირი ტურისტული რესურსების სოციალურ-ეკონომიკური რესურსები: მატერიალური, ფინანსური, შრომითი, ინფორმაციული. **ტურისტული რესურსების მთელი კომპლექსი შესაძლებელია დაიყოს სამ ჯგუფად :**

1. **ბუნებრივი:** კლიმატი, წყლის რესურსები, მცენარეული და ცხოველთა სამყარო, ბუნებრივი ძეგლები და ნაკრძალები, თვალწარმტაცი ლანდშაფტები და სხვ.;
2. **კულტურულ-ისტორიული:** მუზეუმები, გამოფენები, თეატრები, არქეოლოგიური, ისტორიული ძეგლები, ეთნოგრაფიული განსაკუთრებულობა და ა.შ.;
3. **სოციალურ-ეკონომიკური:** ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა - სატრანსპორტო ქსელის განვითარე-

ბის დონე, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფის დონე, შრომითი რესურსები.

ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს ტურისტული რესურსების კლასიფიკაციას, გამოსახულს ნახ.3-ზე. მოცემულ კლასიფიკაციაში შემოთავაზებულია **ტურისტული რესურსების დაყოფა ბუნებრივ, ტურისტული ინტერესების აღმძვრელ და ინფრასტრუქტურულ რესურსებად**. გარდა ამისა, გამოყოფილია ფაქტორების ჯგუფი, რომლებიც გამოიყენება როგორც **ტურისტული წარმოების ფაქტორები.** ვთვლით, რომ - ჯგუფი - **„რესურსები როგორც წარმოების ფაქტორი"- უნდა მიეკუთვნოს უშუალოდ ტურისტულ რესურსებს, ვინაიდან მათ გარეშე ტურპროდუქტის შექმნა შეუძლებელია.**

იმის გავითვალისწინებთ, რომ ტურისტული მომსახურება წარმოებისა და მოხმარების უწყვეტობაა, **საგანმანათლებლო რესურსები გამოიყენება როგორც ტურისტული,** მაგალითად, ექსკურსიამძღოლის ან სამასაჟო კაბინეტის სპეციალისტის კვალიფიკაცია, სასტუმროს ადმინისტრატორის მიერ ენების ცოდნა და სხვ.

ტურისტული რესურსების მთელი კომპლექსი შეიძლება დაიყოს შემდეგ სამ ჯგუფად:

1. ბუნებრივ-კლიმატური;

2. ისტორიულ-კულტურული;

3. სოციალურ-ეკონომიკური რესურსები.

ტურისტული დესტინაციის (დანიშნულების ადგილი) რესურსები (იხ. ნახ.3).

ტურიზმისა და რეკრეაციული საქმიანობის განსავითარებლად აუცილებელია **ბუნებრივი რესურსების არსებობა,** რომლებიც ხასიათდებიან ტერიტორიის გეოგრაფიული მდგომარეობით და მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით.

ნახ.3.

ტურისტული დესტინაციის (დანიშნულების ადგილი) რესურსების კლასიფიკაცია



ბუნებრივი რესურსები ყოველთვის იყო **ტურიზმის განვითარების საფუძველი.** მნიშვნელოვანია **ბუნებრივი რესურსების,** როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის მიზნით გამოყენების შესაძლებლობა. **ბუნებრივი ტურისტული რესურსები** უნდა განიხილებოდეს როგორც რესურსები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან გასაჯანსაღებლად აქტიურად გამოიყენება.

ბუნებრივი ტურისტული რესურსები - ბუნებრივი კომპლექსის ელემენტებია, რომლებიც ვლინდებიან გარკვეულ ფართობზე, გარკვეულ დროს, და შეიძლება გამოყენებული იქნეს რეკრეაციისა და ტურიზმის მიზნით.

ნახ.4-ზე მოცემულია **ბუნებრივი ტურისტული რესურსების** კლასიფიკაცია. აღვნიშნავთ, რომ კლასიფიკაციის ზოგი ელემენტი გამოყენებულია რეკრეალოგიიდან, რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაციიდან.

ნახ.4.

ბუნებრივი ტურისტული რესურსების კლასიფიკაცია



ყველა ბუნებრივი რესურსი უნდა განვიხილოთ მათი რეკრეაციული ან ტურისტული თვალსაზრისით. თუმცა, **ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარისხი** შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს და, უმთავრესად, დამოკიდებული რეგიონის სპეციალიზაციაზე.

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაციის საფუძველში დევს ამ კატეგორიის გაორებული ბუნება, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მათ ბუნებრივ წარმოშობასთან, - მეორე მხრივ, აისახება ტურიზმისთვის მათ ეკონომიკურ მნიშვნელობაში.

გამოყოფენ **ბუნებრივი რესურსების** შემდეგ ჯგუფებს.

წარმოშობის მიხედვით ბუნებრივი ტურისტული რესურსებია:

- **ფიზიკური**: მზის სინათლე, მოქცევა-უკუქცევა, ქარის ძალა და სხვ.;
- **ბიოლოგიური**: ეს ცოცხალი ბუნებაა, ფლორა, ფაუნა;
- **ენერგოინფორმაციული**: ნოოსფერული ბუნების სპეციფიკური ველები, რომლებიც წარმოადგენენ მიზიდულობის ფაქტორებს ადგილის ან ლანდშაფტის სახით. რესურსების ეს ტიპი არის ბაზა ტურიზმის ისეთი სახეობების განვითარებისთვის, როგორიცაა კულტურული, რელიგიური და სხვ.
- **რეკრეაციული** გამოყენების სახეობების მიხედვით გამოყოფენ მინერალურ წყლებს, ტალახებს, აბაზანებს, სოლარიუმებს და ტყეებს.

მილევის სიჩქარის მიხედვით ბუნებრივი ტურისტული რესურსები არსებობს:

- **მილევადი ბუნებრივი რესურსები** - ანუ რესურსები, რომელთა რაოდენობა სულ უფრო მცირდება მისი მოპოვების ან ამოღების შედეგად ბუნებრივი გარემოდან. ისინი, თავის მხრივ, იყოფიან განახლებად სუფთა ჰაერად, მტკნარ წყლად, ნაყოფიერ ნიადაგად, მცენარეულობად, ცხოველთა სამყაროდ და არა-განახლებად მინერალურ რესურსებად. რესურსები შეიძლება გამოიფიტოს, რადგან არ ხდება შევსება ბუნებრივი პროცესების შედეგად და ასევე იმიტომ, რომ მათი მარაგების შევსება ხდება უფრო ნელა, ვიდრე ხდება მოხმარება. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ტალახები, მინერალური წყლები და ა.შ.;
- **არამილევადი ბუნებრივი რესურსები,** რომელთაც მიეკუთვნება ბუნებრივი რესურსების ნაწილი - მზის ენერგია, ქარი, ზღვის მოქცევა, გამდინარი წყალი.

მოცემული კლასიფიკაცია მსგავსია ზემოთ განხილული რეგიონის **ბუნებრივი რესურსების** კლასიფიკაციის, მაგრამ უფრო დაზუსტებულია რესურსების მილევისა და აღდგენის სიჩქარის კრიტერიუმით.

თვითაღდგენისა და კულტივირების მიხედვით:

- **აღდგენადი რესურსები,** რომელთაც შეიძლება განეკუთვნებოდეს ტყე, თუმცა მისი აღდგენის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია;
- **არააღდგენადი,** როგორიცაა შეუქცევადი კლიმატური ცვლილებები.

განსაკუთრებითაა გამოყოფილი ბუნებრივი სამკურნალო რესურსები - რეკრეაციული რესურსები,რომლებიც გამოიყენება ქვეყნის ან რეგიონის მოსახლეობის, ასევე ტურისტების სამკურნალოდ ან დასვენებისთვის.

საჭიროა განვასხვავოთ **ბუნებრივი რესურსები ტურისტული საქმიანობის პროცესში ჩართვის ხასიათის მიხედვით:**

- **ბუნებრივი რესურსების** აღქმა შეიძლება მზერით, მაგ., პეიზაჟების, მზის ჩასვლის ან ამოსვლის, ლამაზი ლანდშაფტის ყურება. ამ შემთხვევაში შეიძლება ეკოლოგიური ტურიზმის შესახებ საუბარი, ვინაიდან ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა არ ახდენს მათზე ნეგატიურ ზემოქმედებას;
- **ბუნებრივი რესურსები** გამოიყენება მათი პირდაპირი ხარჯვის გარეშე. მაგ., ტურისტების მიერ მუდმივად მონახულების შედეგად ხდება ტყის მასივების დეგრადაცია ან ზღვის სანაპირო ხაზის დაბინძურება. ტურისტების უკონტროლო მოზღვავებამ შეიძლება დაარღვიოს ეკოლოგიური ბალანსი ქვეყნის ეკოსისტემაში;
- ხორციელდება **ბუნებრივი რესურსების** უშუალო ხარჯვა ტურისტული საქმიანობის პროცესში. ბუნებრივი რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს პრაქტიკულად სრული გამოფიტვა და გაქრობაც კი; მაგალითად, მინერალური რესურსების უზომო მოხმარებამ (მლაშე წყლების, სამკურნალო თიხისა და ტალახების), რომლებიც გამოიყენება სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მიზნით, შეიძლება გამოიწვიოს რესურსების მარაგების შემცირება ან მათი გამოფიტვა.

კლიმატური ტურისტული რესურსები - ამინდის პირობები, რომლებიც განისაზღვრება ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობით, ქმნიან საფუძველს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განსახორციელებლად, მაგ., ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და მზიანი დღეების რაოდენობა.

ისტორიულ-კულტურული რესურსები - ეს არის ერთობლიობა ობიექტებისა და მოვლენების, რომლებიც დაკავშირებული არიან ადამიანის საქმიანობასთან და წარმოდგენილები არიან მატერიალური და არამატერიალური სახით.

მატერიალური ისტორიულ-კულტურული ობიექტები მოიცავენ წარმოების საშუალებებისა და საზოგადოების სხვა მატერიალური ღირებულების ერთობლიობას მისი განვითარების ყოველ ისტორიულ საფეხურზე. **არამატერიალური სულიერი ისტორიულ-კულტურული ობიექტები** - ეს არის საზოგადოების მიღწევების ერთობლიობა განათლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებაში, შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში.

ისტორიულ-კულტურულ ობიექტებს შორის წამყვანი როლი განეკუთვნება **ისტორიისა და კულტურის ძეგლებს,** რომლებიც გამოირჩევიან ყველაზე მაღალი მიმზიდველობით და წარმოადგენენ კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მთავარ საშუალებას.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები დაყოფილია ხუთ ძირითად სახეობად: ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის, ხელოვნების ძეგლები, დოკუმენტური ძეგლები.

ისტორიის ძეგლებს განეკუთვნება შენობები, ნაგებობები, დასამახსოვრებელი ადგილები და ნივთები, დაკავშირებული მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის, ხალხების

კულტურისა და ყოფის განვითარებასთან, სახელმწიფოს გამოჩენილ ადამიანებთან.

არქეოლოგიის ძეგლებს განეკუთვნება ნაქალაქარები, ყორღანები, უძველესი დასახლებების ნაშთები, სიმაგრეები, საწარმოები, არხები, გზები, სამაროვნები, ქვის ქანდაკებები, კლდეზე გამოსახულებები, ძველი ნივთები, უძველესი დასახლებული პუნქტების ისტორიული კულტურული ფენების უბნები.

ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლებს განეკუთვნება არქიტექტურული ანსამბლები და კომპლექსები, ისტორიული ცენტრები, კვარტალები, მოედნები, ქუჩები, უძველესი დაგეგმარების ნაშთები და ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანება; სამოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო, საკულტო არქიტექტურის, ხალხური ხუროთმოძღვრების ნაგებობები, ასევე მათთან დაკავშირებული მონუმენტური, დეკორატიულ-გამოყენებითი, მებაღეობა-საპარკო ხელოვნების ქმნილებები, გარეუბნების ლანდშაფტები.

ხელოვნების ძეგლებს მიეკუთვნება მონუმენტური, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხელოვნების სხვა სახეობების ნაწარმოებები. დოკუმენტურ ძეგლებს განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების აქტები, სხვა წერილობითი და გრაფიკული დოკუმენტები, კინოფოტოდოკუმენტები და ხმის ჩანაწერები, ასევე უძველესი და სხვა ხელნაწერები და არქივები, ფოლკლორისა და მუსიკის ჩანაწერები, იშვიათი ბეჭდური გამოცემები.

ისტორიულ-კულტურულ რესურსებს განეკუთვნება სხვა ობიექტებიც: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის ორიგინალური საწარმოები, თეატრები, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპორტული ნაგებობები, ბოტანიკური ბაღები და სხვ.

ყველა ობიექტი, რომელიც გამოიყენება კულტურულ-შემეცნებით ტურიზმში, იყოფა ორ ჯგუფად: **მოძრავი და უძრავი.**

პირველ ჯგუფს შეადგენს ხელოვნების, არქეოლოგიური აღმოჩენების, მინერალოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციების ძეგლები, დოკუმენტური ძეგლები და სხვა ნივთები, საგნები და დოკუმენტები, რომელთა გადაადგილება ადვილად შეიძლება. ამ ჯგუფის ტურისტული რესურსების გამოყენება უკავშირდება მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და არქივების მონახულებას. უძრავი რესურსების ჯგუფს განეკუთვნება ისტორიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის, არქეოლოგიისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლები და სხვა ნაგებობები, რომელთა გადაადგილება შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ **ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ტურისტული რესურსების** არსებობა ტურისტული პროდუქტის ღირებულების განმსაზღვრელია, მაგრამ **სოციალურ-კულტურული რესურსების** გარეშე ტურისტული საქმიანობის განვითარება შეუძლებელია. ტურისტული რესურსების სწორედ ეს ჯგუფი ხდის შესაძლებელს **ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების** ხელმისაწვდომობას, ქმნის გარკვეული ხარისხის ტურპროდუქტს, პირდაპირი გავლენა აქვს ტურიზმის ეფექტურობაზე.

ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური რესურსები განისაზღვრება, როგორც ანთროპოგენური ბუნების ობიექტებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია ტურიზმის ინდუსტრიის უფრო ეფექტიანი განვითარებისთვის ქვეყანასა და რეგიონში. ამავდროულად, **სოციალურ-ეკონომიკური ობიექტები და მოვლენები** დასვენების ორგანიზების პროცესში ერთდროულად წარმოადგენენ როგორც **პირობებს,** ასევე **რესურსებს.** მაგალითად, საკურორტო ადგილის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც არ არის ჩართული ტურისტულ საქმიანობაში,- გამოდის როგორც ამ საქმიანობის პირობა, ხოლო მოსახლეობის ნაწილი, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს ტურისტული დაწესებულებების საქმიანობაში, - გამოდის როგორც **ტურისტული მეურნეობის შრომითი რესურსები.**

ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური რესურსები იყოფა ექვს ძირითად მიმართულებად:

1. ინფორმაციული რესურსები;
2. შრომითი და საგანმანათლებლო რესურსები;
3. ფინანსური რესურსები;
4. მატერიალური რესურსები;
5. მმართველობითი რესურსები;
6. ტურიზმის ინფრასტრუქტურა.

1. ტურიზმის ინფორმაციულ რესურსებს ქმნის სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც ტურისტი ღებულობს სხვადასხვა დროს:

- ტურისტული მოგზაურობის მომზადების პროცესში გზამკვლევების, ცნობარების, პერიოდული

ბეჭდური მასალების, ასევე მეგობრების, ნაცნობებისა და ნათესავების რჩევების გამოყენება;

- ტურისტული მოგზაურობის განხორციელებისას - დაკვირვებების დახმარებით, ექსკურსიამძღოლების მონათხრობით, ბუკლეტების, რუკების, გზამკვლევების გაცნობით ადგილზე;
- ტურისტული მოგზაურობის დასრულებისას - წარმოდგენებისა და შთაბეჭდილებების გაღრმავებისა და განმტკიცების მიზნით.

ინფორმაციული რესურსები წარმოადგენენ საკმაოდ მნიშვნელოვან რესურსებს ტურისტული რეგიონებისა და ცალკეული ტურპროდუქტების წინწასაწევად. ისინი მოიცავენ კარტოგრაფიულ, სარეკლამო ბეჭდურ პროდუქციას, შენიშვნებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ელექტრონულ მულტიმედია რესურსებში.

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში ტურიზმს დიდი ყურადღება ექცევა. ქვეყნები, რომლებიც სპეციალიზებული არიან ტურისტების მიღებაზე, უდიდესი ტირაჟით გამოსცემენ გზამკვლევებს ძირითადი რეგიონებისა და ტურისტული ცენტრების შესახებ, ბუკლეტებს, ცნობარებს, რუკებს, ფურცლებს, კატალოგებს, სარეკლამო მასალას. ხშირად ეს მასალა ურიგდება ტურისტებს უფასოდ ან სიმბოლური გადასახადით საინფორმაციო ჯიხურებში, მუზეუმებში, მეტროს გადასასვლელებში და ა.შ.

2. ტურიზმის შრომით რესურსებს განეკუთვნება ტურისტული საწარმოების კადრები - როგორც საშტატო პერსონალი, ასევე ის მომუშავეები, რომლებიც მიწვეული არიან სამუშაოდ ტურისტულ სეზონზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ინდუსტრია მოიცავს ეკონომიკის როგორც ძირითადი, ასევე მასზე მიბმული წარმოებებისა და დარგების დიდ რაოდენობას. სწორედ ამ მიზეზით, ტურიზმის სფეროში დასაქმებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა წარმოადგენს გარკვეულ სირთულეს.

საგანმანათლებლო ტურისტულ რესურსებში იგულისხმება პროფილური განათლების მქონე პროფესიონალი კადრების არსებობა. დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში სპეციალიზებული საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების არსებობას, რომლებიც ამზადებენ ტურინდუსტრიის სპეციალისტებს. საქართველოში და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში შექმნილია დიდი რაოდენობით სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სპეციალისტების მრავალდონიან მომზადებას ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროსთვის. ტურისტული განათლების კარგი დონით ხასიათდებიან შვეიცარია, ავსტრია, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი. საქართველოში მრავალი სასწავლო დაწესებულებაა დაკავებული როგორც უმაღლესი, ასევე სპეციალური განათლების სპეციალისტების მომზადებით.

3. ტურიზმის ფინანსურ რესურსებს შეადგენენ ფულადი სახსრები, რომლებიც შეიძლება მიემართებოდეს ტურიზმის სფეროში და იხარჯებოდეს სხვადასხვა მიმართულებით: როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტირებით; საერთაშორისო ტურისტებისგან შემოსავლებით; ფულადი საშუალებების წყალობით, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი მომსახურებით.

4. მატერიალური რესურსები შეადგენენ ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად ფონდებს. ამჟამად ფართოდ გამოიყენება ცნება **„ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“.** ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ქვეშ იგულისხმება **მატერიალური და საწარმოო ძალების საგნობრივი ელემენტების ერთობლიობა,** რომლებიც გამოიყენება ტურისტული მომსახურების გასაწევად. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამოიყენება მხოლოდ ტურისტების მიერ, განსხვავებით ტურიზმის ინფრასტრუქტურისგან, რომელიც გამოიყენება როგორც ტურისტების მიერ, ასევე ტურისტული მომსახურების მწარმოებლების მიერ. ტურიზმის **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ობიექტების კლასიფიკაციის საფუძველში დევს სამი ძირითადი ნიშანი:** შეთავაზებული მომსახურების სახეობები, ეკონომიკური ელემენტები და საკუთრების ფორმები იმ სუბიექტების, რომლებიც საქმიანობას ეწევიან.

5. მმართველობითი რესურსების ქვეშ ხშირად იგულისხმება ტურიზმის მართვის ინდუსტრიის იერარქიული სტრუქტურა, რომელიც არსებობს გარკვეულ ქვეყანაში ან რეგიონში (მართვის მუნიციპალური და რეგიონული ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები, ტურისტული საწარმოების ხელმძღვანელები).

6. ინფრასტრუქტურულ ტურისტულ რესურსებს სხვადასხვა მკვლევრები ჩვეულებრივ არ მიაკუთვნებენ სოციალურ-ეკონომიკურ რესურსებს, განიხილავენ განცალკევებულად. ვთვლით, რომ ტურიზმის ინფრასტრუქტურის მიკუთვნება სოციალურ-ეკონომიკურ რესურსებზე, მიზანშეწონილია. ეს **ტურისტული რესურსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა,** რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს რეგიონში ტურისტული საქმიანობის განხორციელების ეფექტიანობაზე. **ტურისტული ინფრა-**

სტრუქტურის განვითარება ხელმისაწვდომს ხდის ტურისტულ რეგიონს და თვით ტურპროდუქტს, ამაღლებს მის მიმზიდველობას და კონკურენტუნარიანობას.

ტურიზმის ინფრასტრუქტურას განეკუთვნება: განთავსების კოლექტიური საშუალებები (სასტუმროები, მოტელები), ტურისტული ბაზები, კვების და სავაჭრო საწარმოები, ტრანსპორტის საწარმოები, ტურისტული აღჭურვილობისა და ინვენტარის გაქირავების პუნქტები, ტურისტული კლუბები, სადგურები და სხვ.

ბუნებრივ-კლიმატური და ისტორიულ-კულტურული რესურსები პირობითად მუდმივი რესურსებია - ანუ აქვთ უნარი არ შეიცვალონ თვისებები დროის ხანგრძლივ პერიოდში. **სოციალურ-ეკონომიკური რესურსების** ჯგუფი ცვალებადია, მისი განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფო რეგულირების ხარისხზე, რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობაზე, რეგიონული ტურპროდუქტის მოთხოვნის არსებობასა და სხვა ფაქტორებზე.

ყველაზე მიზანშეწონილია **ტურისტული რესურსების** იმ კლასიფიკაციის გამოყენება, რომელიც დაყოფილია სამ ჯგუფად (ბუნებრივ-კლიმატურ, ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურად, რომლებიც მოიცავენ ტურისტულ ინფრასტრუქტურას), რადგან ეს კლასიფიკაცია ყველაზე სრულად ასახავს ნებისმიერი რეგიონის რესურსულ მდგენელს.

2. ბუნებრივი სამკურნალო რესურსების განვითარების ისტორიული ასპექტები და ტენდენციები

2.1 საქართველოს კურორტების კლასიფიკაცია

საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით. უძველესმა გადმოცემებმა, უამრავმა არქეოლოგიურმა მასალამ, წერილობითმა ძეგლმა შემოინახა ცნობები და მაღალი შეფასებები მრავალგვარი დაავადების განკურნების სასწაულმოქმედი თვისებების მქონე ცნობილი თბილი წყაროებისა და ჰავის შესახებ. სხვადასხვა პერიოდში მტრების შემოსევების გამო, ქვეყანაში კურორტების განვითარება შეუძლებელი იყო. საქართველოში საკურორტო ადგილებისადმი Yყურადრების გამახვილება და ახალი კურორტების გაშენება იწყება XIX საუკუნიდან. თუმცა, იმხანად საკურორტო რესურსების ათვისების დონე და დამსვენებელთა სოციალური ბაზა უმნიშვნელო და შეზღუდული იყო.

საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებამ პიკს მიაღწია გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველო, როგორც კურორტების ქვეყანა და ჯანმრთელობის კერა, საბჭოთა სივრცეში მესამე ადგილზე იყო რუსეთისა და უკრაინის შემდეგ, თუმცა, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით - პირველ ადგილზე. საქართველო თითქმის ერთადერთი სუბტროპიკული მხარე იყო, სადაც მასობრივი ტურიზმის, საკურორტო მკურნალობისა და დასვენების მნიშვნელოვანი ობიექტების ფართო ქსელი შეიქმნა. ამ პერიოდში ბუნებრივი საკურორტო-რეკრეაციული რესურსების კურორტულ-სამკურნალო ფაქტორების გამოვლენის, მათი ყოველმხრივი, ღრმა შესწავლისა და გამოყენების მიზნით, ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო შესრულდა კურორტოლოგიაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს კურორტების კეთილმოწყობისათვის.

გასული საუკუნის მიწურულს ქვეყანაში 102 კურორტი ფუნქციონირებდა, რომელთაგან 6 – წყალტუბო, გაგრა, ბორჯომი, ქობულეთი, ახალი ათონი და ბიჭვინთა – საკავშირო მნიშვნელობის იყო, 35 – რესპუბლიკური, დანარჩენი კი – ადგილობრივი. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთიან რაიონებში. კურორტის ტიპის მიხედვით – კლიმატურია 44 (მათ შორის 25 – ზღვისპირაა), შერეული (კლიმატურ-ბალნეოლოგიური ან ბალნეოკლიმატური) – 31 და ბალნეოლოგიური – 28 კურორტი. ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი მკურნალობდა და ისვენებდა საქართველოს კურორტებზე არსებულ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და სასტუმროებში.

კურორტის ცნება (გერმ., Kur - მკურნალობა, OOrt - ადგილი) დროდადრო, შინაარსობრივი დატვირთვის შესაბამისად, განიცდიდა მოდიფიკაციას. ადრე ითვლებოდა, რომ კურორტი – სამკურნალო ადგილია, სადაც, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, მიემგზავრებიან ავადმყოფები და გართობის

მსურველები /დალის ლექსიკონი/; მოგვიანებით იგი განიმარტებოდა, როგორც ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით (მინერალური და თერმული წყლები, უნიკალური ჰავა, მზე, ზღვა, ტალახი, მაგნიტური ქვიშა, მღვიმეები და სხვ.) მდიდარი ადგილი, რომელსაც აქვს აუცილებელი შენობა-ნაგებობები, სანატორიულ-ჰიგიენური და სამკურნალო-პროფილაქტიკური პირობები /საქართველოს 100 კურორტი/. თანამედროვე განმარტებით – კურორტი მკურნალობის, სამედიცინო რეაბილიტაციის, დაავადებების პროფილაქტიკისა და გაჯანსაღების მიზნით ათვისებული და გამოყენებული განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიაა, რომელსაც გააჩნია ბუნებრივი სამკურნალო რესურსები და მათი ექსპლუატაციისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურის ჩათვლით/ვიკიპედია/. კურორტისგან განსხვავებით, საკურორტო ადგილი არ ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურას აღნიშნული ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების გამოსაყენებლად დასვენებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისათვის.

კურორტების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მათი მთავარი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი. შესაბამისად, ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საქართველოს კურორტები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

კლიმატური კურორტი – სადაც, ძირითადი სამკურნალო- პროფილაქტიკური ფაქტორია კლიმატი (მაგ., მთის, ტბის, მდინარის ან ზღვისპირა კურორტი), ხოლო მკურნალობის მეთოდები - აეროთერაპია, ჰელიოთერაპია, თალასოთერაპია;

ბალნეოლოგიური კურორტი – სადაც ძირითადი სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაქტორია ბუნებრივი მინერალური წყალი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს გარეგანი მიზნით (აბაზანა, შხაპი, აუზი და სხვ.), სასმელად, ინჰალაციისთვის და სხვა პროცედურებისთვის. ბალნეოლოგიური კურორტი აღჭურვილია ბალნეოსამკურნალოებით, სასმელი გალერეებით, ბიუვეტებით, აუზებით, ინჰალატორებით და ა.შ. მკურნალობის მეთოდი - ბალნეოთერაპიული;

პელოიდური კურორტი – სადაც, ძირითად, ან ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორად – კლიმატთან და ბუნებრივ მინერალურ წყალთან ერთად, – გამოიყენება სამკურნალო ტალახი;

შერეული ტიპის კურორტი, სადაც ერთდროულად რამდენიმე ტიპის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი არსებობს. შესაბამისად, იგი შეიძლება იყოს კლიმატურ-ბალნეოლოგიური, ბალნეო-კლიმატური და კლიმატურ-ბალნეო-პელოიდური

• **კურორტი.**

კურორტებისა და საკურორტო ადგილების სხვადასხვა თერაპიული მოქმედების მქონე ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები განაპირობებენ მათ სამედიცინო პროფილს, როგორიცაა კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული, ალერგოლოგიური, ნევროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნეფროლოგიური, უროლოგიური, დერმატოლოგიური, პროფილაქტიკური. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი კურორტი ორი, სამი, ან მრავაპროფილიანია.

საქართველოს კურორტული ფაქტორების შესწავლის მიზნით მეცნიერული კვლევები გასული საუკუნის 20-იან წლებამდე უსისტემოდ ტარდებოდა. 1931 წლიდან, დაიწყო როგორც ძველი (ბორჯომი, აბასთუმანი, გაგრა, სოხუმი, ქობულეთი), ასევე ამ პერიოდისთვის არსებული ახალი კურორტების (წყალტუბო, მენჯი, საირმე, ახტალა, შოვი, ჯავა; ბორჯომის, თბილისის, აფხაზეთის და აჭარის ჯგუფები და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები) კურორტული ფაქტორების გეგმაზომიერი, სისტემატური მეცნიერული შესწავლა. საკურორტო-რეკრეაციული რესურსების ახალი სახეობების გამოვლენისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მეცნიერულ კვლევებს ხელმძღვანელობდა 1926 წ. დაარსებული საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომ – ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტიტუტი) მის სოხუმისა და წყალტუბოს ფილიალებთან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრებსა და კლინიკებთან და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად. ნიშანდობლივია, რომ ინსტიტუტმა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული 80-იანი წლების ბოლომდე, სიღრმისეულად შეისწავლა ქვეყნის ბუნებრივი საკურორტო რესურსები და შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც აისახა სხვადასხვა მეცნიერულ ნაშრომში. კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო კურორტებისა და საკურორტო ადგილების საბოლოო პროფილების დადგენას, მეცნიერულად და ექსპერიმენტულად დასაბუთებული სამედიცინო ჩვენებების, უკუჩვენებებისა და ქვეყნის კურორტებზე ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობის მეთოდიკების

შემუშავებას. (დღეს ეს ინსტიტუტი დამოუკიდებლად აღარ არსებობს. იგი, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის - კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შემავალი ერთეული გახდა).

საქართველოს, გამორჩეულს მრავალფეროვანი ბუნებრივი სამკურნალო რესურსების პოტენციალით, განსაკუთრებით ბალნეო- და კლიმატოთერაპიული რესურსებით, ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. მის ტერიტორიაზე არსებობდა საბჭოთა კავშირის სამკურნალო მინერალური წყლების თითქმის 1/3-ის გამოსავლები. ასევე, საქართველო გამოირჩეოდა უნიკალური მთაგორიანობით, რომლის მთელი ტერიტორიის 53.8% მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მეტ სიმაღლეზე, 33.4% – 1000-დან 200 მ-მდე და მხოლოდ 12.8%-ია 200 მ-ზე დაბლა.

საქართველოში საკურორტო მეურნეობის განვითარება დაიწყო XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან. თავდაპირველად ათვისეს კურორტები – ბორჯომი და აბასთუმანი, აგარაკი კოჯორი. სოხუმი გამოცხადდა მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე კლიმატურ კურორტად. აშენდა საკურორტო კომპლექსი გაგრაში, რუსეთის იმპერიაში უდიდესი სანატორიუმი გულრიფშში, პანსიონატები და აგარაკები აჭარის სანაპიროზე (ქობულეთი, მახინჯაური, ციხისძირი). მაგრამ არსებული საკურორტო რესურსების ათვისების დონე იყო უმნიშვნელო. მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც კურორტები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და შეიქმნა ახალი კეთილმოწყობილი კურორტების, სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების მნიშვნელოვანი ქსელი. პირველად გაჩნდა საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები. ფუნქციონირება დაიწყო სამკურნალო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა კურორტებზე – წყალტუბო, მენჯი, საირმე, შოვი, ახტალა, სურამი, ჯავა, ბახმარო, დარიალი, ლებარდე, ცაიში, აგრეთვე ბორჯომის ჯგუფის (წაღვერი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი) და თბილისის ჯგუფის (კოჯორი, მანგლისი, წყნეთი) და აფხაზეთისა და აჭარის შავიზღვისპირა (ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ახალი ათონი, გუდაუთა, განთიადი, ლესელიძე და სხვ.) კურორტებზე.

ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საქვეყნოდ განთქმულ პირველი კლასის ბალნეოკლიმატურ კურორტ ბორჯომს, მთის კლიმატურ კურორტ აბასთუმანსა და ზღვისპირა კურორტებს – გაგრასა და ახალ ათონს. ამ კურორტებზე გაჩნდა გიგანტური კომფორტული სასახლე-სანატორიუმების უდიდესი ქსელი, რომლებიც გამოცხადდა საკავშირო კურორტებად. სოხუმი და ბათუმი იქცნენ მშვენიერ ქალაქ-კურორტებად უმდიდრესი სუბტროპიკული პარკებითა და სამედიცინო პლაჟებით.

კურორტ წყალტუბოში, რომელიც ადრე მიტოვებული სამკურნალო ადგილი იყო, ელემენტარული სანიტარიულ-ჰიგიენური ნაგებობებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების გარეშე, აშენდა მრავალი გიგანტური სასახლე-სანატორიუმი, სააბაზანო ნაგებობა, პოლიკლინიკა, პანსიონატი, დიეტური სასადილო, სასტუმრო, რესტორანი და სხვ. შეიქმნა მუდმივი სამეცნიერო ბაზა – ი. ონიაშვილის სახ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტიტუტის ფილიალი, სადაც სისტემატურად ტარდებოდა კვლევები კურორტის ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი სამკურნალო ფაქტორების შესასწავლად. შედეგად ამისა, წყალტუბო პირველყოფილი, მიყრუებული სამკურნალო ადგილიდან იქცა მძლავრ, კომფორტულ პირველი კლასის პოპულარულ საკავშირო მნიშვნელობის კურორტად.

დაიწყო ფუნქციონირება რესპუბლიკური მნიშვნელობის ზოგიერთმა კურორტმა, რომლებიც ფაქტობრივად ემსახურებოდნენ მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ავადმყოფებს და დამსვენებლებს, როგორიცაა: მენჯი, შოვი, უწერა; თითქმის ცარიელ ადგილას აღმოცენდა ჯავა; ახტალა, ერთადერთი კურორტი საბჭოთა სივრცეში, წარმოქმნილი ფსევდოვულკანური (ბორცვის) ტალახის ბაზაზე; სურამი (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის საზღვარზე განლაგებული კურორტი), რომლის კლიმატის უნიკალურობამ განაპირობა მისი პოპულარობა; ბახმარო და ლებარდე, რომლებიც საქართველოს სხვა ანალოგიური კურორტებისგან განსხვავდებიან განსაკუთრებული რბილი მთა-ზღვის კლიმატით; აჭარისა და აფხაზეთის შავიზღვისპირა კურორტები: ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, გუდაუთა, ტყვარჩელი, ლესელიძე.

აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ბორჯომის ჯგუფში შემავალი კურორტები (წაღვერი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი) და თბილისის საგარეუბნო კურორტები (კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კიკეთი), აგრეთვე სხვა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. თბილისში თერმული წყლების ბაზაზე აშენდა თბილისის ბალნეოკლიმატური კურორტის პირველი ობიექტი – კომფორტული საბაზო შენობა, აღჭურვილი პოლიკლი-

ნიკით, დიაგნოსტიკური და ბალნეო-ფიზიოლოგიური განყოფილებებისა და კაბინეტების ყველა სახეობით.

ამ პერიოდში უდიდესი როლი ენიჭება ახლად გამოვლენილ მრავალ ბალნეოთერაპიულ და კლიმატოთერაპიულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტს, რომელთა შორის განსაკუთრებით პერსპექტიულია ბალნეოლოგიური კურორტი ცაიში, რომელიც უხსოვარი დროიდანაა ცნობილი თავისი მენჯი-მაცესტის ტიპის თერმული წყლებით. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარებისას 750-800 მ სიღრმიდან ამოხეთქა ჰიპერთერმულმა (83ოჩ) ძალიან რთული შედგენილობის (წყალტუბო-მენჯის ტიპის ნარევი) წყალმა, რომლის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა პოპულარულ საკავშირო მნიშვნელობის ბალნეოლოგიურ კურორტს.

ბორჯომის კურორტული ფაქტორების შესწავლისა და მათი ავადმყოფ ორგანიზმზე ზეგავლენის დადგენის მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევის შედეგად, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ქრონიკული დაავადებების მკურნალობისას, დამტკიცდა ბორჯომის წყლის მაღალი სამკურნალო ეფექტურობა და შემუშავდა მკურნალობის მეთოდიკა; დადგინდა სამედიცინო ჩვენებები და უკუჩვენებები (გამოიცა სახელმძღვანელოს სახით).

წყალტუბოს კურორტული ფაქტორების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით (გეოლოგიური, კლიმატური, ექსპერიმენტულ-კლინიკური და სხვ.) შესრულდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. დადგინდა, რომ წყალტუბოს აბაზანები კარგად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე, რევმატიზმზე; ააქტიურებს ქალის სასქესო ჯირკვლებს, აძლიერებს ვეგეტატიური ნერვული სისტემის ტონუსს; კარგად მოქმედებს ბავშვთა პოლიომიელიტის ნარჩენ მოვლენებსა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებზე; აძლიერებს ორგანიზმში ჟანგვით პროცესებს, დადებითად მოქმედებს კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადებებისას. კარგი შედეგები მიიღეს სხვადასხვა ეტიოლოგიის სახსრების, ჰიპერტონიული და გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობისას. ჩატარებული სამუშაოს შედეგად შემუშავდა ამ კურორტზე მკურნალობისა და ჩვენებების მეთოდიკა. შესრულდა ექსპერიმენტული კვლევა წყალტუბოს აბაზანების მოქმედების შესასწავლად.

დადგინდა აბასთუმნის კურორტზე ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფების მკურნალობის მაღალი ეფექტურობა. შეიქმნა მკურნალობის, ჩვენებებისა და უკუჩვენებების მეთოდიკა.

თბილისის მინერალური წყლებისა და კუმისის სამკურნალო ტალახის, საირმის, შოვის, მენჯის, ახტალის, ბახმაროს, პატარა ცემის, ნაბეღლავის, ჯავისა და სხვა კურორტებისთვის ჩატარებულია წარმატებული მეცნიერული კვლევები ჯანმრთელ და ავადმყოფ ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლისა და საკურორტო ფაქტორების მოქმედების მექანიზმის დადგენის, ასევე ჩვენებების, უკუჩვენებებისა და მკურნალობის მეთოდიკების შემუშავებისა და დაზუსტების მიზნით.

აფხაზეთისა და აჭარის კურორტების ჯგუფების, სხვა მრავალი რესპუბლიკური და ადგილობრივი კურორტის საკურორტო ფაქტორების შესწავლის მიზნით ჩატარდა მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდში განხორციელდა დიდი სამუშაოები შემდეგი მიმართულებებით: საქართველოს ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორების ძიება და შესწავლა; საკურორტო-რეკრეაციული რესურსების გამოვლენა და, პირველ რიგში, ყველაზე მნიშვნელოვანი სამკურნალო მინერალური წყლების დებიტის გაზრდა, მათი ბალნეოთერაპიული თვისებების შესწავლა, კურორტული ფაქტორების გავლენა ორგანიზმზე; კურორტების (წყალტუბო, ბორჯომი, ქობულეთი, გაგრა, სოხუმი და სხვ.) გენერალური დაგეგმარება, ასევე საქართველოს მთის კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა. ამან საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულად დამტკიცებული მკურნალობის რაციონალური მეთოდების შემუშავებას. იმავდროულად, შესრულდა და გამოქვეყნდა უამრავი ნაშრომი საკურორტო მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, გამოიცა სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები კურორტოლოგიასა და ფიზიოთერაპიაში, ასევე მრავალი ბროშურა საკურორტო თემაზე. ამ სამუშაოთა შედეგები საფუძვლად დაედო კურორტების საბოლოო პროფილების დადგენას, მეცნიერულად დასაბუთებული ჩვენებებისა და უკუჩვენებების, ქვეყნის კურორტებზე ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობის მეთოდიკების შემუშავებას. ამრიგად, წარსულში (გასული საუკუნის 20-იან წლებამდე) უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს კურორტები სრულიად შეიცვალა – ჩამოყალიბდა მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობა, რომელიც ჩადგა საქართველოსა და, ასევე, სრულიად საბჭოთა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, გასული საუკუნის 90-

იანი წლებიდან განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა დამანგრეველი დარტყმა მიაყენა საკურორტო-რეკრეაციულ მეურნეობასაც – განადგურდა ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური და სამეცნიერო ბაზა, ინფრასტრუქტურა, დაინგრა საკურორტო მომსახურების სისტემა. ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო დაიკარგა (დროებით) აფხაზეთისა და შიდა ქართლის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) – სამაჩაბლოს საკურორტო პოტენციალი, გამოუსწორებელი ზარალი მიადგა ფლორასა და ფაუნას. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, კურორტების უმრავლესობამ დაკარგა თავისი პროფილი, ფუნქცია და ზოგიერთი მათგანი (მაგ., წყალტუბო, ცხვარიჭამია, წყნეთი და სხვ.) იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფრად იქცა. სამწუხაროდ, დღეს ქვეყნის საკურორტო პოტენციალის აღდგენა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული – შესასწავლია ბუნებრივი სამკურნალო რეკრეაციული რესურსების, კურორტებისა და საკურორტო ადგილების არსებული მდგომარეობა, შესაქმნელია მათი მონაცემთა ელექტრონული ბაზები, ანუ საჭიროა დიდი ძალისხმევა დარგის აღორძინება-განვითარებისთვის. ჯერჯერობით არ არის შემუშავებული განადგურებული საკურორტო მეურნეობის აღდგენა-განვითარების სრულყოფილი სამთავრობო სტრატეგია, თუმცა, ცხადია, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების საქმეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს სწორედ საქართველოს მრავალფეროვანი და უნიკალური სამკურნალო-საკურორტო რესურსები.

2.2 საკურორტო - კლიმატური და ჰიდრომინერალური რესურსები

გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფის სირთულე და მრავალფეროვნება – დაწყებული უმაღლესი მარადთოვლიანი მთებითა და მყინვარებით და დამთავრებული თბილი შავი ზღვის სუბტროპიკული სანაპიროთი; აღმოსავლეთ საქართველოს გაშლილი დაბლობის ველები; მთების, ტბებისა და მდინარეების (რომლებიც ქვეყნის ტერიტორიას კვეთენ სხვადასხვა მიმართულებით) სიმრავლე, - განაპირობებენ კლიმატების, მიკროკლიმატებისა და ლანდშაფტების განსაკუთრებულ მრავალგვარობას. ქვეყანას დასავლეთიდან საზღვრავს შავი ზღვის სანაპირო, ჩრდილოეთიდან - კავკასიონის მთავარი ქედი, სამხრეთიდან - ამიერკავკასიის მთიანეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით - სტეპური დაბლობი. აღნიშნული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა ტიპის (გარდა ტროპიკულისა) კლიმატის არსებობას - დაწყებული კავკასიონის მთავარი ქედის მუდმივი თოვლის კლიმატით და დამთავრებული შავიზღვისპირეთის ნოტიო სუბტროპიკული და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობების ზომიერი სუბტროპიკული და მშრალი (სტეპური) კონტინენტური კლიმატით.

საქართველოს მდიდარი ბუნებრივი საკურორტო-რეკრეაციული რესურსების განსაკუთრებულ მიმზიდველობას განაპირობებს შედარებით მცირე ტერიტორიაზე, დროის მოკლე პერიოდში (2-3 დღეში), სრულიად განსხვავებული ეკოსისტემების მონახულების შესაძლებლობა - ნოტიო სუბტროპიკებით (დასავლეთ საქართველოში) და ნახევარუდაბნოებით (აღმოსავლეთ საქართველოში) დაწყებული და თბილი ზღვის პლაჟებითა და მარადიული თოვლითა და მყინვარებით დაფარული მთებით დამთავრებული.

საკურორტო-კლიმატური რესურსები. ბუნებრივ საკურორტო-რეკრეაციულ რესურსებს შორის მნიშვნელოვანია კლიმატი (ჰავა). კლიმატურ რესურსებს დამოუკიდებელი საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მათი ეფექტიანი გამოყენება განსაკუთრებით პერსპექტიულია კურორტების განვითარების საქმეში. ამ მხრივ საყურადღებოა ისეთი ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც საკურორტო მეურნეობიდან და ტურიზმიდან დიდ სარგებელს ღებულობენ (შვეიცარია, ავსტრია, ლუქსემბურგი, ისლანდია, გერმანია, იტალია და სხვ.).

კლიმატური რესურსები ატმოსფეროში არსებული სხვადასხვა სახეობის ენერგიის, ნივთიერებისა და ინფორმაციის ის მარაგია, რომლის გამოყენება შეიძლება კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

საკურორტო-რეკრეაციული საქმიანობა მიმდინარეობს ადგილობრივი კლიმატის პირობებში, შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ კლიმატურ ელემენტს. საქართველოს ჰავას განსაზღვრავს მზის რადიაციის, ატმოსფერული ცირკულაციისა და რთული რელიეფის ურთიერთქმედების თავისებურებები. სუბტროპიკულ სარტყელში მისი განსაკუთრებული მდებარეობის გამო, აქ აღინიშნება მზის რადიაციის მაღალი მაჩვენებლები. განსაკუთრებით ულტრაიისფერი რადიაციის ყველაზე მაღალი

მაჩვენებლებია მთიან რაიონებში, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთის ჰავის სამკურნალო თვისებებს. მზის რადიაცია საქართველოსთვის ხასიათდება მზის ნათების მნიშვნელოვანი ხანგრძლივობით თითქმის ყველგან (გარდა აჭარა-გურიის ტერიტორიისა) და აღემატება 2000 სთ/წ.

ატმოსფეროს ადგილობრივი ცირკულაცია კლიმატის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ჰაერის მასები, რომელთა პერიოდული შემოჭრა ხდება საქართველოში, ფორმირდება არქტიკაში, ზომიერ განედებში ან ტროპიკებში. ჩვენი ქვეყნის მთიანი სისტემები – კავკასიონის მთავარი ქედი და სამხრეთი მთიანეთი – ძლიერ ცვლის ჰაერის მასების მოძრაობის მიმართულებას და მნიშვნელოვნად მოქმედებს ატმოსფერულ და რადიაციულ პროცესებზე, რომლებიც ხშირად იწვევენ ჭექა-ქუხილს, ნალექებსა და სეტყვას.

კლიმატური რეჟიმის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს კავკასიონის მთავარი ქედის განლაგება, რომელიც განაპირობებს დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარების მასების გადატანის მიმართულებებს. ამინდის მკვეთრი ცვლილებები დაკავშირებულია სწორედ ამ მიმართულებებით საჰაერო მასების შემოჭრასთან, სხვა მიმართულებით ჰაერის მასების გადაადგილება კი შეზღუდულია. ჩრდილოეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა თითქმის გადაულახავია, ხოლო სამხრეთიდან მცირე კავკასიონის ქედები გარკვეულწილად აფერხებენ მათ შემოჭრას მიწისპირა ფენებში და თავისუფლად ვრცელდებიან მხოლოდ უფრო მაღალ ფენებში.

კავკასიონის მთიანი სისტემა არის ის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც განაპირობებს საქართველოს კლიმატურ თავისებურებას – იგულისხმება კლიმატური ელემენტების – ჰაერის ტემპერატურის, ატმოსფერული ნალექების და სხვ. ცვლილებები სიმაღლებრივი სარტყლების მიხედვით დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ (საქართველოში, როგორც ყველგან დედამიწაზე, ჰაერის ტემპერატურა სიმაღლის მიხედვით, ყოველ 100 მ-ზე საშუალოდ 0.5^0C-ით ეცემა).

ადამიანის ორგანიზმზე, მის თბომიმოცვლაზე და სუნთქვაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ჰავის მნიშვნელოვანი ელემენტია ჰაერის ჰიდროთერმული მდგომარეობა, გამოხატული შეფარდებითი ფიზიოლოგიური ტენიანობის ერთეულებში (შეფარდებითი ტენიანობა დაყვანილი სხეულის ტემპერატურასთან). კურორტების ჰავის კომპლექსური შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამინდის პირობების სტრუქტურა წლის სხვადასხვა დროს და დადგინდეს საკურორტო მკურნალობის ოპტიმალური პერიოდები.

ატმოსფერულ სინოტივეს კარგად ახასიათებს ჰაერში შემავალი წყლის ორთქლის პარციალური წნევა და შეფარდებითი სინოტივე. განსაკუთრებით მაღალი საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივით გამოირჩევა ზღვისპირა ზოლი ბათუმიდან ანაკლიამდე (80-82%). დაბალი შეფარდებითი სინოტივით ხასიათდება უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის სტეპური ზონა (66-70%) და სამხრეთ მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი (64-70%). სიმაღლის მატებასთან ერთად, ნალექების მსგავსად, 2500-3000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, შეფარდებითი სინოტივე იზრდება, შემდეგ კი მცირდება. მშრალ დღეთა რიცხვი (30%-ზე ნაკლები შეფარდებითი სინოტივე) ზღვის სანაპირო ზოლში 2-სა და 10-ს შორის მერყეობს. მშრალი დღეებით გამოირჩევა ივრის ზეგანი და ქვეყნის სამხრეთი მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ნოტიო დღეთა (შეფარდებითი სინოტივე 13 სთ-ზე მეტია, ან უდრის 80%-ს) რიცხვი ზღვის სანაპირო ზოლში მნიშვნელოვანია (70-211 დღე). ასეთი დღეები უმნიშვნელოა ახალქალაქის პლატოზე და ივრის ზეგანზე.

ატმოსფერული ნალექები ერთ-ერთი ძირითადი კლიმატური ელემენტია მშრალი სტეპებისა (400 მმ-ზე ნაკლები ნალექების წლიური ჯამი) და ჭარბად ნოტიო რაიონებისთვის (4000 მმ-ზე მეტი). ყველაზე მეტი ნალექი მოდის მესხეთის ქედის ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე - საშუალოდ წელიწადში 4500 მმ (მაგ., მთა მტირალა). ყველაზე ნაკლები (400 მმ-ზე ნაკლები) - აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია. ცნობილია, რომ რაც დაბალია ნალექების ჯამი, მაღალია კონტინენტურობა. ნალექების დღეღამურ მსვლელობაში არჩევენ ორ ძირითად ტიპს: ზღვიურს და კონტინენტურს. პირველი გაბატონებულია დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში - ნალექები უმეტესად დილის საათებში მოდის; მეორე - კონტინენტური, კი აღმოსავლეთ საქართველოშია - აქ ნალექები უმეტესად საღამოს მოდის. საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში წლის განმავლობაში მოსული ნალექების 50-70% თბილ პერიოდზე მოდის (ტერიტორიულად იცვლება 300-800 მმ-ის - დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთში - 160-600 მმ-ის ფარგლებში).

თოვლის საფარი - მთაგორიანი რელიეფისა და კლიმატის ნაირგვარობის გამო, თოვლიან დღეთა რაოდენობა და მისი სიმაღლე ქვეყნის ტერიტორიაზე ცვალებადია.

ქარების წარმოშობა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ტერიტორიის არათანაბარ გათბობასა და წნევის განაწილებასთან. ბრიზები - დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ქარები და ფიონები - აღმოსავლეთის ქარები, აძლიერებენ ქარების სიხშირეს. გარდა აღნიშნული ქარებისა, საქართველოში საკმაოდ ხშირად წარმოიშობა ადგილობრივი - მთა-ხეობათა ქარები. ქარის სიჩქარე ძლიერი ფიონის დროს შეიძლება 40 მ/წმ-ს აჭარბებდეს, ამ დროს ტემპერატურა მატულობს 10-15^{0}C-ით, ხოლო შეფარდებითი სინოტივე 10%-მდეც კი ეცემა.

საქართველოსთვის საშიში მეტეოროლოგიური მოვლენებია - სეტყვა, ძლიერი ქარები (15 მ/წმ-ზე მეტი), ელჭექი, ნისლიანი (ბურუსიანი) დღეები, გვალვა.

საქართველოს კურორტები, სუბტროპიკული ზონისა და ზომიერი ღრუბლიანობის ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობის გამო, წელიწადის ყველა დროს ხასიათდება რადიაციის მაღალი ხანგრძლივობითა და ინტენსივობით. აქ მზის ნათების ხანგრძლივობა მერყეობს წელიწადში 2000-2500 სთ საზღვრებში. ზაფხულის თვეებში იგი უტოლდება დღეღამეში 9-10 სთ-ს, ხოლო ზამთრის თვეებში 4-6 სთ. კურორტების კლიმატურ თავისებურებებს შორის ერთ-ერთია მზის სპექტრის - განსაკუთრებით მისი ულტრაიისფერი ნაწილის - მაღალი აქტივობა, რომელსაც განაპირობებს მზის ნათების ინტენსივობის მომატება ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად.

ზომიერი და სუბტროპიკული განედების ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების ზემოქმედების გამო, საქართველოში ჰაერის მასების გადატანა ძირითადად ხდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და შავი ზღვის წყლით გაჯერებული ჰაერის მასები, გაივლიან რა დასავლეთ საქართველოს მთების ჩაკეტილ ზონას, თავისუფლდებიან ჭარბი ტენისგან, გამოყოფენ ნალექებს სურამის ქედის გავლით, ნაკლები სინოტივით, ხვდებიან აღმოსავლეთ საქართველოში. ამრიგად, ქმნის რა ამინდის პირობების მკვეთრ სხვაობას - მისგან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის - მერიდიანის გასწვრივ გაჭიმული სურამის (ლიხის) ქედი ასრულებს მთავარ როლს საქართველოს ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ კლიმატურ ოლქად გაყოფაში - ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქად, რომელსაც უკავია დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქად, რომელიც მოიცავს ქვეყნის აღმოსავლეთ ტერიტორიას. დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთისგან განსხვავებით, ხასიათდება მომატებული სინოტივით, ნალექების დიდი რაოდენობით, შედარებით თბილი ზამთრით, ნაკლებად ცხელი ზაფხულით და ჰაერის ტემპერატურის ნაკლები ამპლიტუდით. აღმოსავლეთ საქართველოში სჭარბობს შუა განედების კონტინენტური და ტრანსფორმირებადი ზღვის ჰაერის მასები. აქ ჰაერის სინოტივე უფრო დაბალია, ნალექების რაოდენობა გაცილებით ნაკლები, ზამთარი უფრო ცივი და, შესაბამისად, ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უფრო დიდია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში გამოიყოფა ქვეოლქი გარდამავალი ჰავით - ზომიერი ნოტიო სუბტროპიკულიდან წინა აზიის ზეგანის მშრალ ჰავამდე. ქვეოლქი გამოირჩევა უფრო მშრალი და კონტინენტური ჰავით, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიები. ყოველ კლიმატურ ოლქსა და ქვეოლქში დაცულია მისთვის დამახასიათებელი ამინდის ხასიათი, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება სიმაღლეში და მიდამოს მთაგორიანობა განაპირობებს კლიმატური მაჩვენებლების დიდ მრავალფეროვნებას. ჰავების ვერტიკალური ზონალობის თავისებურებები საფუძვლად უდევს საქართველოს საკურორტო-კლიმატურ დარაიონებას.

საქართველოს კურორტების მნიშვნელოვანი წილი საკურორტო კლიმატურ რესურსზე მოდის. ამ ჯგუფში აღრიცხულ 400-მდე კურორტსა და საკურორტო ადგილს შორის უმეტესობა კლიმატური პროფილისაა, ანუ ხასიათდება სამკურნალო თვისებების ჰავით. საქართველოს კურორტების კლიმატის განსაკუთრებული მრავალფეროვნება ასახულია (მ. კორძახია, 1961) კურორტების ლანდშაფტურ კლასიფიკაციაში, რომელიც ეყრდნობა მზის რადიაციულ რეჟიმს, ატმოსფეროს ცირკულაციის ხასიათსა და მათთან დაკავშირებულ ამინდის პირობებს და საქართველოს ტერიტორიას ჰყოფს ორ ცირკულაციურ-კლიმატურ ოლქად და ერთ ქვეოლქად, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია კლიმატურ ზონებად და ქვეზონებად.

2.3 საკურორტო-რეკრეაციული რაიონები

ტერიტორიული დარაიონება რთული სამეცნიერო-შემეცნებითი პროცესია, რომლის მიზანს წარმოადგენს ერთმანეთისგან რაიმე მკაცრად განსაზღვრული ნიშნით განსხვავებული სივრცითი ერთეულების გამოვლენა. რეკრეაციული დარაიონების არსი მდგომარეობს საერთო-სახელმწიფოებრივი, რეგიონული

ან ლოკალური დონის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემების (კომპლექსების) თანადაქვემდებარეების გამოყოფაში, კლასიფიკაციასა და დადგენაში. რეკრეაციული რაიონი ყალიბდება რეკრეაციული მომსახურების სფეროში (საკურორტო მკურნალობა, ზოგადგამაჯანსაღებელი დასვენება, ტურიზმი), შრომის გეოგრაფიული განაწილების პროცესში. სხვადასხვა რანგის რეკრეაციული რაიონების გამოყოფის ძირითადი კრიტერიუმებია:

1. ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული რესურსების არსებობა, მათი კონცენტრაცია გარკვეულ ტერიტორიაზე;
2. რეკრეაციული მომსახურების თვალსაზრისით ტერიტორიის გამოხატული სპეციალიზაცია;
3. მატრიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს შეუღლებული დარგების განვითარების დონე;
4. დამსვენებლებისა და ტურისტების მომსახურებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილი;
5. საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დონე.

ქვეყნის საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების რეგიონული თავისებურებების კვლევამ შესაძლებელი გახადა საქართველოს რეკრეაციული დარაიონების სქემის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის როგორც თანამედროვე მდგომარეობას, ასევე პერსპექტიულ განვითარებას.

სხვადასხვა რეგიონის კლიმატური და ბალნეოლოგიური საკურორტო რესურსების ხასიათისა და განლაგების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 12 საკურორტო-რეკრეაციულ რაიონად, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სპეციალიზაციით, დაწესებულებების სტრუქტურითა და განვითარების პოტენციური შესაძლებლობებით.

თბილისი - თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ლისის ტბა, კუს ტბა, წყნეთი, კოჯორი და თბილისის წყალსაცავი (ზღვა). გამორჩეული მრავალფუნქციური რაიონი, როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. დედაქალაქი-კურორტი თბილისი ვითარდება როგორც საერთაშორისო ტურიზმის ცენტრი და, იმავდროულად, საერთაშორისო ბალნეოლოგიური ცენტრი.

იმერეთი - წყალტუბო, საირმე, ზეკარი, სულორი, სამტრედია, გორდი, ცხრაჯვარი, კვერეთი, ზვარე, ნუნისი და იმერეთის მღვიმეები. მსხვილი ტურისტული ცენტრია ქუთაისი - საქართველოს მეორე დედაქალაქი. აქ ფუნქციონირებს ცნობილი უროლოგიური პროფილის კურორტი საირმე, ბალნეოლოგიური კურორტი წყალტუბო. იმერეთის მღვიმეების მიკროკლიმატი გამოიყენება სამკურნალოდ.

კახეთი - თუშეთი (თორღვას აბანო), ომალო, დართლო, თუშეთის ეროვნული პარკი, თელავი, ზინობიანი, ყვარლის ტბები, ლაგოდეხი, ახტალა, უჯარმა, არხილოსკალო, ვაშლოვანის ეროვნული პარკი და სიღნაღი. აქ არის პოპულარული ტალახით სამკურნალო კურორტი ახტალა, მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრები - სიღნაღი, თელავი, ლაგოდეხი, გურჯაანი, წინანდალი, ყვარელი. რაიონი არმოადგენს ქვეყანაში ღვინის ტურიზმის განვითარების ცენტრს.

სამეგრელო-ზემო სვანეთი - მესტია, სქური, ლუგელა, ლებარდე, მენჯი, ცაიში, ანაკლია და პალიასტომის ტბა. მოიცავს კოლხეთის დაბლობს ზღვისპირა სანაპირო ზოლით და მიმდებარე მთისწინეთს. აქ განლაგებულია სხვადასხვა მინერალურ წყაროებზე დაფუძნებული ბალნეოლოგიური კურორტები - ცაიში, მენჯი; ზღვისპირა კლიმატური კურორტები - ანაკლია, მალთაყვა. მთის ჰავა, მაღალმთის ლანშაფტები, მრავალრიცხოვანი მინერალური და თერმული წყაროები - ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ რაიონად წარმოაჩენს როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ასევე ტურისტული თვალსაზრისით (არის ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის მნიშვნელოვანი არეალი).

ქვემო ქართლი - კუმისი, დმანისი და მანგლისი. აქ მდებარეობს ცნობილი კლიმატური კურორტი მანგლისი.

გურია - ბახმარო, ნაბეღლავი, გრიგოლეთი, შეკვეთილი, ურეკი, ნასაკირალი და ასკანა. მთისა და ზღვის ჰავა, მაღალმთის ლანდშაფტები, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები - ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ რაიონად წარმოაჩენს როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უნიკალური კურორტული თვისებებით გამორჩეული **ბახმარო და ურეკი.**

შიდა ქართლი - ჯავა, სურამი, ქვიშხეთი, აბანო, გორიჯვარი და ხოვლე. აქ მდებარეობს პოპულარული ბალნეოკლიმატური კურორტი ჯავა, სურამი და ქვიშხეთი. ძალიან პერსპექტიული რაიონია სამკურნალო ტურიზმის განვითარებისთვის.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - უწერა, შოვი, ლაშიჭალა, ხიდიკარი, შაორის წყალსაცავი და მუაში. ბუნებრივი ფაქტორებით ანალოგიურია სამეგრელო-ზემო სვანეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის; აქ განსაკუთრებით ცნობილია ბალნეო-კლიმატური კურორტი უწერა და მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი შოვი, რომელიც იმავდროულად არის ტურისტული ცენტრი.

მცხეთა-მთიანეთი - გუდაური, საგურამო, სიონი, ბაზალეთის ტბა, ფასანაური, ფშავ-ხევსურეთი, სტეფანწმინდა და ყანჩავეთი. მოიცავს საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ ტერიტორიას, გააჩნია მდიდარი ტურისტული ტრადიციები. ალპინიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია სტეფანწმინდა. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს საერთაშორისო სამთო-სათხილამურო ცენტრი და ბალნეოლოგიური კურორტი გუდაური. ფუნქციონირებს ტურისტული ცენტრი ქ. მცხეთაში.

სამცხე-ჯავახეთი - ბორჯომი, აბასთუმანი, ბაკურიანი, წაღვერი, ცემი, მიტარბი, ლიკანი, ჯავახეთის ეროვნული პარკი, ასპინძა და ურაველი. ფუნქციური თვალსაზრისით ყველაზე მრავალფეროვანია ცნობილი ბორჯომის საკურორტო-რეკრეაციული კომპლექსი, რომელიც, პირველ რიგში, მოიცავს საკურორტო მკურნალობას და იმავდროულად არის ტურიზმისა და დასვენების ცენტრი. ბაკურიანის ლოკალურ კომპლექსს გააჩნია ორმაგი ფუნქცია: ზაფხულში მთის კლიმატური კურორტია, ხოლო ზამთარში - უმსხვილესი საერთაშორისო სამთო-სათხილამურო კურორტი. მნიშვნელოვანი კურორტებია - წაღვერი, ცემი, პატარა ცემი, ლიბანი და სხვ.

უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე მთის ჰავამ და მრავალი მინერალური წყაროს არსებობამ განაპირობა აქ კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება. მათ შორის მნიშვნელოვანია ცნობილი ფტიზიატრიული პროფილის კურორტი აბასთუმანი და უნიკალური კლდეში ნაკვეთი ქალაქი – კურორტი ვარძია.

აფხაზეთი - სოხუმი, გულრიფში, კინდღი, ტყვარჩელი, ახალი ათონი, გუდაუთა, რიწა, ავადჰარა, ბიჭვინთა, გაგრა და ლესელიძე. მათთვის დანახასიათებელია რბილი სუბტროპიკული ჰავა, თბილი ზღვა, მზის ნათების მაღალი ინტენსივობა, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროების შერწყმა, ლანდშაფტი, - რამაც განაპირობა კურორტებისა და ტურიზმის განვითარების ბუნებრივი ფონის შექმნა.

აჭარა - ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, გონიო, სარფი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, ჩაქვი, კოკოტაური, ბაბანური, გომარდული და ბეშუმი. სპეციალიზაცია ანალოგიურია აფხაზეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის. ძირითადი ცენტრებია - ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი. ყველაზე პერსპექტიულია ქობულეთი, გამორჩეული განსაკუთრებული სამკურნალო კლიმატით.

3. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების მეთოდიკის სრულყოფის საკითხები

3.1 ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება

ტურიზმის განვითარება თანამედროვე პირობებში ახალ მასშტაბებს იძენს და რიგი თავისებურებებით ხასიათდება. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის სათანადო პირობების შექმნა და რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მოსახლეობის გაჯანსაღება და დასვენების ორგანიზება წარმოადგენს გამყვანი ტურიზმის ალტერნატივას (განსაკუთრებით მიმდინარე პანდემიის პირობებში) და ხელს უწყობს ტურისტული მომსახურების ტერიტორიული ბაზრის განვითარებას.

ტურიზმი და რეკრეაცია საქართველოში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. შიდა ტურიზმის განვითარება გახდა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანა.

ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ენიჭება. საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის კავშირურთიერთობების პრობლემა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების თავისებურებათა შესწავლის განსაკუთრებული ასპექტია და ამდენად, თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. ბუნების დაცვა, მისი რესურსების ოპტიმალური და ეფექტიანი გამოყენება შეიძლება განხილული იქნეს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანათა ჰარმონიული გადაწყვეტის კონტექსტში.

საქართველოში ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში უდავოდ პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, ვინაიდან მისი ზეგავლენის ხარისხი (საწარმოო ძალების ტერიტორიების რაოდენობა, ხარისხი და შეხამება) განსაზღვრავს ტერიტორიის, რეგიონის ბუნებრივ–რესურსულ პოტენციალს, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობისა და სამეურნეო საქმიანობის განლაგების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ბუნებრივი რესურსების მდიდარი წყაროების ათვისება ხელს უწყობს მსხვილი სამრეწველო ცენტრების წრმოქმნას, სამეურნეო კომპლექსებისა და ეკონომიკური რაიონების ჩამოყლიბებას. ბუნებრივ რესურსული პოტენციალი დიდ ზეგავლენას ახდენს რეგიონის საბაზრო სპეციალიზაციისა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე. ამასთანავე ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების ხასიათი ზეგავლენას ახდენს რეგიონული განვითარების ეკონომიკურ ზრდასა და ტემპებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ქვეყნის ასევე რეგიონული ეკონომიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბუნებრივ–რესურსული პოტენციალის განსაზღვრა, მისი ტერიტორიული შეთანწყობის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხების გამოვლენა და რეგიონის სოციალურ–ეკონომიკურ კომპლექსში მისი რაციონალური და დაბალანსებული გამოყენების პრობლემების განზოგადება.

ტურისტული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ტურიზმის მართვის სფეროში მომზადებისა და მხარდაჭერის გადაწყვეტილებების მიღების სისტემა ამჟამად საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

საქართველოში ტურიზმის განვითარების სწორად დაგეგმვისთვის აუცილებელია ტურიზმის განვითარების არსებული რესურსების კომპლექსური შეფასება, რაც შესაძლებელს გახდის ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული პოტენციალის, საერთოდ, რეგიონში ტურისტული საქმიანობის არსებული შესაძლებლობების უფრო სრულად გათვალისწინებას.

ტურიზმის განვითარების რეგიონული და მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამების ღონისძიებების მეცნიერული დასაბუთება ხელს შეუწყობს მიმზიდველი რეგიონების გამოვლენას ინვესტიციების მოსაზიდად, შესაძლებელს გახდის ფინანსური საშუალებების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვას, ტურიზმის განვითარებით მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდას. ტურიზმის განვითარების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა გამოიყენება ქვეყნის და სხვადასხვა რეგიონის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების ანალიზისთვის.

მიუხედავად თავისი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის როლისა, ტურისტულ-რეკრეციული საქმიანობა იწვევს გარემოს სახეცვლილებას. ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება. რეგულირების ყველაზე მოთხოვნად ეკონომიკურ ინსტრუმენტს დღესდღეობით წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდების სისტემატიზაცია და უნივერსალური მეთოდიკის შემუშავება ყველა ეკონომიკური ინსტრუმენტის ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისგან დაცვის საკითხებში გამოყენების და ამით გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის დაცვა - შენარჩუნების საშუალებას იძლევა

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების არსებულ მიდგომებს შორის, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების **(ტრრ)** შეფასებისას გამოიყენება:

- ინტეგრალური მიდგომა;
- შედარებითი მიდგომა (საბაზრო ფასების გამოყენება);
- შემოსავლითი მიდგომა (მიწის რენტის კაპიტალიზაცია);
- ხარჯვითი მიდგომა (ჩანაცვლებაზე ხარჯის განსაზღვრა, კვლავწარმოება, აღდგენა და გადაადგილება);
- ალტერნატიული ღირებულების ხარჯის ან ხელიდანგაშვებული მოგების კონცეფცია;
- სუროგატული ბაზრების მოდელირება.

ტრრ-ის ეკონომიკური შეფასების მიდგომა უნდა შეირჩეს წარმოებული შეფასების მიზნებიდან გამომდინარე **(ნახ.5).**

ნახ. 5.

ტრრ ეკონომიკური შეფასების მეთოდების კლასიფიკაცია



ტრრ-ის ეკონომიკური შეფასებისთვის რეკომენდებული მეთოდები დაჯგუფებულია გამოყოფილი მეტობის შესაბამისად.

ინტეგრალური (კომპლექსური) მიდგომა გულისხმობს სავარაუდო საქმიანობის თანაფარდობას მისი განხორციელების შესაძლებლობასთან მიმართებაში, სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება ხდება გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლების სისტემის მეშვეობით. ეს სისტემა შეიცავს საზოგადოებრივ წარმოებაზე, ჯანმრთელობასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე ასეთი ზემოქმედების პირდაპირ და ირიბ შედეგებს.

რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასებისთვის კომპლექსური მიდგომის შემადგენლობაში შეიძლება შემდეგი მეთოდების გამოყენება: **კადასტრული შეფასება; ქულობრივი შეფასება; საერთო ეკონომიკური ღირებულების შეფასება.**

კადასტრული შეფასება. შეფასების მოცემული მეთოდი ეფუძნება ბუნებრივი რესურსის კონკრეტული სახეობის შესახებ ინფორმაციის ერთობლიობას; შეიცავს მისი რაოდენობის (მარაგების), ასაკის, ხარისხობრივი შემადგენლობისა და სტრუქტურის, ადგილმდებარეობის მახასიათებლებს და სხვა მრავალ მაჩვენებელს (ინდიკატორებს). კადასტრული ჯგუფები (რომლებადაც იყოფა ესა თუ ის ბუნებრივი რესურსი) განსაზღვრულია ქულებით (1-დან 100-მდე). არსებული კადასტრების მონაცემების მიხედვით, უნდა განისაზღვროს ყველაზე მაღალი სუფთა შემოსავლის და ყველაზე დაბალი დანახარჯის ათვისების, გამოყენების, კვლავწარმოების და ბუნებრივი აქტივების მოცემული სახეობის დაცვის პირობები. კადასტრული მეთოდი უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების უფრო დეტალიზებულ შეფასებას შედარებით გამარტივებულ ხარჯვით და რენტულ მეთოდებთან და გამოყენებადია თითოეულ მათგანთან ერთობლიობაში.

3.2 ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი

განვიხილოთ ტურისტული რესურსების ტერიტორიების პოტენციალის შეფასების ყველაზე ცნობილი მიდგომები.

ტურისტული პოტენციალის სიდიდისა და ეფექტიანობის შეფასების მეთოდი. ტურისტული პოტენციალის სიდიდისა და ეფექტიანობის შეფასებისას მოცემულ მეთოდიკაში გამოყენებულია შემდეგი მაჩვენებლები:

- ტურისტული პოტენციალის რესურსების ჯამური მოცულობა;
- ტურისტული პოტენციალის სიდიდე;
- ტურისტული პოტენციალის რეალიზაციის მაჩვენებელი.

ტერიტორიების **ტურისტული პოტენციალის რესურსების ჯამური მოცულობა** ახასიათებს მაქსიმალურად შესაძლებელ მოცულობას ტურისტული რესურსების, რომლებსაც ფლობს ტერიტორია დროის მოცემულ მომენტში, რაც გამოისახება ერთიან განზომილებაში.

ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის კომპლექსური შეფასება მიზანშეწონილია შესრულდეს ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა შეირჩეს ერთიანი ღირებულებითი საზომები და პოტენციური მთლიანი შემოსავლის დათვლა განხორციელდეს ტურისტული პოტენციალის ყველაზე სრული გამოყენების პირობებში.

ეს შესაძლებელია ტურისტული დანახარჯების ჯამური სიდიდის შეფასებისა და ტურისტების მომსახურე სხვადასხვა საწარმოებს შორის მათი განაწილების შესწავლის საშუალებით. მათი შესრულების პროცესში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დიდი მოცულობის პირველადი ინფორმაციის გამოყენების აუცილებლობა. ეს კი, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისთვის მოითხოვს დიდ ფინანსურ ხარჯებს. ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ეკონომიკური შეფასება შეიძლება იყოს შუალედური სიდიდის (მაგ., წლიური) ან ჯამური იმ პერიოდის, რომელიც უტოლდება ტურისტული პოტენციალის აღწარმოების საშუალო ციკლს.

ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივ გამოსახულებად შეიძლება გამოდგეს ტურისტების გარკვეული რაოდენობა, რომელიც განთავსდება მოცემულ ტერიტორიაზე ზიანის მიყენების გარეშე გარემოზე, ისტორიულ-კულტურულ ობიექტებზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე, დასვენების ხარისხზე, ასევე მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაზე. ტურისტული პოტენციალის ღირებულებითი შეფასება ასევე შესაძლებელია, პირველ რიგში, მისი ძირითადი მდგენელის - ტურისტული რესურსების საშუალებით.

ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ანალიზისას აუცილებელია რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება - ანუ უნდა შეფასდეს ტურისტული რესურსების არა მხოლოდ პოტენციალი, არამედ მათი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე რეგიონში. დღესდღეობით, ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების შეფასების მეთოდური ამოცანა ტურიზმის განვითარებისთვის ჯერ კიდევ გადასაჭრელია.

ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების კრიტერიუმი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი თანაფარდობის სახით:

$$K_e = E_p / E_e, \quad (8)$$

სადაც, K_e - ეფექტიანი გამოყენების კრიტერიუმი;

E_p - ტერიტორიული ტურისტული პოტენციალის რეალიზაციიდან მიღებული ეფექტი;

E_e - ხარჯები, რომლებიც საჭიროა E_p მისაღწევად.

თავის მხრივ, E_p - შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი მდგენელის ჯამის სახით, რომელთაგან ერთ-ერთი ახასიათებს ტურიზმის წილს რეგიონული და სახელმწიფო პრობლემების გადაჭრაში, ხოლო მეორე, - საკუთრივ რეკრეაციულ ეფექტს, ანუ სხვაობას ტურიზმის ტურისტული ციკლის საწყის და საბოლოო მდგომარეობას შორის. რაც შეეხება აუცილებელ ხარჯებს E_e - ისინი დამოკიდებულია პოტენციალის რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებების სპეციფიკაზე და მათი განსაზღვრა შეიძლება მსხვილი საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის გათვლების პრაქტიკაში ცნობილი მეთოდიკების საშუალებით.

ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა. ტურისტული პოტენციალის შეფასების მოცემული მეთოდიკა მიმართულია განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების - ეროვნული პარკების პირობებში გამოყენებაზე; თუმცა, მისი გამოყენება სრულიად შესაძლებელია სხვა ტერიტორიებისთვისაც, რადგან მეთოდოლოგიური განსხვავებები მისი სხვა ტურისტული ტერიტორიების შეფასებისთვის გამოყენებაში არ არსებობს.

აღნიშნული მეთოდიკა ითვალისწინებს რეგიონის ტურისტული პოტენციალის ძირითადი კომპონენტების გამოყოფას, რომლებიც ექვემდებარება შეფასებას. კომპონენტები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტები;

2. ტურების განხორციელების საშუალებები და პირობები (პროგრამები, ექსკურსიები).

პრაქტიკაში შესაძლებელია ბევრი კომპონენტის რაოდენობრივი შეფასება. ჯამური შეფასების მისაღებად აუცილებელია რაოდენობრივი შეფასების გადაყვანა ხარისხობრივში. მეთოდიკის თანახმად, ხარისხობრივი სკალის ჩვეულებრივი **დაყოფა შემდეგია: ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი.** ხარისხობრივი სკალა შეიძლება შეიცავდეს დამატებით გრადაციასაც, მაგ., უკიდურესად დაბალი და უკიდურესად მაღალი.

ხარისხობრივი სკალა შემდეგ უნდა გარდაიქმნას ქულებად, შემდეგ - ხდება ქულების უბრალო შეკრება. მაგ., ქვეჯგუფის - „ტურების განხორციელების პირობები“ -ისეთი კომპონენტების შეფასებისას, როგორიცაა ობიექტის ტერიტორიის ხელსაყრელობა და ვარგისობა, ტურის კონკრეტული მახასიათებლებით განსახორციელებლად აუცილებელია მათი დაყოფა ტურის განხორციელების ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ კომპონენტებად. უკანასკნელებს აუცილებელია მიენიჭოს ქულები უარყოფითი მნიშვნელობით, გამოაკლდეს შეფასების საერთო საბოლოო ჯამს.

ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასებისთვის მოცემული მეთოდიკა მოითხოვს არსებით საბოლოო დამუშავებას, ვინაიდან იგი ორიენტირებულია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების შეფასებაზე, მაშინ, როცა ჩვენთვის აუცილებელია კომპლექსური მეთოდიკა, რომელმაც უნდა მოიცვას ასევე ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური რესურსების აღრიცხვა.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა გვთავაზობს ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის შეფასებას შემდეგი გეგმით:

ა) **ისტორიული მემკვიდრეობის მიმზიდველი ობიექტების არსებობა** - არქეოლოგიის ძეგლები, მონასტრები, სოფლის ტაძრები; ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია საინტერესო ისტორიულ მოვლენებთან; სოფლებისა და დასახლებების შემორჩენილი არქიტექტურული ცენტრები, ღირსსახსოვარი ადგილები და სხვ.;

ბ) **უნიკალური ბუნებრივი და კულტურულ ლანდშაფტებთან დაკავშირებული ობიექტების არსებობა** - სამონასტრო პარკები, სათავადაზნაურო კარ-მიდამოები და სოფლის პარკები, უძველესი წყალგაყვანილობები, დასვენების თვალსაზრისით მიმზიდველი ტბები, ძველი წისქვილები მდინარეებზე და წყალსატევები, უძველესი ხეივნები და ცალკეული ხე-მცენარეები და ა.შ.;

გ) **ადგილების არსებობა, რომლებიც მოსახლეობამ დამოუკიდებლად აირჩია დასვენებისთვის** - ტყეპარკები დასვენებისა და გასეირნებისთვის; ადგილები კარვების ქალაქების მოსაწყობად; ადგილები მდინარეებთან საზაფხულო პლაჟების მოსაწყობად; ჭაობიანი მასივები, ადგილები ტბების ნაპირებზე; კენკრის მოსაგროვებლად გამოყენებელი ტყის მასივები; სპორტული ბაიდარებით და რეზინის ნავებით დაშვებისთვის ათვისებული მდინარეები და ა.შ.;

დ) **დასკვნა რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ხასიათის შესახებ**:

- რეგიონის ფარგლებში რეკრეაციული ან ტურისტული საქმიანობის სახეობები;
- აქტიურად გამოყენებადი ობიექტები ტურიზმში;
- ტურიზმის სახეობები, რომელთაც გააჩნიათ განვითარების პერსპექტივები;
- ტურისტებისთვის შეთავაზებული ახალი მარშრუტები;
- ტერიტორიის ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული პოტენციალის გამოყენების შეზღუდვების პრობლემები.

მოცემულ მეთოდიკას გააჩნია შეფასების გამოკვეთილი ალგორითმი, მაგრამ მასში სკალების კრიტერიუმების შეფასების ინსტრუმენტები არ არის დამუშავებული.

ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა. აქ შემოთავაზებულია

ტერიტორიების პოტენციალის ქულობრივი შეფასება. გამოვლენილია ძირითადი კომპონენტები - ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური.

ტურისტული პოტენციალი ფასდება ტურიზმის შედარებით ყველაზე მასობრივ ფორმებთან - გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული, საქმიანი და სამკურნალო, მიმართებაში. ამ შემთხვევაში შეფასების ობიექტს წარმოადგენს აბსტრაქტული ტურისტი, რომელიც ცხოვრობს რეგიონის ფარგლებს გარეთ .

ტურისტული პოტენციალის ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული კომპონენტების სიდიდე შემოთავაზებულია გაიზომოს ტერიტორიის მემკვიდრეობის ღირებულების საფუძველზე.

ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასების მიზნებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ: მემკვიდრეობის ობიექტები, რომლებიც მკაფიოდ არის დაფიქსირებული ნორმატიულ დოკუმენტებში და ხელმისაწვდომ ლიტერატულულ წყაროებში; მათი შედარებითი მნიშვნელობის დონე, რაც საშუალებას იძლევა საკმაოდ ადვილად გამოვსახოთ მათი მნიშვნელობა ქულებში. ამავდროულად, ისეთი ფაქტორების მნიშვნელობა, როგორიცაა, კლიმატი, რელიეფი და სხვა, - შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შესწორებითი კოეფიციენტების საშუალებით.

ტურისტული პოტენციალის **სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტის** შეფასებისას ითვალისწინებენ ტრანსპორტსა და სპეციალურ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარებაზე. ტრანსპორტის როლის შეფასებისთვის საკვანძო კრიტერიუმი შეიძლება იყოს სატრანსპორტო მაგისტრალების სიმჭიდროვე, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა ტერიტორიული ობიექტის ხელმისაწვდომობის ხარისხის დონეს. **ტურისტული ინფრასტრუქტურა ფასდება გაანგარიშებითი მაჩვენებლის** საფუძველზე, რომელიც ასახავს განთავსებისა და კვების საწარმოების რიცხვის ფარდობას ტერიტორიის მოსახლეობის რიცხოვნობასთან.

მეთოდიკას აქვს ქულების დათვლის შესაძლებლობები ყველა კომპონენტის მიხედვით. ბუნებრივი კომპონენტის გამოთვლისას ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებს მინიჭებული აქვს ერთი ქულა, რეგიონულს - ორი, ცენტრალურს - სამი ქულა, რეგისტრირებულ ობიექტებს - ერთი ქულა. დამატებით შემოყვანილია კოეფიციენტები შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- მემკვიდრეობის ობიექტების ფართობრივი გავრცელება (განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფართობის შეფარდება ტერიტორიის საერთო ფართობთან);
- კლიმატის კომფორტულობა;
- ლანდშაფტური მიმზიდველობა;
- ბუნებრივ-კეროვანი დაავადების დონე;
- ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების ცნობადობა გამოითვლება ენციკლოპედიურ წყაროში ხსენების სიხშირის საფუძველზე.

ისტორიულ-კულტურული კომპონენტის ქულებით გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება არამხოლოდ ცენტრალური მნიშვნელობის ძეგლების ობიექტების მნიშვნელობა - სამი ქულა, ადგილობრივის - ერთი ქულა, - არამედ უძრავი ობიექტის მრავალფეროვნებაც. მისი შეფასება ხდება კოეფიციენტების საშუალებით, გამომდინარე ტურისტული მიმზიდველობიდან: არქეოლოგიური და მონუმენტური ძეგლები - 0.6, ისტორიულები - 0.8, ქალაქთმშენებლობების, არქიტექტურული და კომპლექსური ძეგლები - ერთი ქულა. ჩვენი აზრით, წარმოდგენილმა შეფასებითმა სკალამ უკვე დაკარგა აქტუალობა, - საჭიროებს შეფასებითი მნიშვნელობების კორექტირებას.

შემოთავაზებულია **მაკორექტირებელი კოეფიციენტების დათვლის მეთოდიკა.** რეკომენდებულია ქვეყნის ან რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე სრული ენციკლოპედიური გამოცემის გამოყენება. ყოველი ენციკლოპედიური სტატია შეფასებულია ხუთი ქულით, მისი მოხსენიება - ერთ ქულად. თუ ობიექტი იყო ნახსენები, ემატება ქულები. შემდეგ ქულები ჯამდება და გაითვალისწინება შესწორებითი კოეფიციენტის გამოთვლისას. ამჟამად, საზოგადოების ინფორმატიზაციის პირობებში, ენციკლოპედიური ინფორმაცია აღარ ითვლება ძირითად წყაროდ ობიექტების ცნობების შესახებ. ბეჭდური წყაროები თამამად შეიძლება შეივსოს ინტერნეტის ქსელის ელექტრონული რესურსებით. ინტერნეტში ტურისტული ობიექტების მოხსენიების რაოდენობა, ვიკიპედიასა და სხვა საიტებზე სტატიების არსებობა - ტურისტული რესურსების პოპულარობის დამადასტურებელია.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დონის გაანგარიშება, მეთოდიკის თანახმად, მოცემულია ორი რიცხვის დაჯამებით: განთავსების კოლექტიური ობიექტების რიცხვის ადგილობრივი მოსა-

ხლეობის ათას კაცზე შეფარდებით და კვების საწარმოების როცხვის ადგილობრივი მოსახლეობის ათას კაცზე შეფარდებით. ეკონომიკის თვალთახედვით, წარმოდგენილი მაჩვენებლები მთლად კორექტული არ არის და ისინი არ იძლევიან ინფრასტრუქტურის განვითარების ობიექტურ შეფასებას.

შეფასების საბოლოო შედეგი წარმოადგენს არა ქულების რაოდენობას, არამედ ყოველი კონკრეტული ტერიტორიის წილს პოტენციალის ბუნებრივ, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკურ კომპონენტებში.

ტურისტული პოტენციალის სიდიდე - ეს არის ტურისტული მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის მაქსიმალურად შესაძლებელი მოცულობა არსებული რესურსების გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის პირობებში, რომლებიც უზრუნველ;ყოფენ ყველაზე სრულ მათ გამოყენებას. მოცემული მახასიათებელი ახასიათებს ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად შესაძლებელ უკუგებას. ტურისტული პოტენციალის რეალიზაციის ეს მაჩვენებელი აჩვენებს მისი გამოყენების დონეს, ახასიათებს ტურისტული რესურსების რეალურ უკუგებას. პრაქტიკაში ამ მაჩვენებლის გამოთვლა რთულია - პოტენციალს უნდა ჰქონდეს ღირებულებითი გამოსახვა.

ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდიკების შედარებითი დახასიათების შედეგები აჩვენებს, რომ ტერიტორიების ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის ყოველი განხილული შეფასების მეთოდიკას აქვს გარკვეული უპირატესობები და ნაკლოვანებები. ტურისტული რესურსების ცნობილი შეფასების მეთოდიკების შედარების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

• პოტენციალის შეფასება ყველაზე სწორია ტურიზმის განვითარების რესურსების ყველა სახეობის გათვალისწინებით;

• შეფასებისას მნიშვნელოვანია ტურისტული პოტენციალის გამოყენების მაჩვენებელი, განსაზღვრული ტურპროდუქტზე მოთხოვნის მიხედვით, რომელიც ფორმირდება ტურიზმის რესურსების გამოყენებით და ტურისტული საწარმოებისა და მომიჯნავე დარგების საქმიანობის შედეგების მიხედვით.

ამრიგად, არსებობს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდიკაზე დაფუძნებული რეგიონების ტურისტული პოტენციალის შეფასების რამდენიმე სხვადასხვა მეთოდიკა. ბოლოხანს ინტერესი გაიზარდა **ტურიზმის რესურსული ბაზის კომპლექსური შეფასების** ჩატარების მიმართ. **ინტეგრალური შეფასებისას** შეთავაზებულია, მაგალითად, **ტურიზმის განვითარების საკვანძო ფაქტორების გამოყოფა,** რომლებიც გავლენას ახდენს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის სიდიდეზე: **რესურსული, ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული და სამომხმარებლო ფაქტორები.**

ეს მეთოდიკა იწვევს სამეცნიერო ინტერესს, მაგრამ გააჩნია თავისი ნაკლოვანებები. ავტორი გვთავაზობს პოტენციალის შეფასებას რესურსული, ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული და სამომხმარებლო ფაქტორების ზემოქმედების ერთობლიობით, რეგიონული მნიშვნელობის კრიტერიუმების გამოყენებით.

რესურსული ფაქტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რაიონების ბუნებრივ-რეკრეაციული, კულტურულ-ისტორიული რესურსებით გაჯერების მაჩვენებლები. **ეკოლოგიური ფაქტორისთვის** უმნიშვნელოვანესია - რადიოაქტიური დაბინძურების, ტექნოგენური გარდაქმნების, ეკოლოგიური წონასწორობის მაჩვენებლები. **სამომხმარებლო ფაქტორის** შეფასება ხდება ტურისტული ნაკადების ინტენსივობის მაჩვენებლის მიხედვით. **ინფრასტრუქტურულის** - ფასდება სასტუმრო და სატრანსპორტო ქსელის, კვების საწარმოების, გასართობ-სანახაობითი სფეროების, სანატორიულ-კურორტული მეურნეობების, ტურისტული საწარმოების განვითარების დონის მიხედვით. **გაერთიანებული მაჩვენებლის** მიღების საშუალებას იძლევა რესურსული, ეკოლოგიური, სამომხმარებლო, ინფრასტრუქტურული, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ფორმირების საკვანძო ფაქტორების შეფასებების შეკრება.

აღვნიშნავთ, რომ **შეფასებების კრიტერიალური ბაზა** ამ მეთოდიკის საშუალებით შეიცავს პარამეტრების არასაკმარის რაოდენობას, რომლებიც ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის სრულ დახასიათებას არ იძლევა, - ეკოლოგიური ფაქტორის მაჩვენებლის გამოთვლა შეესაბამება არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციის ტერიტორიას. არსებობს სირთულეები ტერიტორიის ტურისტული მიმზიდველობის შეფასებების შეზღუდვების განსაზღვრაში.

ეს მეთოდიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს **ნებისმიერი რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შესაფასებლად,** კრიტერიუმების შეფასების დაზუსტების, ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის გამოსათვლელი ფორმულების შემდგომი დაზუსტებისა და პოტენციალის გამოყენების შეზღუდვების გათვალისწინებით.

ტურისტული კომპლექსის განვითარების ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდიკა შედგება ტურისტული საქმიანობის ეფექტიანობის, განთავსების კოლექტიური საშუალებების დატვირთვის, რეგიონში ტურიზმის ადგილების დამახასიათებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისგან და რეგიონის საზღვრისპირა უპირატესობების ეფექტიანობის გამოყენების მაჩვენებლებისგან. ვფიქრობთ, რთულია ეფექტიანობის მაჩვენებლების დაკავშირება მეზო და მაკროდონეზე, მაგრამ, ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კომპლექსური მეთოდის სტრუქტურაში, - კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური რესურსების შეფასების კრიტერიუმების ფორმირებისთვის, - წარმოდგენილი მიდგომის გამოყენება შეიძლება.

ტურისტული რესურსების შეფასების არსებული მიდგომების ანალიზი საშუალებას იძლევა აუცილებელი კრიტერიალური ბაზის ფორმირებისთვის და რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ინტეგრალური მაჩვენებლის პარამეტრების გამოსათვლელად გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

• ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდიკებში გამოიყენება შეფასების პარამეტრების შეზღუდული რაოდენობა, რომელიც არ იძლევა რეგიონის განვითარების რესურსული პოტენციალის სრულ წარმოდგენას, - ჩვეულებრივ, გამოიყენებენ ცალკეული რესურსების - ბუნებრივი, რეკრეაციული, ისტორიულ-კულტურული, იშვიათად, ინფრასტრუქტურული რესურსების შეფასების პარამეტრებს;

• შეფასების პარამეტრებში გამოვლენილია ტურიზმის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლების არარსებობა, მაგალითად, ტურისტული მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა, რესურსების ათვისების ტექნოლოგიურობა, ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და სხვ.;

• თანამედროვე ავტორების მიერ შეთავაზებული ტურიზმის რესურსების კომპლექსური შეფასების ნებისმიერი მეთოდიკა მოითხოვს კრიტერიალური საფუძვლის დაზუსტებას ბუნებრივ-კლიმატური, ლანდშაფტური პირობებისა და ტერიტორიის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების შესაბამისად.

• არსებობს ინფორმაციის შეგროვების პრობლემა, რომელიც აუცილებელია ტურიზმის განვითარების კომპლექსური შეფასების ჩასატარებლად;

• ავტორების მიერ ჩატარებული ინტეგრალური შეფასება, არაიშვიათად, არის სუბიექტური.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის შესახებ, რომ **რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების ტიპური მეთოდიკის ფორმირება, -** რომელსაც შეიძლება ეწოდოს **„საყოველთაოდ მიღებული“ და „უნივერსალური“, -** წარმოადგენს რთულ ამოცანას, რომლის გადაწყვეტა გაძნელებულია სუსტად დამუშავებული ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზით.

3.3 ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა

ნებისმიერი ქვეყნის რეგიონი წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომლის რესურსული მდგენელი გადამწყვეტ გავლენას ახდენს მთელი სისტემის ფუნქციონირების შედეგებზე. ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასებისთვის აუცილებელია გამოვთიშოთ შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრები და შევიყვანოთ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იქნება ტურიზმის განვითარების პოტენციალის ობიექტური შეფასების ჩატარება, რომელიც გავლენას იქონიებს მთელი რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე.

ჩვეულებრივ, ლექსიკონში „შეფასების“ ქვეშ მიღებულია:

1. მოქმედება, ზმნა შეფასების მნიშვნელობის მიხედვით - დაინიშნოს ფასი, განისაზღვროს ღირებულება ვისიმე, რისიმე; შედგეს წარმოდგენა, განსჯა ვინმეზე, რაღაცაზე; განისაზღვროს მნიშვნელობა, ხასიათი, როლი და ა.შ. ვიღაცის, რაღაცის.

2. აზრი, მსჯელობა ხარისხზე, ღირსებაზე, მნიშვნელობაზე და ა.შ. ვიღაცის, რაღაცის.

მეთოდიკა - ეს არის რაიმე მიზანმიმართული მოქმედებების ჩატარების პროცედურა, კვლევის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთქმედების გამომუშავებული მეთოდი, კონკრეტული მასალისა და კონკრეტული პროცედურის ბაზაზე.

ანალიზის მეთოდი საშუალებას იძლევა კვლევის ობიექტის სტრუქტურის შესახებ აუცილებელი

ინფორმაციის მიღების, ასევე, გამოიყოს ფაქტების საერთო მასიდან ისინი, რომლებიც უშუალოდ განეკუთვნება განსახილველ საკითხს.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების ანალიზის მეთოდიკის ქვეშ იგულისხმება საშუალებების, ხერხების, შეკრების საშუალებების, დამუშავების, ანალიზისა და რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შესახებ ინფორმაციის შეფასების სისტემა. **შეფასების მეთოდიკა ანალიზის მეთოდიკისგან განსხვავდება** იმით, რომ ის გულისხმობს კვლევის შედეგიანობას ანუ გულისხმობს ტურიზმის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შედეგების წარმოდგენას (კოეფიციენტების, მაჩვენებლების გაანგარიშება) და მათ შედარებას რეგიონების ეტალონურ მაჩვენებლებთან (ტურისტული რესურსების ათვისებაში ლიდერი რეგიონების).

რეგიონში ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის კომპლექსური შეფასების მეთოდიკა შეიცავს შეფასების სისტემას, ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კრიტერიუმების ძირითადი ჯგუფების გამოყენებით; ტურისტული პოტენციალის კერძო მაჩვენებლების ფორმირებას - ამ ჯგუფების მიხედვით რეგიონული ტურიზმის ორგანიზატორებისა და მომხმარებლების პოზიციიდან გამომდინარე; ასევე, რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლას.

ტურისტული რესურსის პოტენციალის შეფასებას ხშირად განსაზღვრავენ მისი გამოყენების კონტექსტში ტურიზმის საბაზო სახეობებთან შედარებით - შემეცნებითი, რეკრეაციული და სხვ. კულტურული და ბუნებრივი ობიექტების,როგორც ტურიზმის განვითარების ცალკეული რესურსების ობიექტური შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვანი რაოდენობის ფაქტორების გათვალისწინებას, კვლევის შედეგების ფორმირებას ცალკეული ობიექტის ან ტურისტული რაიონის მიხედვით შეფასების მისაღებად. შეფასებების შედარება საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნეს ყველაზე მიმზიდველი ობიექტები ან რაიონები, შედგენილი იქნეს რეგიონების, ობიექტების ან ცალკეული რაიონების ტურისტული მიმზიდველობის რეიტინგი.

ჩვენ შემთხვევაში შეფასება ჩატარდება ცალკეული ობიექტების მიხედვით კი არა, არამედ მათი ერთობლიობის მიხედვით. ზემოთ აღინიშნა, რომ რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების მიმართ შეფასებითი მიდგომის გამოყენება შეფერხებულია მრავალი მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხის სუსტი დამუშავების გამო.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების მეთოდოლოგიის ფორმირებისთვის განვსაზღვროთ კომპლექსური შეფასების ჩატარების ძირითადი ეტაპები. რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა ფორმირებულია ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის საერთო მეთოდიკის საფუძველზე. **სიახლე მდგომარეობს მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და პარამეტრების ნაკრებში, შეთავაზებულია შეფასების სკალა ეკოლოგიური ფაქტორის უარყოფითი მნიშვნელობებით.** შევჩერდეთ **ნახ.6.-ზე** მოცემულ ეტაპების ჩამონათვალზე, დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული ეს ეტაპი.

პირველი ეტაპი. „შეფასების ობიექტის“ (ის, რაც უნდა შევაფასოთ) გამოყოფა. რეგიონული დონის გეოგრაფიულ კვლევებში ყველაზე ხშირად შეფასების ობიექტებად გამოიყენება გეოსისტემები. ჩვენ გთავაზობთ, შეფასების ობიექტად გამოვიყენოთ რეგიონის ტურისტული კომპლექსი, რომლის საზღვრები შეესაბამება რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებს. უფრო ზუსტი შეფასებისთვის რეგიონი დაყოფილია ადმინისტრაციულ ერთეულებად - მუნიციპალიტეტები, ქალაქების გარეუბნები (შემოგარენი) და სხვ.

მეორე ეტაპი. „შეფასების სუბიექტის“ გამოყოფა, რომლის პოზიციიდან ჩატარდება „ობიექტის“ შეფასება. როგორც წესი, „შეფასების სუბიექტად“ მოიაზრება ტურისტების გარკვეული კატეგორიები, ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორები, ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის სახეობები ან ეტაპები. მოცემულ კვლევაში შეფასების სუბიექტებს წარმოადგენენ რეგიონში ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორები, დარგის საწარმოების ხელმძღვანელები, რეგიონში ტურიზმის მართვის სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები და ტურისტული მომსახურების მომხმარებლები.

მესამე ეტაპი. ობიექტის შეფასების კრიტერიუმების (ფაქტორების და პირობების) განსაზღვრა (შეფასების მიზნის ფორმულირებიდან გამომდინარე), რომლებსაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა მისი ღირებულების განსაზღვრისათვის. შეფასების ჩატარების მიზანი **- ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის გამოვლენა** შემდგომი განვითარების დაგეგმვისა და რეგიონში ტურისტული საქმიანობის

ნახ. 6.

ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების ჩატარების ეტაპები



უფრო ეფექტიანი მართვისთვის. ფაქტობრივად, შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალი დადგენილია გადასაწყვეტი პრობლემის ანალიზისა და მკვლევარის წინადადებების საფუძველზე. **ტგრ**-ის შეფასების პარამეტრების საერთო ჩამონათვალიდან შეთავაზებულია, ექსპერტული მეთოდით გამოიყოს ყველაზე ხელსაყრელი, განისაზღვროს შეფასების ყოველი პარამეტრის წონა, წილი რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის მაჩვენებლის განსაზღვრაში.

მეოთხე ეტაპი. შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება. მეორადი ინფორმაციის დამუშავება (ტურიზმის მართვის ადგილობრივი ორგანოს საანგარიშო დოკუმენტაციის) და პირველადი ინფორმაციის შეგროვება, გამოკითხვისა და ექსპერტული შეფასების ჩატარება.

მეხუთე ეტაპი. შეფასების კრიტერიუმების გაზომვის ერთიან სისტემაში მოყვანა. ამისთვის ჩვეულებრივ იყენებენ შეფასებით სკალებს, ნორმირებას, რანჟირებას და ა.შ. ხორციელდება რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის შეფასებითი კრიტერიუმების კერძო და ინტეგრალურ მაჩვენებლებში „გადატანის“ გზების განსაზღვრა, შემდგომ მათი საშუალებით შეფასების შედეგების მიღებით. ამის შემდეგ ხდება ტურიზმის განვითარების პოტენციალის კერძო მაჩვენებლების გამოთვლა რესურსების ჯგუფების მიხედვით - ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური. გამოყენებულია რანჟირების და შეფასებითი სკალების სისტემა.

მეექვსე ეტაპი. რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლა. შემოწმება, შეფასების შედეგების კორექტირება და რეგიონში ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის შეფასების მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. ტურიზმის განვითარების პოტენციალის რესურსების ჯგუფების მიხედვით მიღებული მაჩვენებლების შედარების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს რეგიონის პოზიცია ტურისტულ ბაზარზე, გაკეთდეს მისი განვითარების

სტრატეგიის პროგნოზირება. მაგალითად, შეფასების შედეგად მიღებულია შემდეგი სურათი: ბუნებრივ-კლიმატური რესურსების პოტენციალის მნიშვნელობა საშუალოა ან საშუალოზე მაღალი და მნიშვნელოვნად მაღალია სოციალურ-ეკონომიკურ პოტენციალზე, ამასთან, ისტორიულ-კულტურული რესურსების მაჩვენებელი დაბალია. ამ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული ტურიზმის სახეობები: სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული, ეკოლოგიური ტურიზმი (იხ. ცხრ.2).

ცხრილი 2.

ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების კლასიფიკაცია

მეთოდის დასახელება	**დახასიათება**	**გამოყენების სფერო**
	რაოდენობრივი მეთოდები	
კარტოგრაფიული მეთოდი	შეფასება ტარდება საყოველთაო გეოგრაფიული და თემატური ტურისტული რუკებით	წინასწარი შეფასება, შეფასების შედეგების ინტერპრეტაცია
მათემატიკური მეთოდი	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების რეესტრების შედგენა, შეიძლება შეიცავდეს ტურიზმის რესურსების ხარისხობრივი შეფასების ელემენტებს	რესურსების ყველა სახეობა
	ხარისხობრივი მეთოდები	
სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასება	ტარდება ტერიტორიის კლიმატის კომ-ფორტულობისა და ბუნებრივი ფაქტორების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების კვლევა. გამოიყენება პირობითი ტემპერატურების სისტემა და კომპლექსური კლიმატოლოგიის მეთოდი	ბუნებრივ-რეკრეაციული მეთოდი
ესთეტიკური შეფასება	განისაზღვრება რესურსების ეგზოტიკურობისა და უნიკალურობის ხარისხი, ადამიანზე ემოციური ზემოქმედების ხარისხი	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები
ტექნოლოგიური შეფასება	შეიცავს ბუნებრივი რესურსების ტურისტული საქმიანობისთვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების საკითხებს, ტერიტორიის საინჟინრო-სამშენებლო ათვისების შესაძლებლობების განსაზღვრებას. განისაზღვრება რესურსების ტექნოლოგიური მზადყოფნის, ვარგისობის, კომფორტულობის და ტურისტების მიერ მონახულების უსაფრთხოების ხარისხი	ბუნებრივი რესურსები ისტორიულ-კულტურული რესურსები

ეკონომიკური შეფასება	სხვადასხვა ღონისძიებების ეფექტიანობა, მიმართული რესურსების უფრო სრულ და რაციონალურ გამოყენებაზე. გამოიყენება ქულობრივი მეთოდები, რენტული შეფასებების მეთოდი, საერთო ეკონომიკური ღირებულების კონცეფცია, რესურსების გამოყენების პირდაპირი მოხმარების ღირებულება და სხვ.	რესურსების ყველა სახეობა
იუნესკოს მეთოდიკა	კულტურული მემკვიდრეობისთვის გამოიყოფა შემოქმედების შედეგრები, ბუნებრივისთვის - განსაკუთრებული სილამაზისა და ესთეტიკური ღირებულების ფენომენები	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები
ეკოლოგიური შეფასება	ხორციელდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, განისაზღვრება ტურისტული რეგიონის ტერიტორიაზე და მასთან ახლოს განთავსებული სამრეწველო ობიექტების ნეგატიური გავლენის ხარისხი	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები
კომპლექსური მეთოდები		
ტურისტული რესურსების კადასტრი	ტურისტული რეგიონის შესახებ ცნობების კრებული შეიცავს ეკონომიკური შეფასების ობიექტების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღწერას, დინამიკისა და ხარისხის შესწავლის შესახებ მონაცემებს თანდართული კარტოგრაფიული და სტატისტიკური მასალებით.	რესურსების ყველა სახეობა
ტერიტორიების ტურისტული განვითარების გეოინფორმაციული სისტემები	იქმნება ტურისტული რეგიონის ინფორმაციული მოდელი, რომელიც შეიცავს რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის დახასიათებას, რეგიონის რეკრეაციულ დარაიონებას და სპეციფიკაციას	რესურსების ყველა სახეობა

4. საქართველოში ტურიზმის განვითარების თავისებურებები და ტენდენციები

4.1 საქართველოს ტურიზმი ინტეგრაციულ პროცესებში

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (ჭთთჩ) მონაცემებით, 2021 წელს ამ დარგის კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 5.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +21.7%) და ხელი შეუწყო 289 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 6.1%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაოდან.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1,881,281 შეადგინა - აღდგენა 2019 წლის მაჩვენებლთან 20,1%. წინა წლის მონაცემების მიხედვით აღსანიშნავია პოზიტიური ზრდა (+7.7). შემოსავალმა უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში შეადგინა 1.24 მილიარდი დოლარი (ზრდა +129.8%) აღდგენა 2019 წლის მაჩვენებელთან 38.1%. წინასწარი მონაცემებით მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 3.38 მილიარდ ლარამდე შეადგინა, გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +32.3%).

შედეგად, ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 5.9%-დან 6.4%-მდე გაიზარდა STR GLOBAL-ის თანახმად, 2021 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 45.7% იყო, ზრდამ წინა წელთან შედარებით +106.8% შეადგინა. ყველაზე მაღალი დატვირთვა ივლისის თვეში 73.1%, აგვისტოსა 65% და ივნისში 58.4% დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი იანვარში 16.1%, თებერვალსა 18.8% და მარტში 23.9%.

მიუხედავად კოვიდ პანდემიის გავლენისა, საავიაციო ბაზარი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად დატვირთული იყო. 2021 წელს საქართველოს ყველა აეროპორტის ჯამურმა მგზავრთნაკადმა 2,489,368 მგზავრი შეადგინა, რაც ორჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებმა მგზავრთნაკადის, 2020 წელთან შედარებით, +200%-იანი ზრდა, ხოლო პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 47.9%-იანი აღდგენა აჩვენა.

2021 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 589,098 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდამ წინა წელთან შედარებით 145.2% შეადგინა, ხოლო 2019 წელთან აღდგენის მაჩვენებელი 49.1%-ს გაუტოლდა. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 311,014 იყო, ზრდამ კი -1,077% შეადგინა, აღდგენა 2019 წელთან - 50.8%. გაზრდილი ვიზიტორების რაოდენობა დაცული ტერიტორიების შემოსავლებზეც აისახა. დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლება 5,832,764 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან - 548.8%-ია, აღდგენის მაჩვენებელი კი 62.3%.

საქართველოში პანდემიის გავლენის შესამცირებლად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: კერძო სექტორის მხარდაჭერისა და ოპერირების ადაპტირების მიმართულებით ჩატარებული ტრენინგები, კომუნიკაცია კერძო სექტორთან, რეკომენდაციების და სამომავლო ქმედებების დაგეგმვა, პროექტი „იმუშავე საქართველოდან“, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონად ნომინირებული არეებიდან შემოსულ საქართველოს მოქალაქეებსა და საერთაშორისო ვიზიტორებს სავალდებულო კარანტინისა და კოვიდ-სასტუმროების ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია, ჯამში 43,310 ადამიანს. აღნიშნული მომსახურება მოიცავს განთავსებას, ტრანსპორტირებას, კვებას, დასუფთავებას, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მომსახურებას. ასევე, „იმუშავე საქართველოდან~ პროექტში ჩართულ კომერციულ საკარანტინე სასტუმროებთან ყოველდღიურ რეჟიმში კომუნიკაცია (აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქვეყანაში ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების აღრიცხვა, სტუმრების და დამხვედრი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ მონაცემების გადაგზავნა სასაზღვრო პოლიციასთან, წარმოქმნილი პრობლემების მოგვარება და. ა.შ).

2021 წლის მესამე კვარტალში დაინიცირდა კოვიდ19-ის პოსტპანდემიურ პერიოდში ტურიზმის აღდგენის ტექნიკური დახმარების პაკეტი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა და დაფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და გაეროს მსოფლიო ტურიზის ორგანიზაციის (WTO) მიერ. პროექტის ფარგლებში, მთავარი აქცენტები გაკეთდება ეკონომიკის აღდგენაზე, მარკეტინგსა და ინსტიტუციურ განვითარებაზე. პროექტის განხორციელების მიზნით, მოხდა შესაბამისი მემორანდუმის ხელმოწერა. ტურიზმის კერძო სექტორის მხარდაჭერისა და შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა რიგი საინფორმაციო ტურები სხვადასხვა რეგიონში, რამაც უზრუნველყო მოსახლეობის ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლება საქართველოს ტურისტული დანიშნულების ადგილების შესახებ. ასევე განხორციელდა საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიები, ქვეყნის, როგორც უსაფრთხო მასპინძელი ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციის მიმართულებით. წლის განმავლობაში ადმინისტრაციის ბაზაში არსებულ ყველა შემომყვან და გამყვან ტურისტულ კომპანიასთან, ავიაკომპანიასთან, გიდებთან, კვების და განთავსების ობიექტებთან იგზავნებოდა ყოველდღიური საინფორმაციო ხასიათის წერილები სხვადასხვა ონლაინ სემინარების, ვებინარების და კონფერენციების შესახებ. ასევე ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეები (გამოფენები, ტრენინგები, ფესტივალები, ახალი ობიექტები, საინფორმაციო ტურები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები).

2021 წელი გამორჩეული იყო შიდა ტურიზმის სტიმულირების თვალსაზრისით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა არაერთი ინფო და გასტრო ტური, რომლის მთავარი მიზანი ადგილობრივი ტურისტული რესურსების უფრო მეტად განვითარება და პოპულარიზაციაა, ასევე აღსანიშნავია ადმინისტრაციის

მიერ ჩატარებული გასტრო ტურები, რომელიც უდიდესი დაინტერესებით გამოირჩევა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების მიერ. ამის კიდევ ერთი დასტური საფრანგეთში, ქალაქ ლიონში ჩატარებული გამოფენაა, სადაც საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, საქართველოს გასტრონომიის ასოციაციასთან ერთად მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით მონაწილეობა მიიღო. საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო ქვეყნის უნიკალური პროდუქტები და ღვინო. დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს, როგორც გასტრონომიულ კულტურას და მიეღოთ ინფორმაცია ქვეყანაზე, როგორც ტურისტულად მიმზიდველი მიმართულების შესახებ.

2021 წელს საქართველომ გაიმარჯვა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი წევრობის არჩევნებში და 4 წლის ვადით გახდა WTO-ს აღმასრულებელი წევრი. ასევე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო პროექტებისა და თანამშრომლობის კუთხით. დაინიცირდა პროექტი საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით. პროექტის მიზანს წარმოადგენს მდგრადი და კონკურენტუნარიანი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნისა და განვითარების მხარდაჭერა და მათი დივერსიფიკაცია რაჭის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში. პროექტით გათვალისწინებული აქტივობები მოიცავს ციფრულ ტრანსფორმაციის მხარდაჭერას, შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ კურსების ორგანიზებას და რეგიონული თემატური ფესტივალების, ასევე გასტრონომიული და გაცნობითი ტურების ორგანიზების მხარდაჭერას.

2021 წელს ტურიზმის კერძო სექტორის მხარდაჭერის მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით, შეიქმნა ტურიზმის მხარდამჭერი ფონდი. რომლის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ტურიზმში ჩართულ კომპანიებს ციფრული მარკეტინგული კამპანიების განხორციელებაში. ინიციატივის ფარგლებში, კონკურსისა და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტურიზმის სექტორში მომუშავე კომპანიები. 2021 წელს თბილისი გახდა „სკანდინავიის ქვეყნების ტურისტული გაერთიანების" წევრი. აღნიშნული ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ტურისტული პროდუქტების შესახებ ცნობადობის გაზრდა და თემატური შეხვედრების ორგანიზება წარმოადგენს.

2021 წელს მიუხედავად პანდემიის ეფექტის გავლენისა საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია სტაბილურად უბრუნდება ძველ მაჩვენებელს. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1,881,271 (+7.7%) შეადგინა, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტების რაოდენობას 1,721,242 (+13.7%) და სხვა ვიზიტებს (არატურისტული) 160,029 (-31.5%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებიდან 1,577,463 (+45.1%) ტურისტული ვიზიტი (ვიზიტი ღამისთევით) იყო, ხოლო 143,779 (-66.3%) ერთდღიანი ვიზიტი.

ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი წლის განმავლობაში მესამე კვარტალში დაფიქსირდა: აგვისტო 308,674 (წილი 16.4%), ივლისი 259,641 (13.8%) და სექტემბერი 247,105 (13.1%). ამ პერიოდში ვიზიტების რაოდენობამ 2021 წელს დაფიქსირებული მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 43.3% შეადგინა. ყველაზე ნაკლები ვიზიტით კი იანვარი 34,909 (1.9%), თებერვალი 42,075 (2.2%) და მარტი 57,728 (3.1%) გამოირჩა.

საერთაშორისო ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მეზობელი ქვეყნების და სხვა ქვეყნების წილი ერთმანეთს გაუტოლდა. 50.1% (786,889) მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, ხოლო 49.9% (782,794) მოდის სხვა ქვეყნებზე. წლის ლიდერი ვიზიტების რაოდენობით (326,494) თურქეთია.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა 877,158 (51%) საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის სახმელეთო ტრანსპორტი 826,355 (48%). სარკინიგზო და საზღვაო გზით ვიზიტების რაოდენობამ, შესაბამისად 10,879 (0.6%) და 6,850 (0.4%) შეადგინა. ყველაზე დატვირთული საზღვარი იყო თბილისის აეროპორტი 568,149 (33%). მას მოსდევს სარფი 253,859 (14.7%), ბათუმის აეროპორტი 221,853 (12.9%), ყაზბეგი 220,788 (12.8%) და სადახლო 125,047 (7.3%). საერთაშორისო ვიზიტების უდიდესი წილი სწორედ ამ ხუთი საზღვრიდან ფიქსირდება, რაც მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 80.7%-ია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 139,157 (+96.7%) შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი პოლონეთიდან 30,988 (+189.9%), გერმანიიდან 21,194 (+127%) და საფრანგეთი-

დან 10,646 (+103.9%) განხორციელდა.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა მამაკაცების მიერ განხორციელდა 1,186,831 (69%), ქალების ვიზიტებს კი 534,411 (31%) შეადგენდა. ყველაზე მეტი ვიზიტი 31-50 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა განახორციელეს 885,473 (51.4%). მას მოსდევს 51-70 ასაკობრივი ჯგუფი 428,309 (24.9%) და 15-30 ასაკობრივი სეგმენტი 385,563 (22.4%). ყველაზე მცირე ასაკობრივი ჯგუფი 71 წლის და მეტი - მხოლოდ ვიზიტების 1.3%-ს აერთიანებს, რაც რაოდენობრივად 21,897 ვიზიტია.

საერთაშორისო ვიზიტების წილი საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობაში გაიზარდა, ტურისტული ვიზიტების წილი კი საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში. საერთაშორისო ვიზიტების წილი საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობაში 86.6%-დან 91.5%-მდე გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 15 ნაკლები ასაკის ვიზიტების შემცირებით. ასევე ტურისტული ვიზიტების წილი 71.8%-დან 91.6%-მდე გაზრდა.

საერთაშორისო ვიზიტებში მეზობელი ქვეყნების და სხვა ქვეყნების წილი გათანაბრდა. საერთაშორისო ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მეზობელი ქვეყნების წილი 80.1%-დან 50.1%-მდე შემცირდა. წილობრივი შემცირება პირველად დაფიქსირდა ბოლო წლების განმავლობაში. შესაბამისად არამეზობელი ქვეყნების წილი 19.9%-დან 49.9%-მდე გაიზარდა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ტურიზმის სტრატეგიითაც არის გათვალისწინებული.

ტოპ 15 ქვეყნის სტრუქტურა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) შეიცვალა, ასევე აღინიშნება პოზიციების მნიშვნელოვანი გადანაცვლებები. მეზობელ ქვეყნებს შორის თურქეთი ვიზიტების რაოდენობით ინარჩუნებს პირველ ადგილს. რუსეთი დაწინაურდა (+2) პოზიციით და მეორე ადგილი დაიკავა. სომხეთმა (0) ძველი პოზიცია შეინარჩუნა და მესამე ადგილზე იმყოფება, ხოლო აზერბაიჯანმა (-4) მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა. დაწინაურებულ ქვეყნებს შორის იყო უკრაინა (+1) პოზიციით, რომელმაც აზერბაიჯანი ჩაანაცვლა და მეოთხე ადგილი დაიკავა, შემდეგ მოდის ისრაელი (+1), ყაზახეთი (+3) და ინდოეთი (+1). პოზიციები დაკარგეს ირანმა (-8), უზბეკეთმა (-2), გერმანიამ (-1). პოზიციები კი შეინარჩუნეს ბელარუსმა, პოლონეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ტოპ 15-ში ადგილი დაკარგა ფილიპინებმა, რომელიც ჩაანაცვლა საუდის არაბეთმა და დაიკავა მერვე ადგილი.

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში საჰაერო ვიზიტების წილი გაიზარდა, თბილისის აეროპორტის სასაზღვრო პუნქტმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო შარშანდელი ლიდერი წითელი ხიდი მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა. საჰაერო ვიზიტების წილი 18%-დან 51%-მდე გაიზარდა, სახმელეთო ვიზიტების კლების ხარჯზე, რომელიც 80%-დან 48%-მდე შემცირდა.

ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისის აეროპორტის (წილი 33%) საშუალებით განხორციელდა, რომელმაც წითელი ხიდი ჩაანაცვლა. ასაკობრივი სეგმენტის წილობრივი გადანაწილება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. პირველ ადგილზე 31-50 ასაკობრივი სეგმენტია, რომლის წილიც 51%-ია, მას მოსდევს 51-70 ასაკობრივი ჯგუფი (წილი 25%) და 15-30 ასაკობრივი სეგმენტი (წილი 22%). მამაკაცების წილი საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში წინა წელთან შედარებით შემცირდა. მამაკაცების წილმა 69% შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 77%-შეადგინა. ქალების წილი შესაბამისად 23%-დან 31%-მდე გაიზარდა. არამეზობელი ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტული ვიზიტების კატეგორიაში ხვდება. მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების მხოლოდ 84.1% ტურისტული ვიზიტი (662,011), იგივე მაჩვენებელი არამეზობელი ქვეყნების შემთხვევაში 97.9%-ს (766,011) აღწევს.

2022 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 5.4 მილიონი შემოსვლა, რაც 2.9-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 45.6 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ. აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 4.7 მილიონი შეადგინა, რაც 2.7-ჯერ მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2022 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი (53.6 პროცენტი) განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

საერთაშორისო მოგზაურების კლასიფიკაცია

ვიზიტის ტიპი	2020	2021	ცვლილება	ცვლილება %	წილი %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	1,747,110	1,881,271	134,161	7.7%	100.0%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	1,513,421	1,721,242	207,821	13.7%	91.5%
ტურისტული ვიზიტი	1,087,093	1,577,463	490,370	45.1%	91.6%
ერთდღიანი ვიზიტი	426,328	143,779	-282,549	-66.3%	8.4%
სხვა (არატურისტული)	233,689	160,029	-73,660	-31.5%	8.5%

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

	ქვეყანა	2020	2021	ცვლილება	ცვლილება %
1	თურქეთი	257,671	284,909	27,238	10.6%
2	რუსეთი	154,881	191,005	36,124	23.3%
3	უკრაინა	38,690	142,456	103,766	268.2%
4	სომხეთი	137,205	110,632	-26,573	-19.4%
5	ისრაელი	25,491	99,351	73,860	289.7%
6	აზერბაიჯანი	152,025	75,465	-76,560	-50.4%
7	ყაზახეთი	12,110	63,817	51,707	427.0%
8	საუდის არაბეთი	4,887	62,971	58,084	1188.5%
9	ბელარუსი	12,361	51,798	39,437	319.0%
10	უზბეკეთი	13,713	35,537	21,824	159.1%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2022 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	2 522.6	53.6
მეგობრების/ნათესავების მონახულება	941.8	20.0
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	639.2	13.6
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	311.8	6.6
შოპინგი	199.1	4.2
მკურნალობა, გაჯანსაღება	21.6	0.5
სხვა	67.9	1.4
სულ	**4 703.9**	**100.0**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარის ა/რ-ში, შესაბამისად, 2.6 მილიონი და 2.1 მილიონი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

2022 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2022 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 10.8 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ვიზიტზე საშუალო ხარჯმა 2 297.7 ლარი შეადგინა.

2022 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საკვები და სასმელი	3 591.9	33.2	763.6
განთავსება	3 351.5	31.0	712.5
საყიდლები	1 669.7	15.4	355.0
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	1 164.5	10.8	247.6
ადგილობრივი ტრანსპორტი	858.7	7.9	182.6
სხვა	171.7	1.6	36.5
სულ ხარჯი	**10 808.1**	**100.0**	**2 297.7**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელი მოგზაურების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე და მისი შემცირება შესაბამისად აისახა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მათ შორის საგადამხდელო ბალანსზე. აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს არარეზიდენტების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს. 2021 წელს შემოსავალმა უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში შეადგინა 1.24 მილიარდი დოლარი (ზრდა +129.8%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ მოგზაურობაზე 184.7 მილიონი დოლარი (ზრდა +2.4%). შედეგად საერთაშორისო მოგზაურობის ბალანსი საქართველოში 1.03 მილიარდი დოლარით (ზრდა +193.5%) განისაზღვრა. აღნიშნული ზრდა აისახა საერთაშორისო მოგზაურობის წილზე სერვისის ექსპორტში, რომელიც 34.3%-დან 48.9%-მდე გაიზარდა.

2021 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 2.26 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით +104.7%-იანი ზრდა

დაფიქსირდა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის გაუტოლდა 2019 წლის მონაცემებს და აღდგენის მაჩვენებელმა 84.1% შეადგინა.

ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წილი ეკონომიკაში 2021 წელს წინასწარი მონაცემებით მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 3.38 მილიარდ ლარამდე შეადგინა, გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +32.3%). შედეგად, ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 5.9%-დან 6.4%-მდე გაიზარდა. 2021 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა ტრანსპორტში (წილი 53%), განთავსების საშუალებებში (წილი 25%), კვების საშუალებებში (წილი 21%) და ტურისტულ კომპანიებში (წილი 1%).

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2018 - 2021 (ათასი ლარი)

	2018	2019	2020	2021	ცვლილება % 2020 - 2021
სულ	3,015,937	3,629,700	2,547,504	3,384,888	32.3%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
განთავსების ობიექტები	1,185,401	1,559,500	773,658	1,017,847	59.9%
კვების ობიექტები	614,601	663,500	547,211	706,523	24.4%
ტრანსპორტი	1,095,931	1,252,300	1,200,273	1,617,217	22.3%
ტურისტული კომპანიები	120,004	154,400	26,362	43,301	37.1%



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ტურიზმის ინტეგრაციული პროცესების ტენდენციები. შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 16.9 მილიონი ვიზიტი განახორციელეს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა +35.8% დაფიქსირდა. ყველაზე მეტი ვიზიტი 41.8% თბილისიდან დაფიქსირდა. შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა. ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2 ღამეს შეადგენდა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი იყო - 2.9 ღამე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი ერთ ღამეს შეადგენდა. შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი 46.9% საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. მოგზაურობის მთავარ მიზანს მეორე სახლის მონახულება ვიზიტების 15.9%-სთვის შეადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილით 13.2%-ით იყო წარმოდგენილი შოპინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტები. რაც შეეხება მკურნალობა/გაჯანსაღების



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა 8.9% შეადგინა, ხოლო დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით კი ვიზიტების 8.1% განხორციელდა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის იყო ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა 3.5% ვიზიტის დანიშნულების ადგილი შიდა ვიზიტების 21.2% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოჰყვება ბათუმი 7.7% და ქუთაისი 5.8%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 3.1%, მცხეთა 2.9%, გორი 1.6%, ხაშური 1.6% და ზუგდიდი 1.4%. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი 17.1%, აჭარა 11.6% და კახეთი 8.4% იყო. განთავსების საშუალებები შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ღამისთევების საერთო რაოდენობამ 35.5 მილიონი შეადგინა. მათ შორის, ვიზიტორებმა ღამისთევების 46.4% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 41.5% - საკუთარ სახლში, ხოლო 4.3% კი სასტუმრო სახლი, ჰოსტელში.

დანახარჯები შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 2.7 მილიარდ ლარს აღემატებოდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 160.1 ლარს შეადგენდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 35% საყიდლებზე დაფიქსირდა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

5.რეკრეაციული რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივები

5.1 რეკრეაციული რესურსებისა და კურორტების გამოყენების პრობლემები

მდიდარი და მრავალფეროვანი საკურორტო-რეკრეაციული რესურსების არსებობა, ზღვისა და მთის ლანდშაფტების შეხამება, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში უძველესი კულტურის ძეგლებისა და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების სიმრავლე, განაპირობებს საქართველოს საკურორტო-ტურისტულ სპეციალიზაციას. აღნიშნული წინაპირობების ერთობლიობა ქვეყნის ტერიტორიის უმეტესი ნაწილის საკურორტო-რეკრეაციული მიზნით გამოყენების საშუალებას იძლევა. ყოველი გამოყოფილი 12 საკურორტო-რეკრეაციული რაიონი ხასიათდება რეკრეაციული რესურსების მეტ-ნაკლები პოტენციალით, საკურორტო-ტურისტული დაწესებულებების სტრუქტურისა და პროფილის თავისებურებებით. რე-

სურსულ-რეკრეაციული პოტენციალის სივრცითი განაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ პოტენციალის ნახევარზე მეტი მოდის ზღვისპირა რეკრეაციული რაიონების – აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოსა და გურიის წილზე; დაახლოებით მესამედი – თბილისის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეკრეაციულ რაიონებშია კონცენტრირებული, ხოლო დაახლოებით მეხუთედი კი – მთიანი ლანდშაფტების მქონე რეკრეაციული რაიონების საზღვრებში.

საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების პოტენციურ შესაძლებლობებსა და მათი გამოყენების ხარისხს შორის არსებობს დისპროპორცია. გასული საუკუნის ბოლო პერიოდში გამოიყენებოდა პოტენციური შესაძლებლობების დაახლოებით 18%, განსაკუთრებით დაბალი იყო ქვეყნის მთიანი რაიონების ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების დონე.

საკურორტო-ტურისტული პოტენციალის გაზრდა შესაძლებელია ფაქტობრივად ყველა რეკრეაციულ რაიონში არსებული რესურსულ-რეკრეაციული ბაზის გამოუყენებელი ნაწილისაგან შექმნილი რეზერვებით, ასევე, რეკრეაციულ სფეროსა და მომიჯნავე დარგებში მეცნიერების მიღწევების გამოყენების დაჩქარებით. კერძოდ, გასული საუკუნის 80-იან წლებში შესწავლილია მინერალური წყლების ახალი წყაროები, შექმნილია სპელეოთერაპიის მეთოდები (კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატის სამკურნალოდ გამოყენების მიზნით), ქვეყანაში პირველად გამოკვლეულია მაგნიტური ქვიშის (კურორტ ურეკის მაგნეტიტური ქვიშების) უნიკალური სამკურნალო თვისებები, დადგენილია

ცალკეული კლიმატური ზონების სამკურნალო-პროფილაქტიკური FAQფაქტორები და კლიმატის გავლენა სხვადასხვა დაავადებებზე და სხვ.

რესურსულ-რეკრეაციული პოტენციალის გამოყენების მაღალი დონის მიღწევა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, სახელდობრ – მატერიალური წარმოებისა და სოციალური სფეროების ამოცანების გადაჭრაზე; ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების განხორციელებაზე, თვით რეკრეაციული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და დაცვაზე. ამრიგად, რესურსული ბაზის გამოყენების პრობლემასთან მიმართებაში იკვეთება რეალისტური, მეცნიერული მიდგომის, საკურორტო-ტურისტული ბაზის ეფექტური განვითარების აუცილებლობა; ანუ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში, ბოლო წლებში ჩამოყალიბებული არასახარბიელო ეკოლოგიური სიტუაციის გამო, იზრდება მოთხოვნები ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში რეკრეაციული რესურსების ათვისების გზების ფრთხილი შეფასებების მიმართ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და სხვა პირობების შეფასება, რომლებიც თავისი არსით განსაზღვრავენ კურორტული რეგიონების რეკრეაციული პოტენციალის გამოყენების რეალისტურ პროგნოზულ მაჩვენებლებს.

მრავალი მოუგვარებელი პრობლემა არსებობს მკურნალობისა და დასვენების ორგანიზებაში. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს ქვეყნის კურორტებზე არსებული სფეროების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. ეს, პირველ რიგში, ეხება კომუნალურ ინფრასტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ ექსპლუატაციაშია შეყვანილი ახალი ობიექტები და რეკონსტრუქცია აქვთ ჩატარებული მთელ რიგ მოქმედ წყალგაყვანილობის სიმძლავრეებს, წყალმომარაგება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როდესაც კურორტებზე ყველაზე მეტი რაოდენობის დამსვენებელი იყრის თავს. მიუხედავად სასმელი წყლის ხარისხიანი რესურსების არსებობისა, რეკრეაციული რაიონების თითქმის ყველა კურორტი განიცდის სირთულეებს სასმელი წყლით მომარაგებაში. სუსტი ადგილია, ასევე, კურორტების თბომომარაგება. აუცილებელია თანამედროვე გათბობის სისტემების მოწყობა (კერძოდ, საქვაბეების გაზიფიკაცია – კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება). არანაკლებ მწვავეა საკანალიზაციო, სანიაღვრე სისტემების მდგომარეობა და განვითარება. საჭიროა გამწმენდი ნაგებობების, ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების აშენება და თანამედროვე, ბიოტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა.

საკურორტო-ტურისტული დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდება სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც გამოწვეულია საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ძირითადი ფონდების ამორტიზაციის მაღალი დონით. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და სამკურნალო პანსიონატების სამედიცინო აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვა; პრობლემატურია კვალიფიციური სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფა, დაბალია მომსახურე პერსონალის კულტურის დონე სასტუმროებში, დასასვენებელ პანსიონატებსა და ტურბაზებში.

ქვეყნის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარება დაკავშირებულია კურორტების სავაჭრო ობიექტების, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და საბანკო მომსახურების უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრასთან, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე დამსვენებლებისთვის. კურორტების დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი სპორტული ნაგებობებითა და კულტურის ობიექტებით (სპორტდარბაზები, ჩოგბურთის კორტები, საცურაო აუზები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, საკონცერტო მოედნები, დისკოთეკები, ინტერნეტ-კაფეები და სხვ.), თითქმის არ არსებობს გასართობი ინფრასტრუქტურა.

ბევრი საკურორტო ადგილი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს საავტომობილო გზების (შიგა და ავტომაგისტრალების) მიმართ, განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა ქვეყნის მთიან რეგიონებში. მნიშვნელოვანია ავტომაგისტრალების რეკონსტრუქცია, საკურორტო ცენტრებთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობა და ტექნიკური გაუმჯობესება, სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება, პერსპექტიული სპეციალური ტრანსპორტის სახეობების ფართო დანერგვა (მაგ., ბაგირგზების), შვეულმფრენების პარკის, საჰაერო ტრანსპორტის მიწისზედა ინფრასტრუქტურის, საქართველოს შავიზღვისპირეთის სანაპიროზე საზღვაო ფლოტის სანაპირო ბაზის განვითარება. ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემა ქვეყნის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეკრეაციული ზონების დამსვენებლებით გადატვირთვა ზაფხულის პერიოდში (სეზონური დატვირთვის პრობლემა). ზღვისპირეთის პოპულარულ კურორტებზე არაორგანიზებული დამსვენებლების რაოდენობა ზოგჯერ მნიშვნელოვნად აჭარბებს ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას და სირთულეებს უქმნის მათ ფუნქციონირებას, აძნელებს ადგილობრივი მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებასა და ნორმალურ სატრანსპორტო მომსახურებას. შექმნილი მდგომარეობა არღვევს რეკრეაციულ რაიონებში ეკოლოგიურ წონასწორობას, აუარესებს კურორტების სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს. ბუნებრივ გარემოზე რეკრეაციული საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედების მაგალითს წარმოადგენს საქართველოს უნიკალური რეკრეაციული რესურსების მდგომარეობა (მაგ., განსაკუთრებული ღირებულების მქონე ტერიტორიების – მათ შორის დაცული ტერიტორიები, არაგვისა და ბზიფის ხეობები, რიწის ტბა, ახალი ათონის მღვიმე და სხვ., – სადაც ყოველწლიურად უამრავი ვიზიტორი სტუმრობს). საჭიროა მათი რაოდენობის გარკვეული შეზღუდვა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

ამრიგად, ზემოაღნიშნული რეალობა და ისეთი მალიმიტირებელი ფაქტორი, როგორიცაა თავისუფალი სამშენებლო სივრცეების მზარდი შეზღუდულობა (განსაკუთრებით ზღვისპირეთში), – განაპირობებს საქართველოში ახალი ტიპის საკურორტო-ტურისტული კომპლექსების – სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების – განვითარების პრიორიტეტულობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საკურორტო-რეკრეაციული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ასევე, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უკვე არსებული საკურორტო ობიექტების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, მათი გამტარობის შესაძლებლობის გაზრდას და გადაყვანას არასეზონურ ფუნქციონირებაზე.

კურორტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების პრობლემის გადაწყვეტისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური ფაქტორის ყოველმხივი აღრიცხვა. ქვეყნის საკურორტო ზონებში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროსა და მთიან რეგიონებში, საკურორტო ფუნქციების შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისთვის, აუცილებელია ეკოლოგიური სტაბილურობის მიღწევა. დადგენილია, რომ ზღვისპირა კურორტების ფუნქციონირების ზონებში სამეურნეო საქმიანობის გააქტიურება იწვევს ბუნებრივი გარემოს გადაჭარბებულ (მეტისმეტ) დატვირთვას და განაპირობებს ეკოლოგიური სიტუაციის საგრძნობ გაუარესებას, როგორც სანაპიროს ნაწილში, ისე მის აკვატორიაში. უარყოფითი მომენტების მხრივ, აღსანიშნავია წყლის ჩადინების შემცირება შავი ზღვის აუზის მდინარეების შესართავებთან და ზღვის თვითგასუფთავების პროცესის დარღვევა; მზარდი გოგირდწყალბადის ფენის ზეგავლენით ტოქსიკური და ბაქტერიული მდგომარეობის გამწვავება; ზედაპირული დაბინძურება მავნე ნივთიერებებით, რომლებიც ჩამოაქვთ მდინარეებს აქტიური ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად. ზღვაში დამაბინძურებელი ნივთიერებები ხვდება ასევე ატმოსფერულ ნალექებთან ერთად და საზღვაო გადაზიდვების პროცესში.

სანაპირო ზღვის წყლების გაუარესებული ხარისხი იწვევს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ზარალს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ზღვისპირა რეკრეაციული რაიონების კურორტული სპეციალიზაცია და მათი ტერიტორიების რეკრეაციული მიმზიდველობის (ატრაქციულობის) მაღალი ხარისხი. ქალაქებსა და

საკურორტო ცენტრებში საჭიროა ჩამდინარე წყლების თანამედროვე მექანიკური და ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების აშენება.

შავიზღვისპირა კურორტების ფუნქციონირების ზონაში ინტენსიური სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური შედეგია რეკრეაციული ფართობების მკვეთრი შემცირება, ხოლო ზოგ შემთხვევაში – პლაჟების, ამ მნიშვნელოვანი რეკრეაციული რესურსის, სრული გაქრობა, რაც გამოწვეულია ნაპირების ფორმირების ბუნებრივი სვლის დარღვევით მათი წარეცხვის მაღალი სიჩქარით (უახლოეს წარსულში ნაპირების ჩარეცხვის სიჩქარე სანაპიროს სხვადასხვა მონაკვეთზე დაფიქსირებულია დაახლოებით 7 მ წელიწადში). მთლიანად ინტენსიურ ჩარეცხვას განიცდის შავი ზღვის 306 კმ სიგრძის სანაპირო ზოლი (საქართველოს ფარგლებში), აბრაზიული პროცესების გაძლიერების მდგრადი ტენდენციის პირობებში. ჰიდროტექნიკური ნაპირგამაგრების ნაგებობების შექმნის მრავალწლიანმა პრაქტიკამ არათუ შეაჩერა ჩარეცხვა, არამედ პირიქით, უფრო გააძლიერა ჩარეცხვის პროცესი (იგულისხმება გასული საუკუნის ბოლო).

საზღვაო ნაპირების წონასწორობის აღდგენის პრობლემის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მეცნიერულად გადაწყვეტილ დაშლის პროცესებთან ბრძოლის ახალ მეთოდებსა და ფორმებზე (შედეგად, სანაპირო ზოლის ჩარეცხვის ზონა შემცირდება; იმავდროულად, შემცირდება ეკონომიკური ხარჯებიც). გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ზღვისპირა კურორტების ესთეტიკური მხარეც – შენარჩუნდება მათი ლანდშაფტური განუმეორებლობა, როგორც მნიშვნელოვანი მიმზიდველი რეკრეაციული ფაქტორი.

მრავალი კურორტი და საკურორტო ადგილი მდებარეობს მაღალი ზვავსაშიშროების ზონაში. ბოლო წლებში თოვლიანი ზამთარი ხშირად იწვევს ზვავების ჩამოსვლას, რაც განაპირობებს ზვავსაწინააღმდეგო სამსახურის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მწვავე აუცილებლობას. რეკრეაციული რეგიონების მთიანი რაიონები გამორჩეულია მაღალი ღვარცოფული და მეწყრული აქტივობით. ამ პროცესების კატასტროფული შედეგები განაპირობებს მოსახლეობის გაყვანას საშიში ზონიდან. სამწუხაროდ, შესაბამისი სანდო ტექნიკური საშუალებები ზვავებისა და ღვარცოფებისგან დასაცავად, ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს. მთიან რეგიონებში საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების შეჩერების საქმეში დიდი როლი ენიჭება მცენარეული რესურსების (განსაკუთრებით ტყეების) დაცვასა და აღდგენას; ასევე, ახალი მშენებლობების განხორციელებისას რეკრეაციული საქმიანობისთვის დასაშვები ადგილების განსაზღვრას. ქვეყნის ტერიტორიის მთიანი ნაწილის ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნება დადებითად აისახება რეკრეაციული რესურსების ხარისხიან მდგომარეობაზე და სხვადასხვა პროფილის რეკრეაციული ობიექტების სტაბილურ ფუნქციონირებაზე.

საქართველოს ბალნეოლოგიური კურორტების ეკოლოგიური პრობლემის ცენტრალური საკითხია მინერალური წყლების რესურსების დაცვა გაფუჭების, გამოფიტვისა და დაბინძურებისაგან; ასევე, კურორტების ჰიდრომინერალურ საქმიანობაში არსებული მრავალრიცხოვანი ხარვეზებით გამოწვეული წყლის დანაკარგების აცილება. ბევრ ბალნეოლოგიურ კურორტზე არ არსებობს ჭაბურღილის კაპტაჟი და გასაზომი აპარატურა; ონკანის რეჟიმის დარღვევის გამო მინერალური წყლების საბადოებზე დიდია დანაკარგი (ავადჰარა, ტყვარჩელი, უწერა, ამაღლება და სხვ.). მინერალური წყლების შენახვაზე უარყოფითად აისახება ბევრ კურორტზე, – მათ შორის პოპულარულ კურორტებზე (ბორჯომი, წყალტუბო, სოხუმი, გაგრა, უწერა და სხვ.), – საბადოების ოპტიმალური ექსპლუატაციის ტექნოლოგიური სქემების არარსებობა. ასევე, მინერალური წყლების მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოწვეულია წყაროების სეზონური ფუნქციონირებით. ბალნეოლოგიურ კურორტებზე მინერალური წყლების გამოყენების მონაცემების ანალიზით ნაჩვენებია, რომ მოპოვებული რესურსების საერთო მოცულობიდან იკარგება თითქმის ნახევარი, ხოლო ზოგიერთ კურორტზე – დაახლოებით 60-75%.

საქართველოს რეკრეაციულ რაიონებში ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური დაცვის პრობლემა შეიცავს ისეთ ასპექტს, როგორიცაა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია შავიზღვისპირა კურორტებისთვის, რომელთა საქმიანობის მთელი ზონის ფარგლებში საჰაერო აუზი დაბინძურებულია სამეწარმეო გამონაბოლქვით, მტვრით,

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენებით, მაღალი ტოქსიკურობის მქონე ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირებით. სატრანსპორტო საშუალებების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, საჭიროა შემოვლითი გზების მშენებლობის გააქტიურება და ტრანზიტული ტრანსპორტის გაყვანა საკურორტო ზონის გარეთ. ასევე, აუცილებელია კონტროლის დაწესება სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც კურორტს ემსახურება, და კერძო ავტომანქანებზე; მოთხოვნების გამკაცრება საწვავის ტოქსიკურობისადმი.

რეკრეაციულ რაიონებში ეკოლოგიური სტაბილურობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი პირობაა კურორტების საკურორტო ფუნქციის შენარჩუნებისა და პერსპექტივაში საკურორტო-ტურისტული პოტენციალის გაზრდისა, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში რეკრეაციული რესურსების კომპლექსური ათვისების ბაზაზე. რეკრეაციული მეურნეობის განვითარება (თანმდევი პრობლემების კომპლექსური გადაჭრის შემდგომ, განსაკუთრებით ექსტენსიურ საფუძველზე) ლიმიტირებულია, უპირველესად, ფინანსური შესაძლებლობებით და, გარკვეულწილად, საკურორტო-რეკრეაციული დაწესებულებების უზრუნველყოფით არასაკმარისი დონის შესაბამისი კადრებით, მათ შორის, პროფესიონალური მომზადების მქონე კადრებით, რაც უარყოფითად აისახება დამსვენებელთა მომსახურების ხარისხზე.

საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ორგანიზების სუსტ ადგილად უნდა ჩაითვალოს საკურორტო-ტურისტული დაწესებულებების დაქვემდებარების გაფანტული ხასიათი. მიზანშეწონილია კურორტების ერთიანი მართვის ორგანოს ფუნქციის გაფართოება – ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა კურორტის საკურორტო-ტურისტული საქმიანობისა და განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის კოორდინაციის მისთვის გადაცემა. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ერთიანი პოლიტიკის გატარებას ქვეყნის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების დაჩქარებაში. რაც შეეხება არსებულ სანატორიუმებსა და სამკურნალო პანსიონატებს, საჭიროა მათი გაერთიანება ახალი ტიპის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კომპლექსებად – სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრებად, რომლებსაც ექნებათ მეტი შესაძლებლობები და კომპეტენცია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებასა და მათი თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და ტექნოლოგიებით აღჭურვაში. საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა თანამედროვე მოთხოვნებს რომ პასუხობდეს, აუცილებელია დიდი კაპიტალდაბანდება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ვფიქრობთ, სამკურნალო ტურიზმის – დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ძვირადღირებული ტურიზმის სახეობის, პრიორიტეტული განვითარება ხელს შეუწყობს ბუნებრივი სამკურნალო (საკურორტო)-რეკრეაციული რესურსების უფრო რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას და, შესაბამისად, უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში.

5.2 რეკრეაციული რესურსებისა და კურორტების განვითარების პერსპექტივები

მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე დონემ ადამიანთა საზოგადოების წინაშე უამრავი პრობლემა წარმოშვა (ეთნოკონფლიქტები, ტერორისტული აქტები, ომები, ეკოლოგიური კატასტროფები, ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.). გარემოს დაბინძურებამ უკვე მიაღწია ზღვრულ დასაშვებ დონეს. გახშირებული სტრესული სიტუაციებისა და ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების გამო, თანამედროვე ადამიანი ხშირად დეპრესიის ტყვეობაში ექცევა, სულ უფრო მიჯაჭვული ხდება თანამედროვე

ელექტრონულ-საინფორმაციო საშუალებებზე, რომლებიც ძალზე მავნე გავლენას ახდენენ ფსიქიკაზე, აღიზიანებენ მას და იწვევენ ქრონიკულ ნერვულ აშლილობას, წარმოშობენ ფსიქოსომატურ პრობლემებს, ასუსტებენ იმუნურ სისტემას. დღეს ადამიანის ჯანმრთელობა განიხილება როგორც ყველაზე რეალური ღირებულება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრევენციულ, პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა პრობლემების გონივრული მეცნიერული დამუშავება. აუცილებელია ისეთი გაჯანსაღებისა და განტვირთვის ფორმების გამოყენება, სადაც ერთმანეთს ერწყმის დასვენება, რელაქსაცია, გართობა და ახლის შეცნობა, ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი წონასწორობის აღდგენა და მკურნალობა. ასეთ საშუალებას წარმოადგენს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების სწორად გამოყენებას. ამაში იგულისხმება როგორც ჯანმრთელობის დაცვის კერებისა და მათი საწოლების რიცხობრივი ზრდა,

ასევე სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ზუსტი ორგანიზაცია, კურორტებზე მკურნალობის, დასვენებისა და გართობისთვის ოპტიმალური პირობების შექმნა, მომსახურების მაღალი კულტურა, მეცნიერულად და პრაქტიკულად დასაბუთებული კვლევისა და მკურნალობის ახალი მეთოდების მიზანმიმართული დანერგვა თანამედროვე სტანდარტების საკურორტო-სამკურნალო და დასასვენებელ კომპლექსებში. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებშიც ასახული იქნება კურორტებისა და საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებებისა და დასვენების კერების ქსელის აღდგენა-მოდერნიზაცია და შემდგომი გაფართოება.

საქართველოს ბუნებრივი კურორტული ფაქტორების გამოყენება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის სფეროში ხელს შეუწყობს კურორტების რეაბილიტაციას, არსებული საკურორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას და ახლის შექმნას, ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადებას საერთაშორისო სტანდარტებით ტურისტული მომსახურების სფეროსთვის (მათ შორის სამედიცინო პერსონალის – ექიმების, მედდების, მასაჟისტების, სპორტული მედიცინის მეთოდისტების და ა.შ.) და მათ დასაქმებას შესაბამის ინფრასტრუქტურაში.

უცხოელი ექსპერტების აზრით, საქართველოს მდიდარი ბუნებრივი კურორტული ფაქტორები განაპირობებენ საკურორტო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობასა და პრიორიტეტულობას, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ევროპის ისეთი მოწინავე და ტრადიციული ტურისტული ქვეყნების გამოცდილებას, როგორიცაა ¬¬– შვეიცარია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, გერმანია და სხვ. კვლევებით დადგენილია, რომ მულტიპლიკაციურ ეფექტს ტურიზმის სახეობებიდან ყველაზე მეტად იძლევა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, ძვირადღირებული ელიტარული სამედიცინო მომსახურების ხარჯზე.

დღეს მსოფლიო ტურისტულ სექტორში უდიდესი სეგმენტი უჭირავს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმს, ყველაზე სწრაფადგანვითარებად ტურიზმის სახეობას. საქართველოს მდიდარი და მრავალფეროვანი საკურორტო-ტურისტული პოტენციალი ხელსაყრელ პერსპექტივას ქმნის ტურიზმის ამ მიმართულების წარმატებით განვითარებისთვის - სრულიად შესაძლებელია, მომავალში ქვეყანა გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტების ცენტრი. თუ გავითვალისწინებთ არსებულ მდგომარეობას, ამის მიღწევა არ იქნება ადვილი, მაგრამ, სწორი მარკეტინგისა და ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში, შესაძლებელია. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული ფაქტორების გათვალისწინებით, საინვესტიციოდ ყველაზე პერსპექტიულ კურორტებს მიეკუთვნება - თბილისი, წყალტუბო, ბორჯომი, ნუნისი, ცაიში, ახტალა, აბასთუმანი, ბახმარო, საირმე, გომარდული და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება ბუნებრივი სამკურნალო მინერალური წყლების ბაზაზე გამაჯანსაღებელი, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სპა და ველნეს ტურიზმის განვითარებას. ამ თვალსაზრისით საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციალი და პერსპექტივა ტურიზმის მოცემული სახეობის განვითარებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე ბოლო დროს განხორციელებული მოდერნისტული რეფორმების შედეგად თბილისი გახდა საერთაშორისო დონის სპა-დედაქალაქი, რომლის გამოცდილების გაზიარება დაეხმარება რეგიონებს სპა ტურიზმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის საკურორტო სივრცე იწყება სწორედ დედაქალაქიდან – ბალნეოკლიმატური კურორტიდან, რომელსაც საერთაშორისო აღიარება უკვე აქვს მოპოვებული. გასათვალისწინებელია აუცილებელი წინაპირობები, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, კურორტული პროდუქტისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, – რომ საქართველო გახდეს განვითარებული სამკურნალო ტურისტული მიმართულების ქვეყანა.

სამკურნალო ტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ სახეობის განვითარება ხელს შუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თუმცა, ტურიზმის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, იგი მოითხოვს გაცილებით მეტი და მაღალკვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფას. ამიტომ, საჭიროა შესაბამისი პროფესიონალების მიერ ამ სფეროსათვის კადრების სპეციალური მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივმოქმედი კურსების ორგანიზაცია და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება. სამკურნალო ტურიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ისიც, რომ მას გაცილებით მეტი შემოსავლის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, ვიდრე ტურიზმის სხვა სახეობებს.

სამკურნალო კურორტების განვითარებაში მნიშვნელოვანია რეკლამა და ტუროპერატორების როლი – მათ უნდა გამოიყენონ თავიანთი პროფესიული კავშირები და აქტიური რეკლამა გაუწიონ ქართულ კურორტებს. დღესიათვის რეკლამირების წარმატებული საშუალებაა ინტერნეტ სივრცე და სხვადასხვა სოციალური ქსელები. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყველა საკურორტო ზონაში უკაბელო ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დაბოლოს – სახელმწიფოს, ინვესტორებისა და ტუროპერატორების კოორდინირებული საქმიანობა უზრუნველყოფს ქვეყანაში სამკურნალო ტურიზმის სწრაფი ტემპებით განვითარებას.

სამკურნალო კურორტების განვითარება პირდაპირ აისახება ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის განვითარებაზე. კურორტზე სამკურნალოდ ჩასული ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა არის მომავალში მათი და მათი მეგობრების რეგულარული ვიზიტების, აგარაკების შეძენის, დაქირავებისა და ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი სტიმული. შედეგად ამისა, იზრდება მოცემულ კურორტზე ვიზიტიორთა რაოდენობა და შესაბამისად იქმნება რაიონში ტურისტული ბიზნესის განვითარების პირობები. შეძლებული ტურისტების მომრავლება რაიონში გააჩენს ახალ შესაძლებლობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის – მათ შეეძლებათ ადგილზე გაყიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, დასაქმდნენ გაშენებულ დასასვენებელ პარკებსა და სკვერებში და სხვ.;Gგამწვანება ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას. ტურისტების რაოდენობის გაზრდა რაიონში შექმნის საბანკო და სასტუმრო მომსახურების გაფართოების საჭიროებას, რაც ასევე განაპირობებს დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას. Aამრიგად, საკურორტო რაიონების განვითარება შეაჩერებს მიგრაციულ პროცესებს და შექმნის შემოსავლის წყაროს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

დასკვნები და წინადადებები

• საქართველოს უნიკალურ ბუნებრივ სამკურნალო (საკურორტო)-რეკრეაციულ რესურსებს ისტორიულად წამყვანი როლი ენიჭებოდა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში. ქვეყნის უნიკალური კურორტები და საკურორტო ადგილები ყოველთვის იზიდავდა მრავალრიცხოვან ტურისტებსა და დამსვენებლებს.

• ბოლო პერიოდამდე საქართველოს საკურორტო ტურიზმის მთავარი მიმართულება იყო მინერალური წყლებით მკურნალობა და დასვენება. შესაბამისად, საქართველოში ყოველწლიურად ჩამოსული ტურისტების თითქმის ნახევარი კურორტებს და საკურორტო ადგილებს სტუმრობდა მკურნალობის მიზნით. დღევანდელ პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა კურორტების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს საკურორტო-ტურისტული სპეციალიზაცია ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე გასვლისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების ერთ-ერთი ოპტიმალური გზაა. საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებამ პიკს მიაღწია გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველო, როგორც კურორტების ქვეყანა, საბჭოთა სივრცეში მესამე ადგილზე იყო რუსეთისა და უკრაინის შემდეგ.

• საქართველოს საკურორტო დარგის ძლიერ მხარეებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი სამკურნალო რეკრეაციული რესურსების არსებობა, ზღვისა და მთიანი ლანდშაფტების და ჰავის შეხამება. ასევე, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში უძველესი კულტურის ძეგლებისა და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების სიმრავლე, განაპირობებს საქართველოს საკურორტო-ტურისტულ სპეციალიზაციას. რესურსულ-რეკრეაციული პოტენციალის სივრცითი განაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ საკურორტო პოტენციალის ნახევარზე მეტი მოდის ზღვისპირა რეკრეაციული რაიონების – აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოსა და გურიის წილზე, დაახლოებით მესამედი – თბილისის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეკრეაციულ რაიონებშია კონცენტრირებული, ხოლო დაახლოებით მეხუთედი – მთიანი ლანდშაფტების მქონე რეკრეაციული რაიონების საზღვრებში.

• საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონის ანალიზი აჩვენებს, რომ ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების პოტენციურ შესაძლებლობებსა და მათი გამოყენების დონეს შორის არსებობს სერიოზული დისპროპორცია. განსაკუთრებით დაბალია ქვეყნის მთიანი რაიონების ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების დონე. ფაქტობრივად, ყველა რეკრეაციულ

რაიონში არსებობს საკურორტო-ტურისტული პოტენციალის ზრდის რეზერვი. აღნიშნული რეზერვის გამოყენების მეცნიერული საფუძვლები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი – გამოვლენილია მინერალური წყლების ახალი წყაროები, შექმნილია სპელეოთერაპიის მეთოდები, გამოკვლეულია მაგნიტური ქვიშის (კურორტი ურეკი) უნიკალური სამკურნალო თვისებები, დადგენილია ცალკეული კლიმატური ზონების სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები და კლიმატის გავლენა სხვადასხვა დაავადებებზე და ა.შ.

• დღეისათვის მრავალი მოუგვარებელი პრობლემა არსებობს კურორტებზე მკურნალობისა და დასვენების ორგანიზებაში. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს ქვეყნის კურორტების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, განსაკუთრებით მათი კომუნალური სფერო. მიუხედავად იმისა, რომ რეკონსტრუირებულია და ექსპლუატაციაშია შეყვანილი წყალგაყვანილობის ახალი ობიექტები, წყალმომარაგება ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როდესაც კურორტებზე ყველაზე მეტი რაოდენობის დამსვენებელი იყრის თავს. მიუხედავად ხარისხიანი სასმელი წყლის რესურსების არსებობისა, რეკრეაციული რაიონების თითქმის ყველა კურორტი განიცდის სირთულეებს სასმელი წყლით უზრუნველყოფაში. სუსტი ადგილია, ასევე, კურორტების თბომომარაგება. აუცილებელია თანამედროვე გათბობის სისტემების მოწყობა. არანაკლებ მწვავეა საკანალიზაციო სისტემების მდგომარეობა და განვითარება, გამწმენდი საშუალებების, ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების აშენება და სხვ. ამ სფეროში საჭიროა თანამედროვე, ბიოტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა.

• საქართველოში საკურორტო მკურნალობისა და დასვენების განვითარების თანამედროვე დონე ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს, არასრულად გამოიყენება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები, ხარვეზებია დამსვენებელთა მომსახურების ორგანიზებაში, დასახვეწია საკურორტო მკურნალობისა და სამედიცინო მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ღონისძიებები, არადამაკმაყოფილებელია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვა და საკურორტო მიწების გამოყენება და სხვ.

• ბევრი კურორტი და საკურორტო ადგილი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს საავტომობილო გზების (შიგა და ავტომაგისტრალების) მიმართ, განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა ქვეყნის მთიან რეგიონებში. მნიშვნელოვანია ავტომაგისტრალების აღდგენა-რეკონსტრუქცია, საკურორტო ცენტრებთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობა და ტექნიკური გაუმჯობესება, სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება, პერსპექტიული სპეციალური ტრანსპორტის სახეობების ფართო დანერგვა (მაგ., ბაგირგზების), შვეულმფრენებისა და მცირე ავიაციის პარკის, საჰაერო ტრანსპორტის მიწისზედა ინფრასტრუქტურის, საქართველოს შავიზღვისპირეთის სანაპიროზე საზღვაო ფლოტის სანაპირო ბაზის განვითარება. ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემა ქვეყნის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.

• რეკრეაციული რესურსების გამოყენების პრობლემის გადაწყვეტისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური ფაქტორის სრულყოფილი აღრიცხვა. ქვეყნის საკურორტო ზონებში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე და მთიან რეგიონებში, საკურორტო ფუნქციების შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისათვის აუცილებელია ეკოლოგიური სტაბილურობის მიღწევა.

• მრავალი კურორტი და საკურორტო ადგილი მდებარეობს მაღალი ზვავსაშიშროების ზონაში, რაც განაპირობებს ზვავსაწინააღმდეგო სამსახურის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მწვავე აუცილებლობას. მთიანი რეგიონების რეკრეაციული რაიონები გამორჩეულია მაღალი ღვარცოფული და მეწყრული აქტივობით.

• რეკრეაციულ რაიონებში ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური დაცვის პრობლემა შეიცავს ისეთ ასპექტს, როგორიცაა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნება.

• ეკოლოგიური სტაბილურობის უზრუნველყოფა რეკრეაციულ რაიონებში კურორტების საკურორტო ფუნქციის შენარჩუნებისა და პერსპექტივაში საკურორტო-ტურისტული პოტენციალის გაზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში რეკრეაციული რესურსების კომპლექსური ათვისების ბაზაზე. რეკრეაციული მეურნეობის განვითარება (თანმდევი პრობლემების კომპლექსური გადაჭრის შემდგომ, განსაკუთრებით ექსტენსიურ საფუძველზე) ლიმიტირებულია, უპირველესად, ფინანსური და, გარკვეულწილად, საკურორტო-რეკრეაციული დაწესებულებების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის შესაძლებლობებით.

• გადაუდებელ ამოცანათა რიცხვს განეკუთვნება საკურორტო რეკრეაციული დარგის განვითარების

გრძელვადიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო პროგრამის შემუშავება, გამომდინარე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან.

• საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა თანამედროვე მოთხოვნებს რომ პასუხობდეს, აუცილებელია დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

• გამომდინარე უმდიდრესი და მრავალფეროვანი ბუნებრივი საკურორტო რესურსული პოტენციალიდან, საქართველოს აქვს შესაძლებლობა პერსპექტივაში იქცეს ერთ-ერთ საერთაშორისო საკურორტო-გამაჯანსაღებელ ცენტრად რეგიონში, რისთვისაც, უპირველესად, საჭიროა: ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების ახალი ხედვით, ახალი სისტემური მიდგომებით მეცნიერული კვლევების პერმანენტული წარმოება, გარემოს გლობალური კლიმატური ცვლილებების გათვალისწინება. მსოფლიო უმკაცრესი კონკურენციის პირობებში საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისი მდიდარი კურორტულ-რეკრეაციული პოტენციალის სათანადო გამოყენება და მაღალრეიტინგული კურორტების ჩამონათვალში მოხვედრა. ამ მიმართებით მიზანშეწონილია კურორტოლოგიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენა და განვითარება. უცხოეთიდან შეიძლება თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების, აპარატურის შემოტანა, მაგრამ ბუნებრივი რესურსული პოტენციალის მეცნიერული შესწავლა და მართვა უნდა განხორციელდეს ეროვნული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მკვლევარების მიერ.

• რეკრეაციული რესურსების აქტიური გამოყენების ტენდენციები, მათი ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრინციპებს, უნდა აწონასწორებდეს საზოგადოების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ამ მხრივ მეტად აქტუალური ხდება ბუნებრივი გარემოს ნეგატიური ცვლილებებისგან დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავების საკითხები, რომლებსაც მიეკუთვნება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. ლ.კვარაცხელია, ი. მესხია. საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტომი 2. თავი 8. გვ. 875-1064. სამკურნალო (საკურორტო)-რეკრეაციული რესურსები. თბილისი, 2015

2. ნ. გრძელიშვილი, ლ. კვარაცხელია - ტურისტულ - რეკრეაციული რესურსები. ნაწილი 1. მონოგრაფია. 2022

3. ნ. გრძელიშვილი. „რეგიონი - ეკონომიკა, პოლიტიკა, მართვა“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.: 2020. გვ. 382

4. ნ. გრძელიშვილი, ლ. კვარაცხელია, თ. ექვთიმიშვილი. ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება. სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა". N12;2021

5. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო და ევროინტეგრაცია" ნოდარ გრძელიშვილი ლაურა კვარაცხელია - ტურიზმის განვითარების რესურსების კლასიფიკაციის ევროპული მიდგომები. 28-29 ივლისი 2022 სტუ.

6. ნ.ჭითანავა. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და მართვა: მიზნები, მიმართულებები, მექანიზმი, გამოცდილება. - „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში". ბათუმი-თბილისი : 2001.

7. ბირჟაკოვი მ. 2008. ტურიზმის თეორია (რუს., თარგმანი _ მეტრეველი მ.). შპს "ფავორიტი პრინტი". თბილისი

8. გაგნიძე რ. 2013. მცენარეული საფარი. წიგნში: "საქართველოს გეოგრაფია". თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თსუ გამომცემლობა. თბილისი

9. ელიზბარაშვილი ე. 2007. საქართველოს კლიმატური რესურსები, ჰიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტი. თბილისი

10. ვადაჭკორია მ., უშვერიძე გ., ჯალიაშვილი ვ. 1987. საქართველოს სსრ კურორტები, "საბჭოთა საქართველო". თბილისი

11. ზაუტაშვილი ბ., მხეიძე ბ. 2013. მინერალური წყლები, წიგნში: "საქართველოს გეოგრაფია". თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თსუ გამომცემლობა. თბილისი

12. თავართქილაძე შ., ხანთაძე ა., ელიზბარაშვილი ე., ქარცივაძე ნ. 2007. ურეკი _ უნიკალური კურორტი. ურეკი

13. კვარაცხელია ლ., ქინქლაძე რ. 2012. საქართველოს ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების როლი ტურისტულ ინდუსტრიაში. მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ბათუმი

14. კვაშილავა-ცეკვავა ა. 2011. კურორტები. "საქართველოს მაცნე". თბილისი

15. კორძახია მ. 1961. საქართველოს ჰავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. თბილისი

16. მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, 2012, III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ბათუმი

17. მესხია ი., ასათიანი რ. 2012. საკურორტო-რეკრეაციული რესურსები და ტურიზმი, წიგნში: "საქართველოს ეკონომიკა". გამომცემლობა "სიახლე". თბილისი

18. მესხია ი. 2012. საქართველოს ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტიული განვითარების ორიენტირები. მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ბათუმი

19. მესხია ი., გველესიანი ე. 2010. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, გამომცემლობა "ინოვაცია". თბილისი

20. მეტრეველი მ., კვარაცხელია ლ. 2012, ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, მონოგრაფიაში: "თბილისის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი

21. მეტრეველი მ. 2011. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. შპს "ფავორიტი პრინტი". თბილისი

22. მეტრეველი მ. 2011. ტურიზმის ბიზნესი. შპს "ფავორიტი პრინტი". თბილისი

23. მუმლაძე დ., გაგუა გ., ლომიძე ნ. 2013. კლიმატი, წიგნში: "საქართველოს გეოგრაფია", თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თსუ გამომცემლობა. თბილისი

24. პავლიაშვილი ნ. 2013. ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობა, წიგნში: "საქართველოს გეოგრაფია", თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თსუ გამომცემლობა. თბილისი

25. ჟორდანია რ. 2013. ცხოველთა სამყარო, წიგნში: "საქართველოს გეოგრაფია", თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თსუ გამომცემლობა. თბილისი

26. საქართველოს კანონი "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" (1997. 06.მარტი).

27. საქართველოს კანონი "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" (1998).

28. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება "საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ" N655 (2005.22.ივლისი).

29. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო-2020". 2014.

30. საქართველოს სსრ კურორტები და საკურორტო რესურსები, ატლასი. 1989. საქართველოს სსრ საქკურორტის ი. კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი. მოსკოვი

31. საქართველოს ეროვნული ატლასი. 2012. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის

გეოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი

32. საქართველოს 100 კურორტი. 2014. "კლიო". თბილისი

33. სააკაშვილი ნ., ჩილინგარიშვილი თ. 2011. საქართველო _ ტურიზმისა და კურორტების ქვეყანა. "საქართველოს მაცნე". თბილისი

34. სირბილაძე თ. 2008. ტურისტის გზამკვლევი. "ზენაარი". თბილისი

35. ჩილინგარიშვილი თ. 2006. საქართველოს დაკონსერვებული ოქროს საბადოები, საექსპორტო პოტენციალი. ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა", N5.

36. ხომერიკი გ. 2008. ტურიზმი. "ტექნიკური უნივერსიტეტი". თბილისი

37. ნ. გრძელიშვილი, ლ.კვარაცხელია - „ტურისტული რესურსების შეფასების შედარებითი ანალიზი და კომპლექსური შეფასების მეთოდიკა". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და საწარმოო ძალების მდგრადი განვითარების პერსპექტივები" მიძღვნილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილესა და აკადემიკოს ი.ჟორ-დანიას დაბადებიდან 90 წლისთავს. 2022

38. ნ. გრძელიშვილი, ლ.კვარაცხელია- ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრის თავისებურებები რეგიონებში.

39. შრომების კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 5-6 ნოემბერი 2021

40. USBK 2022 Istanbul Gelisim University International Congress of Applied Social Sciences, March 10-11, 2022 Istanbul. Grdzelishvili NODAR, Kvaratskhelia LAURA ,,Opportunities for Sustainable Development of Tourism in the Mountainous Regions of Georgia / Gürcistan'ın Dağlık Bölgelerinde Sürdürülebilir Turizm Gelişimi için Fırsatlar,, pp.104

41. International Conference on Global Practice of Multidisciplinary Scientific Studies Dedicated to the 100th Anniversary of "Georgian Technical University - GTU" June 24-26, 2022 / Tbilisi, Georgia

42. Nodar Grdzelishvili , Laura Kvaratskhelia,,COMPLEX ASSESSMENT OF TOURISM DEVELOPMENT RESOURCES THE MAIN DIRECTIONS OF USING THE METHODOLOGY..

43. Grdzelishvili N., Kvaratskhelia L. METHODOLOGICAL FEATURES AND PROBLEMS OF ASSESSMENT OF TOURIST AND RECREATIONAL RESOURCES OF THE TERRITORY. VOL 3, № 60 (2020). Sciences of Europe (Praha, Czech Republic).

44. M. Merlo and L. Croitoru Valuing Mediterranean Forests: Towards Total Economic Value, CABI International, Wallingford UK/Cambridge MA (2005).

45. Tyrväinen, L., Pauleit. S., Seeland, K. & de Vries, S. (2005): Benefits and uses of urban forests and trees. In: Konijnendijk, C.C., Nilsson, K., Randrup, T.B. & Schipperijn, J. (eds.): Urban forests and trees – A reference book. Springer, Berlin, Pp. 81-114.

46. The Aesthetics of Forestry: What has Empirical Preference Research Taught Us? 1989, Environmental Management, 13 (1): 55-74

47. Liisa Tyrvainen, Kirsi Makinen, Jasper Schipperijn. Tools for mapping social values of urban woodlands and other green areas. Landscape and Urban Planning 79 (2007) 5–19

48. Бетанели К.П., Хоштария Д.С. 1990. Проблемы рационального использования рекреационных ресурсов Грузии. «Мецниереба». Тбилиси

49. Квирквелия Т., Аршба З.1974. Научное обоснование организации курортной зоны в г.Сухуми. Тезисы докл. 18-ой республиканской н/т конференции ГПИ, Тбилиси

50. Нодия М.Ю. 1963. Курортные богатства Грузии. «Сабчота Сакартвело». Тбилиси

51. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. 1991. Монография КЕПС АН ГССР. «Мецниереба». Тбилиси

52. Хоштария Д.С., Биланишвили З.И. 1986. Природные ресурсы Грузии и НТП, в сб.: "Основные предпосылки формирования и развития территориально-рекреационных комплексов в Грузинской ССР", «Мецниереба». Тбилиси

53. Хоштария Д.С., Савостина И.П., Биланишвили З.И. и др. 1984. Использование природно-рекреационных ресурсов Грузии на современном этапе, в сб. : "Природные ресурсы Грузии и их использование", «Мецниереба». Тбилиси

54. http://gtu.edu.ge/publishinghouse/Turizmi.pdf>

55. http://gtu.ge/faculties/ctmf/dis/liana ebanoidze.pdf>

56. http://www.tourprom.ru/medical-tourism/

57. http://ka.wikipedia.org/w/

58. http://medvoyage.info/medtourism/about/

59. http://nova.rambler.ru/search?query=+kurorti+>

60. http://ru.wikipedia.org/w/index.php?title=Курорт&oldid=60917794

61. http://www.google.ge/search?hl=ka&source=hp&q=samkurnalo+tourizmi&gbv=2

62. http://openjournals.gela.org.ge/index.php/GRUNI-B/article/.../178

63. www.npIg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000454/

64. www.scribd.com/doc/34048776/T_Putkaradze-ureki

65. www.gvg.ge/attachments_p²/38pdf>

66. www.iberia-travel-ge/georgia/saqartvelos-kurortebi.htmt

67. www.education.ge

68. www.balneo.ge

69. geostat.ge

70. mrdi.ge

71. mes.gov.ge

72. mof.gov.ge

პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება

გურამ აბესაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

ნოდარ აბესაძე
სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.03

რ ე ზ ი უ მ ე

პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პროცესია. პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური და კულტურულ-ღირებულებითი ტრანზიცია ერის იდენტობის გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონალური რაციონალურობა და პრაგმატულობა გარდაქმნის ერის პოლიტიკურ იდენტობას ახალი დროის შესაბამისად. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის უპირველეს პრობლემად რჩება ინსტიტუციური გარდაქმნა; დომინანტური ინსტიტუციურობის სინდრომი პოლარიზებისა და დესტრუქციულობის მიზეზი ხდება; ინსტიტუციური პოლარიზება მნიშვნელოვნად აფერხებს ერის პოლიტიკურ გარდაქმნას; პოლიტიკურ გარდაქმნაში იგულისხმება ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიცია, რომელიც უპირველესად სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირებას გულისხმობს; სახელმწიფოებრივი იდენტობა - ეს არის პოლიტიკურად კონსოლიდირებული და ინსტიტუციურად გარდაქმნილი ერი, რომელიც ეროვნულ რაციონალურობასა და პრაგმატულობას ემყარება. ეროვნული იდენტობის იდეოლოგია ვერ გახდა პოლიტიკური სისტემის დინამიკურობის კრიტერიუმი. პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის ერის პოლიტიკური სოციალიზაცია; ახალი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობა სოციალიზაციის პროცესის შედეგად მიიღწევა. ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში გარდაქმნას საჭიროებს ერის პოლიტიკურ-კულტურული პოტენციალი. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონალური აქტორების პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს. პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის ირაციონალურ პროცესად იქცა პოლიტიკური ოპოზიციის დესტრუქციულობა, რომელიც აგრესიული რიტორიკით გამოირჩევა. დემოკრატიული ტრანზიციის პროცესმა წინა პლანზე წამოსწია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აქტორული როლი პოლიტიკურ სისტემაში; ეკლესია პრაგმატული მიდგომებით გამოირჩევა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირებაში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური სისტემა, დემოკრატიული ტრანზიცია, ეროვნული იდენტობა, ინსტიტუციური აქტორები, პოლიტიკური პოლარიზება

ციტირებისთვის: აბესაძე გ., აბესაძე ნ., პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 71-79.

DEMOCRATIC TRANSITION OF THE POLITICAL SYSTEM AND FORMATION OF MODERN GEORGIAN NATIONAL IDENTITY

Guram Abesadze
Doctor of Political Science, Professor at Sokhumi State University, Head of Policy Science
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

Nodar Abesadze
Doctor of Social Sciences, guest lecturer of Sukhumi State University
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

SUMMARY

The democratic transition of the political system is the most important process of the development of Georgian statehood. The institutional and cultural-value transition of the political system is impossible without the transformation of the nation's identity. The functional rationality and pragmatism of the political system transforms the nation's political identity in accordance with the new times. Institutional transformation remains the primary problem of the democratic transition of the political system of modern Georgia; The syndrome of dominant institutionality becomes the cause of polarization and destructiveness; Institutional polarization significantly hinders the nation's political transformation; Political transformation means the political transition of national identity, which primarily involves the formation of state identity; State identity is a politically consolidated and institutionally transformed nation based on national rationality and pragmatism. The ideology of national identity could not become a criterion for the dynamism of the political system. The most important function of the political system is the political socialization of the nation; The new Georgian national-political identity is achieved as a result of the socialization process. In the process of political transition of national identity, the political-cultural potential of the nation needs to be transformed. The political-intellectual potential of the functional actors of the political system cannot meet the requirements of the time. The destructiveness of the political opposition, which is characterized by aggressive rhetoric, has become an irrational process of the democratic transition of the political system. The process of democratic transition brought to the fore the actor role of the Georgian Orthodox Church in the political system; The church is distinguished by its pragmatic approach and plays an important role in the formation of the Georgian national-political identity.

Key words: Political system, democratic transition, national identity, institutional actors, political polarization

For citation: Abesadze G., Abesadze N, Democratic transition of the political system and formation of modern Georgian national identity, Journal - "Business and Legislation", No. 1, 2023. p. 71-79.

შესავალი

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ საკვლევ თემას პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციისა და ეროვნული იდენტობის ფორმირების პრობლემა წარმოადგენს. პოლიტიკური სისტემა პოლიტიკის მეცნიერების ფუმდამენტალური კონცეპტუალური კატეგორიაა, რომელიც პოლიტიკური პროცესის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ დინამიკურობას განმსაზღვრავს. ცნება „პოლიტიკური სისტემა" პოლიტიკის მეცნიერებებში XX-ის 50-60-იან წლებში გამოიყენეს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ამერიკელმა პოლიტოლოგებმა - დ. ისტონმა, გ. ალმონდმა, კ. დოიჩმა და სხვ. პოლიტიკურ სისტემას თავისი სტრუქტურული ელემენტები გააჩნია: ინსტიტუციური, სამართლებრივი, კომუნიკაციური, ფუნქციონალური, კულტურულ-იდეოლოგიური და სხვ. ეს არის პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების მექანიზმი, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ ინსტიტუციებსა და კულტურულ-ღირებულებით ორიენტაციებს. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები პოლიტიკურ რეჟიმში გამოვლინდება, რომელიც პოლიტიკური წესრიგის ფორმას წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში ბევრი ქვეყანა გარდამავალ დემოკრატიას წარმოადგენს, რომლებიც ავტორიტარულიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადადიან და ტრანზიციის პროცესებით გამოირჩევიან. საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიტის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიცია; ამასთანავე, მსოფლიოს ახალმა გეოპოლიტიკურმა პარადიგმამ ეროვნული იდენტობის პრობლემა წინა პლანზე წამოსწია; შესაბამისად, პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის მთავარი ამოცანა გახდა ეროვნული იდენტობის ახლებური ფორმირება, მისი პოლიტიკური ტრანზიცია; ამიტომ, პოლიტიკის მეცნიერებების ეს ორი კატეგორია - პოლიტიკური სისტემა და ეროვნული იდენტობის ფორმირება - პოლიტიკური ტრანზიციიდან გამომდინარე, მჭიდრო თანაფარდობაშია ერთმანეთთან.

1. პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმები

თანამედროვე საქართველოში დემოკრატიული ტრანზიციის მიზანმიმართულ განხორციელებას პოლიტიკური სისტემა ეწევა, რომელიც ინსტიტუციურ

და კულტურულ-ღირებულებით სტრუქტურას წარმოადგენს. თავისი სპეციფიკით, დემოკრატიზაციის პროცესთან ერთად, პოლიტიკური სისტემაც განიცდის ცვლილებებს, რომლებიც ერთიანი ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკურ ტრანსფორმაციას ახდენს; ტრანზიტული პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს ინსტიტუციური აქტორების გაერთიანებას, რომლითაც მიმდინარეობს დემოკრატიული პროცესის მართვა.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის მიზანია პოლიტიკური რაციონალურობისა და პრაგმატულობის დამკვიდრება, რაც გარდაქმნის ერის პოლიტიკურ იდენტობას ახალი დროის შესაბამისად; უპირველეს ამოცანად რჩება პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური გარდაქმნა, რადგანაც პოლიტიკური სცენის პოლარიზება მუდმივი სინდრომის არეალს ქმნის და დემოკრატიული ტრანზიციის კონსოლიდირებას აფერხებს; სრულყოფას საჭიროებს პოლიტიკური ინსტიტუტების პოლიტიკურ-ინტელექტუალური დონე, რადგანაც, მათი პლატფორმებიდან გამომდინარე, ყოველთვის არ არის დაცული ეროვნულ-პრაგმატული ინტერესები; შეიძლება ითქვას, რომ კრიზისულ სიტუაციაში იმყოფება ინსტიტუციური სივრცე, რომელიც მდგრადობის ელემენტებს მოკლებულია და ვიწროკლანური მისწრაფებებით სულდგმულობს. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული ტრანზიტის მკვეთრი ირაციონალური ტენდენციაა დომინანტური პარტიის სინდრომი, რომელიც გარკვეული ციკლური პერიოდის შემდეგ ავტორიტარულ ძალად იქცევა და ეროვნული იდენტობის გარდაქმნის პროცესში დესტრუქციულობის ელემენტები შემოაქვს.

საქართველოს ტრანზიტული პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურება ის არის, რომ იგი ინსტიტუციური აქტორული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ყოველთვის სტაბილურობის გარანტიებს არ იძლევა. საერთოდ, პოლიტიკური პარტიების სიმრავლე ყოველთვის არ არის დემოკრატიის სტაბილურობის გარანტი, რადგანაც პოლიტიკური სივრცე ზედმეტად დანაწევრებული და პოლარიზებულია. პოლიტიკურ სივრცეში მრავალპარტიულობას შემოაქვს სოციუმის ზედმეტი პოლარიზებაც, რომელიც დაპირისპირების მეტ მოტივაციებს ამკვიდრებს. ამ გაგებით, ზედმეტი პარტიულ-ინსტიტუციური დანაწილება ქართული პოლიტიკური სისტემის ქმედითუნარიანობასა და დემოკრატიულ ტრანზიციას სერიოზულ ზიანს აყენებს.

პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია გულისხმობს სამოქალაქო კულტურის ტრანსფორმაციას გარკვეულ დროსა და სივრცეში; მან უნდა შექმნას პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების ისეთი მოდელი, რომელიც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონალურ სტაბილურობას დაამკვიდრებს; ეს არის ისეთი რაციონალური საზოგადოება, რომელიც პოლიტიკური თანაცხოვრების კონსენსუალურ მოდელს ემყარება და ორიენტირებულია პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და პოლიტიკური პოზიციის რაციონალურ-აქტივისტურ ფორმებზე. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური სისტემა ორი მიმართულებით უნდა გარდაიქმნას: 1. დემოკრატიული ტრანზიციის წარმართვა ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის გარდაქმნის მიმართულებით, რაც რაციონალური პოლიტიკური კულტურის ელემენტებს დაემყარება; 2. დემოკრატიული ტრანზიცია მოახდენს ერის კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას, რომელიც პოლიტიკური კონსოლიდაციისა და სტაბილურობის გარანტი იქნება.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ სისტემის დემოკრატიულ ტრანზიციას გამოკვეთილად აკლია პოლიტიკურ ძალთა განახლების პროცესი; მხოლოდ მოძველებული სახეები და ხელმოცარული პოლიტიკოსები ვეღარ აკმაყოფილებენ ახალი დროის მოთხოვნებსა და გამოწვევებს. მსოფლიოში სიტუაცია იცვლება ეროვნული იდენტობის მიმართულებით, ხოლო მოძველებული პოლიტიკური ძალების აღქმა ემყარება დრომოჭმულ შეხედულებებს, რომლებიც გასაქანს არ აძლევენ ინტელექტუალურ და პატრიოტულ ძალებს. ასეთი ტენდენციები საზოგადოებაში ამკვიდრებს პოლიტიკური გაუცხოების სინდრომსა და დემოკრატიული ტრანზიტისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია, რომელიც ცვლილებების რაციონალურ პროცესებს ემყარება, ძირითადად, პოლიტიკური ელიტისა და ლიდერის პროფესიონალიზმსა და პოლიტიკურ პრაგმატიზმზეა დამოკიდებული. ტრანზიტულ პერიოდებში ვერ გამოიკვეთა პოლიტიკური ელიტის პოლიტიკურ-კულტურული პოტენციალი და პრობლემებისადმი ეროვნული მიდგომის სულისკვეთება. თავისი ირაციონალური ტენდენციებით გამოირჩევიან პოლიტიკური ლიდერებიც, რომლებსაც არ შესწევთ რაციონალური გადაწყვეტილებებისა და საზოგადოების კონსოლიდაციის მიღწევის უნარი; მათი პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, რაც საზოგადოებისაგან გაუცხოების მიზეზი ხდება. გარკვეულწილად, სოციუმის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი გაიზარდა და მისი ადაპტაცია ახალ სიტუაციაში წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ პოლიტიკური ელიტისა და ლიდერების პოლიტიკური ინტელექტის დონე არ შეესაბამება ეროვნულ პრაგამატულ დონესა და პოლიტიკური იდენტობის თანამედროვე მოთხოვნებს.

პოლიტიკური ლიდერის ინსტიტუტი ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური სივრცის რაციონალურობისა და დემოკრატიის სტაბილურობის პროცესში; ლიდერის გაწონასწორებული ხასიათი, პოლიტიკურ აქტორებთან მისი თანამშრომლობის სტილი, რიტორიკა, პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი და გამოცდილება, პოლიტიკური აღღო და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სტილი მნიშვნელოვანი ინდივიდუალური პიროვნული თვისებებია, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური სივრცის სტაბილურობას. გაუწონასწორებელი და ავანტიურისტული ქცევების მქონე ლიდერები ირაციონალურობისა და მუდმივი დესტრუქციულობის საფუძვლებს

ქმნიან და საზოგადოებაში პერმანენტულად რევოლუციის სინდრომს ამკვიდრებენ. ამასთან ერთად, როდესაც ლიდერი გამოირჩევა თავისი აგრესიულობითა და ექსტრემისტული მიდგომებით, სამოქალაქო სივრციდანაც საპასუხო ქმედებებს იღებს, რაც მასობრივი ფსიქოზის ფორმებს იღებს და სოციუმს ნიჰილიზმის ტყვეობაში აგდებს. პათოლოგიური პროცესებით სარგებლობა ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის თვითდამკვიდრებისა და თვითკმაყოფილების თავისებური ფორმა გახდა. ავტოკრატიული სტილი, მოჩვენებითობა, ფასადი, იმიტაციური წარმატებები და მანიპულირების სხვადასხვა ფორმა საზოგადოებაში ერთგვარი შიზოფრენული სივრცის შექმნას უწყობდა ხელს; ეს წარმოადგენს ე. წ. პათოლოგიური საზოგადოების შექმნის მცდელობას, რომელიც ირაციონალურ ძალაუფლებას ბრბოს ფსიქოლოგიით განამტკიცებს და სამოქალაქო სივრცეს დათრგუნავს.[1]

პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის ირაციონალურ პროცესად იქცა პოლიტიკური ოპოზიციის დესტრუქციულობის სინდრომი, რომელიც სახელმწიფოებრივი აზროვნებით ვერ გამოირჩევა. პოლიტიკური ოპოზიცია, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური ხელისუფლების ეროზიის შედეგად წარმოიშობოდა და თავისი რადიკალური მოქმედებებით კრიზისულ სიტუაციებს ქმნიდა; წლების მანძილზე საზოგადოების მიერ ეს სახეები აღიქმება, როგორც ირაციონალურობის აქტორები, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკური პროცესების დესტრუქციულობით ცდილობენ მიზნის მიღწევას. პოლიტიკურ ველზე ოპოზიციური სპექტრის ეს ნაწილი მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას და ადგილს არ უთმობს ინტელექტუალურ ძალებს პოლიტიკური ტრანზიციის პროცესის რაციონალიზაციის მისაღწევად. პოლიტიკურ-კრიზისული სიტუაციის შექმნა და ექსტრემისტული მიდგომები მათი პოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალება გახდა. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის აქტორული პორტრეტების ინტელექტუალი პოტენციალი ახალი პოლიტიკური დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და სერიოზულ განახლებას საჭიროებს.

თანამედროვე ოპოზიციურ სპექტრს თავისი გამოკვეთილი იდეოლოგიური პლატფორმა და ერთიანი მიზანი არ გააჩნია, რაც მათი გავლენის შესაძლებლობასა და ავტორიტეტს ამცირებს: 1. პოლიტიკური ოპოზიცია ძველი სახეების კომბინაციაა, რომლებიც რამდენიმე წელია პოლიტიკურ სცენაზე თავისი როლის გამოკვეთას ცდილობენ და მოძველებულ პორტრეტებად არიან მიჩნეული; 2. პოლიტიკური ოპოზიციის ინტელექტუალური პოტენციალი და პროფესიონალური დონე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ქართული დემოკრატიული ტრანზიტის მოთხოვნებს; 3. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის რიტორიკა და პოლიტიკურ-კულტურული ქცევის ნორმები თანამედროვე ქართული ინტელექტუალური აზროვნებისა და მოღვაწეობის სტილსაგან უაღრესად გაუცხოებულ ფორმაში იმყოფება; 4. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ოპოზიციური სპექტრის ავტორიტეტი დაკარგულია, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ნეგატიურ აღქმას იწვევს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართული ოპოზიციური სივრცე არაერთგვაროვან შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც პოლიტიკურ სცენაზე აქტორული პოლიტიკური ვაკუუმისა და მუდმივი დესტრუქციულობის სინდრომის მიზეზი ხდება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალი ოპოზიციური აქტორული სივრცის ფორმირება, რომელიც თავისი ინტელექტუალური და პრაგმატული აზროვნებით ეროვნული იდენტობისა და დემოკრატიული ტრანზიტის საყრდენი ფუნქციონალური რაციონალური ძალა გახდება.

თანამედროვე დემოკრატიული ტრანზიციის მდგრად და ავტორიტეტულ ინსტიტუტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების პროცესში თავისი ისტორიულ-პოლიტიკური მისია აკისრია. პოლარიზება, რომელიც განსაკუთრებულ პრობლემად გადაიქცა ქართულ ტრანზიციაში, ეკლესია ეროვნული კონსოლიდაციისა და კონსენსუალურობის ნიმუშით გამოირჩევა და ხელს უწყობს სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრებასა და ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებას; იგი ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის ფორმირების გამოკვეთილი აქტორია, რომელიც თავისი პრინციპული პოზიციითა და შეფასებებით დემოკრატიული ტრანზიციის რაციონალიზირებასა და პრაგმატულობას ახდენს. ეკლესია თავის პოზიციას მკვეთრად გამოხატავს ეროვნული მემკვიდრეობისა და ტრადიციული ღირებულებების დაცვის პროცესში, რომელიც ცალკეულ სიტუაციებში გადაფასებული ან უარყოფილია. თავისთავად, დემოკრატიული ტრანზიცია არ უარყოფს ეროვნულ მენტალურ თვისებებს, რომლებიც გარდაქმნების პროცესში განსაკუთრებულ ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. გარეშე ფაქტორებზე ზედმეტი მიმბაძველობა და უცხოური სტერეოტიპების მექანიკური გადმოტანა ამახინჯებს ეროვნული იდენტობის რაციონალური ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს; ამ მიმართულებით ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მკვეთრ ეროვნულ პოზიციას აფიქსირებს და ზედმეტ ტრანსპლანტაციურ პროცესებს აჩერებს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** განმარტავს, რომ ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიის გზით განვითარება აირჩია და სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ ყველას არ აქვს გაცნობიერებული, რომ ცხოვრების ეს წესი უცხო ქვეყნის ყოფის მიბაძვას არ ნიშნავს. ყველა ქვეყანას საკუთარი დემოკრატიული წყობა ეროვნულ ტრადიციებზე, კულტურაზე, აზროვნებაზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული. სახელმწიფოში, სადაც მექანიკურად იმეორებენ სხვათა ნააზრევს, სხვათა ფორმულებს, ვიღებთ უსულო, დაშტამპულ, სიცოცხლის უნარდაკარ-

1 გ. აბესაძე, ნ. აბესაძე.სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. ივლისი-დეკემბერი, N 2, 2021, გვ. 11 https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/725/

გულ საზოგადოებას, რომელიც აუცილებლად განვითარების დეგრადაციული გზისთვისაა განწირული.[1]

დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში პოლიტიკური ოპოზიციის ექსტრემისტული ნაწილი და მათი იდეოლოგები მკვეთრად მიანიშნებს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, როგორც კონსერვატიულ ინსტიტუტზე. კონსერვატიზმი ყოველთვის ირაციონალურად არ უნდა გავიგოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ იგი აფერხებს დემოკრატიულ გარდაქმნებს. ეროვნული იდენტობის განზომილებითი ელემენტების დაცვა და მისი ახლებური რეინტერპრეტაცია არ უნდა მივიჩნიოთ დემოკრატიული ტრანზიტის შემაფერხებელ ფაქტორად. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მომრავლდნენ ექსტრემისტულად განწყობილი ფსევდოლიბერალი იდეოლოგები, რომლებიც მკვეთრ პოზიციას იჭერენ ეროვნული თვითყოფადობის წინააღმდეგ. მაშინ, როცა მსოფლიოში ეროვნული იდენტობის ტრანსფორმაცია ახალი სულიკვეთებით მიმდინარეობს და ერების მენტალური აღორძინებაც რელიგიურ განზომილებას იძენს, ზოგიერთი ფსევდოსულისკვეთების ლიბერალი თავგამოდებული დამანგრეველი აქტორის ფუნქციური როლის შემსრულებლად გვევლინება. ასეთი ტენდენციები იწვევს ერის იდენტობის მოშლასა და ეროვნული დემოკრატიული აზროვნების დათრგუნვას. **პატრიარქი ილია II** მკაცრად გმობს ფსევდოკონსერვატორებსაც და ფსევდოლიბერალებსაც, რომლებიც ერთმანეთს კი აკრიტიკებენ, მაგრამ მათი სულისკვეთება ერთნაირია, რომელიც თვითნებობასა და ამპარტავნობაში გამოიხატება. ეკლესიისათვის რადიკალიზმის ორივე ეს ფორმა მიუღებელია და ყოველთვის ემიჯნებოდა ამ უკიდურესობებს. ორივე მიმართულება საქართველოში თავის სიძლიერეს ავლენდა და სამიზნედ ეკლესია იყო უპირველესად აღებული. მიმდინარეობდა და მიმდინარეობს საეკლესიო საკითხებზე არაკორექტული, შეურაცმყოფელი და ცილისმწამებლური მსჯელობები, რომელსაც ერთგვარი ორგანიზებული მოძრაობის სახე აქვს.[2]

ქართული ეკლესია და უწმინდესი და უნეტარესი **ილია II** მკვეთრ წინაღმდეგობას გამოხატავს დასავლეთისადმი ზედმეტი მიმბაძველობის გამო, რაც ერს აკარგვინებს თავის მეობასა და თვითრეალიზაციის ფორმებს. თავისთავად, იმპერიაში ცხოვრებით ქართველ ერს სხვაზე ზედმეტი დამოკიდებულება გამოუმუშავდა. დემოკრატიული ტრანზიტი ზუსტად ის არის, როდესაც ერი თავის მეობას გამოავლენს, თავის შემოქმედებას ისწავლის და იმედიან პერსპექტივას შექმნის. ქართული ეკლესიის პრინციპული პოზიციაც ის არის, რომ ერმა კარგად გააცნობიეროს თავისი თავი, შეინარჩუნოს ღირსება და თვითონვე შეძლოს იმედიანი პერსპექტივის შექმნა. სხვაზე ზედმეტი დამოკიდებულება და მოიმედობა ერს აკარგვინებს თვითმყოფადობისა და თვითშეფასების უნარებს. პოლიტიკური სპექტრის გარკვეული ნაწილი მკვეთრი ირაციონალური ტენდენციებით ებრძვის ქართული ეკლესიის შემოქმედებით სულიკვეთებას, რომელიც ეროვნული თვითდამკვიდრების პრინციპებს ემყარება. **პატრიარქი ილია II** განმარტავს, რომ პოსტიმპერიულ საზოგადოებებს, ხშირ შემთხვევაში, უჩნდებათ არასრულფასოვნების განცდა, რომელიც მათ ახალი „კეთილი" ბატონის ძიებისაკენ უბიძგებს. ეს არის არასრულფასოვნობის განცდის შედეგად სხვისი პრიმატის აღიარება, მაქსიმალური დამსგავსება და მონური ლტოლვა მისადმი, საკუთარი ფასეულობების უგულებელყოფის ხარჯზე.[3]

2. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიცია

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულმა ტრანზიციამ წინა პლანზე ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის პრობლემები წამოსწია; მსოფლიოში აქტიურდება ეროვნული იდენტობის ახალი პარადიგმები, რომლებიც მის კონცეპტუალურ რეინტერპრეტაციას მოითხოვს; ეროვნული იდენტობა არ არის მდგრადი კატეგორია, თუ არ ჩავთვლით მის ისტორიულ-ღირებულებით მემკვიდრეობით ელემენტებსა და ერის მდგრად ტრადიციულ მენტალურ თვისებებს; იგი დროსა და სივრცეში იცვლება და ახალ სოციალიზირებულ ეროვნულ ელემენტებს იძენს, რომელსაც ეტაპობრივი ტრანსფორმაცია ესაჭიროება; ამ გაგებით, მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური და კულტურულ-ღირებულებითი ცვლილებების ფონზე ეროვნული იდენტობის იდეოლოგია წინა პლანზე დადგა, რაც გულისხმობს ერის ახალი პოლიტიკური განზომილების ფორმირებას. ე.ი. თანამედროვე მსოფლიოში ერების ახალი პოლიტიკური განზომილება ყალიბდება, რომელიც ერი-სახელმწიფოების ფუნქციებს კიდევ უფრო აქტიურსა და სიცოცხლისუნარიანს ხდის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალი გეოპოლიტიკური იდენტობა და მისი კრიტერიუმების იდეოლოგიური გააზრება თანამედროვე ერების უპირველეს პოლიტიკურ-ღირებულებით განზომილებას წარმოადგენს.

თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა, რომელიც თავისი მდგრადი ღირებულებითი და მენტალური ტრადიციებით გამოირჩევა, თავისებურ კრიზისულ სიტუაციაში იმყოფება; ეს კრიზისული სიტუაცია შეიძლება ორი ძირითადი მიმართულებით ჩამოყალიბდეს: **პირველი** - ტოტალიტარულმა რეჟიმმა მძიმე ღირებულებითი მემკვიდრეობითი ელემენტები დაგვიტოვა, რომელიც ადამიანის თავისუფლებასა და შემოქმედებით აზროვნებას ვერ ეგუებოდა; ამ სისტემამ, ქართველ ერს თავისი პოლიტიკური თვითმყოფადობა და მიზანსწრაფვა დააკარგვინა, რომელსაც

1 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე.2000 http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2000.htm

2 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააშობაო ეპისტოლე.2005 http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2005.htm

3 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე.2005 http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2005.htm

იმპერიული თანაცხოვრება განსაზღვრავდა. **მეორე** - რთული აღმოჩნდა პოლიტიკური ტრანზიციის პროცესი, რომელმაც ვერ აღმოფხვა ძველი ღირებულებითი და იდეოლოგიური მენტალობა; ე.ი. ერმა ვერ შეძლო ახალი სააზროვნო სივრცის ფორმირება, რომელიც ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის საფუძველი გახდებოდა.

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია უპირველესად ეროვნული იდენტობის გარდაქმნას გულისხმობს, რომელიც მის ახალ პოლიტიკურ განზომილებას წარმოშობს; სამწუხაროდ, ქართულმა ეროვნულმა იდენტობამ ვერ მოახერხა ახალ სივრცეში ადაპტირება, რომელიც ეროვნული იდეოლოგიის კრიზისის ბრალია. ეროვნული იდეოლოგია განსაზღვრავს ერის მსოფლიო-ისტორიულ მისიას, სივრცესა და დროში პოლიტიკური პრაგმატიზმის პრიორიტეტებს; იდენტობის იდეოლოგია, რომელიც მსოფლიოს ახალ გეოპოლიტიკურ ტრანზიციას თან ახლავს, ვერ გახდა ქართული პოლიტიკური სივრცის დინამიკურობის კრიტერიუმი. ქართულ სინამდვილეში, ეროვნული იდენტობის იდეოლოგია ვერ გახდა ყველა პოლიტიკური აქტორის ღირებულებითი პლატფორმა, რომელიც მათი ძალების კონსოლიდირებას მოახდენდა. პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ ერმა ვერ მოახდინა თავისი ღირებულებითი პოლიტიკური კონსოლიდირება, რაც ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის პროცესს დააჩქარებდა. ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის პირობებში, როდესაც აქტიურდება იდენტობის იდეოლოგია, აუცილებელია პოლარიზების დაძლევა.

პოლიტიკური პოლარიზება ანგრევს ქართული პოლიტიკური სივრცის სტაბილურობას; პოლიტიკური პროცესის აქტორულმა სივრცემ უფრო მეტად მიიღო კლანური ხასიათი, რომელიც ეროვნული იდენტობის იდეოლოგიის ეროზიას ახდენს. დემოკრატიული ტრანზიტის პირობებში მყოფი ქვეყანა ვეღარ უმკლავდება კლანური სისტემის შედეგებს, რაც ნეგატიურად აისახება სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების პროცესზე. ეროვნული იდენტობის ფორმირებაში გადმწყვეტ როლს ასრულებს ინტელექტუალური ელიტა, რომელსაც ქართველი ერი თანდათან კარგავს; ერში აქტიურდება უღირსობისა და აგრესიულობის პოტენციალი, რომელმაც ეროვნულობა და ინტელექტუალური ღირსებები უკანასკნელ პლანზე გადასნია. ე.ი. ერი კარგავს თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და მისიას, რომელიც პოლიტიკურ სივრცეში ე.წ. კლანურობის სისტემით გამოვლინდება.

ერის იდენტობის ღირებულებით ნარატივებს ავტორიტეტები ქმნიან, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური აქტორების მხრიდან უარყოფილი იქნა; ვგულისხმობთ ე.წ. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის“ პერიოდს, როდესაც ქართულ ინტელექტუალურ ფენომენებს მტკიცე ბრძოლა გამოეცხადა და უღირსობა და ავანტიურიზმი ტრანზიციის ექსტრემისტულ იდეოლოგიად გადაიქცა; მათ მიერ თავს მოხვეული ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ იყო ქართული ეროვნული ინტელექტუალური და ღირებულებითი იდენტობის დამანგრეველი მოვლენა, რომელმაც საქართველოში უღირსობის ზეიმი და რევოლუციურობის სინდრომი დაამკვიდრა; რევოლუციურმა ექსპერიმენტულმა ტრანზიციამ ერთიანად დაანგრია ქართული მემკვიდრეობითი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელმაც „მტრის ხატის“ დამკვიდრებითა და „ჩარეცხილების“ იარლიყების გამოყენებით გზა გაუხსნა ავანტიურისტულ აზროვნებას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში დიდი გასაქანი ეძლეოდა პათოლოგიურ პროცესებს, რაც ქართული ცნობიერების რაციონალიზაციის პროცესს მკვეთრად აყოვნებდა. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ოპოზიცია ე.წ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენებით, კვლავ აგრძელებს რევოლუციურობის სინდრომის დამკვიდრებას. ამიტომ, პოლიტიკური ელიტის უპირველესი ამოცანაა ამ ძალების იზოლირება და საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზების აღმოფხვრა. ერის იდენტობის იდეოლოგიის შექმნა მხოლოდ ინტელექტუალურ და პატრიოტულ ძალებს შეუძლიათ, რომლებსაც უპირველეს ღირებულებით პრიორიტეტად სახელმწიფოებრიობა მიაჩნიათ.

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ტრანზიციის პირობებში უპირველეს ამოცანად რჩება ერის პოლიტიკური სოციალიზაციის სისტემის რადიკალური გარდაქმნა, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში იმყოფება. ერის პოლიტიკური გარდაქმნა და ახალ სიტუაციაში ადაპტირება მხოლოდ მიზანმიმართული სოციალიზაციის პროცესით შეიძლება; საქართველოში, სოციალიზაციის აგენტების მხრივ, არ არის სახარბიელო მდგომარეობა და გარკვეული პოლარიზების რეჟიმის პირობებში იმყოფება; მხედველობაში გვაქვს ინსტიტუციური წესრიგი, რომელიც პოლიტიკური სისტემის ფუნქციურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. ინსტიტუციურ-აქტორული პოლარიზება მკვეთრად აფერხებს პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს, რომელმაც ეროვნული და სახელმწიფოებრივი ნიჰილიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სოციალიზაციაზე ორი დროითი ფაქტორი ახდენს გავლენას: **პირველი** - შიდასახელმწიფოებრივი განვითარების ტენდენციები, რომელიც ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის რაციონალური და ირაციონალური პროცესების თანაფარდობით განისაზღვრება და **მეორე** - საგარეო ფაქტორები, რომლებსაც მსოფლიო წესრიგის ცვლილებები და ახალი გეოპოლიტიკური ტრანზიციები განსაზღვრავს. ამიტომ, ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელი თავისი ინსტიტუციური და ღირებულებითი ცვლილებებით გამოირჩევა. **შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკური სოციალიზაცია, ეს არის ახალი ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესი, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ინსტიტუციურ და კულტურულ-იდეოლოგიურ ტრანზიციას ემყარება და მიზნად ისახავს პოლიტიკური ერის ფორმირებას. ე.ი. პოლიტიკური სოციალიზაცია ერის პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციას წარმოადგენს, რომლის აგენტები არსებული**

პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურით განისაზღვრება.[1]

თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება მოითხოვს რადიკალურ პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციას, რადგანაც პოლიტიკური კულტურის აგრესიული და რადიკალური ელემენტები საკმაოდ მომძლავრებულია. პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიცია გულისხმობს პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციურ და პოლიტიკურ-ღირებულებით ცვლილებას, რომელმაც ერის პოლიტიკური იდენტობის თანამედროვე მოდელის პრიორიტეტული ორიენტაციები უნდა განსაზღვროს. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული სივრცე ინსტიტუციური და ღირებულებითი ტრანზიციის პროცესში იმყოფება, რაც ირაციონალური ტენდეციების გარეშე არ მიმდინარეობს. სახელმწიფოებრიობას გაუცხოებულმა ერმა ვერ შეძლო ეროვნულ-პოლიტიკური მეობისა და იდენტობის გამოკვეთა, რაც ყველაზე რთულად დასაძლევი გამოწვევა აღმოჩნდა. სახელმწიფოებრიობის გათავისება დემოკრატიული წესრიგის მყარ გარანტიებს ემყარება, რაც ინსტიტუციურ პოლიტიკურ წესრიგს გულისხმობს. ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში ინსტიტუციური სივრცე და მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური დიზაინი ძალზე დაბალია და ავტორიტარული რეჟიმის განზომილებით წარმოგვიდგება. პოლიტიკური სისტემის ეპიზოდური სტაბილურობა მხოლოდ ავტორიტარული ძალაუფლების მატარებელი ინსტიტუტებით არის შესაძლებელი, რაც გარკვეული დროის შემდეგ კრიზისულ ფაზაში შედის.[2]

თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში ქართული ეროვნული იდენტობა უნდა გარდაიქმნას სახელმწიფოებრივ იდენტობად, რომელსაც თავისი კრიტერიუმები გააჩნია; უპირველესი კრიტერიუმი კი სახელმწიფოებრიობის აღქმაა, რომელიც იმპერიულ სივრცეში ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ქართველი ერის მიერ დათრგუნული იყო. ერმა დაკარგა დამოუკიდებლად პოლიტიკური თანაცხოვრების უნარი და შესაძლებლობა, რომელმაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობა მთლიანად დათრგუნა. სახელმწიფოებრიობა ვერ აღიქმება ერის გადარჩენისა და თანაცხოვრების თანამედროვე პოლიტიკურ ინსტიტუციონალურ ფორმად, რომელსაც ერი-სახელმწიფოს კატეგორიაში გამოვხატავთ. ერი-სახელმწიფო თანამედროვე სამოქალაქო ნაციონალიზმზე აგებული კატეგორიაა, რომელიც უძლებს გლობალური წესრიგის ცვალებად პირობებს; თუ ამ სახით არ გარდაიქმნა ქართველი ერი, მაშინ მისი სიცოცხლისუნარიანობა და პოლიტიკურ-კულტურული თვითმყოფადობა საფრთხის წინაშე დადგება.

სახელმწიფოებრივი იდენტობა - ეს არის პოლიტიკურად ორგანიზებული და ინსტიტუციურად მოწყობილი ერი, რომელიც რაციონალურობისა და პრაგმატულობის საფუძველზე იცავს თავის სასიცოცხლო ინტერესებს; მის დემოკრატიულ განზომილებად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური კულტურის რაციონალურ-აქტივისტური ფორმები, ადამიანის უფლებების დაცვა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა; ყოველივე ამის მიღწევა და გააზრება მხოლოდ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესით არის შესაძლებელი; თუ სუსტია სოციალიზაცია და არ ემყარება ეროვნულ პრაგმატიზმსა და იდენტობის მემკვიდრეობით ელემენტებს, ვიღებთ პოლარიზებულ და ნიჰილისტურად განწყობილ საზოგადოებას. ქართულ სინამდვილეში ეს ირაციონალური ტენდენციები მკვეთრად გამოხატულ ფორმას იძენს, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის მიმართ გაუცხოების ელემენტებს აძლიერებს და ერის პოლიტიკურ აქტიურობას ასუსტებს. ეს ირაციონალური ტენდენციები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ქართულ სახელმწიფოებრიობას, შეიძლება დავაჯგუფოთ და რამდენიმე მიმართულებით გავიაზროთ: 1. თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ახალი ტენდენციებით ხასიათდება, რაც მკვეთრი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციებით გამოირჩევა; ეს პროცესები პოლიტიკური სცენის აქტორების მიერ ყოველთვის ეროვნული ინტერესების დაცვით არ არის გააზრებული და პრაგმატუალად შეფასებული, რაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ახალი გამოწვევებისა და რისკების წინაშე აყენებს; 2. ქართულ პოლიტიკურ საზოგადოებაში შეიმჩნევა პოლარიზების მკვეთრად გამოხატული ტენდენციები, რაც დესტრუქციულობის ელემენტებით სარგებლობს; ყოველივე ეს აფერხებს პოლიტიკურ კონსოლიდაციას და აძლიერებს სახელმწიფოებრივი გაუცხოების ელემენტებს; 3. შესამჩნევად ქვეითდება ერის პოლიტიკურ-ინტელექტუალური და კულტურული პოტენციალი, რაც პოლიტიკაში აძლიერებს ექსტრემისტულ და ავანტიურისტულ ელემენტებს; სამწუხაროდ, მეტად საშიში ხასიათი შეიძინა ექსტრემიზმის სინდრომმა, რომელიც დესტრუქცულობის ფორმებით მოქმედებს და პოლიტიკური იდენტობის ტრანზიციის პროცესს აფერხებს.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც ერის კონსოლიდაციას ახდენს და ეროვნული იდენტობის ისტორიულ-მემკვიდრეობითი ელემენტების პრინციპული დამცველია, მართლმადიდებელი ეკლესიაა. ტრანზიციის პროცესში ცალკეული ექსტრემისტული ძალები და მათი იდეოლოგები ცდილობენ დათრგუნონ მართლმადიდებელი ეკლესიის გამოკვეთილი ინსტიტუციურ-აქტორული როლი, რომლის სააზროვნო სივრცე ქართული ინტელექტუალურ ფენომენებს ემყარება; ეკლესია წინააღმდეგია ზედმეტი ღირებულებითი ტრანსპლანტაციური პროცესებისა, რომლებიც აფერხებს ერის

1 გ.აბესაძე, ნ.აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N1, 2022, გვ.32 www.b-k.ge https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/740/704/

2 გ.აბესაძე, ნ.აბესაძე. პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N3, 2022, გვ..14 www.b-k.ge file:///C:/Users/595-424-424%20Temo/Downloads/12-17.pdf

სოციალიზაციის პროცესსა და ეროვნული იდენტობის პოლიტიკურ ტრანზიციას. ეკლესიამ წინა პლანზე დააყენა თავისუფლების პრობლემა, რომელიც არ უნდა იყოს გაგებული ყველაფრის უფლებად; ყველაფრის უფლების მოთხოვნამ შეიძლება ერის ზნეობრიობის დაქვეითება გამოიწვიოს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** განმარტავს, რომ „თავისუფლება ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ძალმომრეობით და მის დასაბრუნებლად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს; მაგრამ შესაძლოა ადამიანმა თავისუფლება დაკარგოს ცრუ თავისუფლების სახელით და სულიერ მონობაში აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოების ნაწილი სწორედ ამ მდგომარეობაშია და თავისუფლებას მიიჩნევს ყველაფრის უფლებად, რაც მორწმუნე ადამიანისათვის კატეგორიულად მიუღებელია. ყველაფრის უფლების დამკვიდრება ხდება ზნეობრიობის უგულებელყოფით და ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის დაკარგვით; მისი შინაარსის სრული სახეცვლილებითა და გაუკუღმართებით; ამიტომაცაა, რომ თავისუფლების, სიყვარულის, ადამიანის ღირსების.... შესახებ ყველა საუბრობს, მაგრამ დღეს უკვე რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით. ჩვენთვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი თავის შეცნობას, სრულყოფისაკენ სწრაფვას, ჩვენი სულის სიღრმეში ღვთის ხატად შექმნილი ჩვენი დაფარული „მე“-ს პოვნას. თავისუფლება სწორედ ამ რეალურ „მე“- მდე მიღწევა და მისი აღმოჩენაა, ცოდვითი ცხოვრებისგან განშორება და არასწორი წარმოდგენებისგან თავის დახსნაა“.[1]

თანამედროვე მსოფლიოში რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, რაც ეროვნულ ერთიანობასა და სამართლიანობისათვის ზრუნვას განსაკუთრებული პრინციპულობით მოითხოვს. მართლმადიდებელმა ეკლესიამ, სხვა ინსტიტუციებთან შედარებით, გეოპოლიტიკურ ტრანზიციებს რაციონალური და პრაგმატული შეფასება მისცა; წინა პლანზე წამოსწია ეროვნული ერთიანობისა და სამართლიანობის საკითხები. ეროვნული იდენტობის ტრანზიციის პროცესში მნიშვნელონია თვით ეკლესიის გეოპოლიტიკური ფუნქციის გაძლიერება. უწმინდესი და უნეტარესი მიიჩნევს, რომ „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ერთიანობისათვის ჩვენს ზრუნვას, რადგან გეოპოლიტიკურად რთული ადგილი გვიკავია და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგევართ“.[2]

დასკვნა

პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირება ერთიან პროცესს წარმოადგენს, რაც თავისი რაციონალური და ირაციონალური ტენდენციებით გამოირჩევა. ეროვნული იდენტობის ფორმირება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემა გახდა, რომლის ფორმირების პროცესში პოლიტიკური სისტემის ყველა აქტორი უნდა მონაწილეობდეს. ერის პოლიტიკური გარდაქმნა და მისი იდენტობის ახლებური გააზრება დროის მოთხოვნა გახდა, რომელიც სოციალიზაციის პროცესით არის შესაძლებელი. პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია პოლარიზების აღმოფხვრა, რომელიც დესტრუქციულობის ელემენტებს ყოველთვის წარმოშობს. გეოპოლიტიკური საფრთხეებიც საკმაოდ გამოკვეთილია, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულ ტრანზიციასა და ეროვნული იდენტობის ფორმირებაზე. გეოპოლიტიკურმა ტრანზიციამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესი. ეროვნული იდენტობის ფორმირებაში თავისი აქტიურობითა და პოზიციით მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა, რომელიც სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი გამოკვეთილი აქტორია. მსოფლიო წესრიგის ცვლილება კიდევ უფრო ზრდის მართლმადიდებელი ეკლესიის გეოპოლიტიკურ ფუნქციებს. პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში ეკლესიის რაციონალურობა და პრაგმატულობა ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების მყარ ინსტიტუციურ გარანტიებს იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააშობაო ეპისტოლე. 2023. https://www.interpressnews.ge/ka/article/740569-sruliad-sakartvelos-katolikos-patriarkis-mcxeta-tbilisis-mtavarepiskoposisa-da-bichvintisa-da-cxum-apxazetis-mitropolit-ilia-ii-is-sashobao-epistole;

2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. 2023. https://www.interpressnews.ge/ka/article/752388-patriarkis-saagdgomo-epistole;

3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააშობაო ეპისტოლე.2005 http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2005.htm;

4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე.2005 http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2005.htm;

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. 2000. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2000.htm;

6. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა და დემოკრატიული ტრანზიცია საქა-

1 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე.2023 https://www.interpressnews.ge/ka/article/752388-patriarkis-saagdgomo-epistole

2 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის სააშობაო ეპისტოლე.2023 https://www.interpressnews.ge/ka/article/740569-sruliad-sakartvelos-katolikos-patriarkis-mcxeta-tbilisis-mtavarepiskoposisa-da-bichvintisa-da-cxum-apxazetis-mitropolit-ilia-ii-is-sashobao-epistole.

რთველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. ივლისი-დეკემბერი, N 2, 2021, გვ. 9-13;

7. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N1, 2022, გვ.31-39 www.b-k.ge https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/740/704/ ;

8. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N3, 2022, გვ..12-17 www.b-k.ge file:///C:/Users/595-424-424%20 Temo/Downloads/12-17.pdf;

9. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე.თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის დომინანტი ინსტიტუციური აქტორები და პოლიტიკური სტაბილურობა. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. სპეციალური გამოცემა, N2, 2022, გვ.76-81;

10. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური ტრანზიცია და ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეშვიდე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2023, გვ. 80-91;

11. გ. აბესაძე დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირება საქართველოში. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2020, გვ. 98-107.

პოლიტიკური ელიტის რეკრუტირებისა და ცირკულაციის თავისებურებანი საქართველოში

ნოდარ დარსანია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-4698-1863
nodar.darsania@yahoo.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.04

რეზიუმე

პოლიტიკური ელიტის, როგორც საზოგადოების ღირებული და მნიშვნელოვანი სეგმენტის, მისი გამორჩეული, მოწინავე ნაწილის ხარისხს რეკრუტირების, განახლება-შერჩევის, ცირკულაციის პროცესი განაპირობებს. საქართველოში გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური ელიტისათვის დამახასიათებელი იყო კადრების სწრაფი მონაცვლეობა ე.ი. ცირკულაციის მაღალი ინტენსივობა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდის ქართული პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების პროცესს თავისი ნიშანდობლივი თავისებურება გააჩნდა, რაც გამოიხატა შემდგომში: ეროვნულ ძალებს ნომენკლატურული ელიტა კომუნისტური წყობილების გადმონაშთად მიაჩნდა და აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნიეს მისი მთლიანად შეცვლა, მათი „მექანიკურად მოხსნა“. სახელისუფლებო სტრუქტურებში მაღალი თანამდებობები, ერთი მხრივ, „მრგვალი მაგიდის“ ბლოკის ლიდერებმა დაიკავეს. მეორე მხრივ, ეროვნული „მობილობის ლიფტით“ ხელისუფლებაში მოვიდნენ „დემოკრატები“ გარემოებების მიხედით, დაბალინტელექტუალები, სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები. პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ მთლიანად შეინარჩუნა ყოფილი პარტიული ნომენკლატურული მემკვიდრეობა, რის შედეგად ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის უმაღლეს პოზიციებზე ნეონომეკლატურა აღმოჩნდა. 2003 წლის ნოემბრის გადატრიალების შედეგად მოსული პოლიტიკური ელიტა ქვეყნის ნორმალური მართვისათვის მზად არ აღმოჩნდა. ამიტომ პარტიული ნიშნით რევოლუციური დამსახურებისათვის დანიშნული თანამდებობის პირები პროფესიონალურ კომპეტენტურობას ვერ ავლენენ. ამდენად მ. სააკაშვილის საკადრო პოლიტიკა იმავე თავისებურებით ხასიათდება, რაც დამახასიათებელი იყო ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკისათვის. 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკურმა ელიტამ გაითვალისწინა წინა ხელისუფლებათა შეცდომა და თავდაპირველად მმართველ პარტიასთან კოალიციაში მყოფი სხვა პარტიების წარმომადგენლებიც დაინიშნენ ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე, მაგრამ გარკვეული დროში ამ ხელისუფლების საკადრო პოლიტიკისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება, როგორც წინამორბედთა მმართველობის პერიოდისათვის, ხდება ცირკულაციის სწრაფი ტემპი, თანამდებობების ხშირი ცვლა და ერთმანეთის სავარძლებში გადანაცვლება. ამგვარად, აუცილებელია პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა დგომა და პოლიტიკურ ელიტაში ერის საუკეთესო, მოწინავე წარმომადგენლების მოზიდვა.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ელიტა, საკადრო ცვლილებები, ნეონომენკლატურა.

ციტირებისთვის: დარსანია ნ., პოლიტიკური ელიტის რეკრუტირებისა და ცირკულაციის თავისებურებანი საქართველოში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 80-86.

PARTICULARITIES OF RECRUITMENT AND CIRCULATION OF THE POLITICAL ELITE IN GEORGIA

Nodar Darsania
Doctor of History, SSU associate professor
https://orcid.org/0000-0003-4698-1863
nodar.darsania@yahoo.com

SUMMARY

The political elite as a valuable and important segment of society, and the quality of its distinguished, advanced part is conditioned by the process of recruitment, renewal - selection, and circulation.

During the transitional period in Georgia, the political elite was characterized by a rapid change of cadres, i.e. High intensity of circulation.

The recruitment process of the Georgian political elite during the administration of President Zviad Gamsakhurdia had its significant particularities., which are expressed further:

The national forces considered the nomenclature elite to be a remnant of the communist system, and therefore they considered it necessary to completely change it, to "remove them mechanically". On the one hand, leaders of the "Round Table" block occupied high positions in the governmental structures.

On the other hand, the "democrats" came to power with the national "mobility lift" due to the circumstances, low intellectuals, and adventurists of various sorts. President E. Shevardnadze completely preserved the legacy of the former party's nomenclature, as a result of which neo-nomenclature was found in the highest positions of the country's political administration.

The political elite that came as a result of the November 2003 coup d'etat was not ready for the normal management of the country. Therefore, the officials appointed for revolutionary merit based on the party sign cannot show professional competence.

Accordingly, the officials appointed for revolutionary merit based on the party sign cannot show professional competence.

Thus M. Saakashvili's personnel policy is characterized by the same particularities that were characteristic of Zviad Gamsakhurdia's personnel policy. The political elite of the "Georgian Dream-Democratic Georgia" party, which came to power in 2012, took into account the mistake of the previous government and appointed representatives of other parties in the coalition with the ruling party to high government positions, but in a certain time, one of the characteristic particularities of the personnel policy of this government, as for the period of the administration of the predecessors, is the fast pace of circulation, frequent change of positions and replacement of each other in seats. Thus, it is necessary to stand above party affiliation and attract the best, advanced representatives of the nation to the political elite.

Keywords: Political elite, personnel changes, neonomenklatura.

For citation: Darsania N., Peculiarities of political elite recruitment and circulation in Georgia, "Business and Legislation" journal, No. 1, 2023. p. 80-86.

ძირითადი ტექსტი

ელიტა საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული ნაწილია, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული თვისებებით, დიდი უნარითა და სანიმუშო მახასიათებლებით თავის სამოღვაწეო ასპარეზზე. ელიტას საზოგადოებაში განსაკუთრებული მაღალი მდგომარეობა უკავია, რადგანაც წარმოადგენს საზოგადოების ყველაზე პროდუქტიულ აქტიურ და ინიციივიატივიან ნაწილს.[1] ელიტის ფორმირება ეს არამხოლოდ შედეგია ხელისუფლებისათვის ბრძოლისა, არამედ გახლავთ პროცესი საზოგადოების მიერ თავისი რიგებიდან ყველაზე ფასეული წარმომადგენლების ბუნებრივი შერჩევისა.

ტერმინი „ელიტა" მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან - elite, რაც ნიშნავს საუკეთესოს, გამორჩეულს.[2] სამეცნიერო მიმოქცევაში ამ ტერმინს უკვე ვხვდებით XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ელიტისტური თეორიების პირველსახედ შეიძლება ჩაითვალოს ანტიკური ხანის ფილოსოფოსების წარმოდგენები და შეხედულებები არისტოკრატიაზე, როგორც საუკეთესოთა მმართველობაზე. ყველაზე სრულად ელიტისტური მსოფლმხედველობა ჩამოყალიბებული იყო პლატონის მიერ, მის მოძღვრებაში იდეალური სახელმწიფოს შესახებ, როგორც საუკეთესოთა, გამორჩეულთა, ფილოსოფოსთა მმართველობაზე. უფრო მოგვიანებით მნიშვნელოვანი წვლილი ელიტიზმის ფორმირებასა და განვითარებაში შეიტანეს ნიკოლო მაკიაველიმ, ოსვალდ შპენგაუერმა, ფრიდრიხ ნიცშემ და სხვებმა.[3]

ელიტისტური სკოლა, როგორც მიმართულება, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ვილფრედო პარეტოს, გაეტანო მოსკას და რობერტ მიხელსის შრომების წყალობით.

ჩვეულებრივ, ელიტებს ყოფენ ტრადიციულ და თანამედროვე ელიტებად. ტრადიციული ელიტების ხელისუფლება ემყარება წეს-ჩვეულებებს, რელიგიას, სიმდიდრეს და სხვა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. დღეს რელიგიური ელიტების ხელისუფლება საერთო სახელმწიფო დონეზე მნიშვნელოვნად შესუსტდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რელიგია მაინც ისევ მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე (მაგალითად, კათოლიკური პარტიები დასავლეთ ევროპაში). ზოგიერთი რელიგიური ლიდერები ღიად ზემოქმედებენ სახელმწიფო მოხელეებზე. ამის მაგალითებია ბუდისტური ბერეები ბირმასა და შრი-ლანკაში, ისლამისტური სახელმწიფოების პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ისევ ცდილობენ მოიპოვონ რელიგიური ელიტების მხარდაჭერა მათი მასებზე დიდი გავლენის გამო.[4]

თანამედროვე ელიტებს მიეკუთვნება სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები, განათლებული პოლიტიკური ლიდერები, სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, ტექნოკრატები,ისინი, ვინც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ხელისუფლებასთან, ანდა გააჩნია შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღებაზე.[5]

ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით გამოყოფენ ისეთ ელიტებს, როგორიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-ინფორმაციული. უშუალოდ პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენენ ჯგუფები და ცალკეული პოლიტიკური ლიდერები, რომელთაც შეუძლიათ სახელმწიფო

1 Ролитология, род редакций Н. А. Василика, М. 2005, с.177;

2 Ролитология, род редакций Н. А. Василика, М. 2005, с.178 ;

3 Тамже, с.174.

4 Политология, под редакций В. Д. Перевалова, М. 1999, с.112;

5 Там же, с. 112;

გადაწყვეტილებების მიღება. პოლიტიკური უფლებამოსილების მასშტაბის მიხედვით, გამოყოფენ ასევე პოლიტიკური ელიტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა უმაღლესი, საშუალო და ადმინისტრაციული ელიტები.

უმაღლეს პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფი აღმასრულებელი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები ე.ი ის სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც წამყვანი სახელმწიფო თანამდებობები უკავიათ და როგორც წესი, განასახიერებენ თავად სახელმწიფო ხელისუფლებას. საშუალო ელიტას განეკუთვნებიან პარლამენტარები, გუბერნატორები, სენატორები, პოლიტიკური პარტიის ლიდერები. როგორც წესი, ესენი გახლავთ პროფესიონალები, რომლებიც კარგად არიან გარკვეული სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. ასევე, ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენენ სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და დაწინაურდნენ სახელმწიფო სამსახურის სისტემაში. შესაბამისად, უკავიათ დიდი თანამდებობები სამინისტროებში, დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურების აპარატში.[1]

პოლიტიკური ელიტა არაერთგვაროვანია და, რადგან ის შინაგანად დიფერენცირებულია, შესაბამისად, ყოფენ მმართველ და ოპოზიციურ ელიტებად. პოლიტიკური ელიტების ხარისხს მათი გამორჩეულობის მახასიათებელ ნიშან-თვისებებს განაპირობებს ელიტების - კადრების შერჩევა-განახლების - ცირკულაციის მექანიზმი. თანამედროვე ქვეყნებში პოლიტიკოსების ძირითადი მასა პოლიტიკურ ასპარეზზე სხვადასხვა საშუალებისა და გარკვეული ძალის გამოყენებით ხვდება.

პოლიტიკური ელიტის განახლების ორი ძირითადი ვარიანტია შესაძლებელი. პირველი - რადიკალური, რომელიც დაკავშირებულია მმართველი ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის კარდინალურ განახლებასთან. ამ შემთხვევაში, ფაქტიურად, საუბარია ელიტათა ცვლაზე. მეორე - ესაა თანმიმდევრული ცვლა პოლიტიკურ იერარქიაში, რომელიც გულისხმობს განთავისუფლებულ თანამდებობებზე უწყვეტად ახალი ადამიანების დანიშვნას. ამ შემთხვევაში საუბარია ელიტის პერსონალური ნაწილობრივი განახლების შესახებ ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდუალურ პოლიტიკურ მობილობაზე. პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბების ასეთ წესს უწოდებენ რეკრუტირებას (მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან recruiter)- დაქირავება, შეგროვება, გადაბირება.[2]

პოლიტიკური ელიტის რადიკალური განახლება ხდება მწვავე პოლიტიკური კატაკლიზმებისა და სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურების ძირეული ცვლილებების პირობებში. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური ელიტის რადიკალური განახლების მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს არა იმდენად მისი პერსონალური შემადგენლობის გადახალისება, რამდენადაც მისი მოქმედების ინსტიტუციონალური პირობების შეცვლა. ეს კი უმთავრესად ძალიან მტკივნეულად აღიქმება საზოგადოების მიერ. მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია პროცესის უფრო მშვიდობიანი განვითარება. სტაბილურად განვითარებად საზოგადოებაში პოლიტიკური ელიტის თანდათანობით განახლება ხდება, როდესაც პოლიტიკური იერარქიის მაღალ პოზიციებზე გადაადგილება ატარებს არა ჯგუფურ, არამედ ინდივიდუალურ ხასიათს. ადამიანის ამ მოძრაობას პოლიტიკური იერარქიის საფეხურზე უწოდებენ პოლიტიკურ ინდივიდუალურ მობილობას.[3]

თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა საკუთარი მდგრადი არხები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება პოლიტიკურ იერარქიაში განთავისუფლებულ სასტატუსო პოზიციებზე მომზადებული კადრების უწყვეტი ნაკადით უზრუნველყოფა. ასეთ არხებად ითვლება არჩევნები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, პოლიტიკური პარტიები და სახელმწიფო ინსტიტუტები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის ქვეყნებში ელიტის რეკრუტირების სისტემები ინსტიტუციონალიზებულია, გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში დემოკრატიული მოდელი დღემდე ყალიბდება. ყოველივე ეს კი, რასაკვირველია, არასტაბილურობის ნოყიერ ნიადაგს ქმნის საზოგადოებაში დესტაბილიზაციის ძალების ელემენტების გასაძლიერებლად.

ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი პოლიტიკური ელიტის აღწარმოების პროცესსა და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას შორის. განათლების სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს მმართველი ელიტის მომავალი წარმომადგენლების აღზრდა.

საქართველოში გარდამავალ პერიოდში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ელიტის ახალი ტიპები (ეთნოკრატია, ნეონომენკლატურა და სხვა), რომელთათვის დამახასიათებელია სწრაფი განვითარება და ცირკულაციის პროცესის მაღალი დონე (ინტენსივობა). ამ პრობლემასთან დაკავშირებით პოლიტოლოგიურ და პოლიტიკურ მეცნიერულ კვლევებში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდის ქართულ პოლიტიკურ ელიტას ეთნოკრატიას უწოდებენ. ეთნოკრატია არის პოლიტიკური ელიტის ახალი სახეობა, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია: ეთნიკური ერთგვაროვნება (მრავალეროვან სახელმწიფოში), ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება, ეროვნულის პრიმატი სოციალურზე და ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე, ავტოქთონური მოსახლეობის უპირატესობის აღიარება და სხვა[4].

მაშინდელ მმართველ ქართულ ელიტას (რომელიც ძირითადად დისიდენტური ეროვნული ძალებით იყო დაკომპლექტებული), შესაძლებელია, გარკვეული აზრით, გააჩნდა კიდევაც ეთნოკრატიის ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ ეროვნული ხელისუფლება მთლიანობაში არ

1 ნოდარ დარსანია, პოლიტიკური ინსტიტუტები, თბ., 2011, გვ.127.
2 Пушкарева, Г. В. Политология, М. 2002, с.122;
3 Там же, с.123 .
4 პოლიტოლოგია, ო. გოგიშვილის რედაქციით, თსუ, 2004, გვ. 392.

შეესაბამება ეთნოკრატიული პოლიტიკური ელიტის პარამეტრებს. მისი ასეთი ეროვნული შეფერილობა შეიძლება ბუნებრივადაც ჩაითვალოს, რადგან მაშინდელი ხელისუფლება, არსებული ვითარებიდან გამომდინარე (იგულისხმება ეროვნული მოძრაობის გაქანების ფართო მასშტაბი), პირველ ადგილზე ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების საკითხს აყენებდა, ხოლო შემდგომ კი აპირებდა ეროვნული ფასეულობების პრობლემების გადაჭრას საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვის ნორმების შესაბამისად.

იმ პერიოდის ეროვნული ხელისუფლების ეთნოკრატიულობას ამ თეზისის გამზიარებლები, უპირველესად, იმით ამტკიცებდნენ, რომ იგი თითქოსდა უგულვეყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ერების წარმომადგენლების კანონიერ უფლებებსა და რეალურად მიზნად ისახავდნენ ქართველების მათზე ბატონობის პოლიტიკის განხორციელებას. ამის დამადასტურებლად მოჰყავდათ ხელისუფლების მიერ იძულებით გატარებული პოლიტიკა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიერ საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით, რაც გამოიხატა მათ მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებაში. ამასთან, აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ამავე მთავრობამ დიამეტრალურად საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიმართ, სადაც უმაღლეს საბჭოში სამართლებრივად გაუმართლებელი საკანონმდებლო უპირატესობა მიენიჭათ აფხაზი ეროვნების დეპუტატებს, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა გარეშე ძალებისაგან ზურგგამაგრებულ ვ. არძინბას და მის თანამოაზრე აფხაზთა რადიკალური ჯგუფის მიერ აგრესიული სეპარატისტული მიზნების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ამ პერიოდის მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ გატარებულ არათანიმდევრულ, არაპრაგმატულ ეროვნულ პოლიტიკაზე და არ გაგვემახვილებინა ყურადღება მის ცალკეულ გადაწყვეტილებებზე, რაც ძირითადად პოლიტიკური მართვის გამოცდილების არქონით, პოლიტიკური გამოუცდელობით იყო გამოწვეული.

ამ პერიოდის მმართველი პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების პროცესს თავისი ნიშანდობლივი თავისებურება გააჩნდა, რაც გამოიკვეთა შემდეგში, რომ ეროვნულ ძალებს ნომენკლატურული ელიტა კომუნისტური წყობილების გადმონაშთად მიაჩნდათ და აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნიეს მისი მთლიანად შეცვლა ე.ი. მათი „მექანიკურად მოხსნა“.

სახელისუფლებო სტრუქტურებში მაღალი თანამდებობები, ერთი მხრივ, „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურმა ლიდერებმა დაიკავეს, მეორე მხრივ, ეროვნული „მობილობის ლიფტით“ ხელისუფლებაში მოვიდნენ „დემოკრატები გარემოებების მიხედვით“, დაბალინტელექტუალები, სხვადასხვა ჯურის ავანტურისტები“[1]. ამ პერიოდის ხელისუფლებისათვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი არის ის, რომ მაშინ კადრების შერჩევის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს წარმოადგენდა ეროვნულობა, პატრიოტიზმი, პირადი ერთგულება, დისიდენტური წარსული, რითაც ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა ამ ნიშნით რეკრუტირების ნომეკლატურულ სისტემას დაემსგავსა. ქვეყნისათვის მძიმე პერიოდში, ურთულესი ამოცანების გადაჭრის პირობებში დისიდენტური კონტრელიტა, რომელსაც პოლიტიკური მართვის გამოცდილება და კულტურა არ გააჩნდა, ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების, პოლიტიკური გაურკვევლობისა და გაუწონასწორებლობის მორევში აღმოჩნდა. ამასთან, მმართველი პოლიტიკური ელიტის განახლება - ცირკულაციის პროცესი მემკვიდრეობითობის პრინციპის სრული უგულვებელყოფით მიმდინარეობდა. ასეთმა მდგომარეობამ მძიმე შედეგები გამოიღო. ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რაც ქვეყანას ძვირად დაუჯდა. მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ და კონტრელიტამ პოლიტიკური კომპრომისების კონსესუსს ვერ მიაღწიეს. ამას დაემატა გარეშე ძალების აშკარა ჩარევა, რომელიც დაპირისპირებასა და სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

საერთოდ მიღებული და საყოველთაოდ აღიარებულია ის უდავო რეალობა და ფაქტი, რომ ელიტების მონაცვლეობის პროცესში, აუცილებლად უნდა იყოს შენარჩუნებული მემკვიდრეობითობის პრინციპი. რეკრუტირება - ცირკულაცია უნდა მიმდინარეობდეს კადრების ძველი რეზერვიდანაც, იმათგან, რომლებიც ძველი რეჟიმის დროს იყვნენ დაწინაურებული. შემდეგ ხდება ის, რომ ძველი კადრები ექვემდებარებიან ტრანსფორმაციას და ემსახურებიან მმართველი პოლიტიკური ელიტის ინტერესებს.

პრეზიდენტ ე. შევარდნაძემ, რომელიც ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ზვიად გამსახურდიას შემდეგ, მთლიანად შეინარჩუნა ყოფილი პარტიული ნომენკლატურული მემკვიდრეობა. რის შედეგადაც ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის უმაღლეს პოზიციებზე ნეონომენკლატურა აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ რეკრუტირების ნომეკლატურული სისტემის სტიმულირებაზე საქართველოში, ისე როგორც პოსტსაბჭოთა რუსეთში, დიდ გავლენას ახდენდა პოლიტიკური ბაზის, რეზერვის უქონლობა. არ იყო ის დემოკრატიული შეჯიბრებებისა თუ ჯანსაღი კონკურენციის წესების პირობები, რის შედეგად შეიძლებოდა პოლიტიკაში პროფესიონალი კადრების მოზიდვა.

პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ნეონომენკლატურული ელიტა მოკლებული აღმოჩნდა შემოქმედებით მიდგომას და ინდივიდუალური ინიციატივის უნარს. კიდევ მეტი, ასეთი თვისებები ვერ თავსდებოდა პარტიულ -ბიუროკრატიული იერარქიის სამოქმედო ჩარჩოებში.

გარდამავალი პერიოდის ქაოსური პოლიტიკური პროცესების მართვისას ელიტის ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ, სოციალურ-პოლიტიკურ სამოქმედო გეგმასა და შედეგზე ორიენტირებულ ინიციატივას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ცოდნის მოძვე-

1 პოლიტოლოგია, ომარ გოგიაშვილის რედაქციით, თსუ, 2004, გვ.393.

ლებული მარაგითა და მართვის ძველი მეთოდით შეიარაღებულმა და ხელმძღვანელობის ძველ სტილს მიჩვეულმა ნეონომეკლატურულმა პარტიულმა ელიტამ პოსტსაბჭოთა სივრცეში სრული კრახი განიცადა. მან ვერ მოახერხა ვერც პოლიტიკური და ასევე, ვერც ეკონომიკური სისტემის რეფორმირება.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გამოიკვეთა ე. შევარდნაძის ხელისუფლების მტკიცე ორიენტაცია დასავლეთის დემოკრატიულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, საქართველოში, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, პოლიტიკური მმართველობა კორუმპირებული იყო, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ პოლიტიკურმა ელიტამ ტოტალური კორუფციის, პრივილეგიებისა და სიმდიდრის განუსაზღვრელი ზრდისა და ქვეყანაში უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად დაკარგა სოციალური დასაყრდენი საზოგადოებაში[1].

ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ღებულობდა პოლიტიკური ელიტის ვიწრო წრე. რეალურად არ მუშაობდა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ურთიერთკონტროლის მექანიზმები. მართვადი ელიტა ხშირად მიმართავდა ძალისმიერი მეთოდებით პოლიტიკური პროცესების დარეგულირებას.[2]რადგან ნეონომეკლატურულ პოლიტიკურ ელიტას არ გააჩნდა სოციალური და ეროვნული თანხმობის პროგრამა, რომლითაც განახორციელებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების ინტეგრაციას. პირიქით, მმართველი პოლიტიკური ელიტა და კონტრელიტა მოვლენების არამართებული, რადიკალური, უდავოდ კონფრონტაციული სეგმენტის მატარებელი შეფასებით და ურთიერთბრალდებებით კიდევ უფრო ამწვავებდნენ დაძაბულობას საზოგადოებაში და აძლიერებდნენ სამოქალაქო დაპირისპირებას ქვეყანაში.

საერთოდ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა ავტორიტარული ხელისუფლების თავისებური ფორმა, რომელმაც ამავე დროს არჩევნების გაყალბებაში, ტოტალურ კორუფციასა და მაფიოზურ-კლანურ მმართველობაში ჰპოვა თავისი გამოხატულება. ამასთან, აღსანიშნავია, შევარდნაძის მცდელობა საგარეო კურსის შეცვლასთან დაკავშირებით და რუსეთზე ორიენტაცია, რომელმაც საფრთხე შეუქმნა საგარეო პოლიტიკაში მიღწეულ დასავლურ კურსს. ამას კი შედეგად მოჰყვა ნაციონალური მოძრაობისა და გაერთიანებული დემოკრატების ოპოზიციური ძალების ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, რამაც გამოიწვია ე. შევარდნაძის გადადგომა.

2003 წლის ნოემბრის გადატრიალების შემდეგ განვითარებულმა პოლიტიკურმა შედეგებმა სრულიად შეცვალეს ქვეყანაში არსებული ვითარება. „ვარდების რევოლუციის“ წინ მიღებული შეთანხმების თანახმად, მ. სააკაშვილი პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო, ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარედ რჩებოდა, ზურაბ ჟვანია კი მიიღებდა ჯერ კიდევ არარსებულ პრემიერ-მინისტრის პოსტს.[3]

ამდენად, ხელსუფლებაში მოვიდა თვისობრივად განსხვავებული ახალი პოლიტიკური ელიტა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. მის გარშემო გაერთიანდა პოლიტიკურ ბრძოლაში გარკვეულწილად გამოცდილ თანამებრძოლთა გუნდი, რომელსაც უდიდესი მხარდაჭერა გააჩნდა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

მთელი სისრულით დადგა საკითხი იმის თაობაზე, თუ საით წაიყვანდა ქვეყანას ახლადმოსული, ერთი შეხედვით ძლიერი, ქმედითუნარიანი ხელისუფლება, განახორციელებდა რეფორმებს, თუ ეს ნაბიჯი დიქტატურისკენ უბიძგებდა ქვეყანას.[4] საწყის ეტაპზე გამოიკვეთა მმართველი პოლიტიკური ელტის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებები. უპირველეს ამოცანად იქცა კორუფციისა და კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა, რის შედეგადაც კორუმპირებული ჩინოვნიკობა იძულებული შეიქნა მნიშვნელოვნად შეევსოთ ქვეყნის ბიუჯეტი. ასევე საპატიმროში აღმოჩნდნენ კრიმინალური ავტორიტეტები. დაიწყო ქურდული მენტალიტეტის აღმოფხვრის პროცესი. ამდენად, ამ მიმართულებით ხელისუფლებამ წარმატებას ნამდვილად მიაღწია.

ამავდროულად, მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ დაიწყო ქვეყნის სტრუქტურული რეფორმირების პოლიტიკის განხორციელება, ძირეული ცვლილებები განიცადეს ძალოვანმა სტრუქტურებმა, სამინისტროებმა. გარდაქმნების მთელი ციკლი გატარდა განათლების სისტემაში. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ იმდროინდელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. ამან უარყოფითი გავლენა იქონია საშინაო პრობლემების მოგვარების პოლიტიკაზე და მთლად ჩააგდო ამ სფეროში რეფორმების გატარების უუმნიშვნელოვანესი ამოცანა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის პერიოდის საქმიანობას კრიტიკულად თუ მივუდგებით, გავაანალიზებთ და შესაბამისად, ობიექტურად შევაფასებთ, აშკარად იკვეთება ასეთი ფაქტი, რეალობა, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ფუნქციონირება უხდებოდა მეტად ექსტრემალურ პირობებში. ასეთ შემთხვევაში ხშირად მმართველობის პოლიტიკური სტილი ავტორიტარიზმისკენ იხრება და ვერ თავსდება სამართლებრივ ნორმებში. პოლიტიკის სფეროს მეცნიერ-მკვლევარები ასეთ მდგომარეობას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიან და გარდამავალ პერიოდში ექსტრემალურ უმართავ სიტუაციებში ავტორიტარული მმართველობა გამართლებულად მი-

1 პოლიტოლოგია, ო.გოგიშვილის რედაქციით, თსუ, 2004, გვ.395;
2 იქვე, გვ.396.
3 მ. მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკა:ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, თბ.,2006, გვ.53;
4 იქვე, გვ.54.

აჩნიათ[1], რადგან კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლა ხშირად სცილდება სამართლებრივ სივრცეს.

ასევე, საყურადღებოა ის რეალობაც, რომ ამ პერიოდში, განსაკუთრებით მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის მეორე ნახევარში მისი მმართველობის პოლიტიკური სტილი მხოლოდ ავტორიტარიზმისკენ გადახრა კი არ არის, არამედ სრულიად გამოიკვეთა პრეზიდენტის კონსტიტუციაზე მაღლა დგომის ტენდენცია. აშკარად ჩნდება სუპერ საპრეზიდენტო მმართველობის მახასიათებლები. ამდენად, ხელისუფლებამ ის სახე მიიღო, რაც სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ელიტის უმრავლესობას სურდა.

ნოემბრის გადატრიალების შდეგად მოსული პოლიტიკური ელიტა ქვეყნის პრაგმატულად მართვისათვის მზად არ აღმოჩნდა და პარტიული ნიშნით რევოლუციური დამსახურებისათვის დანიშნულმა თანამდებობის პირებმა პროფესიონალური კომპეტენტურობა ვერ გამოავლინეს.[2]

ამდენად, სააკაშვილის საკადრო პოლიტიკა იმავე თავისებურებებით ხასიათდება, რაც ნიშანდობლივი იყო ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკისათვის. მაგალითად, პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების პროცესში მემკვიდრეობითობის სრული უგულველყოფა, კადრების თანამდებობაზე დანიშვნა რევოლუციური დამსახურების მიხედვით, პროფესიონალიზმის პრინციპის უგულველყოფა. ყოველივე ამას ემატებოდა ხელისუფლების მიერ აქცენტის გადატანა მეტისმეტად ახალგაზრდა ასაკზე, საზღვარგარეთულ განათლებასა და კოსმოპოლიტურ აზროვნებაზე.[3]

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი საზოგადოებაა, რა გარემოში ცხოვრობს იგი, რამდენად დემოკრატიულია, არის თუ არა შიშის განცდა და ა. შ. თუ ქვეყანაში ავტოკრატიული მმართველობაა, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება შორდება ხალხს და კარგავს მის ნდობას. ასე მოხდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში. ხელისუფლებაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის ელიტა იძულებული შეიქნა, მმართველობის სადავეები (რაც აღსანიშნავია)მშვიდობიანი გზით, არჩევნების მეშვეობით გადაებარებინა ახალი პოლიტიკური სუბიექტისთვის - პარტია, „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“. ამდენად, როგორც ამ პარტიის დამფუძნებელმა და თავმჯდომარემ, ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, 2012 წელს ჩვენ მოვიშორეთ ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი.[4] მართლაც, როგორც 2012 წლის არჩევნების წინ ჩატარებული კვლევები მოწმობენ, საკვლევი ველი იმდენად იყო გამრუდებული, რომ ამომრჩეველთა 50%-ზე მეტი კითხვებზე პასუხს ვერ სცემდა.[5] ხოლო 2013 წელს აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ის) საქართველოს ოფისის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ხელისუფლებაში მოსული კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიმართ საზოგადოების დადებითი მაჩვენებელი შეადგენდა 75%-ს.[6]

ახალმა ხელისუფლებამ, ქვეყნის სათავეში მოსულმა პოლიტიკურმა ელიტამ იმთავითვე განაცხადა თავის პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებზე, რაც ქვეყნის მთავრობის მეთაურმა გაახმოვანა: „ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს მხოლოდ ხალხის მსახურებისთვის. არავინ იფიქროს, რომ პარტიას რაიმე თავისთავადი ღირებულება გააჩნია. იგი არის საშუალება, რომლითაც უნდა მივაღწიოთ უზენაეს მიზანს - ხალხის უკეთეს მომავალს“.[7]

ასევე ხაზი გაუსვა ქვეყნის ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში სწრაფვის უცვლელობას. განსაკუთრებით, გამოიკვეთა სოციალ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გარდაქმნების აუცილებლობა. სასწრაფო საქმედ და ამოცანად წარმოადგინა საკადრო პოლიტიკაში ცვლილებების საკითხი: „სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება გამოცდილ ადამიანებს და მუდმივად მიიზიდავს ახალ კადრებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში.“[8]

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკურ ელიტას რთული გზის გავლა მოუხდა და ამ გზაზე გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მოსპო ძალადობაზე დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი და ქვეყანა სტაბილური განვითარების რელსებზე გადაიყვანა. სახელმწიფო რეკეტისგან განთავისუფლდა ბიზნესი, ცენზურისაგან - მასმედია. განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამა, მაგალითად, გაიზარდა დევნილებისა და ვეტერანების შემწეობები და დახმარებები, საგრძნობლად იმატა საპენსიო განაკვეთებმა.[9]

მიუხედავად ამისა, კიდევ დარჩა გადაუჭრელი პრობლემები ქვეყანაში. მთავარ გამოწვევად ისევ რჩებოდა არსებული სიდუხჭირე, მოსახლეობის დასაქმების საკითხი, ეკონომიკის სფეროში ცალკეული დარგების განვითარების პრობლემები და ა. შ.

„ქართულმა ოცნებამ“ ნაწილობრივ გაითვალისწინა წინა ხელისუფალთა შეცდომა და მოსვლისთანავე რეკ-

1 პოლიტოლოგია, ომარ გოგიაშვილის რედაქციით,თსუ,2004, გვ.400;
2 .მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკა, ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი;თბ.2006,გვ.68;
3 პოლიტოლოგია, ომარ გოგიაშვილის რედაქციით,თსუ,2004, გვ.400.
4 გაზეთი, „საქართველოს რესპუბლიკა“#223, 6მოემბერი, 2018;
5 გაზეთი, რეზონანსი,#170, 28 ივნისი, 2016,გვ.4;
6 გაზეთი 24 საათი,#74, 23 აპრილი, 2013,გვ.9;
7 გაზეთი, საქართველოს რესპუბლკა, #223, 6 ნოემბერი, 2018, გვ.3;
8 იქვე, გვ3.
9 გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა,#223, 6ნოემბერი, 2018, გვ.3.

რუტირების პროცესში მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან ერთად კოალიციაში მყოფი სხვა პარტიის წარმომადგენლებიც დაინიშნა ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მაინც ამ ხელისუფლების საკადრო პოლიტიკისთვის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებად, როგორც წინამორბედთათვის, ისევ პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების, ცირკულაციის მაღალი ინტენსივობა - თანამდებობის პირთა ხშირი ცვლა და ხშირად ერთმანეთის სავარძელში გადანაცვლება იყო.[1] ამ პერიოდში თანამდებობებზე დანიშვნა ასევე პარტიული ნიშნით ხდება.

ამგვარად, ნათელია, რომ ერთი პარტიის ბაზაზე ძნელია პროფესიონალი კადრებით სახელისუფლებო თანამდებობების დაკომპლექტება. აუცილებელია პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა დგომა და პოლიტიკურ ელიტაში, ერის საუკეთესო მოწინავე ნაწილის, ინტელექტუალებისა და საქმის ცოდნით გამორჩეული ადამიანების მოზიდვა.

მმართველ პოლიტიკურ ძალას მართებს კორუფციასა და კრიმინალთან ბრძოლის პარალელურად შეიმუშაოს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის, ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების კომპლექსური პროგრამა, რომელშიც მკაფიოდ იქნება ასახული მისი განხორციელების პირობები, რესურსები და საშუალებები.

1 მ.მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკა, ხელისუფლება და-პოლიტიკური პროცესი, თბ.,2006.გვ.69.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკა, ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, თბ., 2006;
2. ნოდარ დარსანია, პოლიტიკური ინსტიტუტები, თბ.,2011;
3. პოლიტოლოგია, ო. გოგიშვილის რედაქციით, თსუ, 2004;
4. გაზეთი 24 საათი, №74, 23 აპრილი, 2013;
5. გაზეთი, რეზონანსი, №170, 28 ივნისი, 2016;
6. გაზეთი, „საქართველოს რესპუბლიკა“, №223, 6 მოემბერი, 2018;
7. Ролитология, род редаксий Н. А. Василика, М. 2005;
8. Пушкарева, Г. В. Политология, М. 2002;
9. Политология, под редакций В. Д. Перевалова, М. 1999.

ლიდერობის როლური დიფერენციაცია და რისკისადმი მზაობა სტუდენტურ ჯგუფებში

ირმა დიხამინჯია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/orcid=0000-0002-2227-5158
i.dikhaminjia@sou.edu.ge

თამარ ადეიშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0003-1487-9394
tadeishvili27@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.05

ანოტაცია

სტატიაში ავტორებები აზიარებენ მოსაზრებებს ლიდერობის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის შესახებ. ჯგუფის აღმოცენება შეუძლებელია მისი შემადგენელი ელემენტების გარეშე. ასეთ ერთეულებს წარმოადგენს ცალკეული ინდივიდები, რომელთა ურთიერთობა ბადებს არსებითად მთლიან თვისებებს თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიდერის როლი მცირე ჯგუფების აღმოცენებასა და ფუნქციობაში, მისი დამოკიდებულება ჯგუფის მიზნებსა და ამოცანებზე, ჯგუფის წევრთა შორის თვითდამკვიდრებასა და პრესტიჟის მოპოვებაზე და სხვა.

ლიდერობის განმარტებას, როგორც გარკვეული პიროვნული მახასიათებლებისა და უნარ-ჩვევების ნაკრებს ბევრი ფსიქოლოგი აკრიტიკებს თუმცა უდაოა, რომ ლიდერის ეფექტურობისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია რისკისადმი მზაობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ისეთ თვისებებთან, როგორიცაა: იმპულსურობა, აგზნებადობა, აგრესიულობა, დომინირებისკენ მიდრეკილება, თვითგანმტკიცება და სხვ.

კვლევის **მიზანია** ემპირიული შემოწმება: აქვს თუ არა ადგილი სტუდენტურ ჯგუფებში ლიდერობის როლურ დიფერენციაციას და განსხვავდებიან თუ არა ინსტრუმენტული (საქმიანი) და ექსპრესიული (საურთიერთობო ანუ სოციალ-ემოციური) ლიდერები ერთმანეთისაგან რისკისადმი მზაობით.

კვლევა ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. რესპოდენტთა საერთო რაოდენობამ შეადგენდა 230 სტუდენტი. გამოყენებულ იქნა შემდეგი კვლევითი ინსტრუმენტები: ლიდერების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა ჯ. მორენოს სოციომეტრული მეთოდი, რომლის დანიშნულება პიროვნებათაშორისი ურთიერთ დამოკიდებულების თავისებურებათა შესწავლაში მდგომარეობს. იგი შეისწავლის გარკვეული ჯგუფის შიგნით სხვადასხვა ინდივიდთა შორის სიმპათია-ანტიპათიის შედეგად წარმოქმნილ რთულ ფორმებს. რისკისადმი მზაობის შსწავლის მიზნით შევარჩიეთ შუბერტის მიერ შემუშავებული ერთგანზომილებიანი მეთოდიკა.

ემპირიული კვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტურ ჯგუფებში ადგილი აქვს ლიდერობის როლურ დიფერენციაციას, ანუ ინსტრუმენტული და ექსპრესიული ლიდერის როლი სხვადასხვა პირთა მიერ რეალიზდება.

რაც შეეხება რისკის მზაობის მონაცემებს, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა რომ ექსპრესიულ სფეროში საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ლიდერობს არა ყველაზე მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფის წევრი, არამედ რიგითი წევრი. ხოლო ყველაზე დაბალი მონაცემები რისკის განწევის მზაობის მიხედვითაც აუტსაიდერს აქვს, რაც სავარაუდოდ იმით არის გამოწვეული, რომ ისინი გამოირჩევიან დაბალი თვითშეფასებით, არ უყვართ ყურადღების ცენტში ყოფნა, აქვთ განცდა, რომ მის სიტყვას არ მოისმენენ და გაითვალისწინებენ და ზოგადად ახასიათებთ ინიციატივის ნაკლებობა.

ინსტრუმენტულ სფეროში ლიდერის რიგითი წევრის და აუტცაიდერის შედარებამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაადასტურა მხოლოდ ლიდერსა და (p=.000) და ჯგუფის დანარჩენ წევრებს – რიგით წევრებსა და აუტცაიდერებს შორის (p= 0.47).

ამ შემთხვევაში ჩვენი ჰიპოთეზამ იმის შესახებ, რომ რისკის მზაობა ლიდერს უფრო მაღალი აქვს, ვიდრე არა-ლიდერს ინსტრუმენტულ და ექსპრესიულ სფეროში მიიღო ნაწილობრივი დადასტურება.

საკვანძო სიტყვები: ლიდერი, რისკი, რისკის გაწევის მზაობა.

ციტირებისთვის: დიხამინჯია ი., ადეიშვილი თ., ლიდერობის როლური დიფერენციაცია და რისკისადმი მზაობა სტუდენტურ ჯგუფებში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", No1, 2023 წ. გვ. 87-93.

LEADERSHIP ROLE DIFFERENTIATION AND RISK-TAKING IN STUDENT GROUPS

Irma Dikhaminjia
Associate Professor of Sukhumi State University
https://orcid.org/orcid=0000-0002-2227-5158
i.dikhaminjia@sou.edu.ge

Tamar Adeishvili
Associate Professor of Sukhumi State University
https://orcid.org/0009-0003-1487-9394
tadeishvili27@gmail.com

ANNOTATION

Leadership is discussed as a psychological phenomenon in the article. The emergence of a group is impossible without its constituent elements. Such units are individuals whose relationship gives rise to essentially whole features, however, the role of the leader in the emergence and functioning of small groups is especially important,as well as his dependence on the goals and tasks of the group and self-establishment and prestige among group members, etc.

The definition of leadership as a set of certain personal characteristics and skills is criticized by many psychologists, however, it is undeniable that one of the important characteristics for a leader's effectiveness is the readiness for risk, which is related to such human qualities as: impulsiveness, excitability, aggressiveness, tendency to dominate, self-confidence, etc.

The **aim** of the research is to empirically check: whether there is a role differentiation of leadership in student groups and whether instrumental (business) and expressive (relational or social-emotional) leaders differ from each other in their readiness for risk.

The research was conducted in different higher educational institutions of Georgia. The total number of respondents was 230 students. The following research tools were used: J. Moreno's sociometric method was used to identify leaders, the purpose of which is to study the peculiarities of interpersonal relationships. It studies the complex forms resulting from sympathy-antipathy between different individuals within a certain group. In order to study the readiness for risk, we selected the one-dimensional method developed by Schubert.

On the basis of empirical research, it was confirmed that a role differentiation of leadership takes place in student groups, that is, the role of instrumental and expressive leader is realized by different persons.

As for the data of readiness for risk, based on our research, it was found that the leader in the expressive field is not the member of the group with the highest status, but the ordinary member. And the lowest data in terms of readiness for risk is also for outsiders, which is probably due to the fact that they have low self-esteem, do not like to be in the center of attention, have a feeling that their words will not be heard and taken into account, and are generally characterized by a lack of initiative.

In the instrumental field, the comparison of the ordinary member of the leader and the outsider confirmed a statistically significant difference only between the leader and (p=.000) and the rest of the group members - ordinary members and outsiders (p= 0.47). In this case, our hypothesis that the leader's readiness for risk is higher than the non-leader's in the instrumental and expressive fields was partially confirmed.

Key words: leader, risk, willingness to take risk.

For citation: Dikhaminjia I., Adeishvili T., Role differentiation of leadership and readiness for risk in student groups, Journal of Business and Legislation, No. 1, 2023. p. 87-93.

საკვლევი თემის აქტუალობა

ლიდერობის პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ლიდერობა განხილულია, როგორც **„დასახული მიზნების მიღწევის მიმართულებით ჯგუფზე ზემოქმედების პროცესი“.** ჯგუფი თავისებური „ველია“, რომელშიც ხდება მრავალი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის რელიზება. ეს ფენომენები, როგორც ინტეგრაციული ფაქტორები, ხელს უწყობს ჯგუფის ფუნქციონირებასა და განვითარებას. ჯგუფში მიმდინარე პროცესების სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი მრავალი ასეთი ინტეგრაციული ფაქტორისა და მექანიზმის გამოყოფის საშუალებას იძლევა. აღიარებულია, რომ ლიდერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯგუფის თვითორგანიზების პროცესებზე, ჯგუფური ნორმებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, ჯგუფის წევრთა ქცევაზე. სწორედ ამიტომ ლიდერი და თავად ლიდერობის ფენომენი მკვლევართა დიდ ყურადღებას იპყრობს [1. გვ. 156].

ადამიანთა სოციალური ქცევის შესწავლის შედეგად, შესაძლებელია ლიდერობის დინამიკის გაგება და ჯგუფის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თავისებურებათა აღმოჩენა. რამდენადაც მრავალფეროვანია ადამიანები და ჯგუფები, იმდენად მრავალფეროვანია ლიდერები და მათი ქცევა.

ლიდერობის ნიშნები ნებისმიერ ჯგუფში, მათ შორის შემთხვევით ჯგუფებშიც კი შეიძლება შევამჩნიოთ და ყველა მათგანში შესაძლებელია ისეთი საერთო კანონზომიერებების აღმოჩენა, როგორიცაა: ლიდერობის სტილის ამსახველი გარემოება, ჯგუფის არსი, რომელსაც ლიდერი ხელმძღვანელობს, ასევე პიროვნული თვისებები არა მარტო ლიდერისა, არამედ მისი მიმდევრებისა და სხვა [2. გვ.180-184]

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში საუბარია ლიდერობის ორი ფუნდამენტური როლის შესახებ (რ. ბეილზი, ფ. სლეიტორი): **ინსტრუმენტული**, საქმიანი ლიდერის როლი და **ექსპრესიული**, სოციალ-ემოციური ლიდერის როლი, ხოლო მათმა არსებობის ფაქტმა მიიღო **ლიდერობის როლური დიფერენციაციის** ფენომენის სახელწოდება. ეს როლები დაკავშირებულია ჯგუფური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტთან: ინსტრუმენტული ლიდერის როლი გულისხმობს მოქმედებას, რომელიც, უპირატესად, მიმართულია ჯგუფის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრისაკენ, ხოლო ემოციური ლიდერის როლი გულისხმობს მოქმედებას, რომელიც ეხება ჯგუფის შინაგანი ინტეგრაციის სფეროს [3].

დღეისათვის, ლიდერის მახასიათებლების ტიპიური ჩამონათვალი შემდეგ თვისებებს მოიცავს: ლიდერი ავლენს მაღალ გამძლეობას დაძაბულ სიტუაციებში; უყვარს თანამშრომელთა მონაწილეობის წახალისება გადაწყვეტილებათა მიღებაში; გამუდმებით უკეთებს ანალიზს საკუთარ შეცდომებს; აღიარებს, რომ ცხოვრობს კონკურენციის ეპოქაში, და იცის „კონკურენტული ბრძოლის კანონები“; ტაქტიკურად გამოხატავს ნეგატიურ დამოკიდებულებას ვინმესადმე; გამარჯვების შემთხვევაში იკავებს ემოციებს; არ ბრაზდება და არ ნებდება დამარცხების შემთხვევაში შესაბამისად, ამ ჩამონათვალიდან გამომდინარე ლიდერის ეფექტურობისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია რისკისადმი მზაობა [4. გვ. 20].

ეს უკანასკნელი - რისკი გაგებულია, როგორც წარმატების მისაღწევად განხრციელებლი მოქმედება სასურველი შედეგის მიღწევის იმედით ან როგორც შესაძლო საფრთხე, როგორც მოქმედება, რომელიც გაურკვეველ პირობებში მიმდინარეობს. რისკისადმი მაღალ მზაობას თან ახლავს წარუმატებლობისგან თავის არიდების დაბალი მოტივაცია [5. გვ. 187-191].

რისკი ადამიანის აქტივობის განუყოფელი თვისებაა. როგორც წესი, ის ნებისმიერ სფეროში ადამიანის საქმიანობისათვის არის დამახასიათებელი და იმ მრავალ ფაქტორს უკავშირდება, რომლებიც გავლენას ახდენენ დადებითი შედეგების მომტანი გადაწყვეტილების მიღებაზე.

რისკი თან დევს ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას, ხშირად კი არსებობისთვის აუცილებელ პირობასაც წარმოადგენს. მრავალი გადაწყვეტილება სარისკო ხასიათს იძენს სწორედ იმიტომ, რომ შეუძლებელია მათი შედეგების წინასწარ განჭვრეტა. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება ამა თუ იმ ხარისხით გარკვეულწილად რისკთან არის დაკავშირებული და პიროვნების ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიიღება.

რისკი, სიტუაციის გათვლის შესაძლებლობის და საკუთარი მიზნების შესაბამისად მისი შეცვლის უნარის მაჩვენებელია. რისკისადმი მზაობის გამოვლენა მრავალ გარემო ფაქტორზეა დამოკიდებული (პრობლემური სიტუაციის მახასიათებლები, სოციალური სისტემის სტრუქტურა, პრობლემის ფორმირების მეთოდი, ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების ტიპი).

კვლევებმა აჩვენა, რომ რისკისადმი მზაობა დაკავშირებულია ადამიანის ისეთ თვისებებთან, როგორიცაა: იმპულსურობა, აგზნებადობა, აგრესიულობა, დომინირებისკენ მიდრეკილება, თვითგანმტკიცება. უარყოფითი კავშირები გამოვლინდა, სოციალურ სურვილებთან, სოციალურ პასუხისმგებლობასთან, სინდისთან, შთაგონებასთან [6. გვ.31].

აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა კვლევის **ჰიპოთეზა:**

H1 სტუდენტურ ჯგუფებში ადგილი აქვს ლიდერობის როლურ დიფერენციაციას, ანუ ინსტრუმენტული და ექსპრესიული ლიდერის როლს სხვადასხვა პირი ასრულებს;

H2 ლიდერის, აუტსაიდერისა და ჯგუფის რიგითი წევრის რისკისადმი მზაობა განსხვავებულია, როგორც ინსტრუმენტულ ასევე ექსპრესიულ სფეროში;

შესაბამისად, კვლევის ძირითადი **მიზანია** ამ ჰიპოთეზის ემპირიული შემოწმება: აქვს თუ არა ადგილი სტუდენტურ ჯგუფებში ლიდერობის როლურ დიფერენციაციას და განსხვავდებიან თუ არა ინსტრუმენტული (საქმიანი) და ექსპრესიული (საურთიერთობო ანუ სოციალ-ემოციური) ლიდერები ერთმანეთისაგან რისკისადმი მზაობით.

კვლევა ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. რესპოდენტთა საერთო რაოდენობამ შეადგენდა 230 სტუდენტი. გამოყენებულ იქნა შემდეგი კვლევითი ინსტრუმენტები:

ლიდერობის გამოვლენის ხერხი. სოციომეტრული მეთოდი. ლიდერების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა მორენოს სოციომეტრული მეთოდი, რომელიც მცირე სოციალურ ჯგუფებში, ურთიერთობის შესწავლისათვის მოხერხებულ მეთოდს წარმოადგენს და რომლის დანიშნულება პიროვნებათაშორისი ურთიერთ დამოკიდებულების თავისებურებათა შესწავლაში მდგომარეობს. იგი შეისწავლის გარკვეული ჯგუფის შიგნით სხვადასხვა ინდივიდთა შორის სიმპათია-ანტიპათიის შედეგად წარმოქმნილ რთულ ფორმებს.

სოციომეტრიის ფუძემდებლის ჯ. მორენოს მიხედვით, ჯგუფში პიროვნებათაშორისი ურთიერთობა შეადგენს იმ პირველად სოციალურ-ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, რომლის მახასიათებლები ხშირად განსაზღვრავს არა მხოლოდ ჯგუფის მთლიან მახასიათებლებს, არამედ ცალკეული ინდივიდის სტატუსს [6. გვ. 17].

ლიდერობის შეფასება ხდებოდა რანჟირების მეშვეობით. ცდისპირები ორ შეკითხვას პასუხობდნენ. პირველი ინსტრუმენტული ლიდერის გამოვლენის საშუალებას გვაძლევდა, მეორე - ექსპრესიულის:

1. „მნიშვნელოვანი დავალების შესასრულების დროს, ვის აირჩევდი პარტნიორად (ე. ი. ჯგუფის რომელ წევრს დააყენებდი პირველ ადგილზე, როგორც პარტნიორს, მეორეზე რომელს, მესამეზე რომელს)“?

2. „ვისთან ისურვებდი მეგობრობას (ე. ი. ჯგუფის რომელ წევრს დააყენებდი პირველ ადგილზე, როგორც მეგობარს, მეორეზე რომელს, მესამეზე რომელს)“?

ეს კითხვები დაურიგდა გამოსაკვლევ ჯგუფთა თითოეულ წევრს. ვინც პირველ ადგილზე იქნა დასახელებული მიეწერა სამი ქულა, ვინც მეორე ადგილზე ორი ქულა, ვინც მესამეზე ერთი ქულა. ლიდერობის შეფასება თითოეულ სფეროში ხდებოდა ჯგუფის თითოეული წევრის მიერ მიღებული ქულების შეჯამებით, რომელსაც ისინი იღებდნენ თავიანთი პარტნიორებისაგან რანჟირების დროს.

რესპოდენტთა მიერ ჯგუფში საუკეთესო საქმიანი პარტნიორისა და ყველზე ახლო მეგობრის დასახელება, რაც იძლეოდა ინსტრუმენტული ანუ საქმიანი და ექსპრესიული, ანუ ემოციური ლიდერის გარკვევის საშუალებას ატარებდა მკაცრ ანონიმურ ხასიათს.

შუბერტის რისკის მზაობის ტესტი. შუბერტის რისკის მზაობის მეთოდიკა ერთგანზომილებიანი ტესტია. ტესტი ადამიანის ქცევითი რეაქციების თავისებურებათა შეფასების საშუალებას იძლევა, გაურკვეველ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რომლებიც დადგენილი ნორმებისა და წესების დარღვევას მოითხოვს. მეთოდიკა შედგება ლაიკერტის სკალის პრინციპით შედგენილი 25 კითხვარისაგან, თითოეულ მათგანზე პასუხების ხუთი სავარაუდო ვარიანტიდან ერთი უნდა შეირჩეს: სრული თანხმობიდან (+2 ქულა) სრულ „არამდე“(„-2“ ქულა). შედეგი განისაზღვრება ქულების ჯამით, რომელთა საფუძველზე კეთდება ადამიანის რისკისადმი მიდრეკილების შესახებ დასკვნები.

მინიმალური მნიშვნელობა „-50“ ქულას შეადგენს, ხოლო მაქსიმალური „+50“-ს. „-30“-ზე ნაკლები ქულა – ნიშნავს „ზედმეტად ფრთხილი“; დიაპაზონი „–10“ ქულიდან „+10“ ქულამდე – საშუალო მნიშვნელობები“; „+20“ ქულაზე მეტი – რისკისადმი მაღალი მიდრეკილება.

პირველი ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ჩატარებული კვლევების შედეგები წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ემპირიული კვლევების საფუძველზე გაირკვა, რომ ლიდერობის როლურ დიფერენციაციას ადგილი ჰქონდა 92%-ის შემთხვევაში, ანუ ინსტრუმენტული და ექსპრესიული ლიდერის როლები 92%-ის შემთხვევაში სხვადასხვა პირთა მიერ რეალიზდებოდა, მხოლოდ 8%-ის შემთხვევაში საქმე გვქონდა აშკარად გამოხატულ ლიდერთან, ანუ ორივე განზომილების მიხედვით (საქმიანი და საურთიერთობო) ლიდერის როლში გამოვიდა ერთი და იგივე პიროვნება. შესაბამისად პირველმა ჰიპოთეზამ იმის შესახებ, რომ სტუდენტურ ჯგუფებში ინსტრუმენტული და ექსპრესიული ლიდერის როლს სხვადასხვა პირი ასრულებს, დადასტურება.

ჯგუფის წევრთა 39%-მა განახორციელა რიგითი წევრის როლი ჯგუფური საქმიანობის ორივე სფეროში და აუტსაიდერების შეფასებების 14%-ის შემთხვევაში ჯგუფის წევრთა შეხედულებები ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდა ჯგუფური საქმიანობის ორივე განზომილების მიხედვით.

რაც შეეხება აუტსაიდერებსა და ჯგუფის რიგით წევრებს, მათ მიერ ჯგუფის მხრიდან მიღებული შეფასებების მიხედვით შემდეგი სურათი მივიღეთ. კერძოდ, ინსტრუმენტული შეფასების მიხედვით დაბალი სტა-

ცხრილი 1

ინსტრუმენტულ და ექსპრესიულ სფეროში ერთი და იგივე პიროვნების მიერ რეალიზებული ჯგუფური როლების (ლიდერი, რიგითი წევრი, აუტსაიდერი) პროცენტული მაჩვენებლები

ინსტრუმენტული სფერო	ექსპრესიული სფერო	
ლიდერი		8%
რიგითი წევრი		39%
აუტსაიდერი		14%

ცხრილი 2

ინსტრუმენტულ სფეროში ჯგუფის წევრთა მიერ რეალიზებული ჯგუფური როლების (ლიდერი, რიგითი წევრი, აუტსაიდერი) პროცენტული მაჩვენებლები ექსპრესიულ განზომილებაში

ინსტრუმენტული სფერო	ექსპრესიული სფერო	%
აუტსაიდერი	რიგითი წევრი	18%
აუტსაიდერი	ლიდერი	1%
რიგითი წევრი	აუტსაიდერი	4%
რიგითი წევრი	ლიდერი	7%
ლიდერი	აუტსაიდერი	1%
ლიდერი	რიგითი წევრი	8%

ტუსის მქონე ჯგუფის წევრების, ანუ აუტსაიდერების 18%, ექსპრესიულ განზომილებაში რიგითი წევრების სიაში მოხვდა. მხოლოდ მათი ერთი პროცენტი გამოვიდა ექსპრესიული ლიდერის როლში. შეიძლება ითქვას, რომ ინსტრუმენტული სფეროს აუტსაიდერები არც ექსპრესიულ სფეროში გამოიყურებიან წარმატებულად.

ინსტრუმენტული, ანუ საქმიანი სფეროს რიგითი წევრების მხოლოდ ოთხი პროცენტი გამოვიდა ექსპრესიული აუტსაიდერის როლში და შვიდი პროცენტი ექსპრესიული ლიდერის როლში.

ინსტუმენტული ლიდერების მოღვაწეობა კი ექსპრესიულ განზომილებაში ჯგუფის მხრიდან შემდეგნაირად შეფასდა. მათი ერთი პროცენტი არის ექსპრესიული აუტსაიდერი და რვა პროცენტი ჯგუფის რიგითი წევრი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქმიანი ლიდერების მიმართ ჯგუფის მხრიდან ექსპრესიულ სფეროშიც არ შეიმჩნევა რაიმე ანტაგონიზმი, პირიქით ლიდერები ორივე განზომილების მიხედვით საკმაოდ მტკიცედ გამოიყურებან (ცხრილი 2).

ინსტრუმენტული სფეროს ლიდერის, აუტსაიდერისა და რიგითი წევრის რისკის გაწევის მზაობის მონაცემების საშუალო მაჩვენებლები წარმოდგენილია გრაფიკული სახით (ნახ. 1).

ცხრილიდან ჩანს, რომ ჯგუფში რისკის გაწევის მზაობის მაჩვენებლები ინსტრუმენტული სფეროს ლიდერსა და რიგით წევრს თითქმის ერთნაირი აქვთ, აუტსაიდერის მონაცემები კი, მათ საგრძნობლად ჩამორჩება. მიუხედავად იმისა, რომ მაღალ რისკებს თანა ახლავს ხოლმე დაშვებული შეცდომების ასევე მაღალი რაოდენობა, შეიძლება ვთქვათ რომ ინსტრუ-

ნახ. 1

ინსტრუმენტული სფეროს ლიდერის, აუტსაიდერისა და რიგითი წევრის რისკის გაწევის მზაობის მონაცემების საშუალო მაჩვენებლები



ნახ. 2

ექსპრესიული სფეროს ლიდერის, აუტსაიდერისა და რიგითი წევრის რისკის გაწევის მზაობის მონაცემების საშუალო მაჩვენებლები



მენტული ლიდერები ამოცანის გადაჭრის პროცესში ყოვეთვის მზად არიან სარისკო გადაწყვეტილებების მისაღებად.

ექსპრესიული სფეროს ლიდერის, აუტსაიდერისა და რიგითი წევრის რისკის გაწევის მზაობის მონაცემების საშუალო მაჩვენებლები კი მოცემულია გრაფიკული სახით ნახ. 2 -ის სახით.

მიღებული შედეგების საფუძველზე, მივიღეთ შემდეგი მოცემულობა - ექსპრესიულ სფეროში რისკის გაწევის მზაობის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ლიდერობს არა ყველაზე მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფის წევრი, არამედ რიგითი წევრი.როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ექსპრესიული სფერო თავისთავად გულისხმობს მოქმედებას, რომელიც ეხება ჯგუფის შინაგან ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს რომ ამავე სფეროს რიგითი წევრი გამოირჩევა ჯგუფურ გარემოში უფრო მაღალი რისკისადმი მზაობით რაც, შეიძლება განპირობებული იყოს მისადმი ჯგუფის მოლოდინებით. როგორც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაშია აღნიშნული - რისკის მზაობის სურვილი ჯგუფურ გარემოში უფრო მაღალია ვიდრე მარტო მოქმედების პროცესში.

ყველაზე დაბალი მონაცემები რისკის გაწევის მზაობის მიხედვითაც აუტსაიდერს აქვს.

სტუდენტურ ჯგუფებში, ინსტრუმენტულ და ექსპრესიულ სფეროში ლიდერის, აუტსაიდერისა და რიგითი წევრის რისკის გაწევის მზაობას შორის განსხვავების სტატსტიკური სანდოობის შესამოწმებლად გამოყენებულმა დისპერსიულმა ანალიზმა, სტატისტიკური მნიშვნელობის განსხვავება ექსპრესიულ სფეროში არ დაადასტურა, ხოლო ინსტრუმენტულ სფეროში ლიდერის რიგითი წევრის და აუტცაიდერის შედარებამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაადასტურა მხოლოდ ლიდერსა და (p=.000) და ჯგუფის დანარჩენ წევრებს –რიგით წევრებსა და აუტცაიდერებს შორის (p= 0.47).

ამ შემთხვევაში ჩვენი ჰიპოთეზამ იმის შესახებ, რომ რისკის მზაობა ლიდერს უფრო მაღალი აქვს, ვიდრე არალიდერს ინსტრუმენტულ და ექსპრესიულ სფეროში მიიღო ნაწილობრივი დადასტურება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ემპირიული კვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტურ ჯგუფებში ადგილი აქვს ლიდერობის როლურ დიფერენციაციას, ანუ ინსტრუმენტული და ექსპრესიული ლიდერის როლი სხვადასხვა პირთა მიერ რეალიზდება. საქმიანი ლიდერების მიმართ, ჯგუფის მხრიდან, ექსპრესიულ სფეროშიც არ შეიმჩნევა რაიმე ანტაგონიზმი, პირიქით საქმიანი ლიდერი ექსპრესიულ სფეროშიც საკმაოდ მყარად გამოიყურება.

რაც შეეხება რისკის მზაობის მონაცემებს, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა რომ ექსპრესიულ სფეროში საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ლიდერობს არა ყველაზე მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფის წევრი, არამედ რიგითი წევრი. ხოლო ყველაზე დაბალი მონაცემები რისკის გაწევის მზაობის მიხედვითაც აუტსაიდერს აქვს, რაც სავარაუდოდ იმით არის გამოწვეული, რომ ისინი გამოირჩევიან დაბალი თვითშეფასებით, არ უყვართ ყურადღების ცენტში ყოფნა, აქვთ განცდა, რომ მის სიტყვას არ მოისმენენ და გაითვალისწინებენ და ზოგადად ახასიათებთ ინიციატივის ნაკლებობა.

ინსტრუმენტულ სფეროში ლიდერის რიგითი წევრის და აუტცაიდერის შედარებამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაადასტურა მხოლოდ ლიდერსა

და (p=.000) და ჯგუფის დანარჩენ წევრებს – რიგით წევრებსა და აუტცაიდერებს შორის (p= 0.47).

ამ შემთხვევაში ჩვენი ჰიპოთეზამ იმის შესახებ, რომ რისკის მზაობა ლიდერს უფრო მაღალი აქვს, ვიდრე არალიდერს ინსტრუმენტულ და ექსპრესიულ სფეროში მიიღო ნაწილობრივი დადასტურება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ჩარკვიანი. ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბ. 2001. თავი 6- ლიდერობის პროცესი

2. კ. კოპალიანი. „ლიდერობის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები მცირე სოციალურ ჯგუფებში“. საერთაშორისო-სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, კულტურათაშორისი კომუნიკაციები. N-28. თბილისი 2017.

3. Bales R., Slater P. Role Differentiation in Small Decisionma-king Groups // T. Parsons & R. Bales (eds.). Family, Socialization and Interaction Process. N. Y: Free Press, 1955.

4. ი. დიხამინჯია, კ. კოპალიანი. ლიდერობა. სალექციო კურსი. ელ-წიგნი. თბილისი 2018.

5. Шуберт «Готовность к риску» (PSK); testoteka.narod.ru/ms/1/13.html.

6. თ. ადეიშვილი. „ლიდერობის როლური დიფერენციაცია მცირე სოციალურ ჯგუფებში“. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი 2020.

7. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. დემოკრატიის ქართული ინსტიტუტი. თბ.1998წ. სულ 200 გვ.

8. http://media.miu.by/files/store/items/pj/22/pj_22_2009_2.pdf

პირდაპირი და ირიბი გადასახადების საგადასახადო ტვირთის“ სამართლიანად გადანაწილების შესახებ

გიორგი ცაავა
ემდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
https://orcid.org/0009-0000-4920-1725
Tsaavagiorgi11@gtu.ge; 599201230

ანზორ აბრალავა
ემდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
https://orcid.org/0009-0003-7389-7533
a.abralava@gtu.ge; 599511780

ლევან გრიგალაშვილი
ემდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
https://orcid.org/0009-0007-1617-5365 Previewpublicrecord
l.grigalashvili@gtu.ge 593733945

რატი ბურდიაშვილი
ეად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
https://orcid.org/0009-0001-1878-0426
r.burdiashvili@gtu.ge 599505003

ვალერი მოსიაშვილი
ეად, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი
https://orcid.org/0009-0007-8702-6295
Mosiashvilivaleri@gtu.ge; 577843485

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.06

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია და შემოთავაზებულია პირდაპირი და ირიბი გადასახდების „საგადასახადო ტვირთის“ სამართლიანად გადანაწილების წინადადებები, კერძოდ, მიზანშეწონილად არის მიჩნეული „ოქრის კვეთას“ პროპორციის (შესაბამისად 62% და 38%) გამოყენება, რაც აღნიშნული ტვირთის განაწილებაში ჰარმონიზაციის ფენომენის ჩამოყალიბების საწინდარი გახდება. გამომდინარე იქიდან, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღებამ ბიუჯეტის მოცულობის მხოლოდ თანხობრივი ზრდა გამოიწვია, კვლავ „ბრუნვიდან გადასახადზე“ დაბრუნება მიჩნეულია უპრიანად.

საქართველოს ეროვნული ვალუტის დევალვაციისა და დედოლარიზაციის კომპანიის ფარგლებში ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი თითქმის გაორმაგდა. აქედან გამომდინარე ავტორებს მიაჩნიათ ე.წ. მცურავი აქციზის რეჟიმზე გადასვლა.

მსოფლიო საფონდო ბირჟებზე საერთაშორისო აქციებისა და ობლიგაციების განთავსების საფასურად ევრო კომისია 2012 წელს ოფიციალური წინადადებით გამოვიდა ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის შემოღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია საქართველოს ბანკების, რკინიგზის და სხვა მსხვილი კორპორაციების მიერ საერთაშორისო ტრანზაქციებზე ბიუჯეტში 0,1% -იანი გადასახადის შემოღება, რაც ქვეყნის ბიუჯეტის 0,55 მლრდ. ლარით შევსების წყარო გახდებოდა;

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საწარმოს მიერ ავანსად მიღებული თანხა ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით არ არის ამონაგები (შემოსავალი) და შესაბამისად მისი დაბეგვრა მართლზომიერად არ არის მიჩნეული.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო დაგეგმვა, დასაბეგრი მოგება, დამატებული ღირებულების გადასახადი, ავანსი, „ოქროს კვეთას“ პროპორცია.

ციტირებისთვის: ცაავა გ., აბრალავა ა., ბურდიაშვილი რ., გრიგალაშვილი ლ., მოსიაშვილი ვ., პირდაპირი და ირიბი გადასახადების „საგადასახადო ტვირთის“ სამართლიანად გადანაწილების შესახებ, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 94-102.

"TAX" OF DIRECT AND INDIRECT TAXES ABOUT THE FAIR DISTRIBUTION OF THE BURDEN

Giorgi Tsaava
Doctor of Economic Sciences, Georgian Technical University Professor
https://orcid.org/0009-0000-4920-1725
Tsaavagiorgi11@gtu.ge; 599201230

Anzor Abralava
Doctor of Economic Sciences, Georgian Technical University Professor
https://orcid.org/0009-0003-7389-7533
a.abralava@gtu.ge; 599511780

Levan Grigalashvili
Doctor of Economic Sciences Georgian Technical University Professor
https://orcid.org/0009-0007-1617-5365
l.grigalashvili@gtu.ge 593733945

Rati Burdiashvili
Academic Doctor of Economics Georgian Technical University Professor,
https://orcid.org/0009-0001-1878-0426
Burdiashvilirati@gtu.gr; 599505003

Valery Mosiashvili
Academic Doctor of Economics Georgian National University SEU Professor,
https://orcid.org/0009-0007-8702-6295
Mosiashvilivaleri@gtu.ge; 577843485

ANNOTATION

The paper discusses and proposes proposals for the fair distribution of the "tax burden" of direct and indirect taxes, in particular, it is considered appropriate to use the "golden ratio" proportion (62% and 38%, respectively), which will become a precursor to the formation of the phenomenon of harmonization in the distribution of the said burden. Due to the fact that the introduction of the value added tax has only led to a monetary increase in the budget volume, the return to the "tax from turnover" is considered undesirable.

Within the framework of the Georgian National Currency Devaluation and Dedollarization Company, the excise duty on oil products has almost doubled. Therefore, the authors believe that the so-called Transition to the floating excise duty regime.

In 2012, the European Commission made an official proposal to introduce a tax on financial transactions to pay for the placement of international shares and bonds on the world stock exchanges. In this regard, it is proposed to introduce a 0.1% tax on international transactions by Georgian banks, railways and other large corporations in the budget, which is 0.55 billion of the country's budget. It would become a source of replenishment with GEL;

In the paper, it is justified that the amount received by the enterprise as an advance is not an amount (income) from the point of view of financial accounting, and therefore its taxation is not considered legitimate.

Keywords: tax planning, taxable profit, value-added tax, Advance, ratio of the „Golden Section".

For citation: Tsaava G., Abralava A., Grigalashvili L., Burdiashvili R., **Mosiashvili** V., **"**Tax" of direct and indirect taxes About the fair distribution of the burden, Journal - "Business and Legislation", No. 1, 2023. p. 94-102.

შესავალი

გადასახადების წარმოშობა მრავალ საუკუნეს ითვლის. იგი საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე შემოიღეს, როდესაც მათზე ობიექტური მოთხოვნილება გაჩნდა. გადასახადები საზოგადოებრივი ურთიერთობების უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს და სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ინსტრუმენტია. საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გადასახადების სახეები, მათი დანიშნულება, გადახდევინების ღონისძიებები, საგადასახადო განაკვეთები და სხვა დამახასიათებელი თავისებურებები მუდმივ ცვლილებებს განიცდიდნენ. ცალკეული წყაროები მიუთითებენ, რომ ორგანიზებული საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ ძველ რომში ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგ მაგალითის მიმცემი გახდა სხვა ქვეყნებისთვის. მომდევნო ეტაპებზე სახელმწიფო სისტემების განმტკიცება-განვითარებათან ერთად თანდათან ჩამოყალიბდა საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივი კონსენსუსის საფუძველზე უნდა ყოფილიყო აგებული. ეს უკვე ნიშნავდა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ გადასახადების დაწესებას, გაუქმებას, შეცვლას და ა. შ. მე-20 საუკუნეში განვითარებული ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა შერბილების ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციული გადასახადის განაკვეთი 46% - დან 34% - მდე შემცირდა ხოლო დიდ ბრიტანეთში 45%-დან 35 % - მდე.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემა არ გააჩნდა. იგი საბჭოთა საგადასახადო სისტემის ნაწილი იყო და ძირითადად ოთხი სახის გადასახადს ემყარებოდა, როგორიცაა: ბრუნვის გადასახადი, მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი და სოციალური გადასახადი.

ბრუნვის გადასახადს მსხვილი საწარმოები იხდიდნენ დარგების მიხედვით, როგორიც იყო მაგალითად ღვინის მრეწველობა, ჩაის მრეწველობა, საკონსერვო წარმოება და სხვ., თანაც გადასახადი იყო დიფერენცირებული ანუ სხვადასხვა დარგში განსხვავებული განაკვეთები გამოიყენებოდა (4).

მოგების გადასახადისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ მისი დიდი ნაწილი ზემდგომ ორგანიზაციას მიჰქონდა და საწარმოს პრაქტიკულად არაფერი რჩებოდა.

საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმი არსებობდა. დაბეგვრის ობიექტს მხოლოდ დაქირავებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასები შეადგენდა, რადგან ფიზიკური პირებისათვის დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობა დაუშვებელი იყო.

სოციალური გადასახადი საშემოსავლო გადასახადზე იყო მიბმული, რომლის ძირითად დანიშნულებას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდების შევსება წარმოადგენდა.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება დამოუკიდებელი საქართველოს საგადასახადო ადმინისტრირების (აუდიტის) განვითარების ისტორია. საქართველოში მოქმედი დღევანდელი საგადასახადო სისტემა მოიცავს პირდაპირ და ირიბ (არაპირდაპირ) გადასახადებს:

პირდაპირო გადასახადი - არის გადასახადი (საშემოსავლო და მოგების გადასახადები), რომელსაც ბიუჯეტში იხდის მეურნე სუბიექტი.

ირიბი გადასახადი - არის გადასახადი (დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსაურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის და მომსახურების შეძენისას. როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება საქონლის მიმწოდებელს ან მომსახურების გამწევს ეკისრება. ჩვენი დისკუსია ამჟამად ირიბ გადასახადებზე იქნება მიმართული.

ირიბი გადასახადების, განსაკუთრებით კი დამატებული ღირებულების მიზანშეწონილობის საკითხში სპეციალისტებს შორის ერთგვაროვანი მიდგომები არ არის. ცალეული სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დღგ წარმოიშვა როგორც გაყიდვებიდან ადრე გამოყენებადი გადასახადის ოპტიმალური ალტერნატივა. ცნობილია, რომ დღგ - ს დანერგვამდე გაყიდვებიდან გადასახადი გამოიყენებოდა, რომელიც ასევე ირიბ გადასახადს წარმოადგენდა. ამ გადასახადის მიხედვით მიღებული შემოსულობები მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს შემოსავლების თითქმის ძირითად ნაწილს შეადგენდა. ამასთან ერთად სხვადასხვა სახელმწიფოების საგადასახადო განაკვეთებში მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობდა. ზოგადად ადგილი ჰქონდა გადასახადების სიმრავლესა ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების გადაკვეთადობას. წინააღმდეგიობრიობის, განაკვეთების მაღალი დონის, სახელმწიფოებს შორის „საგადასახადო განაკვეთებზე ომის“ გამო, საგადასახადო ადსმინისტრირება იყო ძალიან გართულებული. მიუხედავად ამისა დღეს, დღგ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არ გამოიყენება, მაგალითად, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და იაპონია მის მაგივრად გაყიდვებიდან გადასახადს იყენებენ და მათი საგადასახადო სისტემები საკმაოდ ეფექტურად და წარმატებულად ითვლება [1].

როგორც ცნობილია, დღგ-ს კონცეფცია შემუშავებული და საჯაროდ წარმოდგენილი იყო ფ. ვან სიმენსონის (F. Van Siemens) მიერ 1918 წელს გერმანიაში ბრუნვიდან (გაყიდვებიდან) გადასახადის ალტერნატივის სახით. საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც აღნიშნული კონცეფციის პრაქტიკაში რეალიზება განახორციელა და 1954 წელს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) შემოიღო. 1967 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (ეეთ) საბჭომ, გაყიდვებიდან არსებული გადასახადების შეცვლის მიზნით დღგ-ს ფართოდ გამოყენებისათვის შესაბამისი დირექტივები გამოსცა. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის საბჭომ გამოთქვა იმედი, რომ ახალი სისტემა გაზრდიდა საგარეო ვაჭრო-

ბას, რომელსაც გაყიდვებიდან გადასახადის სისტემა ეწინააღმდეგება. აღნიშნული დირექტივის შემდეგ ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა: ავსტრია, შვეცია, ბრაზილია, საბერძნეთი და პერუ, ასევე შემოიღეს დღგ. შემდგომში დაახლოებით 160 ქვეყანამ, პაკისტანის ჩათვლით 1990 წელს, ბანგლადეშმა 1991 წელს, რუსეთის ფედერაციამ 1992 წელს, საქართველომ 1992 წელს, შრი-ლანკამ 1995 წელს, ჩინეთმა 1994 წელს და ნეპალმა 2000 წელს, შემოიღეს დამატებული ღირებულების გადასახადი. განვითარებულმა ქვეყნებმა, ისეთებმა როგორიცაა ავსტრალია, კანადა, ევრო კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ა.შ., დღგ-ს შემოღების მეშვეობით, თავიანთი საგადასახადო სისტემის მოდერნიზირება განახორციელეს. მიუხედავად ამისა აშშ-მა და იაპონიამ დღგ-ის დანერგვაზე უარი თქვეს იმის საფუძველზე, რომ აღნიშნული გადასახადი საბოლოო ჯამში მოხმარებას ამუხრუჭებს.

ამასთან, ცალკეულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიოს ქვეყნებში დღგ-ს შემოღების დასაბუთება გახდა - გაყიდვებიდან გადასახადის არაეფექტიანობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ გაყიდვებიდან გადასახადის სისტემაში, სანამ პროდუქცია იქნება წარმოებული, დასაწყისში შემომავალი მოწოდებები (ნედლეული, მასალები და ა.შ.) იბეგრება გადასახადით. პროდუქცია შემომავალი საგადასახადო დატვირთვით იქნება გამოშვებული, რომელიც რეალიზაციის დროს კვლავ დაიბეგრება. ყოველივე ეს იწვევს ორმაგ დაბეგვრას, რაც არასამართლებრივად არის მიჩნეული. ეჭვს არ იწვევს, რომ ბიზნესი ასეთი დიდი ხარჯების გაღებაში არ არის დაინტერესებული, მაგრამ ისმის კითხვა: რამდენად მართებულია ბიზნესისათვის მძიმე ხარჯების საბოლოო მომხმარებელზე გადაკისრება?

განვლილი პერიოდის ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამდე (1992 წლამდე) ქვეყნის ბიუჯეტი 70-75%-ის ფარგლებში მეურნე სუბიექტების მიერ გადახდილი პირდაპირი გადასახადებით ივსებოდა, შესაბამისად, ირიბი გადასახადების სახით საზოგადოება საქართველოს ბიუჯეტს მხოლოდ 25-30%-ის ფარგლებში ავსებდა.

ცხრილი 1-ის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ 2021 წელს საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 11,436.5 მლნ. ლარი, მათ შორის: პირდაპირი გადასახადების სახით (საშემოსავლო და მოგების გადასახადები) შესაბამისად 3,492 და 1,015 მლნ. ლარი, სულ 4,507 მლნ. ლარი, რაც მთლიანი გადასახადების 40% შეადგენს; ირიბი გადასახადების სახით (დღგ და აქციზის გადასახადები) შესაბამისად 4,885 და 1,869 მლნ. ლარი, სულ 6,753 მლნ. ლარი, რაც მთლიანი გადასახადების 60% შეადგენს; ბიუჯეტი თანხობრივად იზრდება, მაგრამ პროდუქციის ფასების ზრდის ხარჯზე (არასასაქნოლო ზრდა).

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად გვინდა შევეხოთ სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი და ირიბი გადასახადების მეურნე სუბიექტებისა და ფიზიკური პირების ხარჯზე შევსებადი „საგადასახადო ტვირთის“ გადანაწილებაში „ოქრის კვეთას“ პროპორციის (შესაბამისად 62% და 38%) გამოყენების საკითხსაც. ამის დასტურად შეიძლება გამოყენებული იქნას წყაროები: 2, 3, 5.

ცხრილი 1

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა 2015 – 2021 წწ. (მლნ. ლარი)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავლები	**8,170.5**	**8,580.0**	**9,750.3**	**10,595.6**	**10,675.0**	**10,490.4**	**12,750.3**
გადასახადები	**7,549.6**	**7,986.8**	**8,991.3**	**9,695.9**	**9,665.6**	**9,364.8**	**11,436.5**
საშემოსავლო გადასახადი	2,052.6	1,978.2	2,526.0	2,877.9	3,200.2	3,079.8	3,491.5
მოგების გადასახადი	1,025.2	1,055.9	756.6	736.6	866.3	919.4	1,015.3
დღგ	3,505.4	3,286.3	4,122.6	4,426.9	4,243.6	3,918.2	4,883.9
აქციზი	870.7	1,069.6	1,450.9	1,465.7	1,506.7	1,619.4	1,868.8
იმპორტის გადასახადი	69.2	70.1	71.6	73.4	79.1	74.4	86.4
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	26.5	526.5	63.6	115.4	-230.3	-246.4	93.6
გრანტები	315.6	296.8	289.9	339.4	420.2	409.0	343.7
სხვა შემოსავლები	305.3	296.4	469.1	560.3	589.2	716.6	967.1

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/91/sakhelmtsifo-finansebis-statistika

ცხრილი 2 (მლნ. ლარი)

სახელმწიფო ბიუჯეტის 2015 -2021 წწ. პირდაპირი და ირიბი გადასახადების „საგადასახადო ტვირთის“ გადანაწილებაში „ოქროს კვეთას“ პროპორციის გამოყენების შედეგები

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავლები:	**8,170.5**	**8,580.0**	**9,750.3**	**10,595.6**	**10,675.0**	**10,490.4**	**12,750.3**
გადასახადი:	**7,549.6**	**7,986.8**	**8,991.3**	**9,695.9**	**9,665.6**	**9,364.8**	**11,439.5**
მათ შორის: პირდაპირი გადასახადი	3,077.8	3,034.1	3,282.6	3,614.5	4,066.5	3,999.2	4,059.0
ირიბი გადასახადი	4,471.8	4,952.7	5,708.7	6,081.4	5,619.1	5,365.6	7,380.5
რეალური თანაფარდობა, პროცენტულად	42,1% / 57,9%	38,7% / 61,3%	36,5% / 63,5%	38,0% / 62,0%	42,0% / 68,0%	42,7% / 57,3%	35,5% / 64,5%
„ოქროს კვეთას“ პროპორციის გათვალისწინებით,%	62% / 38%	62% / 38%	62% / 38%	62% / 38%	62% / 38%	62% / 38%	62% / 38%
პირდაპირი გადასახადების მოცულობა	4,680.7	4,951.8	5,573.6	5,701.8	6,005.1	5,795.2	7,092.5
ირიბი გადასახადების მოცულობა	2,868.9	3,035.0	3,417.7	3,994.4	3,600.5	3,569,6	4,347.0
მოსახლეობის განკარგულებაში დარჩენილი დანაზოგები	1,662.9	1,923.3	2,291.0	2,085.5	2,018.7	1,796.0	2,745.5

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ.

„ოქროს კვეთას“ პროპორცია კაცობრიობისათვის უძველესი დროიდან არის ცნობილი. მას იყენებდნენ: ეგვიპტელი არქიტექტორები მონუმენტების ასაგებად, ასევე გეომეტრიაში, ეკონომეტრიკაში, პოეზიაში, მუსიკაში და განსაკუთრებით არქიტექტურაში, ეკონომიკაში ბიზნესის მართვის სფეროში, მშენებლობაში, ფინანსებსა და საბანკო მენეჯმენტში. იგი შეიმჩნევა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებში, ტვინის, სისხლის, მცენარის, ატომის აგებულებაში. პლანეტათა მოძრაობის უდიდესმა მკვლევარმა იოჰან კეპლერმა გამოთქვა მეტად ორიგინალური მოსაზრება“ „გეომეტრია ორ საუნჯეს ფლობს, ერთი მათგანია - პითაგორას თეორემა, მეორე კი - მონაკვეთის საშუალო და კიდურა შეფარდებებად დაყოფა. პირველი შეიძლება შევადართ ოქროს საწვავს, მეორე კი - უფრო ძვირფას ქვას მოგვაგონებს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალი თანამედროვე მეცნიერი თვლის, რომ „ოქროს კვეთას“ პროპორციის ყველა სფეროში და დარგში გამოყენებით ნებისმიერ საქმიანობაში „ოპტიმუმის“ მიღწევა არის შესაძლებელი. ამდენად იგი, ქვეყნის ბიუჯეტის შევსების წყაროების ანალიზიდან გამომდინარე, მოქმედი საგადასახადო კოდექსისა და საგადასახადო სისტემაში ჩამოყალიბებული გადასახადების სახობების თითქმის შეუცვლელად, საგადასახადო „ტვირთის“ კანონზომიერად გადანაწილების საშუალებად გვესახება [2,3,5]. ზემოაღნიშნულის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ცხრილი N2.

ცხრილი 2-ის მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ თუნდაც 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი და ირიბი გადასახადების „საგადასახადო ტვირთის“ გადანაწილებაში „ოქროს კვეთას“ პროპორციის (62% / 38%) გამოყენებით მოსახლეობის განკარგულებაში 2745.5 მლნ. ლარი დარჩებოდა, რომელიც ქვეყანაში საშუალო შემოსავლიანი დონის მოსახლეების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს.

დამატებული ღირებულების გადასახადი ამოიღება ყიდვა-გაყიდვის თითოეული აქტიდან, დაწყებული საქონლის წარმოების სტადიიდან მისი რეალიზაციის ჩათვლით. თითოეულ ეტაპზე მისი სიდიდე განისაზღვრება, როგორც სხვაობა - საქონლის მყიდველის მიერ გადახდილი გადასახადის ჯამსა და მისი მწარმოებლის მიერ ნედლეულის და მასალების მომწოდებელზე გადახდილი გადასახადის ჯამს შორის.

დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) იბეგრებიან არა საწარმოები, არამედ მომხმარებლები. ამ დროს საწარმოები გადასახადის შემგროვებლებად ანუ საგადასახადო აგენტის როლში გამოდიან, რაც სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანია. ცხადია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადმა პროდუქციის

საბოლოო ფასის „უკონტროლოდ გადიდების შესაძლებლობა ჩამოაყალიბა“. აქედან გამომდინარე ბოლო პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფასობრივად მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა, ხოლო მათი რეალური მოცულობა კი, თითქმის უცვლელი დარჩა. (ის რისი შეძენაც გასული საუკუნის 60 - 90-იან წლებში 10 დოლარად იყო შესაძლებელი, დღეს უკვე პირობითად 100 დოლარი და მეტი ღირს). ირიბი გადასახადები შედის რა საქონლისა და მომსახურების ფასში, ერთნაირად „აწვება“ ღარიბ და მდიდარ მოსახლეობას. მისი ტვირთის „ზედმეტად გადიდება“ არღვევს „სამართლებრივ პრინციპებს“ [5], ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ აშშ და იაპონიის მსგავსად ხომ არ ღირდა „ბრუნვიდან გადასახადზე“ დაბრუნება?

საქართველოს ეროვნული ვალუტის დევალვაციისა და დედოლარიზაციის კომპანიის ფარგლებში 2017 წლიდან ქვეყანაში ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი თითქმის გაორმაგდა. აქციზი დიზელის საწვავზე 220 ლარიდან 440 ლარამდე გაიზარდა, ბენზინზე 250-დან 500 ლარამდე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის მცურავ რეჟიზე გადასვლა, ისე როგორც ეს გამოიყენება თურქეთში. მცურავი რეჟიმი ნიშნავს, რომ თუ ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასი გაიზარდა, აქციზის გადასახადი იკლებს და პირიქით. ჩვენს პირობებში, ეს 1 ლიტრი საწვავის ფასს 0,8 – 1,0 ლარით შეამცირებს.

უკანასკნელ პერიოდში მეტად აქტუალური გახდა საერთაშორისო ფინანსურ ტრანზაქციებზე ახალი გადასახადების შემოღება. იგი ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების აღრიცხვიანობის დარეგულირების როლს შეასრულებდა. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი გადასახადის შემოღება, რომლის გონივრული გამოყენება, ქვეყნის ბიუჯეტში რეალური დამატებითი რესურსების წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საწინდარი გახდება.

ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის იდეა პირველად ჯ. მ. კეინსის მიერ იყო ინიცირებული. 1972 წელს ეს თემა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატმა ჯ. ტობინმა კვლავ წამოწია, და ყველა ტრანსმოსაზღვრე ოპერაციების ბრუნვიდან აღნიშნულ გადასახადს 0,05 - 1%-მდე სიდიდით დადგენას თავაზობდა. გლობალური კრიზისის დროს აღნიშნულმა იდეამ პოლიტიკოსების დონეზეც საკმაოდ ფართო მხარდაჭერა მოიპოვა. 2011 წლიდან ასეთი გადასახადის შემოღება ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკულ სიბრტყეშიც განიხილება. თავის დროზე აღნიშნულ ღონისძიებს მხარს უჭერდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ნ. სარკოზი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ა. მერკელი. ევროპის პარლამენტის პრეზიდენტმა მ. შულცმა ასევე გამოთქვა მხარდაჭერა ასეთი გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით: „მე ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის დადგენის დაბეჯითებითი მომხრე ვარ. მისი შემოღება დარგში, სადაც მოგება შეიძლება უზომოდ მაღალი აღმოჩნდეს, საშუალებას მოგვცემს უფრო წონადი შენატანი გაკეთდეს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში. ასევე მისცემს შესაძლებლობას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე სახსრების მოძიებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, გადასახადი ფინანსური სპეკულაციების თავიდან აცილებაშიც დაგვეხმარება, რომლებიც თანამედროვე კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადი მთელ მსოფლიოში უნდა იქნეს შემოღებული. ევროპის კავშირმა აღნიშნულზე G20-ის სხდომებზე უნდა იბრძოლოს“ [5]. ევროპული კომისიის გაანგარიშების მიხედვით, ასეთი გადასახადის განაკვეთის 0,01%-ის ოდენობით შემოღება ევროკავშირის ქვეყნების 57 მლრდ. ევროთი უზრუნველყოფას მოახდენდა. ევროპული კომისია 2012 წელს ოფიციალური წინადადებით გამოვიდა ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის შემოღების აუცილებლობის შესახებ. დაგეგმილი იყო, რომ აღნიშნული გადასახადი 2014 წელს იქნებოდა შემოღებული, მაგრამ შემდგომ, უფრო გვიანი ვადით გადაიდო.

სახელმწიფო ფინანსების გაუმჯობესებას ასევე, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი გამკაცრებაც შეუწყობდა ხელს. ასე, მაგალითად, მხოლოდ ევროკავშირში, ევროკომისიის ექსპერტების შეფასების მიხედვით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შედეგად, ბუიჯეტის დანაკარგები 1 ტრილიონი ევროთი ფასდება. სწორედ ამიტომ ევროპის კავშირში, ბოლო პერიოდში საბანკო ანაბრებთან მიმართებაში ანაბრების შესახებ ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. გამკაცრდა. პროცენტებიდან გადასახადის გადახდევინების შესახებ კანონმდებლობა. გარდა ამისა, გაწეულ იქნა ძალისხმევა ეროვნულ კანონმდებლობაში მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავის არიდების შესაძლებლობების აღმოფხვრასთან დაკავშერებით. ფართოდ განიხილება იმ ქვეყნების ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების კლიენტურის მონაცემების ავტომატური გაცვლის სისტემის ამოქმედება, რომლებიც ჯერჯერობით საგადასახადო „ნავსაყუდელად“ ითვლებიან. ასეთი ღონისძიება, გერმანიის ყოფილი ფედერალური კანცლერის ა. მერკელის მოსაზრებით, „საგადასახადო თაღლითობისა და დღემდე ჯერ კიდევ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ლეგალური ხერხების წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი მაგალითი“. იგი აღნიშნავს, „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფირმებმა გადასახადები გადაიხადონ იქ, სადაც რეალურად მუშაობენ (და არა იქ, სადაც იურიდიულად დარეგისტრირებულები არიან)“[3]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2015 წლიდან ლუქსემბურგმა საბანკო ინფორმაციების ავტომატურად გაცვლის სისტემაში პრაქტიკულად მიერთების თავისი მზადყოფნის შესახებ განაცხადა. გადასახადების გადახდისაგან თავის

არიდების ბრძოლასთან მიმართებაში ღონისძიებებს ავსტრიამაც დაუჭირა მხარი. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მრავალი ექსპერტი აღნიშნავს, ასეთ ღონისძიებებს შვეიცარიამ და ევროკავშირის საზღვრებს გარეთ განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებმაც დაუჭირონ მხარი.

რაც შეეხება საქართველოში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განაგრძობდნენ გარკვეული ვადიანობის - სადეპოზიტო სერთიფიკატების, სახელმწიფო ობლიგაციების, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებას, კერძოდ: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წელს გამოუშვა - 3 თვის ვადიანობის სადეპოზიტო სერთიფიკატები, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოიყენა როგორც ლიკვიდობის მართვის მიმზიდველი და ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი. 2021 წლის განმავლობაში გამოცხადებული 13 აუქციონიდან კომერციულმა ბანკებმა ყველა აუქციონზე სრული ოდენობით შეიძინეს გამოტანილი სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები განთავსდა და 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები დაიფარა;

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკი 152 მლნ. ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებს ფლობდა, რომლებიც წლის განმავლობაში ღია ბაზრის ობლიგაციებისათვის არ გამოიყენებოდა; საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წელს, ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების სახით იქნა გამოშვებული. 2021 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 6 თვიანი და 1 წლიანი ვადიანობის დისკონტური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ვალდებულებებისა და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი კუპონური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ობლიგაციების ემისიას ახდენდა. ფასიანი ქაღალდების ემისია ეროვნული ვალუტით, დემატერიალიზებული ფორმით ხდებოდა. ერთი ფასიანი ქაღალდის მინიმალური ღირებულება 1000 ლარია. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მიხედვით, „ბლუმბერგის" სისტემის აუქციონის პლატფორმის გამოყენებით ხორციელდებოდა. აუქციონში მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს, ხოლო მათი მეშვეობით კი, ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შეუძლია; 2021 წელს სახაზინო ფასიანი ქაღალდების 46 აუქციონი ჩატარდა, რომელთა მეშვეობით 1,25 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები განთავსდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული 5,5 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი 14 კომერციული ბანკი, ეროვნული ბანკი, ასევე არასაბანკო ინვესტორები იყვნენ. არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში 619,3 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყო. ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობამ 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი „ბენჩმარკ" ობლიგაციების გამოშვება 2018 წლიდან დაიწყო. ამან სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის გაზრდა განაპირობა, რაც დეფიციტის დაფინანსებისათვის აღებული საგარეო ვალისას წარმოშობილი სავალუტო რისკების შემცირებას უწყობს ხელს.

ეკონომიკური რეფორმების წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე არის დამოკიდებული. უდიდესი დეპრესიის დროს კრიზისის დაძლევაზე მიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არ არსებობამ, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაართულა, კერძოდ, საბანკო სისტემის პრაქტიკული კოლაფსი გამოიწვია. როგორც პროფესორი ი. კოვზანაძე თავის ნაშრომში მიუთითებს, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და ფინანსური სექტორისა და მთლიანობაში ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით, მონეტარული ხელისუფლებები ბოლო დროს აქტიურად იყენებდნენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორიცაა: სავალდებულო სარეზერვო განაკვეთის გარკვეული პერიოდით მნიშვნელოვნად შემცირება, რეფინანსირების განაკვეთის უპროცენტოდ დაბალი განაკვეთები, აქტივების გამოსყიდვის მასშტაბური პროგრამები, ცენტრალიზებული კრედიტების სხვადასხვა ფორმების ჩართვა [5, გვ. 237 – 242].

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნების უმეტესობაში ფისკალური პოლიტიკის სფეროში ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღებაზე მიმართული კურსი იქნეს გაგრძელებული. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირება მეტად აქტუალურ ამოცანად რჩება. ასე, მაგალითად, საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკის მონაცემების მიხედვით, 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე მიმოქცევადი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 43 ტრილიონი დოლარი შეადგინა და 2007 წლიდან იგი 80%-ითაა გაზრდილი.

ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტის თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. თუ საუბარია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილისა და საგადასახადო პოლიტიკის შესახებ, მაშინ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გადამანაწილებელი როლი იქნეს შენარჩუნებული, ხოლო რიგი მიმართულების მიხედვით კი - გაძლიერებულიც.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო შემოსავლების გადიდების რეზერვები ყოველთვის არსებობს, მაგალითად, აშშ-ში 1950-1960-იან წლებში შემოსავლებზე

გადასახადებმა 91% მიაღწია, ხოლო დღეისათვის იგი 35% არ აჭარბებს [3, გვ. 58]. ზემოაღნიშნულთან კავშირში შეიძლება იყოს ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადების შემოღება, რომელიც ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების დარეგულირების საშუალებას მოგვცემდა.

საგადასახადო მოსაკრებლების ოპტიმიზაციასთან ერთად სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც გულისხმობს მათგან ისეთების შემცირებას, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებას არ ახდენენ. თუმცა ამავე დროს, ხარჯები ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მხარდაჭერასთან მიმართებაში, საჭირო დონეზე უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამასთან, პირდაპირ სახელმწიფო ხარჯებთან ერთად, მიზანშეწონილია სახელმწიფო გარანტიები და ფინანსური სტიმულირების სხვადასხვა ინსტრუმენტები, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები იქნეს გამოყენებული. ამასთან ერთად, საჭიროა სწორად იქნეს გაგებული, რომ „ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებებისაგან განსხვავებით, რესურსების არაეფექტურად ხარჯვის გარდა, არაფრამდე მიმყვან დანახარჯებიან პროექტებზე უარის თქმა, გარკვეულ დროსა და გონიერებას მოითხოვს. სტიმულირების სრულყოფილ პაკეტს გაცვეთილი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ეფექტური დაბანდებებისაკენ მივყავართ და რასაც სამომავლოდ ეკონომიკურ ზრდაში საკუთარი წვლილი შეაქვს“ [7].

ამრიგად, როგორც ისტორიული, მათ შორის ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტების გონივრული გამოყენება, ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საშუალებას იძლევა. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტრუმენტების, დამანგრეველი კრიზისების წარმოქმნის არ დაშვებით, პრევენციულ ჭრილში გამოყენება ვისწავლოთ. კრიზისების დაძლევის სფეროში ჯერჯერობით საკმაოდ დიდი გამოცდილება არ არის დაგროვებული, მაგრამ რეალურად აღნიშნულ საკითხში ზომიერი ოპტიმიზმისათვის ყველა საფუძველი არსებობს.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვასა და აუდიტში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მიღებულ ავანსებთან მიმართებაში, კერძოდ, საწარმოს მიერ მიღებული ავანსი გახდა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი. ამასთან დაკავშირებით უნდა ავღნიშნოთ, რომ მიღებული ავანსის დღგ-ით დაბეგვრა წინაღმდეგობაშია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების მე-15-ე საერთაშორისო სტანდარტის - „ამონაგები მოხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მიხედვით, „თუ საწარმო მომხმარებლისგან იღებს ანაზღაურებას, მან მიღებული ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს ამონაგების სახით, თუ საწარმოს არ რჩება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის არავითარი ვალდებულება და ეს ანაზღაურება დაბრუნებას არ ექვემდებარება. მომხმარებლისგან მიღებული ანაზღაურება საწარმომ ვალდებულების სახით უნდა აღიაროს“ [8]. იქვე განმარტებულია, რომ „მომხმარებლისგან საავანსო ანაზღაურების მიღების შემდეგ „საწარმომ მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით“. ამავდროულად საგადასახადო კოდექსის მიხედვით საწარმომ „შემოსავალი უნდა აღიაროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“ [9]. მაშასადამე საწარმოს მიერ ავანსად მიღებული თანხა ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით არ არის ამონაგები (შემოსავალი) და შესაბამისად მისი დაბეგვრა მართლზომიერად არ მიგვაჩნია.

საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა, საჭირო გახადა ბუღალტრულ აღრიცხვაში შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება და ანგარიშთა გეგმაში დამატებითი ანგარიშების გახსნა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო მეთოდოლოგია დღემდე შემუშავებული არ არის, რის გამოც საწარმოები აღნიშნულ საკითხში იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს, ეს კი პრაქტიკაში იწვევს ბევრ გაუგებრობას რაც ცხადია სასურველი არ არის. ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა ქვემოთ მოცემული მეთოდოლოგია, კერძოდ, მიღებული ავანსის თანხაზე გადასახდელი დღგ ბუღალტრულად გატარდება 3341 ანგარიშის „ავანსებზე გადახდილი/გადასახდელი დღგ“ დებეტში, ხოლო მიღებულ ავანსებზე დარიცხული დღგ 3331ანგარიშის „მიღებულ ავანსებზე დარიცხული დღგ“ კრედიტში.

დასკვნა

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოში საგადასახადო სისტემის გარკვეული დოზით დარეგულირების მიზნით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

1. დამატებული ღირებულების გადასახადის ამოღება საქონლის ყიდვა-გაყიდვის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება. ფაქტობრივად მისი გადამხდელია საბოლოო მომხმარებელი. ცხადია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადმა პროდუქციის საბოლოო ფასის უკონტროლოდ გადიდების შესაძლებლობა ჩამოაყალიბა. აქედან გამომდინარე ბოლო პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფასობრივად მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, მათი რეალური მოცულობა უმნიშვნელოდ შეიცვალა. ირიბი გადასახადები შედის რა საქონლისა და მომსახურების ფასში, ერთნაირად „აწვება“ ღარიბ და მდიდარ მოსახლეობას. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ აშშ და იაპონიის მსგავსად ხომ არ ღირდა „ბრუნვიდან გადასახადზე“ დაბრუნება? ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათანადო წრეებში დისკუსიის გამართვის აუცილებლობა;

2. ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა,

არა მარტო ხარჯების ავტომატურად შეკვეცაში, არამედ საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევაში მდგომარეობს. თუ საუბარია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილსა და საგადასახადო პოლიტიკაზე, მაშინ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გადამანაწილებელი როლი იქნეს შენარჩუნებული, ხოლო რიგი მიმართულების მიხედვით კი - გაძლიერებულიც. საგადასახადო მოსაკრებლების ოპტიმიზაციასთან ერთად სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომელიც გულისხმობს მათგან ისეთების შემცირებას, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებას არ ახდენენ. ამასთან, პირდაპირ სახელმწიფო ხარჯებთან ერთად, მიზანშეწონილია სახელმწიფო გარანტიები და ფინანსური სტიმულირების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა მაგალითად, საგადასახადო შეღავათები და სხვ.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი და ირიბი გადასახდების მეურნე სუბიექტებისა და ფიზიკური პირების ხარჯზე შევსებადი „საგადასახადო ტვირთის" გადანაწილებაში „ოქროს კვეთას" პროპორციის (შესაბამისად 62% და 38%) გამოყენება აღნიშნული ტვირთის გადანაწილებაში ჰარმონიზაციის ფენომენის დამკვიდრების საწინდარი გახდება. ასეთ პირობებში ქვეყნის მოსახლეობას საკუთარი შემოსავლების სახით ყოველწლიურად საშუალოდ 3 მლრდ. ლარამდე დარჩება, რაც ხელს შეუწყობს საშუალო შემოსავლიანი მოსახლეობის ჩამოყალიბებას.

4. სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდებისა და სავალუტო-საფინანსო ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების შეზღუდვის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი გადასახადის შემოღება, რომლის გონივრული გამოყენება, ქვეყნის ბიუჯეტში რეალური დამატებითი რესურსების წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საწინდარი გახდება.

5. საქართველოს ეროვნული ვალუტის დევალვაციისა და დედოლარიზაციის კომპანიის ფარგლებში ბოლო წლებში ქვეყანაში ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი გაორმაგდა და შესაბამისად საწვავის ფასიც საკმაოდ გაიზარდა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თუნდაც თურქეთის მსგავსად, მცურავი აქციზის რეჟიმზე გადასვლა, რაც 1 ლიტრი საწვავის ფასს მინიმუმ 1 ლარის ფარგლებში შეამცირებდა.

6. ცნობილია, რომ 2017 წლიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვასა და ადმინისტრირებაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მეურნე სუბიექტების მიერ მიღებულ ავანსებთან მიმართებაში, კერძოდ, საწარმოს მიერ მიღებული ავანსი გახდა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი. ეს წინაღმდეგობაშია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლის მიხედვითაც „მომხმარებლისგან საავანსო ანაზღაურების მიღების შემდეგ საწარმომ მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით". მაშასადამე საწარმოს მიერ ავანსად მიღებული თანხა ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით არ არის ამონაგები (შემოსავალი) და შესაბამისად მისი დაბეგვრა მართლზომიერად არ მიგვაჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ. – „ოქროს კვეთას" პროპორცია ბუნებაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსებში, საბანკო საქმეში: ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხები, მონოგრაფია. - თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2016. – 126 გვ.;

2. ცაავა გ. - საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი (მონოგრაფია), ტომი 2 – „ფინანსური მენეჯმენტი: ფინანსური საქმიანობის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკუმი". - თბილისი, სს „პირველი სტამბა", 1999. - გვ. 610 – 617.;

3. ცაავა გ. - საბანკო მენეჯმენტის განვითარების პრობლემები საქართველოში. - სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2003, გვ. 169-178.;

4. ლ. გრიგალაშვილი, „ფინანსური აღრიცხვა", გამომცემლობა „გეორგიკა", თბ., 2014 წ.;

5. Ковзанадзе И.К. – уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития, 2016. – 272 с.;

6. Рубин Н. – как я предсказал кризис. – Москва, «Эксмо», 2011. – с. 244;

Шульц М. – Налог на финансовые транзакции должен быть введен во всем мире, Интервью RBC daity 22. 03. 2012, www.ru rbcdaity.ru;

7. ფასს 15 „ამონაგები მოხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან", პ.15-16;

8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 8, პ. 44 https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=183.

აგროდაზღვევა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები

ნატო კაკაშვილი
ასისტენტ პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
https://orcid.org/0009-0005-1399-1784
ტელ.599502696.
E-mail: Nato.kakashvili@tsu.ge

ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
https://orcid.org/0009-0001-1670-8463
ტელ.593944409.
Khatuna.barbakadze@tsu.ge

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.07

აბსტრაქტი

ფერმერულ-მეურნეობებსა და კოოპერატივებში მეურნეობისა და წარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სახსრების მოძიება, რადგან აგრარული სექტორის განვითარება ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, ამდენად, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აგრარული სექტორის განვითარებამ წამყვან პოზიციაზე გადმოინაცვლა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში. ამასთან, მსოფლიოც ღიად საუბრობს სასურსათო დეფიციტსა და მოსალოდნელ შიმშილზე. ბოლოწლებია სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს სოფლისმეურნეობის განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა სახის პროექტებს, მათ შორის, მნიშვნელოვანია აგროდაზღვევა. სახელმწიფოს ჩართულობის მიუხედავად, აგროდაზღვევაში სადაზღვევო პაკეტების არსებული შეთავაზებები საკმაოდ შეზღუდულია, საქართველოს მსგავსი სასოფლო სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრისა და განსხვავებული კლიმატური ზონების მქონე ქვეყნისთვის. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რეგიონები, ზონები სპეციფიკური რისკებით ხასიათდება. აგრარული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფერმერისთვის სპეციფიკური რისკების დაზღვევის შესაძლებლობა, რაც საქართველოში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. არსებული სისტემა ეფუძნება მხოლოდ ცალკეული რისკების დაზღვევას.

საკვანძო სიტყვები: მზღვეველი; სადაზღვევო რისკი; სადაზღვევო პაკეტი; აგროდაზღვევა; სეტყვა; ქარიშხალი; წყალდიდობა; საშემოდგომო ყინვა; საგაზაფხულო ყინვა.

ციტირებისთვის: აგროდაზღვევა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივა, ჟურნალი: „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 103-107.

AGRO-INSURANCE IN GEORGIA: CHALLENGES AND PROSPECTS

Nato Kakakshvili
Assistant Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Busines
https://orcid.org/0009-0005-1399-1784
Nato.kakashvili@tsu.ge

Khatuna Barbakadze
Associate Professor Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
https://orcid.org/0009-0001-1670-8463
Khatuna.barbakadze@tsu.ge

ABSTRACT

It is important to find financial funds for the development of farming and production in farms and cooperatives, because the development of the agricultural sector is an effective means of economic growth and overcoming poverty, therefore, the development of the agricultural sector is one of the priority directions of the Georgian government.The development of the agricultural sector has moved to a leading position in the conditions of the pandemic and the Russia-Ukraine war, while the world is openly talking about the food shortage and impending famine. In recent years, the state has been actively implementing various projects aimed at the development of agriculture, among which agro-insurance is important. Despite the involvement of the state, the existing offers of insurance packages in agro-insurance are quite limited for a country like Georgia with a wide range of agricultural crops and different climatic zones.Cultures, regions or zones of the country are characterized by specific risks. For the development of the agricultural sector, it is important to have the possibility of insuring specific risks for the farmer, which is significantly limited in Georgia. The existing system is based on the insurance of individual risks only.

Key words: insurer: insurance risk; insurance package; agricultural insurance; hail; the storm flood; autumn frost; Spring frost.

For citation: Kakakshvili N.,Barbakadze kh., Agroinsurance in Georgia: Challenges and Prospects Journal: "Business and Legislation", No. 1, 2023. p. 103-107.

ძირითადი ტექსტი

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.აგრარული სექტორის განვითარებამ წამყვან პოზიციაზე გადმოინაცვლა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, ამასთან მსოფლიოც ალაპარაკდა სასურსათო დეფიციტსა და მოსალოდნელ შიმშილზე.ჩვენი ქვეყნის მთლიანი ფართობის 43.40% სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობს უჭირავს.[1]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 40.32% (1487.5 ათასი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს. 2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში დასაქმებულთა 19.83% სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სფეროზე მოდის, ხოლო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აქტიური ნაწილის 43.5% თვით დასაქმებულია.ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ფერმერულ-მეურნეობებსა და კოოპერატივებში მეურნეობისა და წარმოების განვითარებისთვის ფინანსური სახსრების მოძიებაა, რადგან აგრარული სექტორის განვითარება ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. 2009 წელს, ნიდერლანდების მთავრობის დაფინანსებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ჩაატარა კვლევა,[2]თუ რა როლს ასრულებდა სოფლის მეურნეობა სიღარიბის დაძლევაში. კვლევა მოიცავდა თითქმის ყველა გეოგრაფიული არეალს და მსოფლიოში არსებულ ყველაზე ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს. კვლევის შედეგებმა დაგვანახა,რომ სიღარიბის შემცირებისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარება, რაც განაპირობებს მეტი ინვეტიციების ჩადებას სოფლის მეურნეობის კვლევა-განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2021 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის 17.5%-ს შეადგენს, რაც მიუთითითებს ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის მაღალ დონეზე, რადგან ქვეყანა იმაზე ნაკლებს აწარმოებს ვიდრე მოიხმარს. მოხმარებული საქონლის საგრძნობი ნაწილი იმპორტირებულია. იმპორტირებულ

1 საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027

2 Cervantes-Godoy, D. and J. Dewbre (2010), "Economic Importance of Agriculture for Poverty Reduction", OECD Food, Agriculture and Fisheries Working Papers, No. 23, OECD Publishing.

პროდუქტებში წლების მანძილზე დიდი წილი 30-40%[1]სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას უჭირავს.

აგროსექტორის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობების გაძლიერება, რამდენადაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას აქვს ფერმერული მეურნეობა. აუცილებლად მიგვაჩნია ფინანსური რესურსების მოზიდვისა და სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური წინსვლა-განვითარების ხელშეწყობა, ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში ადეკვატური აგრო პოლიტიკის გატარება და აგრომეწარმეების წვდომის გაზრდა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე (ნ. ქებაძე, 2019). წლებია სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს სოფლის-მეურნეობის განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა სახის პროექტებს, მათ შორის, მნიშვნელოვანია აგროდაზღვევის პროგრამა, რომელიც საქართველოში 2014 წლიდან მოქმედებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი მოიცავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: წყალდიდობა; სეტყვა; ქარიშხალი; ციტრუსოვანი კულტურებისთვის საშემოდგომო ყინვა რომელიც მოიცავს 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდს.

მზღვეველის ვალდებულება ერთ და მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში ძალაში შედის გარკვეული პირობების საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია ხუთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთის დაზღვევა. 30 ჰექტრამდე მარცვლეული კულტურების შემთხვევაში, დაზღვევა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე. თითოეული ბენეფიციარი 70%-იან თანადაფინანსებას იღებს პროგრამით გათვალისწინებულ კულტურებზე, გარდა ვაზისა, ვაზზე 50%-იანი თანადაფინანსება ვრცელდება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სოფლის მეურნეობის სააგენტოს მიერ გადასახდელი პრემიის ოდენობა 50 ათას ლარს არ უნდა აღემატებოდეს. დასაზღვევად მიიღება მხოლოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. პროგრამის მიერ ხდება სადაზღვევო ტარიფის განსაზღვრა. ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში, დაიზღვევა შესაბამისი წლის მოსავალი. მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, კი დაიზღვევა არაუმეტეს სამი წლის მოსავალი. მოცდის პერიოდი 4 კალენდარული დღით განისაზღვრება.

დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში დაახლოებით 33 ათასი აქტიური სადაზღვევო პოლისია, მათ შორის 19 ათასი სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობს. დაახლოებით 56%-ით არის გაზრდილი აგროდაზღვევის პოლისების რაოდენობა 2021 წელს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2021 წელს სადაზღვევო კომპანიებმა დაახლოებით 18 მლნ ლარის აკუმულირება შეძლეს სადაზღვევო პოლისების მეშვეობით, აქედან, სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის პოლისებზე დაახლოებით 16 მლნ ლარი მოდის. ანაზღაურებულმა ზარალმა საერთო ჯამში დაახლოებით 19.44 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 89% სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართული პოლისების ანაზღაურებულ ზარალზე მოდის.[2]

2020 წელს დაახლოებით 18 ათასი სადაზღვეო პოლისი გაიცა, დაზღვეულია 18 ათასი ჰა მიწის ფართობი, დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ 162 მლნ ლარი, ხოლო სახელმწიფო პრემიის წილმა 8 მლნ ლარი შეადგინა. აგროდაზღვევის პროგრამით 2014-2020 წლებში ანაზღაურებულია 827.9 მილიონი ლარის მოსავალი, გაცემულია 115800 პოლისი, ხოლო სახელმწიფოს მიერ გადახდილმა პრემიის წილმა 48.1 მლნ ლარი შეადგინა. დაზღვეულ იქნა დაახლოებით 104 ათასი ჰექტარი. ანაზღაურებულმა ზარალმა 45.3 მილიონი ლარი შეადგინა.[3]

2014-2021 წლებში აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით დაახლოებით ისარგებლა 62 ათასმა ბენეფიციარმა, დაზიანებული ნაკვეთის ფართობმა დაახლოებით 63 ათასი ჰა შეადგინა, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზარალის ანაზღაურებამ, კი დაახლოებით 65 მლნ ლარი. 2014 წელს პროდუქტი დაახლოებით 19 000-მა, ხოლო 2021 წელს დაახლოებით 9000-მა ბენეფიციარმა შეიძინა. წლების განმავლობაში იკლო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობამ, თუმცა ამის მიუხედავად, სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისების რაოდენობა შეიძლება ითქვას, რომ ბენეფიციართა რაოდენობასთან შედარებით მცირედით იკლებს, 2014 წელს მათი რაოდენობა დაახლოებით 21 ათასი იყო, ხოლო 2021 წელს დაახლოებით 19 ათასი[4]. აგროდაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზარზე მზარდია, თუმცა მიუხედავად ამისა. ის ჯერ მაინც საკმაოდ მცირეა და მთლიანი ბაზრის დაახლოებით 3%-ს მოიცავს.[5]

სახელმწიფოს ჩართულობის მიუხედავად, აგროდაზღვევაში სადაზღვევო პაკეტების არსებული შეთავაზებები საკმაოდ შეზღუდულია, საქართველოს მსგავსი სასოფლო სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრისა და განსხვავებული კლიმატური ზონების მქონე ქვეყნისთვის. ქვეყნის კულტურები, რეგიონები თუ ზონები სპეციფიკური რისკებით ხასიათდება. აგრარული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფერმერისთვის სპეციფიკური რისკების დაზღვევის შესაძლებლობა, რაც საქართველოში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. არსებული სისტემა ეფუძნება მხოლოდ ცალკეული რისკების დაზღვევას. აღნიშნული შეზღუდვების ფონზე ფერმერს საკმარისი მოტივაცია არ გააჩნია სადაზვევო პროდუქტის შესაძენად. ბენე-

1 მონაცემები გაანალიზებულია geostat.ge - ზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე

2 ინფორმაცია დამუშავებულია სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული მონაცემების საფუძველზე. insurance.gov.ge.

3 „ინფორმაცია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ", 2020.

4 მონაცემები მოწოდებულია სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ.

5 www.insurance.gov.ge/ka/News/davit_onofrishvilma_kanonmdeblebs_agrodazghvevis_bazris_bolo_ori_tslis_mimokhilvis_angarishi_gaatsno_

ფიციართა მცირე რაოდენობა ზრდის ალბათობას, რომ სადაზღვევო მომსახურებით ისარგებლებენ მხოლოდ მაღალი რისკის მქონე ფერმერული მეურნეობები, რაც სადაზღვევო კომპანიის პორტფელის რისკსაც ზრდის. გამომდინარე აქედან, კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის არამიმზიდველი და არარენტაბელური ხდება დააზღვიონ აგრარული რისკები.[1]

აგრარულ სექტორში ნაწილობრივ საშუალო და წვრილი ფერმერები არიან პიროვნებები რომლებიც ამუშავებენ მამა-პაპისეულ მიწებს (46%) ან არიან ქალაქში მაცხოვრებლები და რეგიონში ცდილობენ აგრო-ბიზნესის აწყობას (34%),ხოლო ადამიანების წილი, კი რომლებიც რეგიონის მაცხოვრებლები არიან და ქირაობენ მუშახელს, ან ამუშავებენ დაქირავებულ მიწას 15%-ია[2].

ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნია ფულადი სახსრები თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად და გამოშვებული პროდუქტის ხარისხის ასამაღლებლად, ამდენად, საჭიროა სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა და გრანტების მოპოვება. ფერმერმა უნდ აგაიაზროს საკუთარი მეურნეობის მოდერნიზაციისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების აუცილებლობა. ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში, მნიშვნელოვანია აგრო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება, ფერმერების წარმატების ისტორიების გაზიარება, რაც მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას, როგორც სახელმწიფოს, ასევე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

აგროდაფინანსების განვითარების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად მიგვაჩნია ქვეყანაში არსებული მეურნეობების მცირე მოცულობები. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული გრანტების დიდ ნაწილს მინიმალური თანადაფინანსების მაღალი ზღვარი აქვს. საერთაშორისო საგრანტო პროექტები ბენეფიციართა მხრიდან მოითხოვენ რამდენიმეწლიან გამოცდილებას და ფინანსურად მნიშვნელოვან თანამონაწილეობას.

აგრარულ სექტორში მცირე მეურნეობების (ფერმერული) დომინირება ართულებს ინვესტიციების მოზიდვას, შესაბამისად რთულდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი ინფრასტრუქტურული სამუშაოების გატარება და სხვადასხვა რეფორმის განხორციელება. აგროდაფინანსების საკითხში სახელმწიფოს ჩართულობის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ პროგრამები უნდა იყოს ფერმერის საჭიროებაზე მორგებული. აგროდაზღვევის პროგრამა არ ითვალისწინებს საგაზაფხულო ყინვების რისკს, თუმცა აზღვევს საშემოდგომო ყინვებით გამოწვეულ რისკებს მხოლოდ ციტრუსებისთვის. ფერმერთა ფინანსურად უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ინვესტიციები, რომელიც ხელს შეუწყობს აგრო დაზღვევისა და სოფლის მეუნეობის განვითარებას.

აგროდაზღვევის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამსრომლობა, როგორც ფერმერებთან, ასევე სადაზღვევო კომპანიებთან, ამასთან, გასათვალისწინებელია პროგრამის ჩარჩოების გაფართოება, ალბათ, სასურველი იქნებოდა საგაზაფხულო ყინვის დამატება, რაც გაზრდის პროგრამის მოთხოვნადობას ფერმერებში. აგროდაზღვევის საკმაო დონეზე განუვითარებლობის მიზეზად მიგვაჩნია მცირე ზომის ბაზარი, ფერმერების ნაკლები ინფორმირებულობა, კლიმატური ცვლილებები, სტიქიური მოვლენები, კოვიდ19-ის პანდემია. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულმა ანტიკრიზისულმა გეგმამ გავლენა იქონია პანდემიის პროცესში, ასევე არ შეწყვეტილა 2014 წელს ფერმერთათვის დაწყებული პროექტი.

აგროდაზღვევის მნიშვნელოვანი მიზანია ფერმერთათვის სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფა და სადაზღვევო პაკეტების ხელმისაწვდომ ფასში მიწოდება.

დასკვნა

ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნია ფულადი სახსრები თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად და გამოშვებული პროდუქტის ხარისხის ასამაღლებლად, ამდენად, საჭიროა სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა და გრანტების მოპოვება. ფერმერმა უნდა გაიაზროს საკუთარი მეურნეობის მოდერნიზაციისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების აუცილებლობა. ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში მნიშვნელოვანია აგრო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება, ფერმერების წარმატების ისტორიების გაზიარება, რაც მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას როგორც სახელმწიფოს ასევე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

აგროდაფინანსების განვითარების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად მიგვაჩნია ქვეყანაში არსებული მეურნეობების მცირე მოცულობები. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული გრანტების დიდ ნაწილს მინიმალური თანადაფინანსების მაღალი ზღვარი აქვს. საერთაშორისო საგრანტო პროექტები ბენეფიციართა მხრიდან მოითხოვენ რამდენიმე წლიან გამოცდილებას და ფინანსურად მნიშვნელოვან თანამონაწილეობას.

სახელმწიფოს მიერ გატარებული პროგრამები უზრუნველყოფს აგროდაზღვევის წარმატებულ დარგად გადაქცევას, ამდენად მნიშვნელოვანია მის მიერ გატარებული ღონისძიებები, კერძოდ, სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიებთან ერთად უნდა შეიმუშაოს ფერმერებზე მორგებული საუკეთესო სადაზღვევო პაკეტები. სადაზღვევო პროდუქტების გაიაფება, სადაზღვევო რისკების გაფართოება გაზრდის ფერმერების დაინტერესებას აღნიშნული პროდუქტის მიმართ.

1 საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, „აგრარული მეურნეობა გამოწვევები და შესაძლებლობები“, 2020.
2 ნ.რუხაია-მოსემღვდლიშვილი, „საქართველოს აგრარულ სექტორში მიმდინარე პროექტების ანალიზი“, 2019.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. კაკაშვილი. (2021). სადაზღვევო საქმე,. თბილისი: თსუ;

2. ნ.რუხაია-მოსემღვდლიშვილი. (2019). საქართველოს აგრარულ სექტორში მიმდინარე პროექტების ანალიზი;

3. Cervantes-Godoy, D. (2010). Economic Importance of Agriculture for Poverty Reduction. . OECD Food, Agriculture and Fisheries Working Papers, No. 23;

4. ვერულავა თ. ობგაიძე ნ. (2015). აგროდაზღვევის პრობლემები და სოციოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, №1;

5. კაკაშვილი, ნ. (2015). სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები,. ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა №1 იანვარი–მარტი,, 39-43;

6. კაკაშვილი, ნ., & ბარბაქაძე ხათუნა. (2022). აგროდაზღვევა: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიღწევები და გამოწვევები ,. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიეროკონფერენცია,4-5 ნოემბერი. თბილისი: თსუ;

7. კაკაშვილი, ნ., & ბარბაქაძე, ხ. (2021). სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ჟურნალი ახალი ეკონომისტი. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი № 3-4 (62-63), გვ.33-41;

8. კაკაშვილი, ნ., & კახნიაშვილი , ნ. (2019). ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდები. ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი „ეკონომიკა და ფინანსები" საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის" UDC (უაკ), [33+336];

9. კახნიაშვილი, ნ., & კაკაშვილი, ნ. (2019). ეკონომიკურ-ფინანსური ტენდენციების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი";

10. ნ. ქებაძე (2019). სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მექანიზმი აგრარულ სექტორში საქართველოში;

11. ნადიბაიძე ნ, ჭიჭაყუა. მ. (2021). დაზღვევა, როგორც რისკის მართვის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტი ფერმერულ მეურნეობაში. აგრო ექსპერტთა ასოციაცია;

12. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. (2020). აგრარული მეურნეობა გამოწვევები და შესაძლებლობები. Retrieved დეკემბერი 12, 2021;

13. საქართველოს კანონი "დაზღვევის შესახებ" . (1997, 5 31). Retrieved from საქართველოს პარლამენტის უწყებანი;

14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (n.d.). www.geostat.ge. Retrieved დეკემბერი 19, 2021, from www.geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika;

15. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. (2020). წლიური ანგარიში 2020. Retrieved 05 07, 2022;

16. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. (n.d.). https://www.insurance.gov.ge. Retrieved დეკემბერი 21, 2021, from https://www.insurance.gov.ge: https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics;

17. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. (2012). სადაზღვევო საქმე. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია".

სოფლის მოსახლეობის დასაქმების აქტუალური საკითხები

დეზდემონა მაღლაკელიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0000-3464-8153
dezimaglakelidze@mail.ru

ნათელა ვაშაკიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0001-3354-6777
nateladato@mail.ru

დიანა უგლავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი
https://orcid.org/0009-0000-5181-044X
uglavadiana@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.08

რეზიუმე

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტად გვევლინება ძირითადად სოფლის შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება ან თვითდასაქმება. დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის ორი უმთავრესი გზა არსებობს, რომელთაგან პირველი ყველასათვის ცნობილი სახელმწიფო სამსახურის ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე მათი დასაქმებაა, ხოლო მეორეს წარმოადგენს ახლად შექმნილი სამუშაო ადგილები, რომლებიც შეიქმნება სოფლად მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარებით. სოფლის მოსახლეობის დასაქმებით უნდა აისახოს ეკონომიკური აქტივობა, რომელიც მათი კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. დასაქმება და აქტივობა დამოკიდებულია სოფლის მცხოვრებთა ზრდის დინამიკაზე, ასაკობრივ სტრუქტურაზე, პროფესიულ შემადგენლობაზე და შრომის ანაზღაურებაზე. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში არა სახარბიელო მდგომარეობაა, რადგან მცირდება, როგორც სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა, ასევე სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რაოდენობა. სხვა დარგებში დასაქმებულებებთან შედარებით დაბალია მათი შრომის ანაზღაურება.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის განვითარება აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთებული და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით შემუშავებული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ახალდაზრდა თაობის ზრდა-დასაქმებას, მათ სოციალურ და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. საბოლოოდ შენელდება სოფლის მოსახლეობის მიგრაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე შეჩერება საზღვარგარეთ მიგრაციაც.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, დასაქმება, შრომითი რესურსები, უმუშევრობა დასაქმების პრობლემები.

ციტირებისთვის: მაღლაკელიძე დ., ვაშაკიძე ნ., უგლავა დ., სოფლის მოსახლეობის დასაქმების აქტუალური საკითხები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 108-112.

CURRENT ISSUES OF RURAL EMPLOYMENT

Dezdemona Maghlakelidze
Academic Doctor of Economic Sciences,
Akaki Tsereteli State University Associate Professor,
https://orcid.org/0009-0000-3464-8153
dezimaglakelidze@mail.ru

Natela Vashakidze
Academic Doctor of Economic Sciences,
Akaki Tsereteli State University Associate Professor,
https://orcid.org/0009-0001-3354-6777
nateladato@mail.ru

Diana Uglava
Doctor of Business Administration,
Akaki Tsereteli State University Invited specialist
https://orcid.org/0009-0000-5181-044X
uglavadiana@gmail.com

ABSTRACT

The priority of agricultural development in Georgia is the employment or self-employment of the able-bodied rural population. Its known by everyone that there are two main ways to solve the employment problem, the first of which is to employ them in the vacant jobs of the state service, and the second is the newly created jobs, which will be created by the development of small and micro businesses in rural areas. Employment of the rural population should reflect economic activity, which is one of the necessary conditions for the growth of their well-being. Employment and activity depands on rural population growth dynamics, age structure, occupational composition and wages. In this case, the situation in our country is not favorable, because both the number of rural population and the average number of people working in agricultural farms are decreasing. And their wages are lower compared to people, who are employed in other fields.

Therefore, it is necessary to generate agriculture with the economic policy of the state, based on science and encouraged by the experience of other developed countries, which will contribute to the growth and employment of the young generation, to solve their social and economic problems. Finally, the migration of the rural population might slow down, in both - within the country and moving abroad, these processes likely become more noticeable.

Key words: Agriculture, employment, labor resources, unemployment, employment problems.

For citation: Maglakelidze D., Vashakidze N., Uglava D., Current issues of employment of the rural population, Journal "Business and Legislation", No. 1, 2023. p. 108-112.

შესავალი

მსოფლიო გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის პროცესების ფონზე, საქართველოში სოფლის მეურნეობის ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ეფექტურ გზად და განვითარების პრიორიტეტად მიჩნეულია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების, ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოდინებას. სოფლის მეურნეობის საწარმოებს მხოლოდ შიგა ბაზარზე ორიენტირებულება ვერ მისცემს განვითარება გაფართოების საშუალებას. სოფლის საწარმოთა სიმძლავრეების განახლება-გაძლირებას, შრომის ეფექტურ დანაწილებას, ინტეგრაციასთან ერთად, ადამიანური და შრომითი რესურსები აძლიერებს. შრომთი რესურსი, როგორც ნებისმიერი მეურნეობრიობის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც წარმოების თანაბარ პირობებში უზრუნველყოფს პროდუქციის და მომსახურების გადიდებას და ეფექტიანობის ამაღლებას. ამიტომაც აუცილებელია მთავრობამ და ხელისუფლებამ იზრუნოს სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის გაზრდაზე. აღნიშნულის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გახდეს დასაქმება, ან თვითდასაქმება ადგილობრივი სოფლის მეურნეობის საწარმოებში.

ასეთ მოცემულობაში, აქტუალურია გამოვიკვლიოთ თუ რა მდგომარობაა საქართველოს სოფლის მეურნეობის შრომითი რესურსების გამოყენებაში, რა პრობლემები ზრდიან უმუშევრობას და სოფლის მოსახლეობის მიგრაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

ძირითადი ტექსტი

მიმდინარე დემოგრაფიული პროცესი ადასტურებს, რომ ამჟამად საქართველოში მოსახლეობის რიცხობრიობა მცირდება. საწარმოო ძალების განვითარების თვალსაზროსით, მცირე და საშუალო ბიზნესი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბაზრო ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ობიექტურად ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის წარმოების გადიდებას ისეთი ადგილობრივი ფაქტორების სრულად ამოქმედება, როგორებიცაა: მოსახლეობის საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები, სოფლის საწარმოთა სპეციალიზაცია, არსებული საწარმოო პოტენციალი, ტერიტორიული რესურსები და სხვა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ განსაკუთრებით მთიან და სხვა დეპრესიულ რეგიონებში, სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარება, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა, როგორც სახელმწიფოს მხიდან სერიოზული მხარაჭერა, დახმარება კერძო სტუქტურებისაგან, ასევე საზღვარგარეთის კაპიტალის შემოდინება და დაბანდება.

საქართველოში მიმდინარე ეტაპზე სოფლის მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის ორი უმთავრესი გზა არსებობს, რომელთაგან პირველი ყველასათვის ცნობილია, რადგან ეს არის დასაქმება სახელმწიფო სამსახურის ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე. ხოლო მეორეა ის სამუშაო ადგილები, რომლებიც უნდა ახლად შეიქმნას გრანტებით, კერძო ინვესტიციებით და კრედიტით, ანუ მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარებით. როგორც ცნობილია, პრიორიტეტულია მეორე გზა და თუ ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა სოფლის მეწარმეობის განვითარებას, მათთვის ხელსაყრელი საინვესტიციო, საგადასახადო, საბაჟო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, მაშინ ძალიან დიდი ალბათობით, ადმინისტრაციულ პირობებში და არსებული რესურსების ბაზაზე შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები სოფლის პროდუქტების წარმოებასა და მომსახურების სფეროში, მომსახურების სფეროდან, განსაკუთრებით, - ტურისტული მომსახურება. სოფლის მეურნეობის საწარმოთა მენეჯერები თვითონ ირჩევენ მათთვის საჭირო პროფესიებს, ან უმუშევარი მოქალაქე თავისი უნარის, პროფესიისა და კვალიფიკაციის მიხედვით, თვითონვე გამონახავს შესაფერის სამუშაოს, ან კიდევ თავად წამოიწყებს სამეწარმეო საქმიანობას. ამ ეტაპზე სახელმწიფო, საბიუჯეტო დაფინანსებით, თავად ახორციელებს პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა პროფესიული პროგრამებით, პროფესიული სასწავლო და უმაღლესი დაწესებულებების მეშვეობით.

სოფლის მოსახლეობის იერ-სახისა და იმიჯის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი, მისი ინტელექტუალური დონე და ეკონომიკური აქტივობა. „ქართული სოფელი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფენომენი ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ“ [1. გვ.14]. აღნიშნულისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სოფლად დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღებას, ადგილზე ახალგაზრდების გამრავლებასა და დამაგრებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომითი რესურსების დასაქმებას და მათ შრომის ეფექტიანობას. განსაკუთრებულ გაანალიებას საჭიროებს სოფლის მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების საკითხი, სადაც „შრომითი რესურსების საერთო რაოდენობა 1990 წელს სულ 610 ათ. კაცს, ანუ სოფლის მოსახლეობის 25.1 %-ს შეადგენდა. 2004 წლისათვის კი ამ მაჩვენებელმა, შესაბამისად 1624 ათ. და 65.7 % შეადგინა, ანუ გაიზარდა 2,7-ჯერ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1990-2004 წლებში ქვეყნის მოსახლეობის შემცირების ყოველ ერთ პროცენტზე შრომითი რესურსი 0.37%-ით შემცირდა, ხოლო სასოფლო მოსახლეობაში პირიქით - მოსახლეობის ზრდის ყოველ პროცენტზე შრომითი რესურსი 18%-ით გაიზარდა“ [1. გვ.51]. მომხდარი ცვლილებები არ იყო მოულოდნელი, რადგან ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში ფორმაციული ტრანსფორმაცია, რომელმაც საზოგადოებრივი საკუთრება შეცვალა კერძო საკუთრებით, რასაც წინ უსწრებდა მიწის რეფორმა და სხვა. ყოველივე ამან გამოიწვია სოფლის მეურნეობაში ახალი გარემო. კერძოდ, საპენსიო ასაკის ხუთი წლით გაზრდამ, ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირების პირობებში, გამოიწვია სოფლად მცხოვრები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და აქაც გაჩნდა უმუშევრობა და ჰიპერინფლაცია. ბოლო წლებში საქართველოს სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების დინამიკაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებლები (იხ. ცხრილი №1):

როგორც ვხედავთ, სოფლის მცხოვრებთა რიცხო-

ცხრილი 1

ქვეყნისა და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 2017-2021 წ წ

მაჩვენებლები	2017	2018	2019	2020	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით, ათასი	3726,4	3729,6	**3728,5**	**3716,9**	**3728,6**
მ.შ. სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	1564,6	1554,8	**1539,1**	**1522,4**	**1512,9**
სოფლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობაში	42,0	41,7	**41,3**	**41,0**	**40,6**

ცხრილი №2

სასოფლო მეურნეობების განაწილება მეურნის სქესისა და ასაკის მიხედვით (%)

ასაკობრივი ჯგუფები	2018			2019			2020			2021		
	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ
<25	0,5	0,5	0,5	0,6	0,6	0,6	0,4	0,3	0,3	0,1	0,3	0,3
25-39	4,0	9,1	7,5	4,1	9,0	7,4	3,8	7,9	6,6	3,3	6,8	5,7
40-59	27,0	44,0	38,6	28,9	46,2	40,6	27,3	44,4	38,9	27,7	42,1	37,5
≥60	68,5	46,4	53,4	66,4	44,2	51,4	68,5	47,5	54,2	69,0	50,7	56,6
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

ვნობა ყოველწლიურად მცირდება და ეს მაჩვენებელი დინამიკაში გაუარესების ტენდენციით ხასიათდება.

სოფლის მოსახლეობის უმუშევრობასთან შედარებით, ამ პერიოდში ყველაზე სწრაფი ტემპით გაიზარდა თვითდასაქმება. აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგების შეჩერებითა და დაბალი დონით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითდასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი არსებითად ჩამორჩებოდა, როგორც წარმოების სხვა დარგებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულთა შემოსავლებს, ასევე მინიმალურ საარსებო მინიმუმს. „2008 წლისათვის ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა ხელფასი ორჯერ მეტი იყო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხელფასზე“ [2. გვ.52]. ამ პერიოდში აგროსექტორში უკიდურესად დაბალი იყო შრომის ფონდშეიარაღება, რის შედეგად შრომისნაყოფიერება ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, არსებული განსხვავება ყოველწლიურად იზრდება. აღნიშნულ მდგომარეობას ამძიმებს „16 წლამდე მოზარდთა რიცხოვნობის შემცირებისა და 65 წელს ზემოთ ასაკის მქონე მოსახლეობის ზრდის განსაკუთრებით გამოკვეთილი ტენდენციები შეიმჩნევა შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში“ [2.გვ.53]. ბოლო წლების მიხედვით, სოფლის მოსახლეობის შემცირება და მათი დასაქმების პრობლემები გაიზარდა მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობის დასაქმებით უნდა აისახოს ეკონომიკური აქტიურობა. დასაქმება მათი კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი დამოკიდებულია სოფლის მცხოვრებთა ზრდის დინამიკაზე, ასაკობრივ სტრუქტურასა და პროფესიულ შემადგენლობაზე.

შრომითი რესურსების ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას, რადგან მისი შევსების მთავარი წყარო შრომისუნარიან ასაკში შესული ახალგაზრდობაა. ამ კუთხით სოფლის მოსახლეობის განხილვა და გაანალიზება აუცილებელია. (იხ. ცხრილი №2).

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასოფლო მოსახლეობის სურათი არადამაკმაყოფილებელია. კერძოდ, 25 წლამდე ასაკის მოსახლეობა 2021 წელს 2018 წელთან შედარებით შემცირდა 0,2 %-ით, 25-39 ასაკის 1,8 %, 45-59 ასაკის 1,1%-ით, ხოლო 60 წლის ზევით გაიზარდა 3,2 %-ით. ახალგაზრდობის წილის ზრდა სოფლის მეურნეობის მოსახლეობაში თითქმის არ ხდება, რაც საგანგაშო მდგომარეობაა.

საქართველოში, ისე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, საყურადღებოა შრომითი რესურსების დასაქმება, ამ მხრივ საინტერესოა, როგორია სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზრუნველყოფის დონე შრომითი რესურსებით, რომელიც გაიანგარიშება სოფლის მეურნეობაში ფაქტობრივად მყოფი შრომითი რესურსის შეფარდებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საერთო სავარგულების ფართობთან. ბოლო ორი წლის განმავლობაში, სქესის და რეგიონების მიხედვით, სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რაოდენობას ასახავს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილი №3):

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ როგორც ქვეყნის, ისე ყველა რეგიონების მიხედვით, სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია, რაც არამარტო უარყოფითი, არამედ საგანგაშო მდგომარეობაა, რადგან არც ერთ რეგიონში დასაქმების მატება არ გვაქვს. დასაქმების შემცირება უკავშირდება შრომის ნაყოფიერების და შრომაუკუგების მაჩვენებლებს, მათი ზრდა შესაძლებელია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სწორი მენეჯმენტით, თავად შრომითი რესურსების პროფესიულ-კვალიფიციური დონის ამაღლებით. კერძოდ, საჭიროა მაღალკვალიფიციური აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ვეტექიმები და სხვა. მაღალკვალიფიცირი შრომითი რესურსების ზრდა-განვითარებას, მათ ეფექტურ გამოყენებას ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის ჩამოყალიბებამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, როდესაც სამუშაო ძალის ფასი მოთხოვნა-მიწოდებით და მათ შრომითაც განისაზღვრება. ფაქტია,

ცხრილი №3

სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რაოდენობა სქესის და რეგიონების მიხედვით (ათასი კაცი)

	2020			2021		
	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ
საქართველო	659,6	765,2	1424,8	638,9	727,4	1366,4
აჭარის არ	48,1	56,9	105,0	45,9	52,9	98,8
გურია	36,9	39,7	76,6	37,3	34,4	71,7
იმერეთი	109,6	128,8	238,5	104,4	123,5	227,9
კახეთი	159,6	162,4	321,7	153,3	152	305,3
სამეგრელიო-ზემო სვანეთი	89,5	101,4	190,9	91,3	98,1	189,5
სამცხე-ჯავახეთი	38,8	49,9	88,7	37	48,0	85
ქვემო ქართლი	68,2	78,1	146,3	65,6	79,8	145,4
შიდა ქართლი	63,8	95	158,8	60,4	88,5	148,9
დანარჩენი რეგიონები	45	53,2	98,2	43,6	50,2	93,8

რომ მათი შრომის ანაზღაურება დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ყველა რესურსების (მიწა, შრომა, კაპიტალი) ოპტიმალური გამოყენებით წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათზე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში უნდა გაიზარდოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის როლი, რითაც შესაძლებელი გახდება, როგორც დასაქმებულთა რაოდენობრივი ზრდა, ასევე მათი შრომისანაზღაურების გაზრდა. საპირისპირო შედეგი გვექნება თუ სახელმწიფო უყურადღებო დამოკიდებულებას გამოიჩენს სოფლის მეურნეობის მიმართ, რადგან კიდევ უფრო გაუარესდება სოფლის მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა, უფრო მაღალი ტემპით დაიწყება მოზარდთა მიგრაცია არა ქვეყნის შიგნით, რასაც ამ ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი, არამედ უკვე მეტად შესამჩნევი ხდება საზღვარგარეთ მიგრაცია.

სოფლად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მცირდება და ბერდება. ყოველივე ამისათვის აუცილებელია დროულად სოფლის მეურნეობის განვითარება მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად ადვილად რეალიზებადი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ძირითადი პრიორიტეტების და მიმართულებების განვითარებას სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, რომლებსაც განვითარებული სასოფლო-სამეურნო წარმოება მისი შესაბამისი თანამედროვე ტექნიკა-ტექნოლოგიებით და მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსებით გააჩნიათ.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, როგორც სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, სოფლის მეურნეობის განვითარებას და შრომითი რესურების გამოყენების მდგომარეობა საგანგაშოა - მოსახლეობა, შესაბამისი სასტარტო რესურსების უქონლობისა და სახელმწიფო დახმარებების გარეშე, ვერ ახერხებს შექმნას სასოფლო სამეურნეო საწარმო ან ჩაებას პროდუქციის წარმოების პროცესში. აქედან გამომდინარე, ეზებს გზებს გავიდეს საშოვარზე.

აქედან გამოსავალია სოფლის მეურნეობის განვითარების მოტივაციების შექმნა და ამ პროცესისთვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა.

სოფლის მოსახლეობის დასაქმების ზრდით ბუნებრივია შემცირდება სოციალური საფრთხის შემცველი ისეთი პროცესი, როგორიცაა სოფლის მოსახლეობის მიგრაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რაც საბოლოოდ შეაჩერებს სოფლების დაცლას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას ყველა მისი საუკეთესო ასპექტით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭითანავა ნ., აგრარული სექტორი ახალი გამოწვევების წინაშე, ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, №2 მარტი 2014 წ.;

2. კოღუაშვილი პ., შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემები სოფლის მეურნეობაში. ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, ოქტომბერი 2010;

3. https://www.geostat.ge/media/46404/soflis_meurneoba_2021.pdf;

4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia;

5. https://www.geostat.ge/media/38833/soflis_meurneoba_2020.pdf.

ინკლუზიური ბიზნეს მოდელები და ქართული რეალობა

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.09

აბსტრაქტი

მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობა გლობალური პრობლემაა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში.

მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობის მაღალი დონის არსებობა იწვევს სოციალურ დაძაბულობას საზოგადოებაში და ხელს უშლის მას მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიღწევაში. საქართველოსმაგვარიან უფრო ღარიბი ქვეყნების სიღარიბის დაძლევის პროგრამების განხილვამ, მათმა ანალიზმა და შეფასებამ, გამოკვეთა სიღარიბის ეტაპობრივი დაძლევის კონცეპტუალური ხედვა. მაგალითად, ბიზნესში ღარიბი მოსახლეობის ჩართვა, ანუ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, ინკლუზიური ბიზნესი, უთანასწორობა, ეკონომიკური ზრდა, ადამიანისეული განვითარება.

ციტირებისთვის: კახნიაშვილი ნ., ინკლუზიური ბიზნეს მოდელები და ქართული რეალობა, ჟურნალი: „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023, გვ. 113-117.

ნათია კახნიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://orcid.org/0009-0004-0759-198X
E-mail: natia.kahniashvili@tsu.ge

INCLUSIVE BUSINESS MODELS AND GEORGIAN REALITY

Natia Kakhniashvili
Doctor of Business Administration,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0004-0759-198X
E-mail: natia.kahniashvili@tsu.ge

ABSTRACT

Inequality in population income distribution is a global problem. This problem is especially acute in developing countries. The existence of a high level of inequality in the incomes of the population causes social tension in the society and prevents it from reaching the level of sustainable socio-economic development.The discussion of poverty alleviation programs of countries like Georgia or poorer, their analysis and evaluation, outlined the conceptual vision of gradual poverty alleviation.For example, the inclusion of the poor population in business, that is, the creation of an inclusive business model.

Keywords: Poverty, inclusive business, inequality, economic growth, human development.

For citation: Kakhniashvili N., Inclusive business models and Georgian reality, Business & Lew, No1. 2023, p. 113-117.

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების ძირითადი უფლებების დაცვა, რისთვისაც მისი თითოეული ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის აღმოფხვრისა და შემოსავლებში უთანასწორობის შემცირებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია შესაბამისი მოვლენების შესწავლა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა და არსებული მდგომარეობის რეალური სურათის ასახვა, რაც განაპირობებს მოცემული თემის მნიშვნელობასა და აქტუალობას.

საქართველოს მთავრობა გვისაბუთებს, რომ საქართველოს ეკონომიკა იზრდება. მაგალითად, კოვიდ-19-ის პანდემიამ ეკონომიკური ზრდის პროცესი დროებით შეაჩერა. (ILO, 2020). 2021 წელს კი რეალური მსპ-ს ზრდა 10.5 % იყო, 2022 წელს მსპ-ს ზრდა -10.1%, ხოლო 2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) ზრდამ 8.4 პროცენტი შეადგინა (საქსტატი 2023).

დიაგრამა 1
წყარო: geostat.ge



2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, სასტუმროები და რესტორნები. თუ საქართველოს ეკონომიკური ზრდა უტყუარი ფაქტია, ხოლო სიღარიბე ქვეყანაში მკვეთრად არ მცირდება, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ღარიბი მოსახლეობის პოტენციალი გამოუყენებელია (Kakhniashvili, 2023). საქართველოს სტაბილურად სოლიდური ეკონომიკური ზრდა სჭირდება, რათა ევროპულ ქვეყნებს დაეწიოს და რეალური შემოსავლები გაზარდოს (კონსტანტინო, 2023).

საგულისხმოა ზემოთ აღნიშნული დარგები, სადაც შესაძლებელია ღარიბების ჩართვა, როგორც კლიენტებისა და მყიდველების მოზიდვის გზით, აგრეთვე მათთან თანამშრომლობა მომუშავეების და მეწარმეთა სახით (ხიჯაკაძე, 2022).

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) 2008 წლის მოხსენებაში მოყვანილია იმ კომპანიების მაგალითები, რომლებიც ღარიბების ბიზნესში ჩართვით იღებენ მოგებას, ქმნიან ზრდის ახალ პოტენციალს და ამაღლებენ ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონეს. მოხსენების საკვანძო აზრია: „ბიზნესი ღარიბების მონაწილეობით - ყველასთვის მომგებიანია“ (UNDP, 2008).

აღნიშნული მოხსენება დაფუძნებულია ბევრი წარმატებული კომპანიის მაგალითზე, რომლებიც ბიზნესს ახორციელებენ ღარიბი მოსახლეობისჩართულობით. განხილული მაგალითები გვთავაზობენ იდეების ფართო ნაკრებს საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შესაქმნელად. ამ მოდელში ღარიბები ჩართული იქნებიან მომხმარებლის სახით; როგორც კლიენტების და მყიდველების, ასევე ღირებულების შექმნის ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე თანამშრომლების, მწარმოებლებისა და მეწარმეთა სახით. იგი უზრუნველყოფს ბიზნესის ურთიერთხელსაყრელ განვითარებას ღარიბთა მონაწილეობით. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის უპირატესობა მხოლოდ უშუალო მოგების მიღებასა და შემოსავლის ამაღლებაში არ გამოიხატება. ბიზნესისთვის ეს იქნება ინოვაციური მიდგომების განვითარება, ბაზრების გაფართოება და მომარაგების სისტემის განმტკიცება.

ბიზნესში ჩართულობა მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს დასაქმებისა და ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს. დასაქმება კი სიღარიბის გადალახვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. უმუშევრობით გამოწვეული

დიაგრამა 2
წყარო: geostat.ge



სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა (აბესაძე, 2013). საქართველოში თითქოს ამ კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესება შეინიშნება, რასაც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიც მოწმობს, თუმცა ეკონომიკური ზრდის შედეგებმა ქვეყანაში ვერ უზრუნველყო მოსახლეობის უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი შემცირება. (არჩვაძე, 2022)

საგულისხმოა, რომ ღარიბებთან ბიზნესს შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს ახალი ბაზრების განვითარებას, სამუშაო ძალის რეზერვის გაფართოებასა და წარმოებით-გამსაღებელი ჯაჭვის გამყარებას. ხშირ შემთხვევაში ღარიბებთან ერთად ბიზნესის წარმართვას უფრო მაღალი მოგების მოტანა შეუძლია, ვიდრე ბიზნესს განვითარებულ ბაზრებზე. რიგმა ორგანიზაციამ მიკროკრედიტების სფეროში შეძლეს დიდი მოგების მიღება. მაგალითად, მიკრო–საფინანსო ორგანიზაციამ მოლდოვაში (RFC), რომლის სუფთა მოგებამ 2008 წელს 1.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მასზე მოდის სექტორის მოგების 29%, ბაზრის წილი - 25%. რეგიონის ფერმერებსა და მეწარმეებს სთავაზობს ფინანსურ მომსახურებას ხელსაყრელი პირობებით, რითაც ხელს უწყობს რეგიონის განვითარებას.

ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნას შეუძლია ხელი შეუწყოს ინოვაციური გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მაგალითად, ღარიბების საჭიროებისა და მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად კომპანიებმა უნდა მოახერხონ ხარისხისა და ფასის შეხამება. მათ უნდა შეძლონ ღარიბებთან თანამშრომლობის სიტუაციაში ბიზნეს-მოდელის ახალი პროდუქტების და მომსახურების დამუშავება, რომლებიც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნას ღარიბთა ბაზრებზე კომპანიის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად (UNDP 2010).

ღარიბი მოსახლეობა სამუშაო ძალის შევსების მძლავრი წყაროა. მათი დაქირავების უპირატესობა ცილდება დანახარჯის შემცირების ჩარჩოს. შესაბამისი სწავლებისა და ეფექტური მარკეტინგის დროს ღარიბებს შეუძლიათ უზრუნველყონ პროდუქტებისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, ხოლო ადგილობრივი ბაზრისა და კავშირების ცოდნის გამოყენება შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონის ღარიბი მოსახლეობის, როგორც მყიდველთა რაოდენობის გასაფართოებლად. მაგალითად ალბანეთში კომპანია Edipackამზადებს შესაფუთ მასალას გადამუშავებული ნარჩენებისაგან, რომელსაც აგროვებს ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოებისა და ოჯახებისაგან, რითაც უზრუნველყოფს თვეში საშუალოდ 160 აშშ დოლარის შემოსავალს ერთ სულზე. კომპანიის ამ საქმიანობამ ხელი შეუწყო მისი კოსმეტიკის მწარმოებელი ფილიალის ზრდას , რომლის გაყიდვები 60%-ით გაიზარდა, ხოლო ბრუნვამ 2008 წელს შეადგინა 2 მლნ აშშ დოლარი(UNDP 2010).

ღარიბთა ინტეგრაცია ასევე შესაძლებელია მწარმოებლის, მომწოდებლის, დისტრიბუტორთა, საცალო გამყიდველთა, ფრანშიზის მფლობელთა სახით(შაბურიშვილი, 2017). როგორც აღვნიშნეთ ეს პროცესი დაეხმარება, კომპანიას რომელიც მუშაობს ადგილობრივ ბაზრებზე, გააფართოვოს მყიდველთა წრე და შეამციროს გარკვეული რისკები.

ბიზნესმა შეიძლება ხელი შეუწყოს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას ანუ გაეროს ტერმინოლოგიით - ადამიანისეული პოტენციალის განვითარებას, რომელიც ღირსეული ცხოვრების მიღწევაში აისახება, მაგალითად: ძირითადი მოთხოვნილების უზრუნველყოფა,ღარიბთა მწარმოებლურობის ამაღლების შესაძლებლობა, შემოსავლის ამაღლება და ღარიბთა პოტენციალის გაფართოება.

თუმცა ღარიბებთან ბიზნესის კეთება კომპანიებისთვის გარკვეულწილად ძნელი და სარისკოა, რადგან იქ სადაც სიღარიბეა ბაზრის ფუნქციონირების საფუძველი - მოგება, როგორც წესი, არ არსებობს. ამიტომ კომპანიები არ მისწრაფვიან ღარიბებთან თანამშრომლობაში. ასეა საქართველოშიც.

ამ სფეროში არსებობს რიგი პრობლემები, მაგალითად, ბაზრებზე ინფორმაციის შეზღუდულობა,განუვითარებელი ინფრასტრუქტურა,ცოდნისა და კვალიფიკაციის უკმარისობა,შეზღუდული დაშვება ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე და ა.შ.

საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე ემატება კიდევსხვა პრობლემები და სხვა ბარიერები. ერთ-ერთი დაკავშირებულია ბინადრობის ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა საქართველოს დეპრესიულ რაიონებში - სამცხე-ჯავახეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, ზემო სვანეთი და სხვა ცხოვრობენ. ეს ადგილები ნაკლებ დასახლებული და მიუდგომელია. ბიზნესს ვერ აიძულებ ამ ადგილებში მისვლას, მანამ იქ არ შეიქმნება ბიზნესისთვის საჭირო პრეფერენციები. თვალსაჩინოა თურქეთის მაგალითზე ქსოვილების მწარმოებელი კომპანია Hey textile, რომელმაც განალაგა თავისი საწარმოებიმიუწვდომელ რეგიონებში, სადაც საწარმოო დანახარჯები ნაკლებია, რის შდეგადაც კომპანიის მოგება 10%–ით გაიზარდა და დასაქმდა 1,000–ზე მეტი დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანი (მათ შორის 50% ქალი). ასევე აზერბაიჯანში ხალიჩების მწარმოებელი კომპანია Gadim Guba, რომელიც ფლობს ყოფილ სახელმწიფო საწარმოს და ცდილობს აღადგინოს ხალიჩების ტრადიციული ქსოვის ტექნიკა, იყენებს ბუნებრივ საღებავებს და დასაქმებული ყავს 140 ღარიბი ქალი, რომელიც შეადგენს ძირითად სამუშაო ძალას (UNDP.2010).

სიღარიბესთან ბრძოლა არ არის ბიზნესის ამოცანა, მისი ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, რომელიც ობიექტურად იწვევს დასაქმებულთა რიცხოვნების ზრდასა და მათი რეალური შემოსავლის დონის ამაღლებას. მაგრამ თუ ბიზნესი არ მიდის ღარიბი მოსახლეობის კონცენტრაციის ზონებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის არახელსაყრელია ამ დეპრესიულ რეგიონებში საქმიანობა, ან მისთვის არსებობს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ბარიერები, მაგალითად, მსოფლიოში სასურსათო ფასების ამჟამინდელი ზრდა ქმნის ქართული სასოფლო წარმოების განვითარების წინაპირობას. ამ საკითში მნიშვნელოვანია სახელმწი-

ფოს მხარდაჭერა. ამრიგად, თუ სიღარიბის დაძლევის ეს სტრუქტურა არ ამუშავდა, მაშინ დეპრესიულ რაიონებს, (ასეთები კი საქართველოში ბევრია)ნელი, თუმცა აუცილებელი კვდომა ემუქრება (კახნიაშვილი, 2019).

არსებობს მოსახლეობის დიდი კატეგორია, რომელიც თუმცა მუშაობს, მაგრამ მათი ხელფასი არასაკმარისია თავისი და კმაყოფაზე მყოფთა გამოსაკვებად. (ვირსალაძე, 2019) ღარიბი მოსახლეობის კიდევ ერთი კატეგორიაა ძალზე დაბალი პოტენციალის მქონე პირები. მეტწილად მარგინალური ჯგუფები (ნარკომანები, ალკოჰოლიკები...), რომელთა ჩართვა შრომის ბაზარზე ძალზე რთულია. მოსახლეობის ეს კატეგორია საქართველოში ფართოვდება და მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ჯერჯერობით სახელმწიფოს როლი ამ სფეროში მხოლოდ სასჯელით ან მიზერული დახმარებით შემოიფარგლება, რომელიც, რა თქმა უნდა, პრობლემას ვერ წყვეტს და მოსახლეობის ეს კატეგორიაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისგან უკუგებას ვერ იღებს (კახნიაშვილი, 2019). ასევე მოსახლეობა შემცირდა საქართველოში. ემიგრაციის მთავარი მიზეზი აქაც სიღარიბეა (ნამჩავაძე, 2023).

საინტერესოა შვედური მოდელიც. შვედური ინოვაციური სააგენტო „ინოვაციური ხიდი", რომელიც ქმნის სასტარტო კაპიტალს ინოვაციური კომპანიებისათვის და ასტიმულებს როგორც მთლიანად მრეწველობას, ისე განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ საქმიანობას. ქვეყნის ინოვაციური სააგენტო, „ინოვაციურ ხიდთან" ერთად, ახორციელებს ქვეყანაში ბიზნესის ინკუბატორების განვითარების ათწლიანი პროგრამის რეალიზაციას.

მცირე მეწარმეობის მხარდაჭერაზე შვედეთში იხარჯება დაახლოებით 4% იმ თანხებისა, რომელიც გამოიყოფა სამრეწველო პოლიტიკის განხორციელებაზე, მათი დიდი ნაწილი რეალიზდება ადგილობრივ და რეგიონალ დონეზე, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს საკოორდინაციო პოლიტიკას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს მცირე ბიზნესის განვითარებისათვის.

შვედეთში წარმატებით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფებისათვის (ახალგაზრდების, ქალი-მეწარმეების, უმუშევრების, ემიგრანტების) მეწარმეობის მხარდაჭერაზე. ქვეყანაში ყოველწლიურად იქმნება ათეულ ათასობის მცირე და საშუალო საწარმო, რომელთა 20% მოდის 30 წლამდე ახალგაზრდებზე, 30% - ქალებზე, 20% - უმუშევრებზე და ასევე 20% - ემიგრანტებზე. ამ პროგრამების წარმატებით რეალიზაციისა და მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით ასეთი საწარმოების დიდი ნაწილი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და შემდგომში განაგრძობს თავის არსებობას.

შვედური გამოცდილება უნიკალურია, თუმცა ქვეყანაში გამოყენებული ეკონომიკური და სამრეწველო პოლიტიკის ინსტრუმენტებით პირდაპირ, კორექტირების გარეშე, სარგებლობა შეუძლებელიცაა სხვა ეკონომიკურ გარემოსა და პირობებში.

ინკლუზიურ ბიზნესს, როგორც წესი, განსაზღვრული ამოცანები აქვს, რომელთა შორის გამოიყოფა სახელმწიფოს მხრივ საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფის სტიმულირება, რომელიც აუცილებელია რომელიმე რაიონში ბიზნესის გასაძღოლად. ზოგჯერ ცალკეულ ინდივიდის ან კომპანიის საქმიანობას შეიძლება ფართო შედეგი მოყვეს (ბაზრის სტრუქტურის ცვლილება ან ახალი ბაზრების გახსნა). მაგალითად, Tiviski-ს (აქლემური რძის ფერმა მავრიტანიაში) ფერმის დამფუძნებელთა საქმიანობის წყალობით, ევროკავშირმა ახალი რძის პროდუქტებისათვის ბაზარი შექმნა. ასე შეიძლება შეიქმნას ქართული ბაზრები ევროპაში, თუ კი რომელიმე ქართული კომპანია წარმოიწყებს მათ წარმოებას ღარიბების ჩართვით.მთავრობას შეუძლია, პრობლემებზე, რომელსაც ბიზნესი აწყდება ამ სფეროში, სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება და ამ პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზების შეთავაზება.რათა ხელი შევუწყოთ ისეთი პოლიტიკისჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. (NDI,2019).

დასკვნა

ინკლუზიურ მოდელს ბიზნესისათვის მოაქვს როგორც მოგება, ასევე უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის მოზიდვას, დასაქმების ზრდას, პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის არხების გაძლიერებას. დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობას კი ინკლუზიური ბიზნესი საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნილებები, გახდნენ სტაბილურად შემოსავლიანნი და მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება სხვადასხვა კუთხით.

საგულისხმოა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ინკლუზიური ბიზნესის კუთხით, რასაც საფუძვლად უდევს საზოგადოების მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და წარმატებული სამეწარმეო პრაქტიკა (Furceri, 2020). საქართველოში კი მნიშვნელოვანია მთავრობასთან დიალოგი პოლიტიკის დამუშავების საკითხებზე. დიალოგი ღარიბ მოსახლეობასთან ბიზნესის წარმართვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ შემთხვევაში კომპანია თავისთავზე ლიდერის როლს იღებს, რამდენადაც ასეთ ბაზრებზე ბიზნესის წარმართვის პირობები ჯერ კიდევ შეუქმნელია. ყველა პრობლემა, რომელსაც ბიზნესი ღარიბთა ბაზრებზე აწყდება, სხვადასხვა ზომით დაკავშირებულია სამთავრობო პოლიტიკასთან. რიგ შემთხვევაში კომპანიები თავისით პოულობენ ბაზარზე არსებული სიძნელეების გადალახვის შემოქმედებით გზებს, თუმცა სასურველია ამ საქმეში მთავრობის ჩართვაც, რადგან მთავრობას შეუძლია, პრობლემებზე რომელსაც ბიზნესი აწყდება, სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება და ამ პრობლემების შესაძლებელი გადაჭრის გზების შეთავაზება.

წარმატებულ ქართულ კომპანიებს აქვთ პოტენციალი შექმნან ინკლუზიური ბიზნეს მოდელები საქართველოში და უფრო დიდ წარმატებას მიაღწიონ არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abesadze, R. (2013). Living standard of the population, poverty and unemployment in Georgia. Proceedings of the Academy of Economic Sciences of Georgia.

2. Archvadze,I. (2022). According to the World Bank's report, after 2012, poverty rates in Georgiadecreased by 1.5-2.0 times, including extreme poverty, which was actually halved. tbilisi: imednius.

3. Furceri D, Loungani,P((2020).). How Pandemics Leave the Poor Even Farther Behind, . IMF.

4. http://www.worldbank.org. (თ. გ.). http://www.worldbank.org;. მოპოვებულიhttp://www.worldbank.org;-დან

5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done. (თ. გ.). https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done. მოპოვებულიhttps://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done-დან

6. ILO, A. 2.-1. (22.05.2020. წლის 22 05). https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang- en/index.htm . მოპოვებული ILO, https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang- en/index.htm : ILO, https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang- en/index.htm

7. Kakhniashvili, N. (2023). ROLE OF TAXES IN OVERCOMING POVERTY.,. GEORGIAN SCIENTISTS.

8. NDI, P. A. (2019 წლის 4 05). https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll. მოპოვებული https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-დან

9. UNDP. (2010). ბიზნესის მონაწილეობა სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტაში", .

10. საჰა დ, ფავლენიშვილი ლ,(2015). ბიზნეს-სერვისები: საქართველოსპოტენციალი,. ბერლინი/თბილისი.

11. ხიჯაკაძე ნ, რაზმაძე თ. (2022). ახალიბაზრისათვისებადამომავალიმომხმარებლებისაღმოჩენა. https://act-global.com/.

12. კონსტანტინო ფ, (2023) ევროკავშირი საქართველოსთვის.UNDP

13. კახნიაშვილი ნ, კაკაშვილი ნ (2019). ეკონომიკურ-ფინანსურიტენდენციებისზოგიერთიასპექტისაქართველოშითანამედროვეგლობალიზაციისპირობებში, . თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი".

14. კახნიაშვილი ნ (2019). ინკლუზიურიბიზნესმოდელი, როგორცსიღარიბისდაძლევისერთ-ერთიფინანსურიასპექტი. . გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომების კრებული, თსუ, 1-2 ნოემბერი,, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.

15. შაბურიშვილიშ, (2017). ინკლუზიურიბიზნესისგანვითარებისთავისებურებებიგლობალიზაციისპირობებში, გლობალიზაცია, ევროკავშირი და საქართველო.

16. ნამჩავაძე ბ, (2023). საქართველოდან ემიგრაციის მთავარი მიზეზი სიღარიბეა, Business media Georgia.

17. ვირსალაძე ნ, ყიფიანი ნ (2019) დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილები საქართველოს ეკონომიკის დილემა, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში,შრომების კრებული, თსუ, 1-2 ნოემბერი,, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.

რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.10

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია ქვეყნის მთავრობის მიერ შემუშავდეს ისეთი ეკონომიკური პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს არსებულ რთულ რეალობას და მოახდენს ქვეყნის წინაშე მდგარი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემატური საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას.

ეკონომიკური პროგრამის შედგენაში მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. სწორედ მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით უნდა იქნეს მიღებული ეკონომიკის მდგრადი განვითარების პროგრამა. თუ სწრაფად არ მოხდა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მაშინ პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური განვითარება, ინფლაცია, უმუშევრობა, ექსპორტის ზრდა, დემოგრაფიული მდგომარეობა

ციტირებისთვის: ჭიჭინაძე ბ., რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 118-123.

ბორის ჭიჭინაძე
ეკონომიკის დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორი
https://orcid.org/0000-0002-3179-4750
Borkach2020@gmail.com

TRENDS IN THE DEVELOPMENT OF THE NATIONAL ECONOMY OF GEORGIA AGAINST THE BACKGROUND OF THE ONGOING HOSTILITIES BETWEEN RUSSIA AND UKRAINE

Boris Tchitchinadze
Doctor of Economics, Visiting Professor of Akaki Tsereteli State University
https://orcid.org/0000-0002-3179-4750
Borkach2020@gmail.com

SUMMARY

Considering the complex political and economic situation in the world, the country's government needs to develop such an economic program that will consider the difficult reality facing the country as much as possible and allow timely resolution of problematic issues of national importance. The National Academy of Sciences of Georgia should participate as much as possible in preparing the economic program. It is on the basis of scientific studies that the sustainable development program of the economy should be adopted. If appropriate steps are not taken in time, the political and economic situation will become much more complicated.

Key words: economic development, inflation, unemployment, export growth, demographic situation.

For citation: Tchitchinadze B., Trends in the development of the national economy of Georgia against the background of the ongoing hostilities between Russia and Ukraine, Journal of Business and Legislation, No. 1, 2023. p. 118-123.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების მდგომარეობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ქვეყანას გააჩნია განვითარების ისეთი პროგრამები, რომელიც მორგებულია ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და ორიენტირებულია მოსახლეობის კეთილდღეობის ყოველწლიურად გაუმჯობესებაზე. სამწუხაროდ საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გასულია 30 წელზე მეტი, სრულყოფილი ეროვნული ეკონომიკური პროგრამები არ მიუღია. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით, სწორედ ეხლა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური პროგრამის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს მსოფლიოში არსებულ მძიმე რეალობას და უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის პროგრამების შემუშავებზე და ეროვნულ-ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტულობაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე. „აქამდე მივიწყებულ ეკონომიკურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას, პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა“ - ამბობდა ის.

ილია აღნიშნავდა: „ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. ის აკრიტიკებდა ასევე იმდროინდელ ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, კერძოდ ბაზარზე გაბატონებულ ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც ადგილობრივ მწარმოებლებს პროდუქციის გაყიდვის გასაქანს არ აძლევდნენ, აიძულებდნენ საქონელი მათთვის კაპიკებში მიეყიდათ და ამ პროდუქტის რეალიზაციიდან დიდი მოგება შუამავლებს დარჩენოდათ.

ილია ჭავჭავაძე თავის ეკონომიკურ შეხედულებებში თამამად აღნიშნავდა, რომ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის აუცილებელია, პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ჯანსაღი კონკურენციის არსებობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა, ანუ ის აღნიშნავდა ყველა იმ მექანიზმის გამოყენებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს. ანუ, თუ განვიხილავთ ილიას იმდროინდელ შეხედულებებს, თამამად შეგვიძლიათ ვთქვათ, რომ მას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და ანალოგიური პოლიტიკის გატარება ქვეყნისთვის დღესაც აუცილებლობას წარმოადგენს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი ხედვა გააჩნდა ნიკო ნიკოლაძესაც. ის ქვეყნის მატერიალური დოვლათის შექმნაში განსაკუთრებულ როლს მრეწველობას ანიჭებდა. ის მოითხოვდა საქართველოში არსებული ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებას, რაშიც განსაკუთრებულ როლს ცოდნას და განათლებას ანიჭებდა. ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძის მსგავსად აღნიშნავდა, რომ ქვეყანამ უნდა გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ვაჭრობას, ხელს შეუწყობს მოქალაქეების დასაქმებას, გააუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას, შეამცირებს საბანკო კრედიტის განაკვეთს. საბანკო საქმიანობის ანალიზისას ის ძალიან ფრთხილობდა და აღნიშნავდა, რომ ბანკის საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და არა მის გაკოტრებაზე. ამ აქტივობების ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად უმთავრეს ფაქტორად ნიკო ნიკოლაძეს ცოდნა და კვალიფიკაციის ამაღლება მიაჩნდა. რომლის გარეშეც მას ქვეყნის განვითარება ვერ წარმოედგინა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნავდა: „ქვეყნისთვის აუცილებელია, რომ საზოგადოებამ გამოიჩინოს დაინტერესება ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებისადმი. ის ქვეყნის განვითარების საქმეში ფულს დიდ როლს ანიჭებდა და ამბობდა, რომ ფული წამწყმედელიც არის კაცისთვის და მაცხონებელიც. ვინც ფულის გონივრული მოხმარება იცის, ფული მას აცხონებს, ხოლო, ვინც არა--წაწყმედს“.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და ცნობადობის გაზრდის მიზნით, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ცოდნასა და განათლებას. ის ამბობდა, რომ „აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს საქართველოს მოსახლეობაში ცოდნა-განათლების დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად. სწორედ განათლებულ ადამიანს შეუძლია სიკეთის მოტანა საკუთარი ქვეყნისათვის“.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევის და საქართველოში ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია შემუშავდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროგრამა, მისი შემუშავებისას საკვანძო საკითხებად უნდა გამოიყოს შემდეგი მიმართულება:

ა) მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა;

ბ) ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შემცირება;

გ) სამართლიანი სახელფასო პოლიტიკის შემუშავება საჯარო სექტორში;

დ) ინფლაციის დონის დარეგულირება;

ე) ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება;

ვ) ეფექტური საჯარო მმართველობა;

ზ) მოსახლეობის განათლების და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულობა;

თ) ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრინციპების დანერგვა;

ი) იმ პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირება, სადაც უფრო ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული იქნება უცხოური ინვესტიციების განთავსება;

კ) ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების გათვალისწინებით, უცხოური ინვესტიციების შემოდინებისას, გარკვეული რეგულაციების დაწესება;

ლ) არაეფექტური საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმირება. ადგილობრივ წარმოებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკის გატარება;

მ) რეალური საარსებო მინიმუმის დადგენა;

ნ) ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული საბანკო სისტემის დანერგვა.

ზოგადად ცნობილია, რომ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვან სფეროს, მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს. მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით აუცილებელია მოხდეს დღეს არსებული საგადასახადო კოდექსის ძირეული, კარდინალური ცვლილებები. აღნიშნული საგადასახადო კოდექსი თავის დროზე (2010 წელს) საქართველოს პარლამენტის მიერ, მიღებულ იქნა ქვეყანაში იმ დროს არსებული იმპორტიორების ლობირებით და მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლიდან აღნიშნულ კანონში მრავალი ცვლილება შევიდა, ის ნაკლებად უწყობს ხელს ეროვნული ეკონომიკის დარგების განვითარებას. არსებული კოდექსის პირობებში 2010 წლიდან, ქვეყანაში განვითარდა შემდეგი სახის უარყოფითი პროცესები:

ა) მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე;

ბ) გაიზარდა ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მაჩვენებელი;

გ) გაუარესდა გადასახადების გადამხდელების საგადასახადო კულტურა;

დ) განადგურების პირას მივიდა ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა ტრადიციული დარგები;

ე) გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი;

ვ) გაიზარდა ქვეყნის შიდა და საგარეო ვალის ოდენობა და მან კრიტიკულ დონეს მიაღწია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში;

ზ) კიდევ უფრო გაიზარდა როგორც მდიდრების, ასევე ღარიბების რაოდენობა.

მნიშვნელოვან ცვლილებას საჭიროებს ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების საქართველოში დაბეგვრის სპეციფიკა. კანონმდებლობით უნდა განესაზღვროს ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს, რომ გაასაჯაროვონ მონაცემები კომპანიების დამფუძნებლების შესახებ, დღეს ეს პრინციპები დარღვეულია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის არალეგალური ფულის ქვეყნის შიგნით მოძრაობის რისკს და პრობლემებს უქმნის სამთავრობო სტრუქტურებს ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული სუბიექტების გადასახადებით დაბეგვრის ადმინისტრირებისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წელი) მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელი. იმდროინდელი საქსტატის მონაცემებით საქართველოში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტში აღურიცხავი წილი შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა: 1996 წელი--მშპ-ის 26.9 %, 1997 წელი--30.2 %, 1998 წელი--28.4 %, 1999 წელი--29.2 %, 2000 წელი-32,9 %, 2001 წელი-32,7 %, 2002 წელი--34.1 %. ჩრდილოვანი საქმიანობის მაღალი წილი შეინიშნებოდა ეკონომიკის ისეთ სფეროებში, როგორიცაა: მრეწველობა (39%), მშენებლობა (54 %), ტრანსპორტი (44 %), ვაჭრობა (67 %), რესტორნები და სასტუმროები (70 %), აქვე საჭიროა აღინიშნოს ის, რომ იმდროინდელი ექსპერტული გათვლებით და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ის 65 %-ს აღწევდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 05 ნოემბრის №622 და 2003 წლის 24 ივნისის №282 ბრძანებულებები--„ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროგრამის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა სხვადახვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 27 სექტემბრის №571 ბრძანებულებით გაუქმდა, სანაცვლოდ კი, საკითხის აქტუალობის მიუხედავად სხვა კანონი არ მიღებულა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამჟამად რაიმე სახის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, მათ შორის, სხვადასხვა სამთავრობო (ცენტრალური, რეგიონული, მუნიციპალური) დონეებზე გასატარებელ ღონისძიებებს, ფაქტიურად არ არსებობს. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ საქართველოს კანონი ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომელიც მიღებულია 2009 წლის 11 დეკემბერს, ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ აწვდის მთავრობას ობიექტურ ინფორმაციას ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების შესახებ, როგორიცაა: ინფლაცია, უმუშევრობა, საარსებო მინიმუმი და სხვა. ეს ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს აღნიშნული მაჩვენებლების გამოაგარიშების სრულყოფილი მეთოდოლოგიები. კიდევ უფრო რთულადაა საქმე მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისას, რადგანც კანონი არ ავალდებულებს არცერთ სახელმწიფო ორგანოს (ცენტრალური, რეგიონული, მუნიციპალური) შეაგროვოს მუნიციპალურ დონეზე ისეთი სახის სტატისტიკური ინფორმაცია, როგორიცაა: უმუშევრობის დონე, ადგილებზე შექმნილი დამატებული ღირებულება, შემოსული და გასული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა და სხვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი

საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი.

ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის შიდა რესურსების და მდიდარი ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. ეტაპობრივად უნდა შემცირდეს ქვეყნის გარე საფინანსო ინსტიტუტებზე (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის ბანკი, გაეროს განვითარების ფონდი და სხვა) და სარეიტინგო ორგანიზაციებზე დამოკიდებულების ხარისხი. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი, რომელიც 1995-1997 წლებში იყო აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოს თავმჯდომარე, 1997-2000 წლებში მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი და ვიცე პრეზიდენტი, რომელიც კარგად იცნობდა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურას და საქმიანობას, თავის წიგნში - „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“, აღნიშნავდა, რომ „როდესაც ერი კრიზისშია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მართვის სადავეებს იღებს ხელში და ერს სისხლის უკანასკნელ წვეთსაც გამოწოვს. ცეცხლს იქამდე უკეთებენ, სანამ ქვაბი სიმხურვალისგან არ აფეთქდება. მათ მსოფლიოს ხალხებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ და საერთოდ არ აღელვებთ ადამიანი იცოცხლებს თუ არა“, ის ასევე აღნიშნავს, რომ „მდიდარი ქვეყნები გლობალიზაციას ღარიბი ქვეყნების ხარჯზე ავითარებენ, რის შედეგაც მდიდარი ქვეყნები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღარიბდებიან“, გამომდინარე აქედან, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის გამოვიყენოთ შიდა რესურსები, რადგანაც გარე საფინანსო ინსტიტუტები დიდი ქვეყნების ინტერესების გამტარებლები არიან და მათ ნაკლებად აინტერესებთ პატარა ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დონის შემცირება, გამომდინარე აქედან, მთავრობის მხრიდან უმნიშვნელოვანესი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი მეთოდების შერჩევას. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის დონის ობიექტურად განსაზღვრის მიმართულებით, ქვეყანა არ უნდა იყოს დამოკიდებული უცხოურ ორგანიზაციებზე და ქვეყნის შიგნით უნდა არსებობდეს, დამოუკიდებელი კვლევითი (მათ შორის სამეცნიერო) ორგანიზაციები, რომლებიც ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის მთავრობას, კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შესახებ, რის შემდეგაც მთავრობა გადადგამს შესაბამის ადეკვატურ ნაბიჯებს, ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად.

განვლილი 30 წლის პერიოდში ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკური ტენდენციები, ნათლად გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ვერ შეირჩა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგია, გამომდინარე აქედან ქვეყნის ეკონომიკა ჯერ კიდევ ვერ მიუახლოვდა 1990 წლისთვის არსებულ მდგომარეობას. ცნობისათვის: 2003 წელს ქვეყნის მშპ-მ შეადგინა 1990 წლის მშპ-ის 47 %; 2012 წელს შეადგინა 1990 წლის მშპს-ის 80 %, ხოლო 2019 წელს კი - 97%. კოვიდპანდემიის შედეგად კიდევ უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა 2020 -2021 წლებში.

ვეთანხმები პროფ. ნ. ჭითანავას, რომელიც აღნიშნავს, რომ „ქვეყანას აქვს შანსი, მაქსიმალურად გამოიყენოს ჯერ კიდევ გადარჩენილი მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი. ყველას გასაგონად უნდა ითქვას, რომ შეზღუდული არჩევანი გვაქვს - ეროვნული ფენომენის გათანამედროვეობით დროსთან (სწრაფად ცვალებად გამოწვევებთან) თავსებადობის უნარი შევინარჩუნოთ და ქვეყანა განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გავიდეს, ან გლობალური პროცესების მილევად სახელმწიფო წარმონაქმნად ვიქცეთ და დროის მკაცრ (წინასწარ ცნობილი) განაჩენს დაველოდოთ - ბუნებრივია, პირველი არის ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზანი“.

ჩემის აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს ქვეყანა შედეგს, თუ ობიექტურად შევაფასებთ არსებულ რეალობას და მთავრობის მიერ, ეკონომიკის განვითარების მიმართულებით მიღებულ იქნება მეცნიერულ კვლევებზე დამყარებული გადაწყვეტილებები. წიგნში - „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“, პროფ. ნ. ჭითანავა აღნიშნავს - „ახლა მთავარია, რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, ეკონომიკა, რომელიც ჩვენივე აქტიური თუ პასიური პოზიციით შეიქმნა, ობიექტურად გავაცნობიეროთ. მოვლენებს, პროცესებს, ტენდენციებს, კანონზომიერებებს საკუთარი სახელი ვუწოდოთ და თანამედროვე მეცნიერული ლოგიკით, როგორც დიდი ილია იტყოდა „ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით“ განვსაზღვროთ, ამჯერად მაინც, ქვეყნის განვითარების სწორი სტრატეგია“.

არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს და მომავალს ბუნდოვანს ხდის რუსეთ-უკრაინის ომი. ევროპის და აშშ-ის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული ფინანსური და ეკონომიკური სანქციები კარდინალურად ცვლის მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს. მაშინ როცა მსოფლიომ ჯერ ვერ დააღწია თავი პანდემიის შედეგად გამოწვეულ რთულ ეკონომიკურ პროცესებს, ომმა კიდევ უფრო გაართულა არსებული მდგომარეობა. ფაქტიურად რთულდება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაბამისი პროგნოზების გაკეთება. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატებიც თავს არიდებენ შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. რუსეთის მისამართით

დაწესებული სანქციები არაპირდაპირი გზით უკვე აისახა საქართველოს ეკონომიკაზეც. განსაკუთრებით გაუარესდა ქვეყნის მდგომარეობა სასურსათო უსაფრთხოების კუთხით. ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით, მთავრობამ სწრაფად უნდა გადადგას ნაბიჯები ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს აგრარულ სფეროში არსებული მდიდარი პოტენციალი და მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ადგილობრივი პროდუქციის მოსახლეობისთვის მიწოდების პროცესს. საწყის ეტაპზე კი ოპერატიულად უნდა მოხდეს ქვეყნისთვის საჭირო პროდუქციის მომწოდებელი იაფი ბაზრების იდენტიფიცირება და უახლოეს პერსპექტივაში (3-5 თვე) საფუძველი უნდა ჩაეყაროს იმპორტჩანაცვლებითი პოლიტიკის გატარებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. COVID 19-ის პანდემიის და რუსეთ - უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად შეიმუშავოს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინა, წარმოდგენილი ხედვებისა და მიგნებების გათვალისწინებით;

2. მთავრობის ხელმძღვანელობით და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უშუალო მონაწილეობით, სწრაფად იქნას მიღებული თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაზე დაყრდნობით, ქვეყანაში უმუშევრობის და ინფლაციის გამოანგარიშების მეთოდოლოგიები (არსებული მეთოდოლოგიები კრიტიკას ვერ უძლებს და ვერ გვაძლევს სრულ სურათს უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებლების შესახებ). გამომდინარე იქედან, რომ დღეს მოქმედი მეთოდოლოგიები, რომლის საშუალებითაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახდენს უმუშევრობის და ინფლაციის დონის გამოანგარიშებას, არ შეესაბამება რეალობას, მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც ხშირად არ არის არსებული მდგომარეობის ადეკვატური;

3. მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიმუშავოს ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დონის გამოთვლის რეალური მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდეს შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების გეგმაში მკაცრად უნდა იყოს გაწერილი, სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

4. მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად უნდა შეიმუშავოს, საჯარო სექტორში სამართლიანი და დროის მოთხოვნების შესაბამისი სახელფასო პოლიტიკა. ხელფასის ოდენობა უნდა მიებას, ყველაზე დაუცველი ფენის--პენსიონრების ყოველთვიურ შემოსავალს. უნდა განისაზღვროს დონე იმისა, თუ საწყის ეტაპზე რამდენჯერ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საჯარო (როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური მოხელის) მოხელის ხელფასი პენსიის ოდენობას. საჯარო მოხელის ხელფასი უნდა გაიზარდოს პენსიის ზრდის პროპორციულად, გარკვეული პარამეტრების დაცვით, რათა არ დაირღვეს საჯარო ფინანსების სამართლიანად გადანაწილების პრინციპი;

5. მთავრობის ხელმძღვანელობითა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უშუალო ჩართულობით სწრაფად უნდა შემუშავდეს და მიღებულ იქნას კანონი - „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ". კანონის მიღება უნდა გახდეს საფუძველი ქვეყანაში, მოსახლეობის ადგილობრივი სურსათით მომარაგების მიმართულებით იმპორტჩანაცვლებითი პოლიტიკის გატარებისა;

6. კრიტიკას ვერ უძლებს დღეს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც თავის დროზე (2010 წელი) პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა იმპორტიორების ლობირებით და კარნახით. საგადასახადო კოდექსი ხელს არ უწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და ვერ უზრუნველყოფს საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას. კანონი ორიენტირებულია მსხვილი ბიზნესის ინტერესების დაცვაზე. სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს მოგების გადასახადის დღეს მოქმედი ე.წ. ესტონური ვარიანტი", რომელიც თავის დროზე მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნაჩქარევად. საწარმოთა მოგების ამ პრინციპით დაბეგვრამ შედეგი არ მოიტანა და არსებული მიდგომა ვერ უძლებს დროის მოთხოვნებს. შემოღებულ უნდა იქნას მოგების გადასახადით დაბეგვრის დიფერენცირებული მიდგომა. კიდევ უფრო რთულადაა საქმე დამატებული ღირებულების და საშემოსავლო გადასახადების დღეს არსებული განაკვეთების მიმართულებით. დღგ-ის განაკვეთი უნდა იყოს დიფერენცირებული (5, 8, 10, 12 %) დასაბეგრი საქონლის სახეობების მიხედვით. იგივე პრინციპი უნდა იქნას შემოღებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას. ყველა შემოსავალი (როგორც 100 ლარი, ასევე 20 000 ლარი) არ უნდა იბეგრებოდეს 20 %-იანი განაკვეთით. შემოღებულ უნდა იქნას დაუბეგრავი მინიმუმი და სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი არ უნდა იბეგრებოდეს საშემოსავლო გადასახადით. ამჟამად ეს პრინციპები დარღვეულია;

7. COVID 19-ის პანდემიის შედეგად გაუარესებული მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან (გაზრდილი ინფლაცია, გაზრდილი უმუშევრობა, გაზრდილი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, შემცირებული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა, გაზრდილი საბიუჯეტო

დეფიციტი, გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობა) გამომდინარე სწრაფად უნდა მოხდეს არსებული სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიული გეგმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირება და თანამედროვე რეალობაზე მორგება;

8. მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს საფინანსო რესურსების მოძიების მხრივ, გარე ძალებზე დამოკიდებულების ხარისხი. ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მდიდარი შიდა რესურსები და სჯობს გვქონდეს მეტი შიდა ვალი, ვიდრე საგარეო ვალი;

9. მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად შეიმუშავოს ქვეყნის შესაძლებლობების ადეკვატური საინვესტიციო პოლიტიკა. პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა;

10. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის მთავარ მიმართულებად მიჩნეულ უნდა იქნას განათლება და მეცნიერება, ასევე მოსახლეობის დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;

11. რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარო ოპერაციების ფონზე კიდევ უფრო მწვავედ დგას დღის წესრიგში ქვეყნის ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობის საკითხი;

12. პანდემიის და რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე მდგომარეობა მეტად არაორდინალურია და გასატარებელი ღონისძიებებიც არაორდინალური უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული წყაროები:

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“;
4. www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი;
5. www.gov.ge - საქართველოს მთავრობის ვებგვერდი;
6. www.parliament.ge - საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი;
7. ჭიჭინაძე ბ., საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა კოვიდპანდემიის პირობებში და სამომავლო პერსპექტივები., ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა“ თბ., 2022 წ.

მოგება და რენტაბელობა, როგორც წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლები

დეზდემონა მაღლაკელიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0000-3464-8153
dezimaglakelidze@mail.ru

ნათელა ვაშაკიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0001-3354-6777
nateladato@mail.ru

დიანა უგლავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორია
კაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი
https://orcid.org/0009-0000-5181-044X
uglavadiana@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.11

რეზიუმე

პრაქტიკით დასტურდება, რომ ინტეგრაციულ ურთიერთობებში ჩართული საწარმოების წარმოებრივი სუვერენიტეტის დაცვა, ეკონომიკური კონკურენციის დაძლევა და ბიზნესის სწორად წარმართვა, მოითხოვს რესურსების მინიმალური დანაკარგებით მაღალი პოზიტიური ფინანსური შედეგებით ფუნქციონირებას. მენეჯერები ვალდებული არიან აკონტროლონ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა, რომლის შეფასება შესაძლებელია მოხდეს მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების მეშვეობით. ანალიზის ინფორმაციის წყაროდ გამოიყენება საწამოს ბიზნეს-გეგმა, ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია.

წარმოების ეფექტიანობის დახასიათებისათვის, მოგების მაჩვენებლები სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება და მიიღება მოგების შემდეგი სახეობები: პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, საოპერაციო მოგება, საბალანსო მოგება, წმინდა მოგება და გაუნაწილებელი მოგება. აღნიშნული მაჩვენებლები აბსოლუტური მაჩვენებლებია, რომელთა დახმარებით შეიძლება გავაანალიზოთ რამდენიმე წლის მოგების დინამიკა. წარმოების ეფექტიანობის შეფასება ხდება შეფარდებითი მაჩვენებლით, რომელიც ცნობილია რენტაბელობის სახელწოდებით. რენტაბელობის მაჩვენებლების ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ახასიათებენ მოგებას, რომელიც საწარმოში დაბანდებული საკუთარი ან ნასესხები კაპიტალის ერთი ლარიდან არის მიღებული. მოგების თანხა გვიჩვენებს რენტაბელობის მოცულობას, ხოლო რენტაბელობის დონე - რაოდენობრივი მაჩვენებლების ურთიერთშეფარდებას, გამოხატულს პროცენტებით ან კოეფიციენტებით, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის მომგებიანობის დონეს.

ამრიგად, მენეჯერები მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებებით უზრუნველყოფენ მიაღწიონ წარმოების რაციონალური ეკონომიკურ ეფექტიანობას.

საკვანძო სიტყვები: მოგება, რენტაბელობა, ეფექტიანობა, ანალიზი, მაჩვენებლები, შემოსავლები, ხარჯები.

ციტირებისთვის: მაღლაკელიძე დ., ვაშაკიძე ნ., უგლავა დ., მოგება და რენტაბელობა, როგორც წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 124-129.

PROFIT AND PROFITABILITY, AS INDICATORS OF ECONOMIC EFFICIENCY OF PRODUCTION

Dezdemona Maghlakelidze
Academic Doctor of Economic Sciences, Akaki Tsereteli State University Associate Professor,
https://orcid.org/0009-0000-3464-8153
dezimaglakelidze@mail.ru

Natela Vashakidze
Academic Doctor of Economic Sciences, Akaki Tsereteli State University Associate Professor,
https://orcid.org/0009-0001-3354-6777
nateladato@mail.ru

Diana Uglava
Doctor of Business Administration, Akaki Tsereteli State University Invited specialist
https://orcid.org/0009-0000-5181-044X
uglavadiana@gmail.com

ABSTRACT

In Georgia, for enterprises involved in market relations, protecting their industrial sovereignty, overcoming economic competition and conducting business correctly, requires obtaining highly positive financial results with minimal losses of resources.

The business plan of the company, financial reporting and accounting information are used as analytical information.

To characterize the efficiency of production, profit indicators are determined at different levels and the following types of profit are obtained: Profit from the products realization, operating profit, balance sheet profit, net profit and retained profit.

These indicators are absolute indicators which help us to analyze the profit dynamics of several years.

The efficiency of production is evaluated by the relative rate of profitability.

The economic essence of profitability indicators lies on the fact, that are characterized by them, and the profit obtained from one Lari, ofrom owned or borrowed capital, invested in the enterprise.

The amount of profit shows the volume of profitability, and the level of profitability - the relationship of quantitative indicators, expressed as percentages or coefficients, which determines the level of profitability of the business.

Thus, managers with new decisions based on the analysis of profit and profitability indicators ensure to achieve rational economic efficiency of production.

Key words: profit, profitability, efficiency, analysis, indicators, revenues, costs.

For citation: Maglagelidze D., Vashakidze N., Uglava D., Profit and profitability as indicators of economic efficiency of production, "Business and Legislation" Journal, No. 1, 2023. p. 124-129.

შესავალი

საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობა საბაზრო ურთიერთობების პირობებში აუცილებელია მათი განვითარებისათვის და ასევე გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოთა მენეჯერები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ, დააკვირდნენ და აკონტროლონ მოგებისა და რენტაბელობის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასების მაჩვენებლები.

მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზის და მართვის აუცილებლობას წარმოშობს და განაპირობებს წარმოების რაციონალური ეკონომიკური ეფექტიანობის მიღების მოტივაცია.

მხოლოდ სწორად წარმართული და დროულად ჩატარებული ანალიზის მაჩვენებლები იძლევან მენეჯმენტისთვის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უტყუარ საფუძველს.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით წარმოქმნილმა რთულმა საწარმოო კავშირებმა წინა პლანზე დააყენა ეკონომიკური ინტეგრაციების სწორად გავრცელების აუცილებლობა და მასში ადგილობრივი რესურსების ჩართვა. პროცესებში ჩართული სუბიექტის წარმოებრივი სუვერენიტეტის დაცვა და ეკონომიკური კონკურენცია მოითხოვს მართვის მეცნიერებების განვითარებას და მათი შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას ბიზნესში. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში ბიზნესის დამკვიდრებამ უპი-

რატესობა მიანიჭა მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას და მათი შესწავლის აუცილებლობას, რაც მოითხოვს ერთდროულად საწარმოს მენეჯერის პირად გამოცდილებას, ლოგიკას, ინტუიციას და მუდმივად ცვალებადი სამეურნეო ცხოვრების პირობებში არსებული მართვის არაფორმალური მეთოდების ცოდნას. თუმცა მხოლოდ ეს პირობები როდია საკმარისი, აუცილებელია აგრეთვე სხვადასხვაგვარი ინფორმაციის გამოყენებაზე გამყარებული მართვის ფორმალიზებული მეთოდების აღქმის უნარი. ეკონომიკური ინფორმაცია ერთ-ერთი საფუძველია და წამყვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა სახის ინფორმაციათა შორის. სწორედ ამიტომ რეალური წყაროებით სწორი ინფორმაციის მოპოვებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, როგორც საწარმთა საქმიანობის შეფასების მაჩვენებელთა შერჩევაში, ასევე ამ მაჩვენებელთა შესწავლისათვის თანამედროვე კვლევის მეთოდების არჩევაში.

ეკონომიკური ინფორმაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ბუღალტრული ანგარიშგება, რომელსაც გააჩნია დიდი ანალიტიკური პოტენციალი და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც პერსპექტიული, ასევე მიმდინარე მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ფორმაა ბალანსი რომელსაც ბასს-ით ახლა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის ბოლოსათვის უწოდებენ. ბალანსი ანალიტიკოსს აძლევს საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის, მისი სტაბილურობისა და შესაძლებელი პერსპექტივების საკმაოდ სრულ და აუცილებელ სურათს. ფინანსური ანგარიშგების მეორე ფორმაა მოგება/ზარალის ანგარიშგება, რომელიც ასახავს საწარმოს ფინანსურ შედეგს - მოგებას ან ზარალს. მესამე ფორმაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, მოცემულია ნაღდი ფულის საწყისი და საბოლოო ნაშთები და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფულადი ნაკადების შემოდინება და გადინება. ანგარიშგების სხვა ფორმებშიც მოცემულია საწარმოს კაპიტალში მომხდარი ცვლილებებისა და მთლიანობაში, საწარმოს საქმიანობის თავისებურებების აღქმისთვის საჭირო ინფორმაცია. მრავალმხრიობიდან გამომდინარე არსებითად იზრდება საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლების რაოდენობა. დღეისათვის აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების წაკითხვა და აღქმა შეეძლოს როგორც პროფესიონალ ბუღალტრებსა და აუდიტორებს, ისე საწარმოთა ხელმძღვანელებს, საგადასახადო ინსპექტორებსა თუ ბანკის მუშაკებს. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის გაგება და სწორად აღქმა უნდა შესძლოს ამ სფეროში მოღვაწე ნებისმიერმა სპეციალისტმა. საქართველოში, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურებში განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა ფინანსური ანალიზის სრულყოფა და საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის უფრო ზუსტი შეფასება. მყარი ფინანსური მდგომარეობაშიც კი აუცილებელია ხარჯების შემცირების და შემოსავლების ზრდის გზების ძიება, გამოვლინდეს მათზე მოქმედი ფაქტორები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება წინადადებების შემუშავება მომგებიანობის ამაღლებისათვის. „ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას საჭიროა მუდმივი ანალიზი სამუშაო ძალის და საშუალებების გამოყენების შედეგების და, შესაბამისად, დასკვნების გაკეთება ბიზნესის სამომავლო განვითარების შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო გახდება საწარმოს საქმიანობის ანალიზი, ასეთი ანალიზის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი წარმოების მომგებიანობა იქნება.“[1]

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოთა მენეჯერებმა უნდა განსაზღვრონ და აკონტროლონ შემოსავლები, ხარჯები და მოგება. ამ თვალსაზრისით მოგებისა და რენტაბელობის განხილვა საინტერესოა, რადგან ისინი გვაძლევენ საშუალებას შევაფასოთ თუ როგორი ეფექტიანობით მუშაობს საწარმო. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა განვსაზღვროთ რას ნიშნავს ეფექტიანად მუშაობა და მოვიშველიოთ ქართველი მეცნიერის, ი. ჭილაძის განმარტება „ეფექტიანად მუშაობა ნიშნავს იმუშაო დროის და რესურსების დასაშვები მინიმალური დანაკარგებით, საქმის მაღალი კომპეტენციის ფარგლებში. ესაა ცალკეული პიროვნებისა და მთელი დასაქმებული პერსონალის გუნდური ძალისხმევა, რათა მიღებულ იქნას რაც შეიძლება უფრო დადებითი ფინანსური შედეგი, რაც ყველა საწარმოს საბოლოო ეკონომიკურ მიზანს წარმოადგენს“ [1. გვ.333].

ამდენად, საანგარიშგებო პერიოდში მოგების მიღება და მისი ზრდა დაკავშირებულია თუ როგორი ეფექტიანობით იმუშავებს საწარმო.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოგების მაჩვენებელი ფინანსური ანგარიშგების „პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების“ ფორმაშია მოცემული. ფინანსური ანგარიშგებისათვის დამახასიათებელია, ის რომ მასში არ არსებობს არავითარი გეგმური მაჩვენებლები და მისი შინაარსი სულ უფრო უახლოვდება საერთაშორისო პრაქტიკას. მაჩვენებლების ფორმირებისას გათვალისწინებულია გარე მომხმარებლების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და აგრეთვე ევროპული გაერთიანებების დირექტივების მოთხოვნები. ფინანსური ანგარიშგების, საწარმოს ბიზნეს-გეგმისა და ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის გაანალიზებით უნდა შევაფასოთ საწარმოს მოგება. მოგების მისაღებად აუცილებელია განვითარების განსაზღვული დონე, რომლის დროსაც მიღებული შემოსავლები გადაამეტებს ხარჯებს. მოგების განხილვა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური თვალსაზრისით ნიშნავს ფულადი სახსრების დაგეგმილ დაბანდებას, რათა დროის განსაზღვრულ პერიოდში შეიქმნას ეკონომიკურად მომგებიანი სიდიდეები. საიდანაც უნდა ანაზღაურდეს დაბანდებული სახსრები, შემდეგ დარჩეს მოგება, რომელიც

1 https://buhconsul.ru/ka/calculation-of-profitability-of-the-enterprise-financial-analysis-and-inestment-analysis-of-the-enterprise/]

გააუმჯობესებს ყველაზე მეტად დაინტერესებული პირის-მესაკუთრის ფინანსურ მდგომარეობას. თუ ეს ასე არ წარიმართება, მაშინ სამეწარმეო საქმიანობა აღმოჩნდება არამომგებიანი. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად უნდა განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობის შეფასება, როგორც უკვე ავღნიშნეთ ორი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლით, მოგებით და რენტაბელობით.

მოგება აბსოლუტურ მაჩვენებელთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი საწარმოს მიმდინარე და გრძელვადიანი განვითარების და მისი საბაზრო ღირებულებების ზრდის წყაროა. მოგება ზედმეტი პროდუქტის ფორმაა და აუცილებელია ნებისმიერი სახელმწიფოს მ.შ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებისათვის. „თუ საზოგადოების შრომისუნარიანი წევრები თვითონვე მოიხმარდნენ მათ მიერ შექმნილ მთელ პროდუქტს, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა წარმოების გაფართოება და სრულყოფა, არასაწარმოო სფეროს შენახვა, ბავშვების აღზრდა, ქვეყნის მართვა და თავდაცვა და ა.შ. ამიტომ ზედმეტი პროდუქტი უნდა იქმნებოდეს ყველა საზოგადოებაში. ზედმეტი პროდუქტის წარმოება, თავისთავად, არც ექსპლოატაციაა და არც სოციალური უსამართლობა, არამედ ობიექტური აუცილებლობაა“ [2. გვ. 215, 216]. საწარმოთა გამართული მენეჯმენტით თვითღირებულების შემცირებით მიღებული მოგება არის წარმოების ეფექტურობის შედეგი. იგი არის დანახაჯებზე გარდანამატი. სწორედ ის საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული არიან მოგებაზე მათი ეკონომიკური წარმატება უნდა გამოიხატოს მოგების სიდიდის ზრდაში. „მოგება წარმოადგენს საწარმოს მუშაობის ეკონომიკურ ეფექტს. იგი არის საწარმოს საბოლოო დადებითი ფინანსური შედეგი. მასში ასახულია საწარმოს საქმიანობის ყველა მხარის ფუნქციონირების ხარისხი. ამიტომ მოგება საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური და ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია, რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში თუ პერსონალის მორალურ ქცევებში მომხდარი ყველა ქმედება“[1. გვ. 330].

წარმოების ეფექტიანობის დახასიათებისათვის მოგების მაჩვენებლები სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება და განასხვავებენ მოგების სხვადასხვა სახეობებს, როგორებიცაა:

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, რომელიც განისაზღვრება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება;
- საოპერაციო მოგება, რომელიც ტოლია პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული მარკეტინგის და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები;
- მოგება დაბეგვრამდე ანუ საბალანსო მოგება არის საოპერაციო მოგებას დამატებული საპროცენტო შემოსავლები და გამოკლებული საპროცენტო ხარჯები;
- წმინდა მოგება, რომელიც განისაზღვრება საბალანსო მოგებას გამოკლებული მოგების გადასახადი. საქართველოში მოგების გადასახადის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საწარმოებს შეუძლიათ წმინდა მოგება მთლიანად გამოიყენონ რეინვესტირებისათვის, ხოლო თუ გაცემული იქნება დივიდენდები, მაშინ გადახდილ უნდა იქნას შესაბამისი მოგების გადასახადი;
- გაუნაწილებელი მოგება, არის წმინდა მოგების ის ნაწილი, რომელიც რჩება გაცემული დივიდენდებისა და შექმნილი ფონდების გამოკლების შემდეგ.

ცხრილი 1 შპს „ნი-ნი“-ს მოგების ანალიზი (ათასი ლარი)

№	მაჩვენებელი	წინა საანგარიშ. პერიოდი 2020 წელი	საანგარიშ. პერიოდი 2021 წელი	გადახრა	
				თანხა +; -	% +; -
1	ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან (აქციზის და დღგ-გარეშე)	6538	7106	568	8,8
2	ხარჯები რეალიზებული პროდუქციის წარმოებაზე	-5898	-6324	426	7,2
3	პროდუქციის რეალიზაციიდან მოგება	640	782	142	22,2
4	მარკეტინგისა და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-76	-52	24	31,26
5	საოპერაცი მოგება	564	730	166	29,04
6	საპროცენტო და სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	124	200	82	85.4
	მ.შ. ფასიან ქაღალდებზე და სხვა საწარმოების საქმიანობაში მონაწილეობაზე	16	118	102	638
7	საპროცენტო და სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-58	-90	-32	55.2
	საბალანსო მოგება	630	846	216	34,3

როგორც ცნობილია, აღნიშნული მაჩვენებლები აბსოლუტური მაჩვენებლებია რომელთა დახმარებით შეიძლება გავაანალიზოთ რამდენიმე წლის მოგების დინამიკა. მაგრამ ასეთ გაანგარიშებას, რომ არ ჰქონდეს უფრო მეტად არითმეტიკული, ვიდრე ეკონომიკური შინაარსი, აუცილებლად შესატყვის ფასებში გაანგარიშებების ხერხების გამოყენება. ფაქტობრივ მოგებად ითვლება ბალანსში ნაჩვენები მოგება ანუ საბალანსო მოგების სიდიდე, რომელიც ახასიათებს საწარმოს ეკონომიკურ ეფექტიანობას ყოველმხრივ.

მოგების მაჩვენებლების ანალიზისათვის გამოვიყენოთ საილუსტრაციო მაგალითი შპს „ნი-ნი", რომლის ფინანსური ანგარიშგების და ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციიდან შედგენილია ანალიზური ცხრილი. (იხ. ცხრილი №1).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, შპს „ნი-ნი"-ს მიერ 2020 წელთან შედარებით 2021 წელს პროდუქციის რეალიზაციიდან მოგება 142 ათ. ლარით არის გაზრდილი, რაც 22.2 % - ია. ამ უკანასკნელზე დადებითად იმოქმედა პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების 568 ათ. ლარით გაზრდამ და უარყოფითად რეალიზებული პროდუქციის ხარჯ.ების გაზრდამ 426 ათ. ლარით. რეალიზაციიდან მიღებული მოგებიდან მარკეტინგისა და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების გამოკლების შემდეგ საოპერაციო მოგების ზრდამ შეადგინა 166 ათ. ლარი, რაც 29.4% -ს შეადგენს. საოპერაციო მოგების ზრდაზე დადებითად იმოქმედა მარკეტინგისა და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების 24 ათ. ლარით შემცირებამ. საოპერაციო მოგება გაიზარდა საპროცენტო და სხვა შემოსავლებიდან 82 ათ. ლარის მიღებით. მაგრამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საპროცენტო და სხვა არასაოპერაციო ხარჯების გაზრდამ 32 ათ. ლარით. საბოლოოდ საბალანსო მოგება ანუ წმინდა მოგება გაზრდილია 216 ათ. ლარით, რაც 34.3%-ია და უჩვენებს საწარმოს ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ამრიგად, შპს „ნი-ნი"- მოგების მაჩვენებლის კვლევიდან ჩანს, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია საბალანსო მოგების ზრდით, რაზედაც გავლენა მოახდინა რეალიზაციიდან მიღებულმა მოგებამ. ხოლო ამ უკანასკნელის გაზრდა შესაძლებელია პროდუქციის გაყიდვებიდან ამონაგების გაზრდითა და განსაკუთრებით ხარჯების შემცირებით. მოგების ზრდა გამოიხატება საკუთარი საბრუნავი სახსრების გაზრდით, რაც ამაღლებს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, წარმოების ეფექტიანობის შეფასება ხდება შეფარდებითი მაჩვენებლით რენტაბელობით. რენტაბელობის მაჩვენებლების ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ახასიათებენ მოგებას, რომელიც საწარმოში დაბანდებული საკუთარი ან ნასესხები კაპიტალის ერთი ლარიდან არის მიღებული. მოგების თანხა გვიჩვენებს რენტაბელობის მოცულობას, ხოლო რენტაბელობის დონე - რაოდენობრივი მაჩვენებლების ურთიერთშეფარდებას, გამოხატულს პროცენტებით ან კოეფიციენტებით. „რენტაბელობა არის მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის მომგებიანობის დონეს. რენტაბელობა ასახავს ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო შედეგებს, ვინაიდან ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ახასიათებს ეფექტის თანაფარდობას არსებულ ან გამოყენებულ რესურსებთან."[1]

საერთაშორისო პრაქტიკაში საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის შემუშავებულია რენტაბელობის მაჩვენებელთა სტანდარტული სისტემა, რომელშიც აღნიშნული მაჩვენებლები დაყოფილია სამ კლასად. პირველ კლასს მიეკუთვნება რენტაბელობის შემდეგი მაჩვენებელი:

- პროდუქციის მოგების ზღვრული დონის კოეფიციენტი, რომელიც ტოლია პროგუქციის რეალიზაციიდან მთლიანი მოგების თანხა (მმთ) შეფარდებული გაყიდულის (რელიზებულის) წმინდა მოცულობასთან (გწმ). ე.ი. რ = მმთ/გწმ.
- ძირითადი საქმიანობიდან მოგების ზღვრული დონის კოეფიციენტი, რომლის განსაზღვრისათვის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგების თანხა (მთ) უნდა გაიყოს გაყიდულის (რელიზებულის) წმინდა მოცულობასთან (გწმ). ე.ი. რ = მთ/გწმ.
- საწარმოს ყველა საქმიანობიდან ძირითადი, საინვესტიციო და საფინანსო მოგების ზღვრული დონის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება საბალანსო მოგების თანხის შეფარდებით გაყიდულის წმინდა მოცულობასთან (გწმ). ე.ი. რ = სმ/გწმ და სხვა რენტაბელობის მაჩვენებლები.

რენტაბელობის ზემოთ მოცემულ პირველ და მეორე ფორმულაში შედარების ბაზა ანუ მნიშვნელი ერთნაირია, ამიტომ ეს მაჩვენებლები ერთიმეორის ურთიერთდამატებაა საწარმოს შემოსავლის ცალკეული მხარის ფორმირების განმარტებისათვის.

მეორე კლასს მიეკუთვნება რენტაბელობის ისეთი მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც გამოიანგარიშება საწარმოო აქტივების გამოყენების დახმარებით. რენტაბელობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საწარმოო აქტივების მთელი თანხის უკუგების კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება წმინდა მოგების თანხა შეფარდებული საწარმოს ყველა საწარმოო აქტივების საშუალოწლიურ სიდიდესთან (ასს). ე.ი. რ = წმთ/ასს. რენტაბელობის ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს შემოსავლიანობის დონეს მთელი პოტენციალიდან, რომელსაც ფლობს საწარმო. მის მეშვეობით განისაზღვრება, მოგების თუ რა ნაწილს იღებს საწარმო აქტივებში დაბანდებული ყოველი ერთი ლარიდან. რენტაბელობის დონე განისაზღვრება როგორც ყველა აქტივების ერთობლიობის მიხედვით, ასევე მიმდინარე აქტივების საფუძველზე. მიმდინარე აქტივების რენტაბელობა განისაზღვრება წმინდა მოგების შეფარდებით აქტივების საშუალო სიდიდესთან.

მესამე კლასს მიეკუთვნება რენტაბელობის მაჩვე-

1 https://buhconsul.ru/ka/calculation-of-profitability-of-the-enterprise-financial-analysis-and-inestment-analysis-of-the-enterprise/

ნებელთა სისტემა, რომელიც გაიანგარიშება ნაღდი ფულადი საშუალებების საფუძველზე. ამ კლასის რენტაბელობის ერთ-ერთი მაჩვენებელია ბრუნვის რენტაბელობის კოეფიციენტი. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება წმინდა ნაღდი ფულის (წნფ) (შემოსავალს და გასავალს შორის სხვაობა) შეფარდებით გაყიდულ წმინდა მოცულობასთან (გწმ). ე.ი. რ = წნფ/გწმ.

საკვლევი საწარომოს შპს „ნი-ნის“ ცხრილი №1-ის ინფორმაციის საფუძველზე გავიანგარიშოთ და გავაანალიზოთ საბაზისო და საანგარიშგებო პერიოდის რენტაბელობის შემდეგი მაჩვენებლები:

პროდუქციის მოგების ზღვრული დონის კოეფიციენტი ანუ პროდუქციის რენტაბელობა % -ში 2020 წელში 640.0/6538.0 = 9,8% და 2021წლის 782.0/7106.0 = 11.0%, რენტაბელობა გაზრდილია 1,5 - ით, რაც დადებითი მაჩვენებელია.

ძირითადი საქმიანობიდან მოგების ზღვრული დონის კოეფიციენტი ანუ ძირითადი (საოპერაციო) საქმიანობის რენტაბელობა % -ში:

2020 წელში 564.0/6538.0 = 8,6% და 2021წლის 730.0/7106.0 = 10.3%, რენტაბელობა გაზრდილია 1,7 - ით, რაც დადებითი მაჩვენებელია.

საწარმოს ყველა საქმიანობიდან ძირითადი, საინვესტიციო და საფინანსო მოგების ზღვრული დონის კოეფიციენტი ანუ მთლიანი საქმიანობის რენტაბელობა % - ში:

2020 წელში 630.0/6604.0 = 9,6% და 2021წლის 846.0/7106.0 = 11.0%, რენტაბელობა გაზრდილია 1,4 - ით, რაც დადებითი მაჩვენებელია.

ანალიზიდან ჩანს რომ შპს „ნი-ნის“ საანგარიშგებო წელს საბაზისო წელთან შედარებით რეტაბელობის მაჩვენებლები გაზრდილია, რაც ადასტურებს, რომ საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა ამაღლებულია რენტაბელობის მაჩვენებლების განხილული გაანგარიშებანი აფართოებს და ამდიდრებს ანალიზის არსებულ მეთოდიკას, რაც მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის.

დასკვნა

ამრიგად, კონკრეტულ მაგალითზე კარგად ჩანს ანალიზის შედეგობრივი მაჩვენებლები და მათი მნიშვნელობა საწარმოს საქმიანობის შეფასებისთვის. სავსებით ლოგიკურია, რომ საწარმოში მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე უნდა გაკეთდეს მართვის ახალი გადაწყვეტილებები, რომელიც საწარმოს მომავალი წარმატებული საქმიანობის, მისი ფინანსური მდგომარეობის და გადახდიუნარიანობის გაუმჯობესების, წინაპირობა გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://buhconsul.ru/ka/calculation-of-profitability-of-the-enterprise-financial-analysis-and-inestment-analysis-of-the-enterprise/ ;
2. ი. ჭილაძე ., ფინანსური ანალიზი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბ .2021;
3. ი. ქვაჩახია., თეორიული ეკონომიკა, თბ.1996.

სოციალურ-ემოციური განვითარება მოზარდობის ასაკში

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.12

აბსტრაქტი

გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ სავსეა ყოველდღიური შთაბეჭდილებებითა და ცვლილებებით, რომელთა განცდაც და ამ განცდების სხვებისთვის გაზიარება ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რადგან ადამიანის შემეცნების განვითარებასთან ერთად ხდება მისი სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც.

ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოზარდობის ასაკში იძენს, რადგან მოზარდს, ისევე როგორც ზრდასრულს, საკუთრი ემოციების გაზიარებისა და სოციალური ურთიერთობის სურვილი აქვს, რაც ასაკობრივ ზრდასთან ერთად იცვლება და ვითარდება. სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ემოციური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება.

მოზარდი, როგორც სოციალური არსება, ზრდა-განვითარების ადრეული ეტაპიდან ამჟღავნებს ადამიანებთან ურთიერთობის სურვილს. აკვირდება მშობელს/აღმზრდელს, რომელიც მას უვლის, ყურს უგდებს, ეხება, უღიმის. გამოხატავს განსხვაბეულ ემოციებს: სიხარულს, როცა ახლობელ ადამიანს ხედავს და იწყენს, როცა ის მიდის.

მოზარდობის ასაკში ბავშვებს უკვე მრავალფეროვანი ურთიერთობები აქვთ გარშემომყოფებთან. ისინი მეგობრობენ, კამათობენ, რიგდებიან, სწყინთ, ეჭვიანობენ და ასევე დახმარების ხელს უწევენ ერთმანეთს. მოზარდები ურთიერთობებს ძალიან მძაფრად განიცდიან და განსხვავებული გრძნობები ეუფლებათ. ამ ასაკში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ ურთიერთობებზე და დამოკიდებულებებზე სამყაროს მიმართ. ამიტომ, ამ სფეროს განვითარებას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვის პიროვნული და სოციალური ჩამოყალიბების თვალსაზრისით.



თინათინ ჭარხალაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასისტენტ პროფესორი
https://orcid.org/ 0009-0002-3067-2118
E-mail: charkhalashvilitinano12@gtu.ge
Cell Phone : +995555349349

შესაბამისად, წინამდებარე სტატია ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მოზარდობის ასაკში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მოზარდის განწყობებზე და ემოციურ ცხოვრებაზე, რომელსაც ის გადის ასაკობრივი განვითარების კონკრეტულ ეტაპზე.

სტატიაზე მუშაობისას დამუშავდა, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები - სამეცნიერო ნაშრომები, ცალკეული პუბლიკაციები. ჩვენ მიერ დამუშავებულმა ლიტერატურის ანალიზმა მოგვცა საშუალება ჩამოგვეყალიბებინა ხედვა საკითხისადმი.

საკვნაძო სიტყვები: მოზარდობა, სოციალური განვითარება, ემოციური განვითარება, გარემო, განწყობა.

ციტირებისთვის: ჭარხალაშვილი თ,. სოციალურ-ემოციური განვითრება მოზარდობის ასაკში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 130-134.

SOCIAL-EMOTIONAL DEVELOPMENT IN ADOLESCENCE

Tinatin Tcharkhalashvili
Assistant Professor, PhD in Social Sciences Georgian Technical University
Faculty of Engineering economics, Media Technologies and Social Sciences
https://orcid.org/ 0009-0002-3067-2118
E-mail: charkhalashvilitinano12@gtu.ge
Cell Phone : +995555349349

ABSTRACT

The environment in which we live is full of daily impressions and changes, the feeling of which and the sharing of these feelings with others is a natural human need, because along with the development of human cognition, there is a gradual development of his social skills.

This issue acquires special importance in adolescence, because a adolescent, like an adult, has a desire to share his own emotions and social interaction, which changes and develops with age. The socio-emotional sphere determines the formation of the child's personality and relationships with people. Social development determines the child's ability to establish relationships with the environment and people around him/her. Emotional development determines the child's ability to understand and express his/her own feelings, to understand the feelings of others and to respond appropriately.

Adolescents, as a social being, show their desire to interact with people from the early stages of growth and development. Observes the parent/guardian who cares for him/her, listens, touches, smiles. Expresses different emotions: joy when he/she sees a close person and sadness when she/he leaves.

At the age of adolescence, children already have a variety of relationships with the people around them. They are friends, argue, make up, get angry, jealous and also help each other. Adolescents experience relationships very strongly and have different feelings. The experiences gained at this age have a significant impact on the child's later relationships and attitudes towards the world. Therefore, the development of this area plays an extremely important role in terms of the child's personal and social formation.

Therefore, this article focuses on social-emotional development as one of the important issues in adolescence. The article focuses on the adolescent's moods and emotional life, which he goes through at a specific stage of age development.

While working on the article, both Georgian and foreign sources - scientific papers, individual publications - were processed. The analysis of the literature developed by us allowed us to form a vision of the issue.

Key words: adolescence, social development, emotional development, environment, mood.

For citation: Tcharkhalashvili T., Social-Emotional Development in Adolescence, Journal of Business and Legislation, No. 1, 2023. p. 130-134.

INTRODUCTION

Davit Charkviani, the author of the Foundations of Experimental Social Psychology (2004), considers the life path of a person into three main periods. These are: adolescence, maturity and old age. These stages of age development are separated from each other by psychophysical characteristics that are characteristic of age, which first of all appear in the behavior of a adolescent. Accordingly, the periods of adolescents development are determined on the basis of expressed changes in behavior. An adolescent makes a transition from one main period of development to another, also in the main period, when he starts to develop new behavioral acts unknown to him/her.

From the phases of development that come from the period of school education, we focus on the period of adolescence, during which a person is in the process of growth and development. The author notes that both learning and development of an adolescent greatly depends on the upbringing process. It is during this period that the emotional life of an adolescent becomes peculiar. An adolescent feels especially angry when he sees that his parents treat him/her unfairly. Either their behavior is misjudged by their parents, or they doubt the moral purity of their personality for no reason, or they impose a punishment that seems undeserved. At this time, the adolescent becomes more disobedient and rude. Often, parents also respond to such an affective reaction with an affective reaction, which causes great harm in the process of upbringing. The author draws attention to the fact that at this time it is better for the parent to face this fact patiently, which will lead to a positive reaction, because the majority of adolescents are characterized by a rapid increase in emotional moods, which implies a sudden transition from one extreme to another.

In the emotional life of aadolescents, from the point of view of development, there are important changes that are meaningful. On the basis of political, biological and intel-

lectual transformations that take place during adolescence, completely new, completely foreign feelings and emotions appear in the adolescent. For the first time in their lives, more or less conscious emotional feelings related to the maturation process appear, which occupy a prominent place in the overall mental structures of the adolescent. Accordingly, parents should take into account all the peculiarities of the transitional age in order to be able to properly guide the emotional upbringing of their children.

If an adolescent at a transitional age follows the parent's advice, it is necessary for the parent to take into account and account for the tendency underlying his desire for freedom and independence, and accordingly prepare the educational work taking this tendency into account.

At the age of adolescence, from the point of view of upbringing, a need of decisive importance appears, the realization of which gives nourishment to the adolescent's desire for freedom and independence and serves the task of forming a socially valuable personality.

In the textbook, the author talks about the importance of moral values and notes that this tendency is not given in the inborn natural structure of a person, because it emerges in it under the influence of public life and finds its origin in human culture. Accordingly, an adolescent who carries moral ideals and tries to submit to moral norms, feels independence from adults and experiences an extremely elevated mood. However, the tendency to aspire to independence, with whom, in what form and force, it will be manifested, on the one hand, it depends on the inherent individual characteristics of the adolescent, and on the other hand, it is determined by the nature of the educational environment in which the adolescent developed.

First of all, it manifests itself in the form of stubbornness and negativism, therefore, during adolescence, the family has to implement a number of educational measures, because the above-mentioned difficulties are manifested in the relationship with family members. Maybe parents who don't have much experience and have gotten used to obeying their children for years until adolescence, the disobedience shown by their adolescent son causes them great troubles. In response to this, in the family environment, parents often show affective reactions and develop such acts of behavior, which aim not to solve the educational task based on any age characteristics, but to return the adolescent back to the original state of childish obedience. The author agrees with the opinion that such an action of a parent in the eyes of an adolescent at the age of transition makes the educator lose his authority and lose the function of the educator. As a result of such trials, the adolescent is gradually moving away from the parent and his/her care, warmth and love, which was very close to him until now, he experiences less. Therefore, it is necessary for the educator to express sympathy, love and respect, regardless of how difficult the measures against manifestations are to be implemented. Accordingly, it is important to take into account the approach and parenting style implemented by the parent during the child's adolescence, to what extent it leads the adolescent to emotional balance and how much it forms his/her emotional intelligence.

MAIN PART

According to Dimitri Uznadze's theory of mood, the main determining factor of human behavior and the mental processes taking place in it is mood, which is determined by the coincidence of active needs and a specific situation. According to mood theory, repeating an activity multiple times will reinforce the mood. In this case, it is fixed, which determines the free, unhindered course of behavior later, when the appropriate situation exists. In terms of human action, both positive and negative effects of fixed mood on behavior have been shown in many studies.

In the theory of mood, high and low forms of needs are distinguished, taking into account the things or events that are important to a person. The needs of the first type lead to the satisfaction of human biological needs, while the requirements of the second form are the basis for the realization of moral, intellectual and aesthetic aspirations of a person.

In the case of acting at the level of the subject, a person is aware of his/her needs and future actions, but his decision does not consider any relationship with other people. And the personality is manifested only in such actions, generally in such mental activity, which takes into account a certain relationship with other people. At this time, a person makes a special decision, which can be fulfilled through certain relationships with other people. Such activity is called social-psychic activity.

Behavior in the case of a person is given as a process of realizing a conscious need, a conscious goal. Psyche, as a reflection of external reality, is inseparably connected with behavior, practice, i.e. With the process of meeting needs and striving for a goal. A person and his psyche are formed in the process of social behavior and social practice. Separated from the behavior of a person, mental actions do not have an independent way of their development.

Mental activity manifests itself in the behavior of a person. The mental side of behavior is inextricably linked with its physiological side, namely movements. Behavior cannot be carried out without the participation of the movement of body organs. But, psychologically, a complex of movements will be considered a behavior only if it is experienced as carrying a certain thought, meaning, value: this value, this meaning, makes it a behavior. Without it, it would be a meaningless physical act.

Behavior is always directed towards a certain goal, task. A person has conscious goals. But what goal he will set in each individual case, this circumstance is determined by the motive. Motive is the basis on which a person directs conscious purposeful behavior. It is a psychological document of behavior, that is, the subject's answer to the question posed to himself/herself, why he/she should take care of achieving such a goal, what meaning or value will be the

results of such behavior for him/her as a subject of actualized needs and as a person involved in the system of public relations. Motive motivates a person to act, causes him/her to behave. Motive and purpose turn individual actions and movements into behavior that carries one overall meaning. According to the common view, the motive of behavior is considered to be a need.

In adolescence, young people are given the opportunity to hypothesize-deductive reasoning.

They begin problem solving with a general theory of all possible factors that should influence outcomes and draw conclusions for specific hypotheses about what should happen. These hypotheses are then tested in the usual way to see which ones work in the real world. A second important feature of the formal operations stage is propositional thinking. Adults can evaluate the logic of conjectures (verbal statements) without reference to real-world situations. In contrast, children can appreciate the logic of an assertion only by considering a concrete example from their real world.

The development of formal operations leads to sharp changes in the evaluation of themselves, others and the whole world by adults. But just as adults are sometimes inflexible in managing their own grown and changed bodies, they are initially confused by their own abstract thinking. Although adolescent' self-image, idealism, criticality, and ambivalence often confuse adults, they are beneficial in the long run.

Self-concept and self-focus The ability of adolescents to question their own judgments means that they have a greater self-image. According to Piaget, this stage is accompanied by a new form of egocentrism: the inability to distinguish between one's own and others' abstract perspectives.

Idealism and Criticality Since abstract thinking allows adolescents to move from the real to the possible, an unreal and perfect world opens up before them. Adolescents can imagine imaginary families, religious, political and moral systems and want to assimilate them. As a result, they often build large, imaginary worlds where injustice, discrimination and rude behavior do not exist. The incompatibility of idealistic views of adolescentand more realistic views of adults creates tension between parent and child. When presented with a picture of the perfect family compared to real parents and siblings, adults become accusingly critical.

In general, adolescent idealism and criticality are useful. When adolescents observe the strengths and weaknesses of other people, they themselves increase their capacity to work constructively for social change and to form positive and lasting relationships (Elkind, 1994).

Decision-Making While it is true that adults perform many cognitive tasks more efficiently than at younger ages when making decisions in everyday life, they often fail to engage in a rational process: (1) in figuring out the pros and cons of each alternative, (2) in evaluating the likelihood of different possible outcomes, (3) in evaluating their own choices to see whether or not their goals were accomplished, (4) in drawing conclusions from mistakes and making the right decisions in the future. in decision making.

Conclusion

The theoretical analysis of the literature showed that social-emotional development includes skills that help the child to learn about himself/herself, recognize his/her emotions, manage impulses and behavior, and establish positive relationships with peers and adults. Adolescents who have developed social-emotional skills know themselves and their abilities better, have confidence in themselves, their skills and abilities, and live better with peers and adults. Developing social-emotional skills helps children succeed both in school and in adult life—they perform better academically while they're studying, and they're better able to deal with both work and other life challenges as adults.

It is important for caregivers/parents to take into account that they help adolescents express their emotions and desires and allow children to share them. It is important to name the emotions and talk about what the teenager is feeling. Remember, the more the emotion of anger is expressed through speech, the less likely it is to manifest itself in the form of behavioral outbursts.

In the process of coping with emotions, strategies aimed at relieving stress are important. Knowing calming and relaxation strategies can help children control their behavior. Usually, this is good for: walking, walking, spending some time alone, yoga, or some form of exercise. It is possible to adjust the individual relaxation and calming strategy based on the child's priorities, development and personality characteristics. It is also possible for the adolescent to have a small space where they have special things that they can use to calm themselves when they are upset. It can be various sensory toys, coloring pencils, scented candles, musical instruments, etc.

When it comes to dealing with anger, anger is one of the most powerful emotions, so it's important to find healthy ways to deal with it and respond to difficult situations. It is important for the teen to be supported and helped to understand that it is normal to be angry/feel this emotion, but that it is completely unacceptable to physically confront someone. A teenager should understand that even in a state of anger, he/she can and has the ability to control his/her actions. Talk about how their needs can be met without hurting others.

USED LITERATURE:

1. Gogichaishvili T., Developmental Psychology, Vol. 2005, p. 107;

2. Jean William Fritz Piaget, Theory of Cognitive Development, (1936, 1950);

3. Imadedze I. Handbook in psychology, (general issues of ontogenesis), Tb. 2004 p. 109;

4. Gerigi R., Zimbardo F., Psychology and Life, 16th edition, Social Sciences Centre, TSU Publishing House, Tbilisi 2009. p. 399-400;

5. Becker, G. S. (1991). A treatise on the family. Cambridge, MA: Harvard University press;

6. Hunt, N., and Evans. D. (2004) Predicting traumatic stress using emotional intelligence. Behaviour Research and Therapy, 42, PP.791–798;

7. Caruso D.R., Mayer J.D., Salovey P. (2002). Relation of an ability measure of emotional intelligence to personality // Journal of Personality Assessment. 2002. V. 79. PP.306-320;

8. Melikishvili N. Age characteristics of child development Tb. 2017;

9. Uznadze D., Education goals, "Droeba" newspaper, 1910;

10. Serekeulidze, M. (2008). Child development and the main principles of its promotion. Way. "New Education", February 21-27;

11. Cole PM, Martin SE, Dennis TA. Emotion regulation as a scientific construct: Methodological challenges and directions for child development research. Child Development. 2004;

12. Eisenberg N, Fabes RA, Murphy BC. Parents' reactions to children's negative emotions: Relations to children's social competence and comforting behaviour. Child Development 1996.

13. Morris AS, Silk JS, Steinberg L, Aucoin KJ, Keyes AW. Parental influences on children's emotion regulation and emotionality. 2007 Manuscript submitted for publication;

14. Seligman M E P. Learned Optimism: How to Change Your Mind and Your Life. New York: Knopf, 1991;

15. Extremera, N. (2013). Emotional intelligence, life satisfaction, and subjective happiness in female student health professionals: the. Journal of Psychiatric and Mental Health;

16. Vartskhava R. Sociological psychology. Volume I, chapter 2000, 127 pages;

17. Adler A. raising children. Tbilisi, Geo. 2014, 244 p;

18. Halberstadt AG. Family socialization of emotional expression and nonverbal communication styles and skills. Journal of Personality and Social Psychology. 1986;

19. Выготский Л.С., Психология. – М.: Изд-во ЭКСМО, 2012. -1008 сс. 164-165;

20. Симоняна. А., Детско-родительские отношения и их влияние на личность ребенка. Научные исследования. 2017. - №3(14), сс.37-39;

გადაზღვევის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში

კობა ბასილაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0009-0271-342X
k.basilaia@yahoo.com

ლაშა-გიორგი სიმონიშვილი-ჯაყელი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0009-7560-1883
lasha.jakeli@ttbcinsurance.ge

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.13

ანოტაცია

საქართველოს სადაზღვევო კომპანიები, კაპიტალისა და რესურსის სიმწირის გამო, აქტიურად მიმართავენ გადაზღვევით ოპერაციებს, რაც საშუალებას აძლევს მათ მინიმალური კაპიტალის პირობებში დაფარონ მაქსიმალური ზარალი. განვითარებადი ქვეყნებისთვის, გადაზღვევა საუკეთესო საშუალებაა ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად.

სტატიის მიზანია წარმოგიდგინოთ გადაზღვევის მნიშვნელობა და აუცილებლობა განვითარებადი ქვეყნებისთვის და მათში არსებული სადაზღვევო კომპანიებისთვის, ასევე რას წარმოადგენს გადაზღვევის არსი, როლი და ფუნქციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

სტატიის ობიექტია ქართული არა სიცოცხლის ბაზარი.

საკვანძო სიტყვები: მზღვეველი; დამზღვევი; გადამზღვეველი; ცედენტი; ცესიონერი;

ციტირებისთვის: ბასილაია კ., სიმონიშვილი-ჯაყელი ლ., გადაზღვევის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 135-136.

DEVELOPMENT OF REINSURANCE MARKET IN GEORGIA

Koba Basilaya
Academic Doctor of Economics
Sokhumi State University Associate Professor

Lasha-Giorgi Simonishvili-Jakeli
Doctoral student of Sukhumi State University

ANNOTATION

Georgian insurance companies, due to the scarcity of capital and resources, actively resort to reinsurance operations, which allows them to cover maximum losses with minimal capital. For developing countries, reinsurance is the best way to speed up the integration process.

The purpose of the article is to present the importance and necessity of reinsurance for developing countries and the existing insurance companies in them, as well as what is the essence, role and functions of reinsurance in the market economy.

The object of the article is the Georgian non-life market.

Keywords: insurer; insurer; reinsurer; assignor; assignee.

For citation: Basilaya K., Simonishvili-Djakeli L., Development trends of the reinsurance market in Georgia, Journal - “Business and Legislation”, No. 1, 2023. p. 135-136.

ძირითადი ტექსტი

გადაზღვევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შექმნაში. საქართველოს სადაზღვევო კომპანიები კაპიტალის სიმცირის გამო აქტიურად მიმართავენ გადაზღვევის ოპერაციებს, რაც საშუალებას აძლევს მათ მინიმალური კაპიტალის პირობებში დაფარონ მაქსიმალური ზარალი. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ გადაზღვევა აჩქარებს ინტეგრაციის პროცესს, ასევე მშვენიერი საშუალებაა უცხოური გამოცდილების გასაზიარებლად და სხვა.

საკითხის მარტივად გასაგებად მოვიყვანთ კარგ მაგალითს, როდესაც სადაზღვევო კომპანია აზღვევს მრავალმილიონიანი ღირებულების ქონებას ქონებრივი რისკებისგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ზარალის დადგომის შემთხვევაში პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს სადაზღვევო კომპანიამ ნაცვლად, ბიზნესისა; წარმოიდგინეთ თუნდაც საქართველოში რამდენი ქონებაა დაზღვეული, შესაბამისად ზარალის დადგომის შანსი საკმაოდ დიდია, ხოლო საქართველოში არსებულ სადაზღვეო კომპანიებს არ აქვთ იმის ბიუჯეტი, რომ დამდგარი ზარალი დაფარონ. ამ შემთხვევაში, საუკეთესო საშუალება გახლავთ გადაზღვევა ანუ რისკის გადანაწილება. სადაზღვეო კომპანიები მიმართავენ სხვა მაღალ რეიტინგულ გლობალურ გადამზღვევ კომპანიებს, რომლებიც გარკვეული პრემიის სანაცვლოდ საკუთარ თავზე იღებენ რისკს, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიები ბროკერის როლს ითავსებენ;

იმის და მიუხედავად რომ თქვენი ბიზნესის მიერ დაზღვეული ქონება არის საქართველოში და ქართული ხელშეკრულება და პოლისები გაქვთ ხელთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართულ სადაზღვევო კომპანიას გადაზღვეული არ აქვს თქვენი რისკი; ეს საკმაოდ კარგიცაა, ნდობის დონე იზრდება, სად შვიდი წლის გამოცდილების ქართული ფირმა, რომ გიზღვევს ბიზნესს და სად მის უკან ორმოცდაათ წლიანი გამოცდილების მქონე გადამზღვეველი რომ დგას, ჩვენის აზრით მეტად საიმედოა.

აქედან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ გადაზღვევა აძლიერებს მზღვეველის ფინანსურ შესაძლებლობას, საშუალებას აძლევს მათ: დააზღვიოს მსხვილი და განხორციელების თვალსაზრისით დიდი ალბათობის რისკები, თავი აარიდოს მისი ბიზნესის სტაბილურობაზე მუდმივმოქმედი საფრთხისაგან, როგორიცაა ზარალის შემთხვევითობით განპირობებული რისკი, ფასისა და ტექნოლოგიური ცვლილებებით თუ მართვაში დაშვებული შეცდომებით გამოწვეული რისკები.

ზარალის შემთხვევითი ხასიათით განპირობებული რისკი დაკავშირებულია სადაზღვევო საზღაურის მერყეობასთან, სადაზღვევო შემთხვევათა შესახებ პრეტენზიების განცხადების უთანასწორობასთან, კატასტროფებითა და სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ მოულოდნელად დიდ ზარალთან, როცა განხორციელებული ერთი სადაზღვევო ხდომილება ერთბაშად იწვევს მრავალ სადაზღვევო შემთხვევას და საჭირო ხდება აკუმულირებული ზარალის ანაზღაურება.

გადამზღვეველს შეუძლია მრავალი ხერხით გაზარდოს იმ სერვისის ღირებულება, რომელსაც პირდაპირი მზღვეველი სთავაზობს თავის მომხმარებლებს:

1. გადამზღვეველი ამცირებს პირდაპირი მზღვეველის გადახდისუუნარობის შესაძლებლობას, იღებს რა თავის თავზე უზარმაზარ რისკს;

2. გადამზღვეველი არეგულირებს პირდაპირი მზღვეველის ფინანსურ ბალანსს, იღებს საკუთარ თავზე რა ტექნიკური რისკის შეუფასებელ ნაწილს, ანდერრაიტინგის საკუთარი რისკი და სხვადასხვაგვარი შეცდომების (ადამიანური ფაქტორი) რისკს;

3. პირდაპირი მზღვეველის სადაზღვევო პორტფელის დაბალანსებას აკეთილშობილებს, ფარავს რა გადაზღვევით პოლისებს მაღალი სადაზღვევო თანხებით;

4. ზრდის პირდაპირი მზღვეველის შესაძლებლობას მიიღოს დიდი რისკები, თავისკენ იტოვებს რა რისკის პროპორციულ წილს, ასევე იძლევა აუცილებელი რეზერვების ნაწილს;

5. ზრდის კაპიტალის მოცულობას, რომელსაც პირდაპირი მზღვეველი ეფექტურად გამოიყენებს, გამოათავისუფლებს რა კაპიტალს, რომელიც აქამდე იყო მიმართული რისკის დასაფარად;

გადამზღვევი (ცედენტი), დამზღვევისგან მიღებული სადაზღვევო პრემიის ნაწილს უხდის გადამზღვეველს (ცესიონერს), როგორც გადასახადს, ცესიონერის თანხმობისთვის აიღოს თავის თავზე ვალდებულებების ნაწილი. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ან სხვა მოსარგებლე სადაზღვევო საზღაურის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართავს მხოლოდ მზღვეველს, რომელიც ახორციელებს ყველანაირ ანგარიშსწორებას სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით. მზღვეველი კი თავის მხრივ ითხოვს გადამზღვეველებისაგან შესაბამისი კუთვნილი თანხების ანაზღაურებას.

გადაზღვევის დროს დამზღვევს აქვს ურთიერთობები მხოლოდ ერთ სადაზღვევო კომპანიასთან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ყველა ვალდებულება სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით თავის გადამზღვეველებთან ურთიერთობის მიუხედავად. თავის მხრივ ცესიონერებს ფორმალურად არა აქვთ ვალდებულებები დამზღვევის წინაშე, ისინი მხოლოდ ცედენტის მოთხოვნებს პასუხობენ.

ამგვარად გადაზღვევის არსი მდგომარეობს სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ თავის თავზე აღებული ვალდებულებების გადანაწილებაში, რომელიც ხორციელდება ორ ან მეტ კომპანიას შორის მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველსაყოფად.

გადაზღვევის აუცილებლობა გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკისათვის განსაზღვრული ფინანსური რისკის მაღალი ხარისხით, რაც პირდაპირ კავშირშია არა მარტო სტიქიურ მოვლენებზე, არამედ ეკონომიკურ კრიზისზე, ინფლაციაზე, პოლიტიკურ მდგომარეობასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ანომალიებზე.

მზღვეველს აქვს უფლებამოსილება, დამზღვევის მიმართ თავისი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი განხორციელებისათვის უზრუნველყოს რისკის დაფარვა სხვა გადამზღვეველთან სწორედ გადაზღვევის მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე თბ., 2012;

2. http://insurance.gov.ge - საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური;

3. www.aldagibci.ge - სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;

4. www.gpih.ge - სს „ სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“.

დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი ენერგეტიკაში

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.14

ანოტაცია

ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ტარიფები ყოველთვის ყველას ინტერესის სფეროს წარმოადგენს. აღნიშნულ ტარიფებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის და სხვა საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე. კომისიაში აღნიშნული წესის შესაბამისად 2020 წლიდან ტარდება რეგულირებადი საწარმოების აუდიტი. დღეის მდგომარეობით ლიცენზიატ საწარმოებთან ჩატარებულია 93 აუდიტი, რამდენიმე საწარმოსთან უკვე 2-ჯერ ან 3-ჯერ განხორციელდა აუდიტი და შესაბამისად დათვლილი იქნა კომუნალური მომსახურების ტარიფებიც.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, მარეგულირებელი აუდიტი, რეგულირება, ტარიფი.

ციტირებისთვის: სულაკაძე ლ., დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი ენერგეტიკაში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No1, 2023 წ. გვ. 127-141.

ლანა სულაკაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
https://orcid.org/0009-0002-0174-0548
lana.sulakadze@eu.edu.ge
+995 593 213 222

REGULATORY COST AUDIT RULES IN ENERGY SECTOR

Lana Sulakadze
Phd in Business Administration, Asistant-professor European University
https://orcid.org/0009-0002-0174-0548
lana.sulakadze@eu.edu.ge
+995 593 213 222

ANNOTATION

Electricity, natural gas and water supply tariffs are always an area of interest for everyone. The mentioned tariffs are setting by Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission based on the rules of the regulatory cost audit and other legal norms. In accordance with the mentioned rule, audits of regulated enterprises are being conducted in the Commission from 2020. As of today, 93 audits have been conducted with licensed enterprises, several enterprises have already been audited 2 or 3 times, and utility service tariffs have been calculated accordingly.

Key words: energy, audit, regulation, tariff

For citation: Sulakadze L., The rules of the regulatory audit of expenses in energy, “Business and Legislation” journal, No. 1, 2023. p. 127-141.

ძირითადი ტექსტი

ენერგეტიკა ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია და მიმდინარე გამოწვევებიდან გამომდინარე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოც. საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს თუ საწარმოს ეხება კომუნალური გადასახადები, ამიტომაც ყოველთვის ყურადღების ქვეშ ექცევა კომუნალური ტარიფები და მის ყოველგვარ ცვლილებას მტკივნეულად აღიქვამს მოსახლეობა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირებას ექვემდებარება ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორები. შესაბამისად აღნიშნულ სექტორებში არსებულ ლიცენზიატ საწარმოებზე კომისია ახდენს ტარიფების გაანგარიშებას და დადგენას.

ტარიფის გაანგარიშება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომლის ჩატარების ვადები გაწერილია საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი დადგენილებებით დამტკიცებული სატარიფო

მეთოდოლოგიებით: ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიები (2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილება), ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია (2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილება), ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია (2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილება) და წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია (2017 წლის 10 აგვისტოს №21 დადგენილება). მიუხედავად სექტორების სპეციფიკისა პროცედურული ნაწილი ტარიფის გაანგარიშებისა ყველასთვის მსგავსია და შეადგენს განაცხადის წარმოდგენიდან 180 კალენდარულ დღეს.

სატარიფო საქმისწარმოება იწყება ლიცენზიატი საწარმოს მიერ კომისიაში წარმოდგენილი სრულყოფილი სატარიფო განაცხადის საფუძველზე. მარეგულირებელ კომისიაში სატარიფო განაცხადი უნდა წარმოადგინონ იმ საწარმოებმა ვისაც კომისიის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული აქვთ ტარიფის მოქმედების ვადა და შესაძლებელია მათთვისაც ვისაც ან უვადო ტარიფი აქვთ, ან ვისთვისაც ჯერ საერთოდ არ დათვლილა ტარიფი.

კომისიის დადგენილების შესაბამისად ყველა სექტორს აქვს რეგულირების სხვადასხვა პერიოდი. მაგალითად: ელექტროენერგეტიკის სექტორში არის ერთწლიანი, 3-წლიანი და 5-წლიანი რეგულირების პერიოდები საქმიანობის სახეების მიხედვით. ერთწლიანი რეგულირება გულისხმობს ამ რეგულირებაში მოქცეული საწარმოებისთვის ყოველწლიურად ტარიფის დადგენას საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპით. ასეთი ორგანიზაციებია: თბოელექტროსადგურები, საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი საწარმო - სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ და ასევე, დღით ადრე და დღიური ბაზრების მომსახურების გამწევი საწარმო - სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“. 3-წლიანი რეგულირება ეხებათ ჰიდროგენერაციის ობიექტებს საქართველოში, მაგალითად როგორიცაა შპს „ენგურჰესი“, შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებში არსებული ჰიდროელექტროსადგური - ჟინვალჰესი და შპს „ენერგო-პრო გენერაცია“. რაც შეეხება 5-წლიან რეგულირებას ანუ ე.წ. „წამახალისებელი“ (ზღვრული შემოსავლების რეგულირება) რეგულირების პრინციპს, ის გულისხმობს საბაზისო წელს არსებული მიზანშეწონილად მიჩნეული (კონტროლირებადი) საოპერაციო დანახარჯების გათვალისწინებას ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლისა და ეფექტიანობის ფაქტორის გათვალისწინებით. აღნიშნული რეგულირება ეხება სს „თელასს“, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“. აღნიშნული რეგულირების პრინციპების ძირითადი განმასხვავებელი არის საოპერაციო დანახარჯების დაყოფა კონტროლირებად და არაკონტროლირებად ხარჯებად. კონტროლირებადია დანახარჯი, რომელზეც საწარმოს გავლენის მოხდენა შეუძლია (სახელფასო ფონდი, საკომუნიკაციო ხარჯი, საკანცელარიო ხარჯი და სხვა), ხოლო არაკონტროლირებადია, რომელზეც საწარმოს გავლენის მოხდენა არ შეუძლია, მაგალითად: ქონების გადასახადი, სხვა საგადასახადო ხარჯი, კომისიის რეგულირების საფასური. შესაბამისად, არაკონტროლირებადი დანახარჯები რეგულირების პერიოდზე საბაზისო წლის ფაქტიდან გამომდინარე გადადის უცვლელად. ხოლო რეგულირების პერიოდის ბოლოს მოხდება საპროგნოზო დანახარჯების ფაქტობრივ დანახარჯებზე კორექტირება.

ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედებს 5-წლიანი რეგულირების პერიოდი (2023 წლამდე მოქმედებდა 3-წლიანი რეგულირების პერიოდი), წყალმომარაგების სექტორში ასევე - 3-წლიანი. ყოველი ახალი რეგულირების პერიოდი გულისხმობს, რომ პერიოდის დაწყებამდე გაანგარიშებული და დადგენილი უნდა იქნეს ახალი სატარიფო განაკვეთი. მაგალითად, თუ წყალმომარაგების ტარიფი დათვლილია 2023 წლის ჩათვლით, საწარმო განაცხადს წარმოადგენს კომისიაში არაუგვიანეს 2023 წლის 4 ივლისისა, სადაც ასახული იქნება 2022 საბაზისო წლის ფინანსური და ტექნიკური მონაცემები. კომისია ამ და კიდევ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით დაადგენს ახალ ტარიფს 2024 წლიდან 2026 წლის ჩათვლით პერიოდზე.

ნებისმიერი რეგულირებადი სექტორისთვის მარტივად რომ წარმოვიდგინოთ ტარიფი ესაა ყველა მიზანშეწონილი დანახარჯის ჯამი, მათ შორის კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯები, გაყოფილი მისაწოდებელ/გასანაწილებელ (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი და წყალი) მოცულობებზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების ქვეშ არის წყალმომარაგების სექტორში 9 ლიცენზიატი საწარმო, ბუნებრივი გაზის სექტორში - 22 ლიცენზიატი, ხოლო ელექტროენერგეტიკის სექტორში - 26 ლიცენზიატი. აღნიშნული საწარმოებისთვის კომისია გაიანგარიშებს და ადგენს ტარიფებს. ტარიფების გაანგარიშება კი ეფუძნება დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს.

აუდიტის პრინციპები და მიზანი სექტორების მიხედვით ერთი და იგივეა. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი გამოიყენება კომისიის სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული იმ საწარმოების საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტისათვის, როგორიცაა: ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატი, ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატი, ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატი, ელექტროენერგიის მიმწოდებელი საწარმო, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და წყალმომარაგების ლიცენზიატი.

აუდიტის პროცესს ახორციელებს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია კომისიის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზისა და შესაბამისი ტექნიკური დეპარტამენტის

თანამშრომლებით. პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სხვა უწყებების სპეციალისტები ან/და დამოუკიდებელი ექსპერტები. აუდიტი შესაძლებელია იყოს, როგორც გეგმური ასევე არაგეგმური.

სრულყოფილ სატარიფო განაცხადზე კომისია იწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის საფუძველზეც კომისიის თავმჯდომარების მიერ გამოიცემა ბრძანება აუდიტის ჯგუფის შექმნის შესახებ, სადაც განერილია შესასწავლი საკითხები და ჯგუფის წევრები.

კომისიამ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი 2019 წლის 22 ოქტომბერს დაამტკიცა და მას შემდეგ 2020 წლიდან ახორციელებს ამ წესის შესაბამისად აუდიტს.

სულ აღნიშნულ პერიოდში 2020 წლიდან 2022 წლის ჩათვლით განხორციელდა 93 დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი.

დიაგრამა გვიჩვენებს 2020-2022 წლებში ჩატარებული გეგმური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის რაოდენობებს, რაც შეეხება არაგეგმურ დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს, ის მხოლოდ 2021 წელს განხორციელდა 2 საწარმოსთან მიმართებაში.

დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დროს შესაძლოა შესწავლას დაექვემდებაროს საოპერაციო დანახარჯები – ორი სრული რეგულირების პერიოდი შესაბამისი სატესტო/საბაზისო წლების ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს 2015 წლისა და კაპიტალური დანახარჯები – ნებისმიერი პერიოდი. თუ მარეგულირებელ აუდიტს შევადარებთ საგადასახადო აუდიტს, ეს უკანასკნელი მკაცრად განსაზღვრავს შესამოწმებელ პერიოდს თავისი ხანდაზმულობიდან გამომდინარე. გეგმური აუდიტი ხორციელდება ტარიფის ვადის გასვლამდე. სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სატარიფო განაცხადის წარმოდგენის ვადა - ტარიფის გაანგარიშების წლის 4 ივლისი. შესაბამისად, ლიცენზიატმა საწარმოებმა უნდა წარმოადგინონ სატარიფო განაცხადი შესაბამის თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომლის შესწავლასაც აუდიტის ჯგუფი ახდენს ტარიფის დადგენამდე მაქსიმუმ 180 დღის ვადაში. გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება დაიწყოს გადასახადის გადამხდელისთვის შეტყობინების ჩაბარებიდან არაუადრეს 10 სამუშაოდ დღისა და არაუგვიანეს 30 დღისა (საგადასახადო კოდექსი 2023). უშუალოდ შემოწმება შესაძლებელია გაგრძელდეს 3 თვე (შემოწმების ვადა 2 თვით კიდევ შესაძლებელია გახანგრძლივდეს).

წარმოდგენილი ინფორმაცია გადის დამუშავების რამდენიმე ეტაპს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საბაზისო/სატესტო წლის დანახარჯი უნდა დადასტურდეს დოკუმენტურად და დადგინდეს მისი მიზანშეწონილობა. მიზანშეწონილ დანახარჯს წარმოადგენს საწარმოს მიერ რეგულირებადი საქმიანობის სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისათვის გაწეული კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯი (ენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი 2023). წარმოდგენილ განაცხადში, რომელიც მოიცავს მოგება-ზარალის უწყისს, შინაარსობრივად არის ჩაშლილი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები, მაგალითად: სახელფასო ფონდი, ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე, მიმდინარე რემონტის ხარჯი, კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები, ასევე სამივლინებო, საკონსულტაციო, წარმომადგენლობითი, დაცვის, იჯარის, დაზღვევის, ქონების გადასახადის, მიწაზე ქონების გადასახადის და სხვა ხარჯები.

შემდეგ ეტაპზე ხდება მიზანშეწონილი დანახარჯების გონივრული ოდენობის განსაზღვრა, რაც გულისხმობს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს

დიაგრამა №1. ჩატარებული დანახარჯების მარეგულირებელი გეგმური აუდიტები



წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია

შინაარსობრივი შესწავლის ფარგლებში მიზანშეწონილად მიჩნეული დანახარჯის, თავის მხრივ, გონივრულ ოდენობამდე კორექტირებასა და განსაზღვრას იმის გათვალისწინებით, თუ რა ხარისხით, მოცულობითა და მასშტაბით არის საჭირო კონკრეტული საქონელი, მომსახურება ან/და სამუშაო საწარმოს მიერ რეგულირებადი საქმიანობის განხორციელებისათვის. მაგალითად, შესაძლებელია საწარმომ გაწიოს გარკვეული შინაარსის დანახარჯი 1000 ლარის ოდენობით და ეს ჩვეულებრივ იყოს ფინანსური ან/და საგადასახადო ხარჯი, მაგრამ არა მარეგულირებელი მიზნებისთვის გაწეული გონივრული დანახარჯი. თავისი შინაარსიდან გამომდინარე შესაძლოა ის არ უკავშირდებოდეს კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობას და შესაბამისად მისი ღირებულებაც შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდეს, რომ არის გაზრდილი ან არარეალური. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა სატარიფო მიზნებისთვის აუდიტის ჯგუფმა გაითვალისწინოს 1000 ლარისგან განსხვავებული ღირებულება.

ასევე მნიშვნელოვანი მომენტია, როდის ანალიზდება რეგულირებადი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო აქტივების იჯარის ხარჯის გონივრული ოდენობა, რომელიც შესაძლოა განსაზღვრულ იქნას შედარებითი ანალიზის, საბაზრო პრინციპების ან ამავე აქტივზე სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად დათვლილი წლიური კაპიტალური დანახარჯის ოდენობით. აღნიშნული უფლებამოსილება კომისიას არაერთხელ გამოუყენებია სხვადასხვა საწარმოებთან მიმართებით.

დანახარჯი თავისი შინაარსიდან გამომდინარე შესაძლოა მიჩნეულ იქნეს არამიზანშეწონილად თუ ის პირდაპირ და უშუალოდ არ არის დაკავშირებული კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან და არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. თუ ასეთი ტიპის დანახარჯები მიჩნეული იქნა არამიზანშეწონილად, ის არ ექვემდებარება შესაბამის სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებას. ასეთი ტიპის დანახარჯები კატეგორიას შესაძლოა მიეკუთვნოს:

- უიმედო ვალების ჩამოწერა;
- პირგასამტეხლოსა და საჯარიმო სანქციებზე გაწეული ხარჯები;
- სასამართლოს ხარჯები და სამართლებრივ დავასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დანახარჯი;
- ზენორმატიულ დანაკარგზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადის ხარჯი;
- წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში გასართობი ღონისძიებებსა და პრივილეგირებულ (VIP) მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, ასევე, ალკოჰოლური სასმელების შესყიდვის ხარჯები;
- პირადი დაცვის ხარჯები;
- ფინანსური, საოპერაციო და ბიზნეს რისკების, აგრეთვე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხარჯები;
- პროფესიულ ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებში წევრობის ხარჯები, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ რეგულირებად საქმიანობასთან;
- ქველმოქმედების ხარჯები;
- სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯები, გარდა სოციალური და მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროექტებისა;
- ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება;
- ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისის თანხა;
- ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- არარეგულირებად აქტივებზე ქონების გადასახადი;
- იჯარის ხარჯის ის ნაწილი, რომელიც აღემატება იჯარით აღებული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით გაანგარიშებული წლიური ცვეთისა და ამონაგების ჯამურ ოდენობას;
- საწარმოს საშტატო განრიგში არსებული ვაკანტური პოზიციების სახელფასო ხარჯი, რომელიც აღემატება საწარმოში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის 2%-ს (თუ საწარმოს დასაქმებული ჰყავს 100 თანამშრომელი და ვაკანტური აქვს 30 პოზიცია, სატარიფო მიზნებისთვის გაითვალისწინება 100+100*2%=102 თანამშრომლის შესაბამისი სახელფასო ფონდი, ნაცვლად 130 (100+30) თანამშრომლისა.

აუდიტის ჯგუფი სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში ახორციელებს ამ საწარმოს შემოსავლების აუდიტსაც. განვიხილოთ შემთხვევები როგორ ხდება დანახარჯების ბაზის კორექტირება:

1. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლის დაკავშირება შესაბამის დანახარჯთან, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება სრულად შემცირებას ამგვარი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით;

2. ექსპლუატაციიდან გასული, სრულად გაცვეთილი რეგულირებადი აქტივების რეალიზაციის შემთხვევაში, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება შემცირებას ამ რეგულირებადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული მოგების 50%-ით, ხოლო არასრულად გაცვეთილი რეგულირებადი აქტივების რეალიზაციის შემთხვევაში - 100%-ით;

3. საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება შემცირებას შეწყვეტილი მომარაგების აღდგენის ფარგლებში დარიცხული საფასურის 100%-ით.

აღნიშნული ფაქტების შესწავლისა და დამუშავების შემდგომ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის პრინციპების შესაბამისად დგება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პირველადი ანგარიში, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს: მოკლე მიმოხილვა დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მასშტაბებისა და ძირითადი მიდგომების შესახებ; დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მიზნები, ამოცანები და სამართლებრივი საფუძვლები; დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში გამოყენებული კრიტერიუმები, მტკიცებულებები,

მეთოდები, მონაცემთა წყაროები და გამოყენებულ მონაცემებზე შეზღუდვები; დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში გამოკვეთილი აუდიტის ჯგუფის წევრების განსხვავებული მოსაზრებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; მიგნებები და დეტალური ინფორმაცია დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მიგნებებისა და მტკიცებულებების შესახებ; დასკვნები; რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი 2023).

საგადასახადო შემოწმების შემდგომ დგება შუალედური შემოწმების აქტი, რომელიც ეგზავნება გადასახადის გადამხდელს გასაცნობად.

აუდიტის პირველად ანგარიშზე ხდება საწარმოს მიერ მოსაზრებების წარმოდგენა, რომელსაც აუდიტის ჯგუფი იხილავს და ამზადებს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საბოლოო ანგარიშს, რომელიც საჯაროა ნებისმიერ პირისთვის. თუ საწარმოს პირველად ანგარიშზე შენიშვნები არ გააჩნია, პირველადი ანგარიში მიიჩნევა საბოლოო ანგარიშად. საგადასახადო შემოწმების შუალედურ აქტზე თუ საწარმოს კომენტარები არ ექნება, მაშინ დგება საგადასახადო შემოწმების საბოლოო აქტი.

დასკვნა

ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი საგადასახადო და მარეგულირებელ აუდიტს შორის არის ის, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ მიჩნეული გარკვეული დანახარჯის გაუთვალისწინებლობა საწარმოსთვის იწვევს მისი საგადასახადო ვალდებულების ზრდას, ასევე დაჯარიმებას და ასეთი სახით საწარმოს აწვება ფინანსური ზარალი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე. ხოლო მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში ხარჯების გაუთვალისწინებლობა იწვევს იმას, რომ შემდგომი რეგულირების პერიოდისთვის დაგეგმილი დანახარჯების ბაზა ამ თანხით არის შემცირებული, რომელსაც რეგულირებული საწარმო ტარიფით ვერასდროს ამოიღებს. ამიტომ საწარმოებმა ისეთი დანახარჯების გაწევისგან, რაც დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის მიხედვით შესაძლოა მიჩნეულ იქნეს არამიზანშეწონილად თავი უნდა შეიკავონ, ან მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ეს თანხები დაფარონ საწარმოს მოგებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 20.12.2019;

2. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 17.09.2010;

3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“, თბ., 2014;

4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილება „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2014;

5. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს №21 დადგენილება „წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2017;

6. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილება „ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“, თბ., 2020;

7. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, www.gnerc.org;

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge

ზურაბ ლიპარტიას „სტრატეგიული მენეჯმენტი“ - ახალი ტიპის სახელმძღვანელო სტუდენტებისა და მოქმედებებისთვის

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.01.15

გლობალური განვითარებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გარდაუვალ პროცესებში საწარმოთა მართვის მეთოდების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესახებ მყარი ცოდნის მიღება, ანალიზური აზროვნებისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების უნარების ჩამოყალიბება, სწავლების კომპონენტებსა და ინსტრუმენტებში სიახლეების შეტანა, საგანმანათლებო პროგრამების განახლებაზე მუდმივი ზრუნვა დრიოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საკითხი მით უფრო აქტუალურია საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებისა და ევროგაერთიანებაში გაწევრიანებისკენ სწრაფვის შეუქცევად პირობებში.

მსოფლიოს გიგანტი კორპორაციების გამოცდილებიდან ცნობილია და მეცნიერეული კვლევებით დადასტურებულია, რომ კომპანიის განვითარებასა და წარმატებებს სწორად შერჩეული სტრატეგია, მუდმივად ცვლად გარემოებებთან ადაპტირების უნარი და გამართული მენეჯმენტი განაპირობებს.

დამოუკიდებლობის დეკლარირებისა და კერძო საკუთრებით ურთიერთობების გამოცდილების 30-წლიანი პრაქტიკის მიუხედავად, საქართველოში კორპორატიული მართვის კულტურა ჯერ კიდევ ფეხს იდგამს, - ახლა ყალიბდება. მოქმედ საწარმოთა შორის, წარმატებული მსხვილი და ტრანსნაციონალური კომპანიები 1%-აც არ აღემატება, დანარჩენი მიეკუთვნება მიკრო, მცირე და საშუალო კატეგორიებს, რაც მაღალი რანგის მენეჯერების დეფიციტზე აშკარად მიანიშნებს. სხვა ანგარიშგასაწევ ფაქტორებთან ერთად, ასეთ მდგომარეობას შესაბამისი სწავლების სისტემისა და პრაქტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა განპირობებს.

ბოლო პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდა ქართველ მეცნიერთა მეცადინეობა მენეჯმენტის სხვადასხვა რაკუსის სწავლებისთვის სახელმძღვანელოების შექმნასა და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადებაში. მათ შორის, გამორჩეულია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის **ზურაბ ლიპარტიას** წვლილი მენეჯერთა ახალი თაობის მომზადებისა და წარმატებულ წინსვლაში. მისი მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილების, ხანგრძლივი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის, მენეჯმენტის სფეროს თეორიის, კონცეფციების, მეთოდოლოგიის ნაყოფიერი კვლევის შედეგები ასახვას პოულობენ ახალ სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში.

მენეჯმენტის სხვადასხვა რაკუსის სწავლებისთვის პრეტენზიულ გამოცემათა შორის სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია და აღიარება ჰპოვა ზურაბ ლიპარტიას მონოგრაფიამ: **ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია,**

გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2017, 506 გვ.; სახელმძღვანელოებმა: **ბიზნესის ანალიზი-შეფასება და განვითარების პროგნოზირება,** სსუ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2020, გვ. 616 და **სტრატეგიული მენეჯმენტი,** სსუ, გამომცემლობა „პრინტჯეო“, თბ. 2022, გვ. 502.

ამავე პერიოდში ბატონი ზურაბის მიერ შედგენილია ელექტრონული სახელმძღვანელო: **ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები,** გამომცემლობა „თბილისი“, განთავსებულია 2019, გვ. 728. ელექტრონულად გამოცემულია აგრეთვე **სტრატეგიული მენეჯმენტი,** გამომცემლობა თბილისი, გვ. 504, ელექტრონულად განთავსებულია 2023 წლის 15 ბთებერვალს.

მხოლოდ ჩამონათვალი და A-4 ფორმატში შესრულებული გამოცემების გვერდების მოცულობა უკვე მეტყველებს მათზე ავტორის მიერ დახარჯულ უდიდეს ძალისხმევაზე, დროსა და ენერგიაზე. მაგრამ თამამად უნდა შევნიშნოთ, რომ მათი მთავარი ღირსება მხოლოდ მოცულობითი ფაქტორი როდია. აღნიშნულ მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოებში, მუხლჩაუხრელ შრომასთან ერთად, ჩადებულია ავტორის მაღალი პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, ღრმა განსწავლულობა, შესაბამისი კომპეტენცია, რაც ერთობლიობაში ამ ნაშრომებს ანიჭებს მოთხოვნადობას, პრაგმატულ მნიშვნელობასა და მომხმარებლისგან მაღალ ინტერესს.

Covid-19-ის ეპიდემიის მძვინვარების შედეგად ქვეყანაში გამოცხადებული პანდემიის გამო, თავის დროზე, ვერ მოხერხდა ბატონი ზურაბის ნაშრომების მკითხველისადმი ღირსეული წარდგინება და დამსახურებების აღნიშვნა. მხოლოდ სატელეფონო და პირადი წერილობითი მილოცვებით ჩაიარა ჩვენი თანამედრო-

ვისა და ხელხვავიანი მეცნიერის დაბადებიდან 75 წლის იუბილემ, რაც, არც ერთ შემთხვევაში, არ არის მის დამსახურებებთან შესაფერი. ისევ მომავალი თაობებისთვის მოტივაციის შესაქმნელად, აუცილებელია ღირსეულ მამულიშვილებს, ცნობილ მეცნიერებს, თაობათა აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილი დავუფასოთ, სათანადოდ ავღნიშნოთ.

ბატონ ზურაბ ლიპარტიას არ აკლია მაღალი რეგალიები და დამსახურებების აღნიშვნა - მეცნიერებაში მან მიიღო დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოსის ტიტული, არის რამდენიმე სადისერთაციო საბჭოების წევრი, ჟურნალების კოლეგიის წევრი, საგანმანათლებლო პროგრამისა და მიმართულების ხელმძღვანელი. მისი მეცნიერული პროდუქტიულობის, ალღოს დადასტურებაა საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული **130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 6 მონოგრაფია, 16 სახელმძღვანელო** (9 თანაავტორობით), კონფერენციებსა და უცხოურ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა. ზურაბ ლიპარტიას ნაყოფიერი ღვაწლი დაფასდა საპატიო სეგელებითა და დიპლომებით, თუმცა საიუბილეო თარიღები განსაკუთრებულად უნდა აღინიშნებოდეს.

ზურაბ ლიპარტიას, როგორც მეცნიერის, მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის დამსახურებისა და რეალიზებული პროექტების დეტალური ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ ჯერზე ჩვენ მისი მოღვაწეობდან მხოლოდ მცირე ნაწილს, თუმცა მნიშვნელობით გამორჩეულ ნაშრომს - **სტატეგიულ მენეჯმენტს** და მის უპირატესობებს შევეხებით. ავტორმა ეს სახელმძღვანელო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს უძღვნა. თვითონაც თავდადებული შრომით, 35 წელი შეალია ამ მრავალჭირნახული უმაღლესი დაწესებულების საგანმანათლებლო მისიას, კოლეგებთან ერთად, მისი სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

ავტორის დამსახურებას უნდა მიეკუვნოს კორპორაციულ მმართველობიდან სტრატეგიული მენეჯმენტის რაკუსის გამოყოფა და მასი წარმართვის მიმართულებაზე ახალი ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნა. მასში სხვა ავტორების ანალოგიური ნაშრომები გადამუშავებულია და შევსებულია სიახლეებით.

ტრადიციული რეცენზიისგან განსხვავებით, შევჩერდები მხოლოდ იმ ღირსებებზე, რომელიც ამ გამოცემის ღრმა, საფუძვლიანი შესწავლის გარეშეც, ზედაპირზევე ჩანს. სახელმძღვანელო ახლა იდგამს ფეხს და სავსებით ბუნებრივია, ცალკეული შესაძლო ხარვეზი მისი გამოყენების პროცესში გამოვლინდეს. დროსთან მიმართებაში, ასეთი გამოვლინებებიგან არაფერია დაზღვეული. შენიშნული ხარვეზების ანალიზი და ჯანსაღი ოპონირება ნაშრომს განვითარების, შემდგომი სრულყოფის საშუალებას შეუქმნის საფუძველს.

სტრატეგიული მენეჯმენტი - ეს არის ორგანიზაციის რესურსების მართვა მისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. იგი მოიცავს მიზნების დასახვას, კონკურენტული გარემოსა და შიდა ორგანიზაციის ანალიზს, სტრატეგიების შეფასებას და ორგანიზაციის მასშტაბით სტრატეგიების დანერგვის უზრუნველყოფას. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სტრუქტურა, თემებისა და საკითხების შემადგენლობა, დართული მასალა და მითითებული ლიტერატურა სტუდენტს საგანში სათანადო ცოდნისა და უნარების მიღების შესაძლებლობას აძლევს. შეიძლება ითქვას, სახელმძღვანელო არა მარტო სტუდენტებს, საწარმოებსაც, მათ მმართველ გუნდს და ყველა დაინტერესებულ პირს კონკრეტულ მოცემულობაში მოქმედებებისთვის სასარგებლო მიმართულებებს სთავაზობს.

სტრატეგიულ მენეჯმენტზე პროფესორ ზურაბ ლიპარტიას სახელმძღვანელო ორი ნაწილისაგან შესდგება. აქედან, **პირველი ნაწილი** აერთიანებს 15 თემას. თითოეული თემა მოცავს ორ-ორ პარაგრაფს და თემაზე სასემინარო/სადისკუსიო კითხვებს, ამოცანებს დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის, აგრეთვე დამატებით გამოსაყენებელ ლიტერატურის ჩამონათვალს. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში განხილულია: სტრატეგიულ მენეჯმენტში ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური საკითხები, რომლებიც ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის წარმატებულ განვითარებას უზრუნველყოფს. ნაწილის დასასრულს ერთვის საგნის სილაბუსი.

მეორე ნაწილში ასახულია: **ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის (კონცენტრაცია: „ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა“)** სემინარულ-რეფერენტული მეცადინეობების თემატიკა: „რეგიონების სტრატეგიული განვითარების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები ეფექტური პოლიტიკის კონტექსტში“; „მიწის რესურსების მართვის სისტემის ფორმირების ასპექტები და ინტეგრირებული სისტემები“; „კლასტერული პოლიტიკის ფორმირების, ფუნქციონირებისა და განვითარების ასპექტები საქართველოში“; „მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემები“; „საბანკო-საკრედიტო ბიზნესის ფინანსური რისკების სტრატეგიული მართვის თავისებურებები“. ამ ნაწილში, თეორიულ საკითხებთან ერთად, წარმოდგენილია სემინარული მეცადინეობების თემატიკაც. სახელმძღვანელოს ბოლოში დართული აქვს მოკლე ეკონომიკურ-ფინანსური ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელსაც აქვს შემეცნებით-განმარტებითი დანიშნულება და დაინტერესებულ პირს უქმნის დამატებით კომფორტს აქვე მიიღოს ეკონომიკურ-ფინანსურ ტერმინებზე ენციკლოპედიური ახსნა.

სახელმძღვანელო სტრუქტურითა და მოცული საკითხებით, აგრეთვე თანდართული მასალებით, პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, გამოსაყენებლად მოხერხებული და ინოვაციურია. სახეზეა ყველა ნიშანი იმისა, რომ შერჩეული მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირებს, მეცნიერ-მკვლევარებს და საწარმოთა მენეჯერულ შემადგენლობას მიზნების განხორციელებაში წარმატებით მოემსახურება.

იური პაპასძუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

სიახლე აუდიტორულ ბაზარზე

ქუდოსის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის საერთაშორისო ქსელი

WWW.KUDOS-INTERNATIONAL.COM



წამყვანი აუდიტორული კომპანიების სიაში არსებული, ქუდოსის საერთაშორისო ქსელი დაარსდა 2012 წელს და წარმოდგენილია მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში.

ქუდოსის საერთაშორისო ქსელის წარმატებას უზრუნველყოფს „Forum of Firms"-ის სრულუფლებიანი წევრობა. ფორუმის წევრობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ფირმებისათვის, რომლებმაც დანერგეს გლობალურად კოორდინირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გადახედვის პროგრამა, საქმიანობის პროცესში იყენებენ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISAs) და აკმაყოფილებენ სხვა შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს.

Kudos Georgia დასახელდა აუდიტორული კომპანიების საერთაშორისო ქსელის - Kudos International Network 2023 წლის საუკეთესო კომპანიად!

Kudos International Network-ის წლიური კონფერენცია 2023 წლის 10-12 მაისს ლონდონში გაიმართა. ღონისძიებას ქსელში შემავალი კომპანიებისა და გლობალური ფინანსური სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

Kudos International Network 2012 წელს დაარსდა. ქსელი მსოფლიოს 40 ქვეყანაში 50-ზე მეტი ოფისით არის წარმოდგენილი.

ანა ოსიყმიშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ქუდოს ჯორჯიას გარიგების პარტნიორი

ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ!

ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესოა გაცნობოთ, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** უკვე 2020 წლის დეკემბრიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სტატუსით და ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში - **Google Scholar.**

ჟურნალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქმიანი წრეებისთვის საიმედო პარტნიორს, ბიზნესის დარგში - გამოცდილ გზამკვლევს, საკანონმდებლო აქტების ლაბირინთებში - გულთმისან მეგზურს, აკადემიურ სფეროსთვის - უანგარო მსახურს და გააგრძელებს ამ ტრადიციას.

ჟურნალი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მასში შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სტატიების გამოქვეყნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. მიიღება რეცენზიები გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებზე კომენტარები, განმარტებები, შენიშვნები და სრულყოფის რეკომენდაციები.

ჟურნალის ახალ სტატუსთან დაკავშირებით, შეგახსენებთ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების წესს და გაწვდით დამატებით მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს **A4 ფორმატით.** მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატის ჩათვლით, არ უნდა იყოს კომპიუტერზე **1,5 ინტერვალით** და **11 ზომის შრიფტით** ნაბეჭდი ტექსტის **7 გვერდზე** ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს **20 გვერდს.** მასში უნდა იკვეთებოდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

- ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილს კი - ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

- რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (ქართული და უცხოურ ენაზე ტექსტი - შრიფტით **sylfaen,** ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი **- Times New Roman**). სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;.

- სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი. ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [3, გვ. 41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებუილი წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

- ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია გადის რეცენზირებას დარგის სპეციალისტ რეცენზენტთან (რეცენზენტის ვინაობა ავტორისთვის არ იქნება ცნობილი, არც რეცენზენტს ეცნობება ავტორის/ავტორების ვინაობა).

ცალკეული გამონაკლისის გარდა, სტატიის გამოქვეყნება ფასიანია - ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების საფასურია **150 (ასორმოცდაათი) ლარი.** ანგარიშსწორების ანგარიში მითითებულია ჟურნალში.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობისას, სტატია არ გამოქვეყნდება და ავტორს არ უბრუნდება.

წელიწადში გამოდის ჟურნალის არანაკლებ 2 ნომერი, ვრცელდება ელექტრონულად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის მისამართზე: **http:Ojs.b-k.ge; http://b-k.ge/.**

სტატიები გამოაგზავნეთ მისამართზე: yuripapaskua.b.k@gmail.com
ან მოგვაწოდეთ რედაქციაში ნაბეჭდი სახით, ელვერსიასთან ერთად.

ჟურნალის რედაქცია

ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS!

We think it is interesting for you to inform that the journal "Business and Legislation" has been published since December 2020 with an international scientific-analytical status and is indexed in the international search database - Google Scholar.

Over the years, the journal has been a reliable partner for business circles, an experienced guide in the field of business, a kind guide in the labyrinths of legislative acts, a selfless servant for the academic field and will continue this tradition.

The journal is open to all interested parties. It is possible to publish articles in Georgian, English, German and Russian languages on topical issues of business administration and management, economic and social policy. Reviews of published monographs and manuals, as well as comments, clarifications, notes and recommendations for improvement on legislative acts are accepted.

Regarding the new status of the journal, we remind you of the rules for publishing a scientific article and provide you with additional requirements:

- The scientific article should be presented in **A4 format**. The volume, including the list of used literature and the abstract, should not be less than **7 pages** of typed text on the computer **with 1.5 spacing and 11 font size and should not exceed 20 pages.** It should outline the relevance of the research problem, research goals and objectives, research methodology, research results (newness), recommendations.

- The paper written in Georgian must be accompanied by abstracts in Georgian and English - up to 1000 marks each. For those written in a foreign language - main content on 2-3 pages in Georgian and abstract in the same foreign language.

- It is necessary to submit the article to the editors as a printed copy, together with the version (Georgian and foreign language text - **Asylfaen font**, and foreign language text - **Times New Roman**). Below the title of the article (on the right side) should be indicated the full name, surname, academic degree, position, telephone and e-mail address of the author (or authors).

- The article should show the use of important literature related to the research problem. The name of the literature should be placed at the end of the article in the form of a single list: a) the name of the book in the following order - surname and initials of the author (authors), name of the book, place of publication, publishing house, year; b) for a journal article - surname and initials of the author(s), title of the article, title of the journal, year, number of the journal. The source indicated in the bibliography should be used in the text of the article. When quoting from the work of this or that author, he should indicate the source by indicating the appropriate page in the following way [3, p. 41], where the first digit corresponds to the serial number of the quoted source in the list of used literature, and the second - to the page from which the quotation is given. The bibliographic description of each book (journal) in the bibliography should correspond to its title page.

- Basically, in the text, tables, graphs and charts should be placed in the place of their reference, if there is not enough space - maybe on the next page. Tables, graphs and charts should have a title and numbering.

The scientific article submitted for publication is reviewed by a specialist reviewer in the field (the identity of the reviewer will not be known to the author, nor will the reviewer be informed of the identity of the author/authors).

With a separate exception, publishing an article is paid - the fee for publishing an article in a journal is **150 (fifty) GEL.** The settlement report is indicated in the journal.

If these requirements are not met, the article will not be published and will not be returned to the author.

At least 2 issues of the journal are published per year, distributed electronically and available to any user at the address: **http: Ojs.b-k.ge; http://b-k.ge/.**

Send the articles to the address: yuripapaskua.b.k@gmail.com, or submit them to the editorial office in printed form, together with the version.

JOURNAL EDITORIAL

ბიზნესი და კანონმდებლობა

Business & Law

ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

TEQNICAL EDITOR: LEVAN BOCHORISHVILI

რედაქციის მისამართი:
თბილისი, გლდანი, ნიკო კეცხოველის 24, ბ.61
ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27
www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Gldani, Niko Ketskhoveli 24, f.61.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:
სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG0000000850902700;
ს/კ 404956455.

BANK DETAILS:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455